# კვირის პალიტრა

№ 3 (464) ◆ 19 – 25 იანვარი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## საუფლო დღესასწაული
## ნათლისღება



### „ესე არს ძე ჩემი, საყუარელი...“

იორდანე ერთი პატარა მდინარეა, მაგრამ ისეთი როლშესრულებული წყალი დგას მის კალაპოტში, რომ პლანეტის „უდიდეს“ მდინარედ ქცეულა...

გვ.12

## ვინ იმუქრებოდა თბილისის ერთ-ერთი ცათამბჯენის აფეთქებით

### „პრივატიზაციის“ შედეგად მითვისებული მილიარდობით დოლარის ქონების განიავება გრძელდება

მიდიოდა დაშინება და ზეწოლა თანამშრომლებზე. დამნაშავეებსაც დაუკავშირდნენ და ცემა-ტყეპით, იარაღით გვაიძულებდნენ, ხმა ჩაგვეკმინდა. აქციონერებისგან მოითხოვდნენ მათ ხელთ არსებული აქციების გაყიდვას...




ვინ ემუქრებოდა „საქტრანსპროექტის“ აქციონერებს?

გვ.11,13

## დაასახელეთ ყველაზე გავლენიანი ადამიანი

გვ.35 საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

## „ჩვენთან ომს გაქცევა ურჩევნიათ“



როგორ შეებრძოლება ახალი ხელისუფლება „კანონიერ ქურდებს“

გვ.5

„მათ ბევრი მეთოდი აქვთ საიმისოდ, რომ თავი გადაირჩინონ... შეიძლება სურვილი კი ჰქონდეთ, მაგრამ ვერავის ესვრიან. ამის პირობას ჩვენ ვიძლევით.“

## ვა(რ)დამდე და ვა(რ)დის შემდეგ...

მიხეილ სააკაშვილი; ვახტანგ რჩეულიშვილი; გვ.7
ლევან მამალაძე; აკაკი ასათიანი; რევაზ შავიშვილი.

## „არც მჭირდება საქართველოს პრეზიდენტობა“

გვ.6,7

### „სამოგზაურო ფული სააკაშვილმა მასესხა“

### რატომ წავიდა შალვა ნათელაშვილი მოსკოვში და როგორ მოიგება მხარი დავით გამყრელიძემ...



## ვექსიო

## ცოდვიანნი ღამე სოფელს დღესაც ახსოვს...

გვ.10

## ზოგიერთი ნუგბარი შეიძლება ბაბილ შხამად იქცეს...

— ნამდვილად ვიცი, რომ ცოტა ხნის წინ ქირურგიული ოპერაციის შედეგად ბავშვს ამოუღეს კუჭში დაგროვილი ჟელატინიანი კანფეტების მასა. ამ სახის კანფეტებს რომ დავაკვირდი, თვითონაც მივხვდი, რომ აბსოლუტურად მოუნელებელი ტკბილეულია(!).

გვ.4

## ვახტანგ რჩეულიშვილი „სტიქაროსანი გახდა“

გვ.6,27

„რაკი მან შევარდნაძის ჩამოგდება შეძლო, მოსახლეობას სჯერა — ეს გვიშველისო“

ვახტანგ რჩეულიშვილი

## მიწას მხოლოდ მიწისა დაუბრუნა...

გვ.16

### შტრიხები დიდი მსახიობის პორტრეტისთვის

სოფრომი 72 წლისა ყოფილა, როცა ჩარკვიანის 18 წლის ქალი შეურთავს ცოლად. ეს ქორწინება სვანებთან შერიგების სიმბოლოდ ულიარებიათ... წლისთავზე ვაჟიც შესძენიათ — აკაკი ვასაძის მამა ალექსი.



## ნათლისღების მადლი გფარავდეთ!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## ტრაგედია იზოტოპების ინსტიტუტში

კვირას, 18 იანვარს, დაახლოებით 12.15 სთ-ზე, იზოტოპების ინსტიტუტში მომხდარ ძლიერ აფეთქებას ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. დაიღუპნენ ქართულ-ჰოლანდიური ფარმაცევტული ფირმის „სი-ბი-აი ჯორჯიას“ მენეჯერი ალეკო ტულუში და ამირან გაგოშიძე. დაშავდა ორი ადამიანი, რომლებიც რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. თვითმხილველთა თქმით, აფეთქების ძლიერ ხმას შენობის მე-14 სართულის ფანჯრებიდან მუქი ფერის ბოლი მოჰყვა. უბედურების ადგილზე მისულ უშიშროების სამსახურის წარმომადგენელთა მიერ ჩატარებული წინასწარი გამოძიების შედეგად დგინდება, რომ აზოტის ერთი ჭურჭლიდან მეორეში გადატანის დროს მწყობრიდან გამოვიდა დაზიანებული დანადგარი, რამაც გამოიწვია აფეთქება. მათი განცხადებით, იზოტოპების ინსტიტუტში რადიაციული იზოტოპები არ მზადდება. მუშაობენ მხოლოდ სტაბილურ იზოტოპებზე, რაც მომწამვლელი არ არის. აფეთქების შედეგად წარმოქმნილი ორთქლი, რომელიც ფანჯრებიდან კარგა ხანს გამოდიოდა, სპეციალისტთა მტკიცებით, ასევე უსაფრთხოა ადამიანებისთვის.

## ლიანდაგიდან — გისოსებს მიღმა

მიუხედავად აკაკი ჩხაიძის ადვოკატების მტკიცებისა, რომ ბრალდებული „უმანკოა“, სახელმწიფოსაგან არაფერი მიუტაცებია და არც გადასახადები დაუმალავს, ჩხაიძეს მაინც მოუწევს სასამართლოს წინაშე წარსდგომა. თუ ჩხაიძეს გამოძიება ბრალდებას დაუმტკიცებს, შესაძლოა ხანგრძლივი პატიმრობა მიესაჯოს. ზუსტად ჩხაიძის დაპატიმრების დღეს, 16 იანვარს კი რკინიგზის ახალი შეფის წარდგინება მოხდა. სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს და რკინიგზელთა პროფკავშირებს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ახალგაზრდა იურისტი ზურაბ ვაშალომიძე წარუდგინა. რკინიგზის ახალი შეფი იმედოვნებს, რომ შეებრძოლება მექრთამეობას, მონოპოლიას და ყველა სხვა უარყოფითი პროცესის გამოვლენას. ვაშალომიძეს სავარაუდოდ, 23 იანვარს დაამტკიცებენ.

## „მირცხულავას მძიმე ავადმყოფობა სიმულაციაა“

საქართველოს ახალმა გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა სემეკის ყოფილი თავმჯდომარის, დავით მირცხულავას, მონახულების შემდეგ განაცხადა, რომ დაკითხვა აქამდეც შეიძლებოდა და მირცხულავას ავადმყოფობა მხოლოდ სიმულაციაა. ოქრუაშვილის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფმა მირცხულავას ჯანმრთელობის კვლევის საკითხი უსაფუძვლოდ გააჭიანურა. ეჭვმიტანილის ადვოკატი ეკა ბესელია კი გენერალურ პროკურატურას უფლებების ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებს და პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილის, პაატა ჯაველიძის საქმისგან ჩამოშორებას მოითხოვს. ბესელიას განცხადებით, პაატა ჯაველიძე შეურაცხყოფას აყენებდა ადვოკატებს, მირცხულავას ნახვას უკრძალავდა, ექიმებზე ზეწოლას ახდენდა და ავადმყოფისთვის ტკივილგამაყუჩებელი ინიექციის გაკეთებას ეწინააღმდეგებოდა. მირცხულავას ადვოკატის თქმით, მალე საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება იმ პირთა ვინაობა, რომელთა დაკვეთითაც დააკავეს ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი. დავით მირცხულავა ამჟამად ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფება.

## ოქრუაშვილის მორიგი სამიზნე

სათბობ-ენერგეტიკის ყოფილის მინისტრის, რკინიგზის დეპარტამენტის ექსთავმჯდომარის, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის და სადახლოს ბაზრობის დირექტორის შემდეგ, შესაძლოა, მათი ბედი სავაჭრო პალატის ხელმძღვანელმა გურამ ახვლედიანმაც გაიზიაროს. ახალი ხელისუფლება ექსპრეზიდენტის ოჯახის წევრების საქმეებითაც დაინტერესდა. გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა უკვე დაადასტურა, რომ ფოთის პორტში ედუარდ შევარდნაძის მძახლების საქმიანობას შეისწავლის და გადაწყვეტს, რამდენად მიზანშეწონილი იქნება სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. ოქრუაშვილის განცხადებით, მალე ფოთის პორტისა და ახვლედიანების საქმის შესახებ საზოგადოებისთვის ბევრი საინტერესო მასალა გახდება ცნობილი. გენერალური პროკურორის ფოთის პორტით დაინტერესებას კანონზომიერს უწოდებს ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი რომან მელიაც და იმედოვნებს, რომ გამოძიების პროცესში ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი გამოვლინდება ფოთის პორტსა და ახვლედიანების კერძო ინტერესებთან დაკავშირებით. „ამას ჰქვია, რაც არ გერგება, არ შეგერგებაო. ახვლედიანებს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რაც ხდებოდა პორტში კანონდარღვევით და ისიც ვიცი, რომ ამის უკან გურამ ახვლედიანი იდგა“, — აცხადებს მელია. აღნიშნულის შესახებ ჯერჯერობით, კომენტარს არ აკეთებს პორტის ხელმძღვანელი ჯემალ იმნაიშვილი.

## პროკლამაციების გამავრცელებლები გაათავისუფლეს

მოსკოვში ხანმოკლე ვიზიტის შემდეგ ბათუმში დაბრუნებულმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერმა ასლან აბაშიძემ, რუსეთში მოგზაურობის შესახებ მხოლოდ აჭარის ტელევიზიით გააკეთა კომენტარი და განაცხადა, რომ რუსეთის დედაქალაქში მხოლოდ ეკონომიკური საკითხების მოსაგვარებლად იმყოფებოდა და კატეგორიულად უარყო მისი, თითქოსდა მოსკოვში პოლიტიკური დახმარების მოტივით სტუმრობა. აბაშიძე არ გამორიცხავს უახლოეს პერიოდში მოსკოვში განმეორებით ვიზიტს. ამასობაში კი, ბათუმში გაათავისუფლეს ერთი კვირის წინ დაკავებული, პროკლამაციების გავრცელებაში ეჭვმიტანილი ძმები ჩხეტიები და ბექა მურვანიძე.

## ენერგოკრიზისი კვლავ აქტუალურია

ელექტროენერგიასა და გაზმომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად მოსკოვში მოლაპარაკებებს მართავს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი მამუკა ნიკოლაიშვილი. იგი შეხვდა „გაზპრომისა“ და „რაოეესის“ ხელმძღვანელებს. ნიკოლაიშვილი „თელასთან“ ურთიერთობასა და ენერგოსისტემაში არსებულ ხარვეზებს აღიარებს და მდგომარეობის გამოსწორებას აპირებს. თბილისში დაბრუნებული მინისტრის განცხადებით, „იტერასა“ და „გაზპრომის“ უთანხმოებისა და ქართული მხარის მიერ გაზის საფასურის გადაუხდელობის გამო, საქართველოს ბუნებრივი აირის მიწოდება შეიძლება 19 იანვრიდან შეუწყდეს. ამ ეტაპზე „გაზპრომთან“ და „იტერასთან“ მოლაპარაკებებს აწარმოებს საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია. „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ წარმომადგენლების განცხადებით კი, საქართველოს ენერგოგენერაციაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის დასაძლევად, რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის მოცულობა 200 მეგავატამდე გაზარდეს, რომელიც 24 იანვრამდე შემოვა საქართველოში. თუმცა კომპანიის განცხადებით, იმპორტის მოცულობის გაზრდის მიუხედავად, ქვეყნის რეგიონების ელექტრომომარაგების გაუმჯობესებაზე ლაპარაკი არც შეიძლება იყოს და კვლავინდებურად შენარჩუნებული იქნება მკაცრი გრაფიკები.

## უდენობა შეიძლება პოლიტსკანდალად იქცეს

საქართველოში შექმნილი ენერგოკრიზისის გამო რეგიონებში ამბოხი მწიფდება და არ არის გამორიცხული, სკანდალი 25 იანვარს მოხდეს. ქუთაისში კომპაქტურად ჩასახლებული აფხაზეთიდან დევნილნი და ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილი 25 იანვარს, პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს, გელათის ტაძრისკენ მიმავალი გზის გადაკეტვას აპირებენ. დევნილები და ადგილობრივი მოსახლეობა ელექტროენერგიის მოთხოვნით უკვე მართავენ პერმანენტულ აქციებს ქუთაისის ენერგოკომპანიისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შენობების წინ. აცხადებენ, რომ ახალარჩეულ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს, ხელს შეუშლიან 25 იანვარს გელათის სამონასტრო კომპლექსში დაგეგმილი ღონისძიების ჩატარებაში. „იმ ქალაქში, სადაც ელექტროენერგია „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მხოლოდ ახალი წლის ღამეს მიიღეს, უხერხულია ფიცის დადება ხალხის წინაშე“, — აცხადებენ აქციის მონაწილეები. მათ დაშოშმინებას კი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები კვლავაც დაპირებებით ცდილობენ. ქუთაისის ენერგოკომპანიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით კი, პრობლემა იანვრის ბოლომდე ვერ მოგვარდება, რადგან ქუთაისი სულ 5 მეგავატით მარაგდება, მაშინ, როცა ქალაქის 100%-ით განათებას 90 მეგავატი სჭირდება.

## „საქართველოს აღდგომა და ჯვართამაღლება ელოდება“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II საქართველოს სახელმწიფო დროშად ხუთჯვრიანი დროშის დამტკიცებას მიესალმება. მისი თქმით, ეს არის უძველესი ქრისტიანული სიმბოლო და ხუთ ჯვარს დიდი შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. „ხუთი ჯვარი იესო ქრისტეს ხუთ ჭრილობას ნიშნავს, მეხუთე ჭრილობა იესო ქრისტეს გვერდში მიაყენეს, როცა გოლგოთის გზა უკვე განვლილი ჰქონდა. რადგან ქართველებმა ეს დროშა თავიანთ დროშად აღიარეს, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს აღდგომა და ჯვართამაღლება ელოდება“. გურამ შარაძის წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტმა ხუთჯვრიანი დროშა სახელმწიფო დროშად გასულ კვირას გამოაცხადა.

## სააკაშვილი მოსკოვში ვიზიტისთვის ემზადება

საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოსკოვში გამგზავრებისთვის ემზადება. ეს ქვეყნის პრეზიდენტის რანგში რუსეთში მისი პირველი ვიზიტი იქნება. საქართველოს პირველმა პირმა ამის შესახებ ენ-ტე-ვეს ჟურნალისტთან ინტერვიუში განაცხადა და აღნიშნა, რომ მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებას, რისთვისაც სააკაშვილი აპირებს წინა ხელისუფლების დროს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში არსებული პრობლემები ახლებურად მოაგვაროს. სააკაშვილის მოსკოვში გამგზავრება სავარაუდოდ თებერვალში მოხდება, მანამდე ქვეყნის ახალი პრეზიდენტი შვეიცარიაში ვიზიტს გეგმავს.

## აღლუმი თბილისსა და ფოთში

პირველად საქართველოს ისტორიაში ახალი პრეზიდენტი ერთ დღეს ორ აღლუმს დაესწრება — ფოთში, წყალზე, თბილისში — მიწასა და ჰაერში. საქართველოს მოქალაქეებს მისი ნახვის შესაძლებლობა მიეცემათ 25 იანვარს — საქართველოს ახალდამტკიცებულ ახალ პრეზიდენტს ერთ დღეს ორ აღლუმზე მიესალმებიან სამხედროები. პირველი აღლუმი გაიმართება ფოთში, სადაც პრეზიდენტი სააკაშვილი გელათიდან შვეულმფრენით ჩაფრინდება. ფოთის აკვატორიაში ახალ პრეზიდენტს და, რაც მთავარია, სამხედრო ძალების ახალ უმაღლეს მთავარსარდალს საინტერესო შოუს უჩვენებენ თავდაცვის სამინისტროს საზღვაო თავდაცვის ძალებისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სანაპირო დაცვის ხომალდები და კატარღები, მათი ეკიპაჟები. სანაპიროზე ნაჩვენები იქნება მძიმე საბრძოლო ტექნიკა, მათ შორის, შარშან ჩეხეთში შეძენილი ორი თვითმავალი ჰაუბიცა და ოთხი საზალპო ცეცხლის რეაქტიული სისტემა.

ფოთიდან გამოფრენილ პრეზიდენტს კი თბილისში ახალი სამხედრო აღლუმი დახვდება. რუსთაველის პროსპექტზე ჩაივლიან „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის ფარგლებში მომზადებული ბატალიონები, ოღონდ არასრული შემადგენლობით. თბილისის აღლუმში მონაწილეობას მიიღებს 2.000-მდე სამხედრო, როგორც თავდაცვის სამინისტროს, ისე შსს-ს შინაგანი და სასაზღვრო ჯარებიდან, ხოლო საჰაერო აღლუმში — თავდაცვის სამინისტროს ხუთი ან ექვსი შვეულმფრენი, მათ შორის – Ми-8МТ, Ми-8 და ამერიკული Um-1H „იროკეზი“. მათ შემდეგ რუსთაველის პროსპექტს დაბალ სიმაღლეზე სამი Су-25 ტიპის მოიერიშე გადაუფრენს. სხვათა შორის, 25 იანვარს, ახალმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა სწორედ იმ შვიდმილიონიანი ფრანგული შვეულმფრენით უნდა იფრინოს, რომელიც ზუსტად ერთი წლის წინ, 25 იანვარს, პრეზიდენტ შევარდნაძეს დაბადების დღისათვის უყიდეს.

## შვეიცარია საქართველოს ხატს დაუბრუნებს

შვეიცარიის სამართალდამცავებმა გადაწყვიტეს, საქართველოს გადასცენ 90-იან წლებში ქვეყნიდან მოპარული XI საუკუნის უნიკალური ხატი „ოქონის ტრიპტიქი“.

2002 წლის თებერვალში კერძო კოლექციონერი, შვეიცარიისა და რუსეთის მოქალაქე ოლეგ ზემლიანიკოვი, შეეცადა, „ოქონის ტრიპტიქი“ გამოეფინა კრისტის ცნობილ აუქციონზე. სპილოს ძვლის სამკარედი ტრიპტიქი სპეციალისტებმა 10 მლნ დოლარად შეაფასეს.

შვეიცარიელ სამართალდამცავებს ქართველმა კოლეგებმა წარუდგინეს მოკვლევა ხატის წარმოშობისა და გატაცების შესახებ. შვეიცარიელებმა ხატი კერძო კოლექციიდან ამოიღეს. ახლო მომავალში ხატი გადაეცემა საქართველოს საელჩოს შვეიცარიაში, რის შემდეგაც მის წამოსაღებად საქართველოს გენპროკურატურის წარმომადგენელი გაემგზავრება.

## ბრაკონიერი გემები დააკავეს

ბათუმის აკვატორიაში ქართველმა მესაზღვრეებმა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ნაოსნობის წესების დარღვევისთვის ორი უცხოური გემი დააკავეს. აზერბაიჯანის დროშით მცურავმა ეკიპაჟმა უკვე გადაიხადა ჯარიმა 50 ათასი ლარის ოდენობით. სენტ ვინსენტის დროშით მცურავი მეორე გემი 200 ათასი ლარით დააჯარიმეს და ბათუმის პორტში გადაიყვანეს. მეპატრონეს უახლოეს ათ დღეში შეუძლია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება, ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, გემი აუქციონზე გაიყიდება.

## გაქცეული პატიმრები გალში დათარეშობენ

ზუგდიდელი სამართალდამცველების განცხადებით, გასულ წელს რუსთავის კოლონიიდან გაქცეული 9 პატიმარი გალში იმყოფება, ისინი აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოქმედებენ და თავს აფხაზი კრიმინალების დაჯგუფებებს აფარებენ. ყველა მსჯავრდებული შეიარაღებულია. ძალოვნებს ეჭვი აქვთ, რომ აფხაზები ქართველ დამნაშავეებს საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ტერაქტების მოსაწყობად გამოიყენებენ. ზუგდიდელი პოლიციელების განცხადებით უკვე დაფიქსირებულია რუსთავიდან გაქცეული პატიმრების მიერ გალში ქართული მოსახლეობის დაწიოკების ფაქტები.

## რკინიგზის საბაჟო დააყაჩაღეს

ყაჩაღობა მოხდა რკინიგზის საბაჟოში. 5 შეიარაღებული დამნაშავე თამარ მეფის გამზირზე არსებულ შენობაში განლაგებულ რკინიგზის საბაჟოს ოფისში შეიჭრა. ყაჩაღებმა საბაჟოს თანამშრომლებს ოთახები მუქარით დაატოვებინეს და სეიფიდან 132 ათასი ლარი გაიტაცეს. მათ მიერ ატეხილი სროლის შედეგად, საბედნიეროდ, არავინ დაზიანებულა.




## აფეთქება ბაღდადში

კვირას, 18 იანვარს, ყველაზე დიდი აფეთქება მოხდა ბაღდადის ცენტრში, რის შედეგადაც 23 ადამიანი დაიღუპა. აფეთქება სადამ ჰუსეინის ერთ-ერთ სასახლესთან მოხდა, სადაც ამჟერად ამერიკელ სამხედროთა შტაბბინაა განთავსებული. თვითმხილველთა განცხადებით, სასახლის ეზოში შესვლას ცდილობდა კამიკაძე-ტერორისტი, რომელმაც დაცვის მხრიდან უარის მიღების შემდეგ თავი აიფეთქა ჯიპის ტიპის ავტომობილში. დაღუპულთა შორის ოთხი ამერიკელი ჯარისკაცია.

## მუშარაფს დიქტატორი უწოდეს

პაკისტანის პრეზიდენტი ფერვეს მუშარაფი მუსლიმანურ ექსტრემიზმს წმინდა ომს უცხადებს და მხარდაჭერისთვის ხალხს მიმართავს. ამასთან დაკავშირებით მუშარაფმა განცხადება პარლამენტის სხდომაზე გააკეთა. თუმცა, პარლამენტარებმა ქვეყნის პირველ პირს ანტიტერორისტული კამპანიის დეტალებზე საუბრის საშუალება არ მისცეს. ოპოზიციის წარმომადგენლებმა მუშარაფს დიქტატორი უწოდეს და მისი დარბაზიდან გაძევება სცადეს. 1999 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ, რომელსაც გენერალი მუშარაფი ხელმძღვანელობდა, ეს მისი პარლამენტში პრეზიდენტის ამპლუაში შესვლის პირველი შემთხვევა იყო. საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის დამოკიდებულება მას შემდეგ დაიძაბა, როდესაც მუშარაფმა ნდობის ვოტუმის საშუალებით 2007 წლამდე ქვეყნის სათავეში დარჩენის უფლება მოიპოვა.

## დიდი ბრიტანეთი კრძალავს კლონებს

პირველი კლონირებული ადამიანი ბრიტანეთში ცხრა თვის შემდეგ გაჩნდება — აცხადებს ლონდონელი ექიმი პანოს ზოლისი, რომლის კვლევითმა ჯგუფმა 35 წლის ანონიმ ქალბატონს კლონირებული ემბრიონი გადაუნერგა. რეპროდუქციის პრობლემებში ცნობილი სპეციალისტის, ზოლისის განცხადებით, ემბრიონი უშვილო ქალბატონის მეუღლის დნმ-იდან მიიღეს. ნაყოფის ნორმალურად განვითარების მხოლოდ 30 პროცენტი არსებობს. ნაკლებად პროგნოზირებადია ექსპერიმენტის საბოლოო შედეგიც. ზოლისის ამ განცხადებამ დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის მინისტრისა და ექიმთა უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი ამ ექსპერიმენტს არაეთიკურს უწოდებენ და გენეტიკიური მედიცინის მიღწევების ბოროტად გამოყენებად თვლიან. დიდ ბრიტანეთში, სადაც პირველი კლონირებული ცხვარი მიიღეს, კანონი კრძალავს მსგავსი ცდების ჩატარებას. კლონირებული ცხოველები კი სუსტი იმუნიტეტითა და უჩვეულო ქცევებით გამოირჩევიან.

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის „მკითხველის პრემიის“ შედეგები ასეთია:



1. **ვაჟა გავაშელი** — „სიკვდილის შემდეგ გამჟღავნებული საიდუმლო“ — 93 ხმა
2. **მარი ზანდუკელი** — „რაც მე ვიცი, ყველამ არ იცის...“ — 45
3. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „მე, სიმართლის მთქმელ აქციონერს, შუაზე გადაჭრით მემუქრებიან“ — 38
4. **ლელა ჯიყაშვილი** — „ჩხუბიანიძეც, ცოფიანიძეც, ჩაფიანიძეც — ერთი კეთილი „ბიჭუნაა...“ — 32
5. **ეკა ლომიძე** — „რა აქვს სათქმელი მეფეთა შთამომავალს ახალი პრეზიდენტისთვის?“ — 26
6. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 20
7. **დაჩი გრძელიშვილი** — „ეს ფაქტი „ლეკიანობის“ დასასრულის დასაწყისად უნდა იქცეს“ — 16

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 337-მა მკითხველმა გამოავლინა***

# „საქართველო „სხვისი“ გამონაცვალის ტარებას აღარ სჯერდება“

ნაზარბაევს პუტინი ვერანაირი რევერანსებით ვერ დაარწმუნებს, ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტს და მას მოყოლებულ გაზსადენს ბევრად უფრო ძვირად ღირებული და არაპერსპექტიული ნოვოროსიისკის მარშრუტი ამჯობინოს. ყველაფერ ამას თანდათან გაძლიერებული დასავლური ეკონომიკური წნეხიც დაემატება და რუსეთი თავად დაასკვნის, რა ურჩევნია — შიმშილით კუჭი უხმებოდეს, არარეალურ ველიკოდერჟავულ ზრახვებს ებღაუჭებოდეს და მოსახლეობა ჩეჩნეთის მტრის ხატით „კვებოს“, თუ შექმნილი ვითარება გაითვალისწინოს და საერთაშორისო პოლიტიკაში შექმნილ რეალობას დაჰყვეს.



## „რუსი დიპლომატები ურცხვად აცხადებენ, რომ მზად არიან ბაზების გასაყვანად“

მაშ, ასე — საქართველო ახალი დემოკრატიის შენების გზაზე დგას. გვყავს 95%-ის მიერ არჩეული, ზედმიწევნით ეროვნულად და მკაცრად ანტიკორუფციულად განწყობილი პრეზიდენტი და „უბანში ყველაზე მაგრებთან“, ამერიკელებთანაც ვძმაკაცობთ. მეგობარი ევროპელები გამოცდილებითაც გვეხმარებიან და ფულითაც. გვყავს ამერიკულად გაწვრთნილი და რუსულად შეიარაღებული ჯარიც — მერე რა, თუ ინაუგურაციის სამზადისში ამ ჯარს სრულიად უბოდიშოდ და გაუფრთხილებლად ხან ერთ სანაპიროს აკეტინებენ და ხან მეორეს, თავისუფალი საქართველოს თავისუფალ მოქალაქეებს კი, ახალი წესრიგის მოლოდინში, შინ მისვლა ზედმეტი კილომეტრების გავლით გვიწევს. სამაგიეროდ, ერთ რამედ ეღირება 25 იანვარს, „სი-ენ-ენის“ პირდაპირ გადაცემაში ჩვენი ბიჭები მწყობრით (იხ. გვ.9) რომ გაივლიან რესპუბლიკის მოედანს, სადაც ყოფილი (თუ მიიწვიეს), დროებითი და მომავალი პრეზიდენტების გვერდით მსოფლიოს ზესახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანიც იდგება. კორუფციის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა გამოვაცხადეთ. მერე რა, თუ ავტოინსპექტორები 2-ის ნაცვლად, 5 ლარს იღებენ — ეს ხომ მათი ბრალი არა არის. სამაგიეროდ, „ღლავებს“ ვიჭერთ (ზოგსაც დაჭერის გარეშე ვასამართლებთ) და ისევ: მერე რა, თუ მათ ბრალად ისეთი თანხის მოპარვას ვუყენებთ, იმ წუთში შეიძლება ჯიბის ფულადაც რომ ჰქონდეთ. გადახდის შემთხვევაში კი პასუხისმგებლობას ერთი-ათად ვუმსუბუქებთ. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი მოიპარეს და რამდენს აბრუნებენ — მთავარი ხომ ფაქტის კონსტატაციაა. ამ შემთხვევაში უმთავრესი და საგულისხმო ფაქტი კი ის გახლავთ, რომ აჭარის მმართველმა „ბუდიდან ბარტყების გადმოყრა“ დაიწყო — თუმცა, თუ მის მოსკოვურ ვიზიტს გავიხსენებთ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასლან აბაშიძე ჩრდილოელ „მონადირეს“ არ დაგვაყენებს თავზე.

რაც შეეხება კორუფციას — ქრთამის აღება ქუჩაში ინსპექტორების თვითმიზანი მართლაც არ არის. მაგრამ კორუფციის არსებობის ინდიკატორი სწორედ წვრილფეხობის მოქმედება გახლავთ და არა „მსხვილფეხა“ ბობოლების დევნა, რადგან ყოველდღიური შეხება ხალხთან უბრალო მოხელეებს აქვთ. თუ შესაფერისი ხელფასი არ ექნებათ, სისტემა სულ ორიოდე თვეში ახალ მამალაძეებს და ჩხაიძეებს შექმნის, მათ პროტოტიპებთან ბრძოლას კი პოლიტიკური სახე ექნება და არა ანტიკორუფციული. ალბათ ამას უკავშირდება მხოლოდ ძალოვანი უწყების ხელფასებისთვის ამერიკის მთავრობის მიერ ერთი მილიონი დოლარის გადმოცემა. მოუხერხებელი არაფერია — მთავარია, ხელისუფალთ ფული სანახაობრივ ღონისძიებათა გამართვასა და რეზიდენციების მოწყობაში არ შემოეხარჯოთ — მათი ასაკისა და გამოუცდელობის გამო — ცდუნება საკმაოდ დიდია. რევოლუციური ეიფორიის გათვალისწინებით, სწორედ ამიტომ აქვს ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ოპოზიციის არსებობას — როგორც ჩანს, ამას დასავლეთიც კარგად ხვდება და თბილისში საგანგებო ვიზიტით ჩამოსული ევროგაერთიანების მაღალჩინოსანი დიპლომატები — ხავიერ სოლანაც და ჟან ლუი ლორანიც — რეალური საპარლამენტო ოპოზიციის აუცილებლობაზე ლაპარაკობენ, რაც ბარიერის დაწევით შეიძლება იქნეს მიღწეული. მეორე მხრივ, არნახულად აქტიურდება შეერთებული შტატების ადმინისტრაცია. თბილისში ჩამოსული სახელმწიფო მდივნის მოადგილე ლამის კატეგორიულად მოითხოვს, — რუსეთის ბაზებმა საქართველოს ტერიტორია დატოვონო. როგორც ისტორიულად სჩვევია, კრემლი ამაზეც ხელის მოთბობას ცდილობს. მაგრამ მოთბობაც არის და მოთბობაც — როგორც ჩანს, პუტინმა საქართველოზე გაკეთებული ფულით დაქცევის პირას მისული რუსული ეკონომიკის გადარჩენა განიზრახა — მაგრამ არც საქართველოა მოპარული „ჟიგული“ და არც ვაშინგტონი გაქსუებული და ახალბედა მეპატრონე, „ვაზვრატი“ რომ დაუფიქრებლად გადაიხადოს. თუმცა, ისიც ფაქტია, საქართველოს ყველა ძირითადი პრობლემის გასაღები სწორედ რუსეთის სამხედრო ბაზებში მდგომარეობს — ცენტრისა და რეგიონების ურთიერთობიდან დაწყებული და ტერიტორიული მთლიანობით დამთავრებული.

რატომ იქცა საქართველო რევოლუციის შემდეგ დიდი პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად, რომელსაც დასავლეთი თავს ევლება; ხომ არ გადაიქცევა ორ ინტერესს შორის მოქცეული ქვეყანა სცილასა და ქარიბდას სრუტის განწირულ მგზავრად; შეძლებს თუ არა ახალი ხელისუფლება ეიფორიის დაძლევას და რეფორმების გატარებას ისე, რომ მის დასრულებამდე ხალხის ნდობა შეინარჩუნოს... — ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრებით პოლიტოლოგ **სოსო ცინცაძეს**:

— ამერიკული და, ზოგადად, დასავლური დიპლომატიის ასეთი გააქტიურება, უპირველესად, საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლით აიხსნება. შევარდნაძის რეჟიმის სტაბილურმა კორუფციულმა ჭაობმა ვაშინგტონს გული აუცრუა იმ დიდ სტრატეგიულ გეგმებზე, შევარდნაძის გაპრეზიდენტების პირველსავე წლებში რომ ჩაისახა. მრავალწლიანი უშედეგო ფინანსური და ინტელექტუალური ინიექციების შემდეგ, დასავლეთი დარწმუნდა, რომ შევარდნაძის რეჟიმი ნამდვილად არ წარმოადგენდა იმ ძალას, რომლის გამოც რუსეთთან მკვეთრი დაპირისპირება ეღირებოდა ნებისმიერი გეოსტრატეგიის ფასად. ამიტომაც ამერიკამ, უხეშად რომ ვთქვათ, ფსონი ახალ ხელისუფლებაზე დადო და ახლა უკვე ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ რუსეთთან მიმართებაში დადებული ფსონის შესაფერისი მოგება მიიღოს. უკანასკნელ პერიოდში რუსოფილი პოლიტიკოსები თუ პოლიტოლოგები ხშირად გამოთქვამდნენ მცდარ და პრიმიტიულ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ გამო დასავლეთი რუსეთს „არ წაჩხუბებოდა“. მაგრამ დასავლეთი და, უპირატესად, ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთს დაუპირისპირდება არა კონკრეტულად საქართველოს, არამედ კავკასია-ცენტრალური აზიის — ამ უაღრესად მნიშვნელოვანი, სტრატეგიული პუნქტის, XX საუკუნის უმნიშვნელოვანესი ნედლეულის, ნავთობის და მისი გამტარი დერეფნის, დასაკავებლად. რასაკვირველია, ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს ის, ვინც კავკასიის მთავარი „გასაღების“, საქართველოს, გაკონტროლებას შეძლებს. გავიხსენოთ, რა მასშტაბების ელვისებური, ფინანსური და მორალური დახმარება აღმოუჩინა დასავლეთმა საქართველოს ახალ ხელისუფლებას უკვე რევოლუციის მეორე დღიდანვე — დამეთანხმებით, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოში მიმდინარე ნეგატიური პროცესების გაჯანსაღების კეთილი სურვილით არ იყო გამოწვეული. ეს სურვილი, პირველ რიგში, დასავლეთის ინტერესებს ესადაგებოდა. ასე რომ, ვარდების რევოლუცია მხოლოდ პირველ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს, რომლის მომდევნო ეტაპები რუსული ბაზების გაყვანა, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია და ამერიკული სამხედრო ბაზების დამკვიდრება იქნება. რასაკვირველია, ეს ისეთი შეუქცევადი და გარდაუვალი პროცესი არ გახლავთ, რომ ეიფორიამ გაგვიტაცოს და თავი უკვე აქედანვე, სამშვიდობოს დავიგულოთ. არც რუსეთი დათმობს კავკასიას ასე იოლად (მით უმეტეს, რომ რატომღაც მას მემკვიდრეობით მიღებულ საკუთრებად მიიჩნევს) და არც საქართველოა ბოლომდე გარანტირებული, რომ დემოკრატიისა და ეკონომიკის აღორძინება თავისთავად, ავტომატურ რეჟიმში მოხდება. ყველაფერი ისევ და ისევ ქართველმა პოლიტიკოსებმა და ქართველმა ხალხმა უნდა გააკეთონ. დახმარება კი, რასაკვირველია, იქნება და საკმარისზე მეტი რაოდენობითაც — ამაში უკვე რევოლუციის მომდევნო დღეებში დავრწმუნდით.

ქართული სინამდვილის პერიპეტიებზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. რაც შეეხება რუსეთს — სამწუხაროდ, მას საკმარისზე მეტი ოფიციალური არგუმენტი აქვს საიმისოდ, რომ საქართველოდან ბაზების გაყვანა გაურკვეველი ვადით გააჯანჯლოს. 1999 წლის სტამბოლის სამიტის შეთანხმება კომპრომისთა მთელი კრებული გახლავთ — ალბათ მაშინ ამ დოკუმენტის შექმნა რუსეთის მხრიდან ფაქტის აღიარებას ემსახურებოდა. დოკუმენტის თანახმად, უნდა გაიმართოს მოლაპარაკება რუსეთსა და საქართველოს შორის ბაზების გაყვანის თაობაზე, რის შემდეგაც დაიწყება ეს პროცესი. მაგრამ როდის უნდა დაიწყოს და როდის დასრულდეს, ამის შესახებ მასში არაფერია ნათქვამი. რუსი დიპლომატებიც ურცხვად აცხადებენ, რომ მზად არიან, ბაზების გასაყვანად მოლაპარაკების დასაწყებად, ასახელებენ ყურით მოთრეულ მიზეზებს და პრობლემებს და ა.შ.

**— მაგრამ სახელმწიფო მდივნის მოადგილის, გრინ პასკოს განცხადება, თბილისში ბაზებთან დაკავშირებით, ადასტურებს, რომ თეთრ სახლს უკვე მოჰბეზრდა რუსული დიპლომატიის ცინიზმი და გადაწყვიტა, ამ ვაჭრობას ბოლო მოუღოს...**

— სწორედ რომ ასეა, მაგრამ ვაჭრობის დასამთავრებლად რუსეთი ასტრონომიულ ციფრებს ასახელებს — 500 მილიონი დოლარი ამერიკისთვისაც კი საკმაოდ დიდი თანხაა, ყოველ შემთხვევაში, საიმისოდ, რომ თავისი მოქალაქეების, ანუ გადამხდელების ფული რუსეთს ასე იოლად გადაუხადოს. მოგეხსენებათ, შეერთებული შტატების პოლიტიკა სწორედ ამ გადამხდელთა, ანუ ხალხის განწყობაზე დგას. რასაკვირველია, ამერიკაში არც ხალხი და არც მთავრობა არ დათანხმდება იმას, რომ საქართველოდან გაყვანილ 3000 რუს ჯარისკაცს 3000 ფეშენებელური ვილა აუშენოს. ყოველ შემთხვევაში, რუსეთის თავდაცვის მინისტრი ივანოვი თავის მოთხოვნებს დაახლოებით ამ კონტექსტში აყენებდა. ამიტომაც ევროატლანტიკური ალიანსი ცდილობს, რუსეთთან სხვა ბერკეტები აამოქმედოს — ეკონომიკური, საერთაშორისო, სამართლებრივი... მაგრამ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია გასათვალისწინებელი — მსგავს სტრატეგიულ საკითხებს მოსკოვში უკვე დიდი ხანია, არა პოლიტიკოსები, არამედ გენერლები წყვეტენ. ამ იმპერიალისტურად განწყობილ კასტასთან ლოგიკით საუბარი კი, ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია. მით უმეტეს, რომ დუმის არჩევნების შემდეგ მათი პოზიციები მნიშვნელოვნად გაძლიერდა — რაგოზინ-გლაზოვის „როდინა“ ხომ გენერლების ბლოკია, იგივე ზატულინი, რომელიც წინა დუმაში არ იყო; ჩეხოევი... ეს ის ხალხია, რომლებიც ბოლო ხანს განსაკუთრებით მომძლავრდნენ და თანაც საქართველოსადმი ასევე „განსაკუთრებული სიყვარულით“ გამოირჩევიან. თუმცა მათ აგრესიულ განწყობას არცთუ ნათელი კვალი და დიდი პერსპექტივები აქვს — გადავხედოთ, რა ხდება იმ არეალში, რომელიც გასული საუკუნის ბოლოდან რუსეთის და დასავლეთის პოლიტიკური შერკინების მიზეზად იქცა. ყირგიზეთში ვაშინგტონს უკვე თავისი ბაზები აქვს და აქტიურად მუშაობს ზოგადად, ცენტრალურ აზიაში, სამხედრო-პოლიტიკურ ექსპანსიაზე. თავის მხრივ, აზიელ პოლიტიკოსებსაც რკინის არგუმენტები აქვთ არჩევანის გასაკეთებლად — ნაზარბაევს პუტინი ვერანაირი რევერანსებით ვერ დაარწმუნებს, ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტს და მას მოყოლებულ გაზსადენს ბევრად უფრო ძვირად ღირებული და არაპერსპექტიული ნოვოროსიისკის მარშრუტი ამჯობინოს. ყველაფერ ამას თანდათან გაძლიერებული დასავლური ეკონომიკური წნეხიც დაემატება და რუსეთი თავად დაასკვნის, რა ურჩევნია — შიმშილით კუჭი უხმებოდეს, არარეალურ ველიკოდერჟავულ ზრახვებს ებღაუჭებოდეს და მოსახლეობა ჩეჩნეთის მტრის ხატით „კვებოს“, თუ შექმნილი ვითარება გაითვალისწინოს და საერთაშორისო პოლიტიკაში შექმნილ რეალობას დაჰყვეს.

რაც შეეხება რუსეთთან სავიზო რეჟიმს — ეს უფრო დღევანდელი აუცილებლობით არის გამოწვეული, ვიდრე შორს გათვლილი სტრატეგიული მიზნებით. ნუ დაგვავიწყდება, რომ სანამ საქართველოში შიდამრეწველობა ნულოვან დონეზეა და ქვეყნის ძირითად შემოსავალს დასავლეთის ბაზრისთვის არაკონკურენტუნარიანი ღვინო, ჩაი, ციტრუსები და ხილი წარმოადგენს, რუსეთი საქართველოსთვის შეუცვლელ ბაზრად რჩება. გავითვალისწინოთ ის მილიონი ადამიანიც, რომლებიც რუსეთში სამუშაოდ იმყოფებიან. როდესაც ეს ეკონომიკური ფაქტორები გამოსწორდება, რუსეთთან სავიზო რეჟიმსაც ნაკლები დატვირთვა და მნიშვნელობა ექნება.

**— რამდენად მოსალოდნელია, ასეთ შემთხვევაში, მოსკოვმა ევროპა-ამერიკას შორის არსებული ისტორიული მეტოქეობა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს, მით უმეტეს, რომ დოლარის ექსპანსია ევროსივრცეში უფრო და უფრო აქტიურ ფორმებს იძენს... მეორე მხრივ, დასავლეთის „გაცხოველებული“ დაინტერესების ფონზე, ცოტა არ იყოს, დაბნეულობას იწვევს სააკაშვილის ბოლოდროინდელი მიმართვა კრემლისადმი, სავიზო რეჟიმის შემსუბუქებასთან დაკავშირებით. რაც არ უნდა დაუჯერებელი იყოს, ალბათ, რეალობის გათვალისწინებით, ასეთი თხოვნის დაყენება ამერიკისადმი უფრო უპრიანი იქნებოდა...**

— ევროპა-ამერიკის დაპირისპირება უფრო ოჯახურ კინკლაობად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე პოლიტიკურ დაპირისპირებად. მართალია, უკანასკნელ პერიოდში ეს კინკლაობა, ცოტა არ იყოს, გამძაფრდა და ეს ახლახან ევროსასამართლოს მიერ ამერიკისადმი სანქციების შემოღებამაც დაადასტურა, მაგრამ როდესაც საქმე ერთიან სტრატეგიულ ინტერესებს ეხება, ევროპამ კარგად იცის, როგორ მოიქცეს. იგივე ხდება ამერიკა-იაპონიის ურთიერთობაშიც. ჯერ კიდევ ფორდი ამბობდა, — გზები გავუხსნათ საერთაშორისო ვაჭრობას და ურთიერთობებს, იაპონიის გამოკლებითო, რადგან იაპონურმა მანქანათმშენებლობამ ამერიკის ბაზარი წალეკა. მაგრამ ეს — მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკურ ურთიერთობებში. პოლიტიკაში კი, ტოკიოს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ საკუთარი ხალხი დაერწმუნებინა, დახმარებოდა ვაშინგტონს ერაყის კამპანიაში. ასე რომ, საეჭვოა, ეს ისტორიული კინკლაობა რუსეთს რაიმე სერიოზულ ბერკეტად ან თუნდაც შეღავათად გამოადგეს — მით უმეტეს, საქართველოსთან, როდესაც ამ უკანასკნელის მნიშვნელობას ევროპაც და ამერიკაც ერთნაირად აცნობიერებენ და ეს თუნდაც ევროპელი მაღალჩინოსანი დიპლომატიური კორპუსის გახშირებული სტუმრიანობით მტკიცდება.

რაც შეეხება რუსეთთან სავიზო რეჟიმს — ეს უფრო დღევანდელი აუცილებლობით არის გამოწვეული, ვიდრე შორს გათვლილი სტრატეგიული მიზნებით. ნუ დაგვავიწყდება, რომ სანამ საქართველოში შიდამრეწველობა ნულოვან დონეზეა და ქვეყნის ძირითად შემოსავალს დასავლეთის ბაზრისთვის არაკონკურენტუნარიანი ღვინო, ჩაი, ციტრუსები და ხილი წარმოადგენს, რუსეთი საქართველოსთვის შეუცვლელ ბაზრად რჩება. გავითვალისწინოთ ის მილიონი ადამიანიც, რომლებიც რუსეთში სამუშაოდ იმყოფებიან. როდესაც ეს ეკონომიკური ფაქტორები გამოსწორდება, რუსეთთან სავიზო რეჟიმსაც ნაკლები დატვირთვა და მნიშვნელობა ექნება. მთავარი კი თვითონ ხალხის განწყობაა. ჩვენს ახალგაზრდობას აღარ აინტერესებს რუსული ენა — ახალმა თაობამ ის ხეირიანადაც კი არ იცის, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიების, მოდის, მეცნიერების, ხელოვნების გაგება სწორედ დასავლეთიდან მოდის. რუსეთის ფართო საზოგადოებაც ხომ იქით მიისწრაფვის და, ბუნებრივია, საქართველო „სხვისი“ გამონაცვალის ტარებას აღარ სჯერდება — მას „პირველ ხელთან“ ურჩევნია საქმე დაიჭიროს. საქართველოსთან რუსეთის ველიკოდერჟავული დამოკიდებულების სათავეც სწორედ ესაა — ისტორიული პერიპეტიების გამო ჩვენი ქვეყანა ევროპასთან ნებისმიერი სახის კავშირს (ტექნოლოგიური იქნებოდა ეს თუ კულტურული) მხოლოდ რუსეთის გავლით ახერხებდა. დღეს კი ვითარება შეიცვალა. საქართველოს ევროპულ ოჯახში ინტეგრირების ძალიან დიდი შანსი აქვს და მისი გამოყენება, უმთავრესად, ჩვენზეა დამოკიდებული. ამ გზაზე უპირველეს ეტაპად რუსული ბაზების გაყვანა უნდა იქცეს — როგორც ზემოთ ვთქვით, ეს არც ისე იოლი იქნება. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ მომენტიდან დაიწყება ქართული სახელმწიფოებრიობის აღმავლობა, რადგან ბაზების გაყვანისთანავე კარდინალურად შეიცვლება ცენტრთან ასლან აბაშიძის დამოკიდებულება, რომელიც დღეს მოსკოვში დარბის და ცდილობს, კრემლისა და მისი ბაზების სახით, სავარძლის შესანარჩუნებლად თავისი უკანასკნელი კოზირი გაათამაშოს. დამოკიდებულებას შეიცვლის აფხაზეთიც, რომელიც ისევ და ისევ რუსული ბაზებისა და არმიის იმედად ახალ ხელისუფლებას ყოვლად აბსურდულ ულტიმატუმებს უყენებს. როდესაც მას მფარველი არ ეყოლება, ულტიმატუმებს უკვე საქართველოს ხელისუფლება დააყენებს, რადგან სოხუმის სეპარატისტულ რეჟიმს სხვა დასაყრდენი არ გააჩნია — აფხაზეთის უბრალო მოსახლეობა უკვე დიდი ხანია მიხვდა საქართველოსთან ომის შეცდომასა და ტრაგიზმს, მიხვდა იმასაც, რომ ამ ომში „გამარჯვებით“ მხოლოდ არძინბას ერთი მუჭა კლანმა იხეირა. იგივე შეიძლება ითქვას სამაჩაბლოზეც — ცხინვალიდან უკვე გაჩნდა იმპულსები საქართველოსთან ინტეგრაციის თანხმობაზე.

რასაკვირველია, ის, რაც მოსაყოლად იოლია, გასაკეთებლად საკმაოდ ძნელია და დიდი ძალისხმევა დასჭირდება. ჩვენ კარგად გვახსოვს, თავის დროზე რუსული ბაზებიდან როგორ მოხდა იარაღის შეგნებული გადინება, სამოქალაქო დაპირისპირება, კრიმინალური ვითარების არევა. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ კრემლი არაქართველებით კომპაქტურად დასახლებულ საზღვრისპირა რეგიონებში სიტუაციის არევასაც ეცდება. მაგრამ სომხების, აზერბაიჯანელებისა და საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების ადამიანებისთვის მთავარი სოციალური პირობები გახლავთ — ახალქალაქელი სომხებისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ოჯახს რუსულ ბაზაში მუშაობით არჩენენ, თუ ამერიკულში. მით უმეტეს, თუ ანაზღაურების თვალსაზრისით — მეორე ვარიანტი აჯობებს...

ასე რომ, ბაზების გაყვანა და ეკონომიკის გაჯანსაღება საქართველოს არც ისე შორეულ მომავალში საკმაოდ მტკიცე და სტაბილურ კეთილდღეობას უქადის...

*დაჩი გრძელიშვილი*

## „კვირის პალიტრის“ და მისი მკითხველის პროექტი

# საახალწლო ამანათი მარტყოფის ბავშვთა სახლს

„კვირის პალიტრის“ ერთგულ მკითხველს კარგად ემახსოვრება ჩვენი საერთო პროექტი, რომელიც მარტყოფის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლის დახმარებას ითვალისწინებდა. თავის დროზე ამ პროექტს ასობით მკითხველი გამოეხმაურა. ხშირად გვიკავშირდებიან „დაგვიანებული“ ადამიანებიც, ვინც რაიმე მიზეზის გამო ვერ შეძლო პროექტის ვადებში ჩართვა და თავიანთ დახმარებას გვთავაზობენ.



— ნეტავ, რა მოგვიტანეს?..

სწორედ მსგავსი შემთხვევა მოხდა დეკემბერში, როდესაც რედაქციაში უცნობმა ქალბატონმა დარეკა. როგორც გაირკვა, ის საბერძნეთში ცხოვრობს და სწორედ იქ წაიკითხა ჩვენი მასალა, რის შემდეგაც სამი ამანათი გამოგზავნა მარტყოფელებისთვის. ვფიქრობთ, ამ ფაქტს არანაირი კომენტარი არ სჭირდება. ეს არა მარტო სასიხარულოა, არამედ საამაყოც. სწორედ ამ ამანათებითა და ჩვენი რედაქციის მცირე საახალწლო ნობათით 13 იანვარს ისევ ვესტუმრეთ მარტყოფელებს. იქ კი კიდევ რამდენიმე სასიხარულო ამბავი შევიტყვეთ. თურმე, ბავშვთა სახლის ბედით სერიოზულად დაინტერესდა საზღვარგარეთ მოღვაწე ერთ-ერთი ქართველი ბიზნესმენის ოჯახი. სასიხარულოა ისიც, რომ ბავშვთა სახლს დახმარებას უწევს საქართველოს უშიშროების სამინისტრო. ბავშვთა სახლის დირექტორის, ქალბატონი ნანა შინჯიკაშვილის თქმით, სამინისტროს წარმომადგენლებმა სახლისთვის შეშა შეიძინეს და საახალწლოდ საჩუქრებითაც ესტუმრნენ. სასიამოვნო სიახლე ჩვენი უკანასკნელი სტუმრობის შემდეგ ისიც გახლავთ, რომ სახლში ბუნებრივი აირი შეუყვანიათ. თუმცა, წყლის მილი როგორც იყო, ისევ ისეთი მშრალია. იმედი გვაქვს, ბავშვების ბედით სულ უფრო მეტი ადამიანი დაინტერესდება. აქვე გვინდა გაგახსენოთ, რომ საქართველოში ორმოცდაათამდე მსგავსი დაწესებულებაა და ყოველ მათგანს სჭირდება თანადგომა.

P.S. „კვირის პალიტრა“ ახლო მომავალში ერთ-ერთ, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფ ბავშვთა სახლს წარმოგიდგენთ და მარტყოფის აქციის მსგავსი პროექტით ეცდება მასაც მიაპყროს საზოგადოების ყურადღება.

## გამოხმაურება შედეგი გამოიღო!

# „ინტიმური გოგონები“ ვეღარ დაგვაზარალებენ?..

„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილს „ვის ამდიდრებენ ინტიმური გოგონები, ანუ ყველა ციფრი დავბლოკოთ?!“ მრავალი გამოხმაურება მოჰყვა. აღმოჩნდა, რომ მკითხველთა სოლიდურ ნაწილს სხვადასხვა სატელეფონო კომპანიისთვის უკანონოდ მიწერილი საუბრების გამო არცთუ ისე მცირე თანხა აქვს გადახდილი... როგორც მკითხველები ამბობენ, ამ კუთხით გადასახადების ისეთი „მანქანა“ მუშაობს, სამართლის პოვნა არცთუ ისე იოლია.

დაგვიკავშირდა აღნიშნული წერილის რესპონდენტიც, რომელმაც აი რა გვიამბო:

**დათო ურუშაძე** (რეჟისორი, დიდუბის ატეესის აბონენტი): — სიმართლე გითხრათ, იმედი არ მქონდა, რომ თქვენი რედაქცია ასეთი არასენსაციური მოვლენით, ანუ დაკანონებული უკანონობით დაინტერესდებოდა. ჩემს სიტუაციაში მრავალი ადამიანი მოხვედრილა, მაგრამ არსად მინახავს, რომ დაეცვათ. და როცა „გლობალ 1-ის“ სატელეფონო კომპანიაში კიდევ ერთხელ მივედი, ეგებ სასწაული მოხდეს და სამართალმა პური ჭამოს-მეთქი, იქ არაორდინარული რეაქციით შემხვდნენ. როგორც აღმოჩნდა, „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებული წერილის გამო იყვნენ უკმაყოფილონი. — რას გვერჩოდით, ხალხი გვირეკავს და გვლანძღავს, როგორ არ გრცხვენიათ, ფულს რაში აკეთებთო?..

ჩემი მისვლისთანავე გამოიძახეს კომპანიის იურისტი (მას, სამწუხაროდ, ვერ დავუკავშირდით. — ე. ე.), რომელიც მოქმედი კანონმდებლობით ცდილობდა დაემტკიცებინა ჩემთვის, რომ მისი კომპანიის ქმედება კანონიერი იყო. მესმის, რომ იურისტს ფულს იმიტომ უხდიან, რომ თავისი სამსახურის უფლებები დაიცვას, მაგრამ საინტერესოა, ვინ უნდა იცავდეს დაზარალებული აბონენტის უფლებას? როცა ამის შესახებ პროტესტი გამოვთქვი, იურისტმა განმიმარტა, რომ „ინტიმურ ტელეფონზე“ საუბარი მათი ბიზნესის ერთ-ერთი სფეროა, ხოლო სხვა სფერო (ანუ დაზარალებული აბონენტი) მათ არ ეხება...

ვეღარ მოვითმინე და „შეტევაზე“ გადავედი: — თქვენი „სფეროს“ მეშვეობით მე და ჩემისთანებს ჯიბეში რომ ხელს უყოფთ და საარსებო თანხას ჰპარავთ, ეს ვის ეხება-მეთქი? ვისთვის არის ხელსაყრელი სატელეფონო პროსტიტუცია. რატომ არ უნდა იკრძალებოდეს იგი, მით უმეტეს, როცა უდანაშაულო ადამიანს აზარალებს?

...მოულოდნელად კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ტელეფონს ჩამირთავდნენ. სასწრაფოდ დაუკავშირდნენ ასეთი შემთხვევების შემსწავლელ საგანგებო საკონტროლო ჯგუფს და დაავალეს, დაედგინათ, ვინ და როგორ მოიპარა ღამის სამ საათზე ხაზი ინტიმურ ტელეფონზე სასაუბროდ... თანაც დამაიმედეს, რომ მომავალში მსგავსი შემთხვევებისგან დაზღვევის ღონისძიებებიც გატარდება...

მინდა მადლობა გადავუხადო „კვირის პალიტრის“ რედაქციას იმისათვის, რომ მკითხველთა პრობლემებით ინტერესდება. თქვენი მოულოდნელი მხარდაჭერა რომ არა, დარწმუნებული ვარ, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა...

P.S. *ჩვენი მხრიდან, გვინდა მადლობა ვუთხრათ სატელეფონო კომპანიას, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა უდანაშაულო ადამიანის პრეტენზია და სამართლიანობაც აღდგა... იმედია, მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორდება.*

***ეთერ ერაძე***

# „ანდერსენა“ — კაცი, რომელსაც ზღაპრის გმირები გუდაში უზის...

ცნობილი ფილმიდან ცნობილი ფრაზის — რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი — პასუხი ასეთია, იმიტომ რომ მას არ ჰქონდა სათამაშო! მერე ბავშვებს სათამაშოები კი უყიდეს... მაგრამ ზღაპრები დააკლდათ. კეთილზე კეთილი კომბლე თავისი ცხვრებით, სალამურა და ნაცარქექია, ჩიპოლინო და ბურატინო, სხვა ზღაპრების გმირებთან ერთად პატარ-პატარა წიგნებში „ჩასახლდნენ“. ამ წიგნებს კი კარგა ხანია მაღაზიებს აბარებს „ანდერსენა“, იგივე „შარლ პერო“. ანდერსენა ანუ შარლ პერო ზღაპრის გმირი არ გეგონოთ. **ალეკო ჯაფარიძე** საკმაოდ სერიოზული კაცია, მაგრამ ყველა ზღაპარს თავიდან ბოლომდე კითხულობს — ხან თავისი შვილებისთვის, ხანაც, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა — თავისთვის...

**— ყველგან ანდერსენას გეძახიან?**

— არა, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ ნამდვილი სახელით აღარავინ მიხსენებს. ანდერსენა სამსახურში დამარქვეს, ძმაკაცებმა კიდევ შარლ პეროდ მომნათლეს, ზოგიერთი ბუთქუნასაც მეძახის. არადა, მსუქანი სულაც არა ვარ.

**— ნაცარქექიას არავინ გეძახის?**

— არა (იცინის)... ისე, რა დააშავა, მოხერხებული კაცია.

**— მე რომ „გუდიანი კაცი“ დაგიძახო?**

— ეგ ხომ ბავშვებს აშინებს?

**— შენი არ შეეშინდებათ, შენს „გუდაში“ ზღაპრებია.**

— კარგი, ეგრე იყოს!..

**— ისეთს რას აკეთებ, ამდენი „ტიტული“ რომ დაიმსახურე?**

— „კვირის პალიტრის“ ზღაპრები და ბუთქუნას თავგადასავლები დამაქვს სარეალიზაციოდ. ცნობილი კაცი ვარ.

**— ანდერსენას სადმე განსაკუთრებულად ხვდებიან?**

— მე არა — ზღაპრებს. უყვართ ზღაპრები...

**— ბავშვებსაც ხვდები მაღაზიებში?**

— ხშირად მინახავს ასლუკუნებული ბავშვები რომ ეხვეწებიან დედებს, ზღაპრების წიგნი გვიყიდეო.

**— ამ დროს როგორ იქცევი?**

— ზოგჯერ ჩემი ფულით ვყიდულობ და ვჩუქნი... ვერ ვუძლებ ბავშვის დარდიან თვალებს.



**— მართლა ზღაპრის გმირივით ყოფილხარ...**

— მეც ბევრი კეთილი ადამიანი შემხვედრია. ერთხელ, ერთმა უცნობმა კაცმა მცხეთის გზიდან ავადმყოფი შვილი საავადმყოფომდე მიმაყვანინა, გადამირჩინა...

**— რამდენი შვილი გყავს?**

— ორი. უფროსი სამი წლისაა. უკვე ითხოვს, ზღაპრები წამიკითხეთო. ზის გაფაციცებული და ისმენს... საღამოს თუ „ვიხალტურებ“ და ზღაპარს შევუმოკლებ, დილანდელ დედაჩემის წაკითხულს მახსენებს: მანდ ეგ კი არა, ასე და ისე უნდა ეწეროსო.

**— შენც გიყვებოდნენ ზღაპრებს ბავშვობაში?**

— აბა რა. ახლაც ძალიან მიყვარს...

**— როგორ ფიქრობ, დღეს ბავშვებს ისევე სჭირდებათ ზღაპრები, როგორც მათ მშობლებს სჭირდებოდათ?**

— უფრო მეტადაც... გარშემო იმდენი ძალადობაა... ზღაპარში სიკეთე და სილამაზეა. ბავშვმა კეთილ და ლამაზ გარემოში უნდა იცხოვროს.

**— შენ თუ მოხვედრილხარ ზღაპრულ სამყაროში?**

— როგორ არა! ერთხელ, ძმაკაცთან ერთად, ორი კვირა ჩავრჩი სვანეთის თოვლში. ნამდვილი ზღაპარი იყო... დღესაც მესიზმრება.

**— კიდევ რა გესიზმრება?**

— ვარსკვლავები... აქეთ მზე, იქით მთვარე და შუაში კიდევ მე (იცინის)...

**— ცხადში ბევრი ვარსკვლავი გყავს გარშემო?**

— უამრავი... ჩემი ახლობლები, მეგობრები, შვილები...

**— შენ თუ გიცდია ზღაპრის შეთხზვა?**

— ძნელია. მე ეკონომისტი ვარ. ეგ საქმე იმას მივანდოთ, ვინც ზღაპრებს თხზავს... ნახეთ, რა კარგი ვინმე გამოიგონეს? — ყოჩაღი ბიჭია „ბუთქუნა“... მე მხოლოდ ზღაპრებს ვარიგებ, ახლაც უნდა წავიდე და დავარიგო. აბა, კარგად იყავით!

**— კეთილ გზას გისურვებ. მაგრამ ერთმა ქალბატონმა ქუთაისიდან დაგვირეკა, იქნებ „ნაცარქექია“ მიშოვოთო. მისი 4 წლის შვილიშვილი, ეკუნა თურმე ზის და ტირის: ის კაცი მინდა, ნაცარს რომ ქექავსო...**

— ეგ ზღაპარი უკვე დიდი ხანია გაიყიდა, მაგრამ არ ვატირებ იმ ბავშვს, წავალ, მივძებნ-მოვძებნი, სადმე ვნახავ და გავუშვებ ქუთაისში ნაცარქექიას...

...„ანდერსენამ“, რომელიც რაც მართალია მართალია, ასაკით და გარეგნობით არც ანდერსენს ჰგავს და არც შარლ პეროს (მით უმეტეს, ნაცარქექიას), კარი გაიხურა და ზღაპრების დასარიგებლად წავიდა...

***ნანა რამიშვილი***

# ზოგიერთი ნუგბარი შეიძლება ტკბილ შხამად იქცეს

დღესასწაულის დღეებმა გაიარა. პატარებმა და არა მარტო მათ, ათასნაირი ნუგბარით ჩაიტკბარუნეს პირი. ყველა მშობელი ცდილობს, რაც შეიძლება მაღალი ხარისხის და უხიფათო ტკბილეული მიაწოდოს შვილებს, მაგრამ ეს ყოველთვის როდი გამოსდის კაცს... ხშირად მსმენია და თავადაც მიფიქრია, რომ შოკოლადის ყიდვას, ისევ ხილის კანფეტების შეძენა სჯობს ბავშვისთვის, საერთოდ კი ნებისმიერ კარამელს მამაპაპური წესით დამზადებულ ხილის ჩირს ვარჩევდი. თუმცა, რეალობისაგან საკმაოდ შორს ვყოფილვარ. ახალი წლის მომდევნო დღეებში მოსახლეობაში თავი იჩინა კუჭ-ნაწლავის გართულებებმა. თბილისში იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა პატარებმა ჟელატინის შემცველი კანფეტები მიირთვეს, მათმა კუჭმა ეს მასა ვერ გადაამუშავა, წებოვანი, რეზინისებური კანფეტები კუჭში შეიკრა და ამ ბავშვებმა მხოლოდ ექიმის სერიოზული ჩარევისა და დახმარების შემდეგ იგრძნეს შვება. რედაქციაში რამდენიმე მშობელი გვეწვია. ისინი შეშფოთებულები გვთხოვენ დახმარებას, გავარკვიოთ მართალია თუ არა, რომ ზოგიერთ ნუგბარს, რომლითაც ჩვენს პატარებს ვახალისებთ, მათთვის სერიოზული პრობლემის შექმნა შეუძლია. თურმე იმასაც ამბობენ, რომ ჟელატინიანი კანფეტების ზოგიერთი სახეობა სწორედ ამ მიზეზით აიკრძალა ცივილიზებულ ქვეყნებში, ჩვენთან კი ამას რატომღაც არავინ ახმაურებს(?!).

„კვირის პალიტრა“ პირველად სამედიცინო დაწესებულებებს ეწვია და ექიმებთან გაარკვია, რამდენად ხშირად ხვდებიან მათთან ამ პრობლემით პაციენტები.

**მანანა გიორგობიანი**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

— თვითონაც დაინტერესებული ვარ, ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს, რა არის დასაშვები ბავშვთა საკვებად და რა არა... რასაც მივირთმევთ, განა შემოწმებულია? არსებობს ათასგვარი კონტრაბანდა... ეს ყველაფერი სახელმწიფოებრივ რანგში უნდა გადაწყდეს.

**პოლიკარპე დოლიძე**, ბავშვთა ქირურგი:

— გაუვალობის პრობლემა, თანაც სადღესასწაულო დღეებში, ხშირია. მოჰყავთ ბავშვები, რომლებსაც ე. წ. შავი ხურმა აჭამეს. მისი მონელება ბავშვებს კი არა, მოზრდილებსაც უჭირთ. შეიძლება ჩამოყალიბდეს კუჭში მასა, რომელსაც კუჭის წვენი ვერ ინელებს... ჩვენ გავუკეთეთ ოპერაცია ბავშვს, რომელსაც ნაწლავში გაეჭედა შავი ხურმის მასა. ამ შემთხვევას იმიტომ გიამბობთ, რომ ამ ბავშვის მამასაც დაემართა იგივე ხუთ დღეში და მასაც გაუკეთდა ოპერაცია.

**რამაზ კუტუბიძე**, აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა ქირურგიის კათედრის გამგე, პედიატრიული კლინიკის დირექტორი:

— ბავშვებს რითიც ანებივრებენ, შოკოლადი იქნება, ჟელიბონი თუ საღეჭი რეზინი, მისი კონტროლი მართლაც აუცილებელია. ჩვენ, ქირურგები ხომ ვერ გავაკონტროლებთ საიდან რა შემოდის და როგორ ხვდება სავაჭრო ქსელში... ნატურალური წვენები რომ შემოდის, განა რა უნდა იყოს სამი წლის ვადიანი ნატურალური წვენი? თან ჩვენ ხომ შტრიხკოდების კითხვაც არ ვიცით. ამიტომ ვერც ერთ ნუგბარს ვერ დავადებ ხელს, ვარგისი არ არის-მეთქი... ეს უფრო სხვა სამსახურების პრეროგატივაა.

**მანანა ჩიქოვანი**, ექიმი, რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილების კონსულტანტი:

— ნამდვილად ვიცი, რომ ცოტა ხნის წინ ქირურგიული ოპერაციის შედეგად ბავშვს ამოუღეს კუჭში დაგროვილი ჟელატინიანი კანფეტების მასა. ამ სახის კანფეტებს რომ დავაკვირდი, თვითონაც მივხვდი, რომ აბსოლუტურად მოუნელებელი ტკბილეულია. ნამდვილად ვიცი, რომ უკიდურესად მძიმე მდგომარეობა შეექმნა რამდენიმე ბავშვს.

როგორც ჯანდაცვის სამინისტროში ქალბატონმა **ეკა ჯღორბენაძემ** გვითხრა, არავითარი ინფორმაცია არ არსებობს იმის შესახებ, რომ რომელიმე ქვეყანაში ოფიციალურად აკრძალულია ჟელატინის შემცველი კანფეტების მოხმარება. „რაც შეეხება იმას, შესაძლებელია თუ არა ამ კანფეტებმა პრობლემა შეუქმნას პატარებს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, თუკი ბავშვები მშიერ კუჭზე ბევრ კანფეტს მიირთმევენ...“

როგორია საქართველოს სავაჭრო ქსელში მოხვედრილი შოკოლადის, კარამელის თუ სხვა კვების პროდუქტების შემადგენლობა, ამის გარკვევა საკმაოდ რთულია. რაკი ჩვენს სახელმწიფოში საკვებ პროდუქტებზე კონტროლი მოდუნებულია, რამდენად სანდოა ესა თუ ის უცხოური ფირმა, რომლის ნაწარმიც ბიზნესმენს საქართველოში შემოაქვს, ხშირად გაურკვეველი რჩება. მაგრამ ჟელატინის შემცველი კანფეტების ხარისხის მაჩვენებელი მაღალიც რომ იყოს, ამ შემთხვევაში ისეთ ნივთიერებასთან (ჟელატინთან) გვაქვს საქმე, რომელიც თავისი თვისებით შემკვრელია. ამიტომ როცა პატარები ამ ნუგბარს მოითხოვენ, აუცილებელია ზომიერების დაცვა, ისევე, როგორც ხურმის ჩირის მიღებისას. ამ შემთხვევაში სახელმწიფოზე მეტად საკუთარი ალღო დაგიცავთ. ამასთან დაკავშირებით, ერთი ამბავი გამახსენდა. ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში კარგა ხანია ამოწმებენ შენობებს იმის დასადგენად, არსებობს თუ არა მის კედლებში მავნე აირი, რადონი. თუკი მისი არსებობა დადასტურდა, შენობა დანგრევას ექვემდებარება. როდესაც ბავშვი ანემიით ხდება ავად, ასევე სპეციალური ჯგუფი ამოწმებს სახლში რადიაციულ ფონს, ცვლიან რადიაციული გამოსხივების მქონე რკინის კარ-ფანჯრებს. როცა საქართველომ თხოვნით მიმართა ერთ-ერთ ქვეყანას რადონის მაკონტროლებელი აპარატის თაობაზე, მათ გაკვირვებით უკითხავთ: რად გინდათ? თქვენ ჯერ იმისი პირობები არ გაქვთ, რადონის გამო შენობები დაანგრიოთო.

ჩვენი ქვეყნის სიდუხჭირე სათუოს ხდის თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობას. არ ვიცით, რას ვჭამთ, რას ვსვამთ. მაგრამ რა ვქნათ? ჯერჯერობით არც საკუთარი პროდუქცია გვაქვს საკმარისი და ვერც საექსპორტო საქონელს ვამოწმებთ მთლად „ყოჩაღად“.

***ლელა ჯიყაშვილი***

CMYK

# ჯერ საკადრო ცვლილებების დროა



## პროკურატურა მერაბ ჟორდანიას გათავისუფლებას არ ჩქარობს

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ დამნაშავეებად გამოცხადებული ყოფილი ჩინოსნებისთვის მზიურ აჭარაში ყოფნა ამიერიდან უსაფრთხოებასთან აღარ ასოცირდება. ავტონომიის ხელისუფლების წარმომადგენლები უკვე დაუფარავად, მსოფლიოს გასაგონად აცხადებენ, რომ არავის მფარველობას არ აპირებენ. ამგვარი პოზიცია მათ მას შემდეგ გამოხატეს, რაც ბათუმის საავადმყოფოში სამკურნალოდ მყოფი სააქციო საზოგადოება „საქართველოს რკინიგზის“ ყოფილი შეფი აკაკი ჩხაიძე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფებმა ბათუმის საავადმყოფოში დააკავეს. ახალმა ხელისუფლებამ უკვე დააფიქსირა, რომ რეგიონის ხელმძღვანელობის კაპრიზებს აღარ დააკმაყოფილებს და ქვეყნის იმ ტერიტორიაზე, სადაც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება, ნებისმიერ დროს შეუძლია კანონით ნებადართული ღონისძიებების გატარება. დღემდე „ურჩის“ ტიტულით ცნობილმა აჭარის შს მინისტრმა ჯემალ გოგიტიძემ საქართველოს შს მინისტრ გია ბარამიძეს ერთ-ერთი სატელევიზიო ინტერვიუს დროს აღთქმაც კი მისცა, რომ აჭარის ავტონომიის ტერიტორიაზე გამოჩენის შემთხვევაში ამიერიდან დაკავებული იქნება საქართველოს შსს-ს მიერ ძებნილი ნებისმიერი პირი, მათ შორის, შიდა ქართლის ექსგუბერნატორი ლევან მამალაძეც, რომელიც თავს, სავარაუდოდ, მოსკოვს აფარებს.

ჰამლეტ ჭიპაშვილის აზრით კი „28 მარტამდე თავშეკავება მართებს ყველას და არც „კმარელების“ პროვოკაციული აქტიურობაა საჭირო აჭარაში. არჩევნებზე გამოვლინდება, ვის რა შეუძლია. ნაციონალურ მოძრაობას „კმარელების“ ხელის წაშველება არ სჭირდება, ისედაც მაღალი რეიტინგი აქვს.

მათ აქტიურობას ცემა-ტყეპის, დაპირისპირებისა და გაუგებრობის მეტი არაფერი მოაქვს. ეს ყველაფერი დაწყებულ დიალოგს აფუჭებს.

ბატონმა ასლანმა უკვე გამონახა საერთო ენა ახალ ხელისუფლებასთან. დიალოგი უკვე დაწყებულია და მის ნორმალურად წარმართვას ნამდვილად არ სჭირდება დაძაბულობა, დემონსტრაციების ჩატარება და პროკლამაციების გაკვრა“.

ამავე დროს, აკაკი ჩხაიძე კატეგორიულად უარყოფს აჭარაში დამალვის ფაქტს და აცხადებს, რომ იგი სამკურნალოდ იყო ბათუმში (როგორც ჩანს, ჩხაიძე მკურნალობასთან ერთად ჰაერსაც იცვლიდა), საიდანაც მასმედიის საშუალებით დროდადრო კომენტარს აკეთებდა მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებზე და გამუდმებით „იმუქრებოდა“, თბილისში ჩამოვალ და საკუთარ სიმართლეში ყველას დავარწმუნებო. ყოფილი რკინიგზელი, ყოფილი ენერგეტიკოსი მირცხულავასაგან განსხვავებით (რომელიც უკვე ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს), ჯერჯერობით, თავს მხნედ გრძნობს და იმეორებს, რომ ყველა ბრალდება ცინიზმია და შეთითხნილი და რომ იგი თავის უდანაშაულობას აუცილებლად დაამტკიცებს. ჩხაიძე უარყოფს, რომ მის დასაკავებლად ბათუმში სპეცოპერაცია ჩატარდა. მისი თქმით, სამართალდამცველებთან ერთად იგი ბათუმიდან თავისი ნებით წამოვიდა(?!)

ამასობაში კვლავ პატიმრობაში რჩება გასული წლის 12 დეკემბერს დაკავებული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, რომელიც ისევ ციხის საავადმყოფოში იმყოფება. გასულ ხუთშაბათს, შს მინისტრმა საზოგადოებას ამცნო, რომ ჟორდანიამ 742 ათასი ლარი გადაიხადა და მის უწყებას ქართული ფეხბურთის დღევანდელი თავკაცის მიმართ არავითარი პრეტენზია აღარ აქვს. მიუხედავად ამისა, პროკურატურა ჟორდანიასათვის პატიმრის სტატუსის მოხსნას არ ჩქარობს.

„კვირის პალიტრას“ გენპროკურატურაში ეს ფაქტი შემდეგნაირად აუხსნეს: გენპროკურორის პირველი მოადგილის, გია ჯიქიას ინფორმაციით, კანონის თანახმად გათავისუფლების საქმის განსახილველად ათდღიანი ვადა არსებობს და ამ დროის მანძილზე განიხილება ეს საკითხი. საქმეების ძიებას კი ახალი გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი ახალი კადრებით ამჯობინებს.

გენპროკურატურასა და თბილისის პროკურატურაში საკადრო წმენდა ოთხშაბათ საღამოს გენპროკურორად დანიშნულმა ოქრუაშვილმა ხუთშაბათს, დილითვე დაიწყო. გენპროკურორის საგამოძიებო ნაწილის უფროსის სავარძელი დატოვა აკაკი ბუდაღაშვილმა. მის გარდა, თანამდებობებს გენპროკურორის მოადგილეები — ვენედი ბენიძე და გიორგი თვალაძეც დაემშვიდობნენ. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ოფიციალურად დამტკიცებულები არ არიან, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოქრუაშვილის მოადგილეების სავარძლებს გია გეწაძე და კახა კობერიძე დაიკავებენ. ბუდაღაშვილისას — გიორგი ლაცაბიძე.

საკადრო ცვლილებები თბილისის პროკურატურასაც შეეხო. თბილისის პროკურორის, თენგიზ მახარაძის ადგილზე ამავე პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსი ვალერი გრიგალაშვილი დაინიშნა. გრიგალაშვილის ადგილი კი პენიტენციარული სისტემის ზედამხედველობის პროკურორმა, ზურაბ კუხიანიძემ დაიკავა.

თანამდებობა მხოლოდ ორი თვის წინ დანიშნულმა ყოფილმა სამხედრო პროკურორმა, გია ჯიქიამ შეინარჩუნა. კულუარებში ჯიქიას ბადრი ბიწაძის პროტეჟედ მიიჩნევენ, ვალერი გრიგალაშვილი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, დეპუტატ ნოდარ გრიგალაშვილის ძმაა, „ნაციონალური მოძრაობის“ ორბიტაზე მოძრაობდნენ ახალდანიშნული სხვა პირებიც. ერთი სიტყვით, ირაკლი ოქრუაშვილი პროკურატურაში საკუთარი კადრებით მოდის. გენპროკურატურაში როგორც ამბობენ, მართალია ოქრუაშვილს აქ გზების აფეთქება არ მოუწევს, მაგრამ ერთდროულად ორ ფრონტზე იბრძოლებს: დაბალი რანგის პროკურორებსა და გამომძიებლებს წლობით გაჭიანურებული და მტვერდადებული საქმეების გამო მოუხდებათ ახალი გენპროკურორის წინაშე წარდგომა. ამავე დროს, კიდევ უფრო გაძლიერდება მუშაობა მსხვილი კორუფციული დარღვევების გამოსავლენად. ასე რომ, გაბრიჩიძის უწყების მიერ დაკავებული მერაბ ჟორდანიას გათავისუფლება-არგათავისუფლებაზე უკვე გენპროკურატურის ახალმა ხელმძღვანელობამ უნდა გამოიტანოს ვერდიქტი. თუმცა, ვარაუდობენ, რომ ჟორდანიას ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილს დაადებინებენ და გაათავისუფლებენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მისი საქმე საბოლოოდ დაიხურება. როგორც ამბობენ, ჟორდანიას კიდევ მოუწევს პროკურატურის ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემა.

# „ჩვენთან ომს გაქცევა ურჩევნიათ“

## როგორ შეებრძოლება ახალი ხელისუფლება „კანონიერ ქურდებს“

ბოლო ერთი თვის მანძილზე საქართველოში ხუთი „კანონიერი ქურდი“ დააკავეს. შსს-ს ახალი ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ ქართული „რვაფეხას“ წინააღმდეგ ბრძოლა დაუნდობელი იქნება. „ქვეყანაში არც ერთი „კანონიერი ქურდი“ არ უნდა იყოს. დროა, დამნაშავეთა ეს ინსტიტუტი წარსულს ჩაბარდეს“, — აცხადებს პოლიციის ახალი შეფი გია ბარამიძე. როგორც ჩანს, ახალ 2004 წელს კრიმინალური ავტორიტეტებისთვის კარგი არაფერი მოაქვს.

ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, გასულ წელს 33 „კანონიერი ქურდი“ დააკავეს. სანდო წყაროს მიერ მოწოდებული ცნობით, მათი უმრავლესობა დღეს ციხის გარეთაა — ნარკოტიკების მოხმარების გამო დაპატიმრებული ქურდები სასამართლომ უმნიშვნელო ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლა.

მსგავსი სქემა „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ სამართალდამცველთა ბრძოლის ერთგვარ „პოლიტიკას“ წარმოადგენდა. ცხადია, სასამართლოდან გაშვებულ ქურდებს თავისუფლება უფრო ძვირი უჯდებოდათ, ვიდრე გადახდილი ჯარიმა, მაგრამ ეს თანხები უკვე პოლიციელთა ჯიბეებში ილექებოდა.

„კანონიერი ქურდები“ მართლაც აღმოჩნდებიან გისოსებს მიღმა თუ პოლიციის ახალი ხელმძღვანელობა „ახალი ცოცხის“ პრინციპით იმოქმედებს და ქურდები მალე დაუბრუნდებიან მშვიდ და უზრუნველ ცხოვრებას, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ექსპერტების აზრით, ბოლო ოციოდე წლის მანძილზე „კანონიერ ქურდებს“ პირველი სერიოზული დარტყმა ჯუმბერ პატიაშვილის ცეკას მდივნობისას მიაყენეს. მაშინ რაიონული მილიციის ხელმძღვანელებმა უშუალოდ ქვეყნის პირველი პირებისგან მიიღეს მითითება „კანონიერი ქურდების“ დაკავების შესახებ. შედეგად, ბევრი „კანონიერი ქურდი“ ციხეში აღმოჩნდა. კიდევ უფრო მეტმა საქართველოდან გაქცევა ამჯობინა.

გაქცეული ქურდები სამშობლოში ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში დაბრუნდნენ. მაშინ მათ აქ ძალზე ხელსაყრელი გარემო დახვდათ. პოლიტიკური ბატალიების გამო ქურდებისთვის არავის ეცალა. შესაბამისად, ქართულმა „რვაფეხამ“ თავისი საცეცები ეკონომიკის სხვადასხვა დარგს მიაწვდინა. თუმცა ქურდებს მალე კონკურენტი გამოუჩნდა სხვადასხვა არაფორმალური სამხედრო დაჯგუფების სახით. განსაკუთრებით სერიოზული დარტყმა მათ „მხედრიონმა“ მიაყენა, რის გამოც „კანონიერი ქურდების“ უმრავლესობამ ისევ აბარგება და საზღვარგარეთ გადახვეწა არჩია.

მართალია, უცხოეთში დღესაც ბევრი ჩვენი თანამემამულე იმყოფება, რომელიც „კანონიერი ქურდის“ სტატუსით სარგებლობს, მაგრამ აქტიური პოლიტიკური ასპარეზიდან „მხედრიონის“ გაუჩინარების შემდეგ, ბევრმა მათგანმა ისევ სამშობლოს მოაშურა და „ვარდების რევოლუციამდე“ უზრუნველად გრძნობდა თავს. დღეს კი, როგორც ჩანს, ისევ აღმოჩნდნენ დაპატიმრების ან საქართველოდან გადახვეწის რეალობის წინაშე.

შსს-ს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე **ლევან გვაზავა**:

— დღეს სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს, ე.წ. „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ. მერწმუნეთ, მათი დაკავება სპონტანურად და უკანონოდ არ ხდება. ერთი ხელის მოსმით არავის ვაპატიმრებთ. მიმდინარეობს ამ პირების ოპერატიული შესწავლა. ვადგენთ, რომელი იყენებს ნარკოტიკულ საშუალებებს, რომელი ატარებს ცეცხლსასროლ იარაღს. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ოპერატიული ინფორმაციის რეალიზება. ამიტომ ფართომასშტაბიანი ჩხრეკები და დაპატიმრებები ამ ეტაპზე არ მიმდინარეობს.

**— თუ გაქვთ აღრიცხული „კანონიერი ქურდების“ რაოდენობა?**

— მათი რაოდენობა 345-ს აღწევს.

**— ეს მხოლოდ საქართველოში?**

— არა. აქ იგულისხმება აქ მცხოვრებლებიც და აქედან წასულებიც. სტუმრად ვინც ჩამოდის, იმათ ყურადღებას ვაქცევთ და აღრიცხვაზე აგვყავს.

**— გამოდის, ამ 345 კაციდან უმრავლესობა დაკავებული იქნება?**

— მათი უმრავლესობა საქართველოში არ იმყოფება. ბევრი ადრე გაიქცა და დღესაც გარბიან. ძალიან შენელებული იყო მათთან ბრძოლა. თქვენ იცით, რასაც წარმოადგენს „კანონიერი ქურდი“ დღევანდელ ვითარებაში. აქვთ ბიზნესთან კავშირი და ფინანსურადაც ძლიერები არიან. მე და თქვენ გაგვიჭირდება სხვა ქვეყანაში წასვლა ან მოგზაურობა, მათთვის კი ეს პრობლემას არ წარმოადგენს.

**— ფინანსური ძლიერების გამო, ხომ შეიძლება დამნაშავეებმა სერიოზული წინააღმდეგობა გაგიწიონ და ქვეყანაში დესტაბილიზაციის წყარო შექმნან?**

— მართალია, ძლიერები არიან ფინანსურად, ისიც შესაძლებელია, რომ პრობლემები შეგვიქმნან, მაგრამ ჩვენი ხელმძღვანელობა ამას არ შეურიგდება. ეს პირები ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოშორდნენ ქვეყანას. შეიძლება სურვილი კი ჰქონდეთ, მაგრამ ვერავის ესვრიან. ამის პირობას ჩვენ ვიძლევით. ეს მათაც კარგად იციან, ამიტომ ჩვენთან ომს გაქცევა ურჩევნიათ და გარბიან კიდეც.



**— „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში სასწრაფოდ ჩამოვიდა ტარიელ ონიანი და აჭარას ესტუმრა...**

— ამაზე ინფორმაცია არ გვაქვს... ქურდების მიერ ქართული ეკონომიკის მართვა დასრულდა. თავის დროზე „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტი სპეცსამსახურებმა კოლონიების მართვის მიზნით შექმნეს. კოლონიებში ათიათასობით პატიმარი იჯდა და მათ მართვა ესაჭიროებოდა. „ქურდების“ დახმარებით ეს გაცილებით იოლი იყო. დღეს საქართველოში ამის აუცილებლობა არ არსებობს.

ლევან გვაზავას ინფორმაციას, რომ ბოლო მოვლენებით დაშინებული ქურდები მასობრივად გარბიან საქართველოდან, ჩვენი სხვა წყაროებიც ადასტურებენ. თუმცა, ძალოვანთა განწყობის საპირისპიროდ, მათ მიაჩნიათ, რომ პოლიცია მაინც უძლური აღმოჩნდება „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ ბრძოლაში.

რატომ შეიქმნა თავის დროზე „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტი და რა მეთოდებია შემუშავებული ქურდების წინააღმდეგ მასობრივი იერიშის მიტანის შემთხვევაში? ამ თემაზე „კვირის პალიტრას“ სასჯელაღსრულებითი სისტემის პოლკოვნიკი, **გაიოზ თავაძე** ესაუბრება:

— მოსაზრება, რომ თითქოს „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტი კომუნისტებმა შექმნეს, სინამდვილეს არ შეეფერება. იგი გაცილებით ადრე, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩამოყალიბდა რუსეთში. ეს არ მომხდარა ხელოვნურად. დამნაშავეებს თავიანთი ლიდერები ყველა ეპოქაში და ყველგან ჰყავდათ. პირველად რუსეთის ჟანდარმერიამ იყნოსა, რომ ქურდების საშუალებით გაცილებით ადვილი იქნებოდა პატიმრებით გატენილი კოლონიების მართვა. მაშინ ბევრი საკუთარი აგენტი შეაგზავნეს ქურდების რიგებში. ამ მიდგომამ გაამართლა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ჟანდარმერიის შემდეგ ესტაფეტა კომუნისტებმა ჩაიბარეს. ციმბირში გამოკეტილ მილიონობით პატიმარს მართვა უნდოდა.

ამ ხალხს წესები აქვს, რომლითაც მთელი კოლონია ცხოვრობს. ეს ერთგვარ „წესრიგს“ ნიშნავს. კოლონიაში, სადაც „კანონიერი ქურდი“ იმყოფება, ქაოსი ნაკლებად მეფობს, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი დეტალი — პატარა ქვეყნებზე, ისეთებზე, როგორიცაა საქართველო, სომხეთი და ა.შ. მსგავსი პროცესები ნეგატიურად აისახა. კოლონიებიდან გათავისუფლებული ქურდები თავიანთ სამშობლოში ნამდვილ წურბლებად დაბრუნდნენ. აქ კი მათ წინააღმდეგ ბრძოლა უკვე საკმაოდ ძნელია. მათ ბევრი მეთოდი აქვთ საიმისოდ, რომ თავი გადაირჩინონ.

**— რას გულისხმობთ?**

— იმ მენტალიტეტს, რომელიც ხალხში ჩამოყალიბდა. ქურდებს ბევრი მიმდევარი ჰყავს ახალგაზრდობაში. ბევრს „კანონიერი ქურდობა“ მოსწონს. ბევრიც მათი ცხოვრების წესით ცხოვრობს. ხომ ნახეთ, თერჯოლის რაიონში „კანონიერი ქურდი“ ზაზა ამბროლაძე რომ დაიჭირეს, გოდოგნის მცხოვრებლებმა (სოფელი, სადაც ამბროლაძე ცხოვრობს — დ. დ.) ქუთაისი-თბილისის საავტომობილო ტრასა გადაკეტეს. სამწუხაროდ, ხალხი გულუბრყვილოდ უჭერს მხარს ამბროლაძეს. იმიტომ, რომ როცა ის სოფელში იყო, მაშინ არც ქურდობები ხდებოდა და არც ვინმეს აყაჩაღებდნენ. ამის გარანტი „კანონიერი ქურდი“ იყო. იგი აკეთებდა იმას, რითაც ჩვენს საზოგადოებას სამართალდამცველი უწყებები ვერ უზრუნველყოფდნენ. ამიტომ, თუკი ხელისუფლებას „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის აღმოფხვრა სურს, ჯერ თვითონ უნდა მოიპოვოს საზოგადოების ნდობა და ყველას დაანახვოს, რომ ნებისმიერი ოჯახის კეთილდღეობისა და დაცვისათვის „კანონიერი ქურდი“ არ არის საჭირო.

**— შსს-ში მითხრეს, რომ „კანონიერ ქურდთა“ რაოდენობა 345 კაცს აღწევს, ეს ძალიან ცოტა ხომ არ არის?**

— პირიქით, ძალიან ბევრია. საბჭოთა კავშირის არსებობის დროს ამდენი ქურდი მთელ ქვეყანაში თუ იქნებოდა. სხვათა შორის, რაოდენობის ასეთი ბალანსიც თვითგადარჩენის ერთ-ერთი საშუალებაა. როცა „მხედრიონს“ დაუპირისპირდნენ ქურდები და ქვეყნიდან გაიქცნენ, ამით საქართველოში „კანონიერი ქურდების“ რაოდენობა არ შემცირებულა. ქურდებმა წასვლის წინ ბევრი დამნაშავე (თვითგადარჩენის პრინციპით) აკურთხეს „კანონიერ ქურდად“. სწორედ მაშინ ერთ ქურდს გავესაუბრე. ვკითხე, ეს ხალხი თუ ქურდობის „ღირსი“ იყო, რატომ ადრე არ აკურთხეს-მეთქი? საინტერესო პასუხი გამცა: ჩვენ მივდივართ და ქურდული იდეის მატარებელი ვინმე ხომ უნდა იყოსო. „ეკუთვნოდათ“ თუ არა „ქურდობა“, ამას აღარავინ უყურებდა. როგორც ჩანს, ამ ვარაუდმა გაამართლა. მართალია, ბოზოლა დამნაშავეები ქვეყნიდან გაიქცნენ, მაგრამ, სამაგიეროდ კრიმინალური ამინდი შეინარჩუნეს. როცა დაბრუნდნენ, ვისაც არ ეკუთვნოდა, ყველას ჩამოართვეს ქურდის სახელის ტარების უფლება. ორი წლის წინ ქუთაისში ჩასულმა ტარიელ ონიანმა ერთ დღეში 24 კაცი დატოვა „უტიტულოდ“. მაშინ უკვე მშვიდობა იყო და გაბერილი კადრები არ სჭირდებოდათ.

**— გამოდის, დღესაც იგივე განმეორდება და ქურდების რაოდენობა გაიზრდება?**

— ალბათ ასე იქნება. სხვათა შორის, ბოლო დროს ქურდად კურთხევის პროცესი ძალიან გართულდა. კურთხევის პროცესში 25 ქურდს უნდა მიეღო მონაწილეობა. ამდენი კაცის ერთ ადგილას თავმოყრა, ცხადია, ძნელია. ამიტომ ერთეულებითღა გაიზარდა ქურდების რიგი. სავარაუდოდ ახლა წესები ისევ გამარტივდება. გაქცეულები თავიანთი „იდეის“ შესანარჩუნებლად სწრაფად გამოძებნიან მომავალ ავტორიტეტებს და ამით საქართველოში ქურდული ცხოვრების შენარჩუნებას შეეცდებიან. ამიტომ ვიმეორებ, თუკი ვინმეს ამ ინსტიტუტის აღმოფხვრა სურს, ჯერ ამ მოვლენის სიღრმეში უნდა ჩაიხედოს...

**P. S.** ერთი სიტყვით, „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის აღმოფხვრა მხოლოდ ქურდების დაპატიმრებით არ არის შესაძლებელი. იმედია, საზოგადოება მალე იგრძნობს, რომ მისი ნებისმიერი წევრის უსაფრთხოებაზე სახელმწიფო ზრუნავს და არა შავი სამყაროს რომელიმე ლიდერი. როგორც სპეციალისტებს მიაჩნიათ, სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი ქვეყანაში ქურდული მენტალიტეტის დამარცხება და ნორმალური სამართლებრივი საზოგადოების ჩამოყალიბება.

***გვერდი მოამზადა დავით დევიძემ***

CMYK

# „არც მჭირდება საქართველოს პრეზიდენტობა“

## „სამოგზაურო ფული სააკაშვილმა მასესხა“

*ახალი ხელისუფლების ოპოზიცია საგაზაფხულოდ გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადება და ამიტომაც ძალ-ღონის მოკრებას ზამთარში დასვენებითა და მოგზაურობებით ფიქრობს... მაგრამ „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერ დავით გამყრელიძეს არ გაუმართლა — დასვენების ნაცვლად, ფრანგი ტრავმატოლოგების ზედამხედველობით მკურნალობა უწევს. როგორც შევიტყვეთ, ბატონმა დავითმა გუდაურში თხილამურებით სრიალისას მხარი „ისე მაგრად“ მოიტეხა, ოპერაციისთვის საფრანგეთში მოუხდა გადაფრენა... გაცილებით გაუმართლა* ***შალვა ნათელაშვილს.*** *მოსკოვში სტუმრობის შემდეგ მთავარი ლეიბორისტი პარიზს ეწვია და როგორც გაგვიმხილა — დაშავებული დავით გამყრელიძის ნახვას არ აპირებს — ქართველ პოლიტიკოსებს მხოლოდ საქართველოში შევხვდებიო. ბატონ შალვას მოსკოვში ყოფნისას დავუკავშირდით და რამდენიმე კითხვა დავუსვით:*

— ეს გამგზავრება ჩემს პოლიტიკურ მოღვაწეობაში იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. მთელი საქართველოა მოწმე — მრავალი წელია, არსად წავსულვარ, მიუხედავად მიწვევებისა. ჯერ დრო არ მქონდა, მერე სურვილი, რომ ქვეყანა დამეტოვებინა, თუნდაც ერთი დღით. მაგრამ როგორც ჩანს, პოლიტიკას თავისი წესები აქვს. ეტყობა, შედეგის მისაღწევად მხოლოდ თბილისში ჯდომა არ კმარა. ჟვანიამ და სააკაშვილმა ირბინეს მოსკოვშიც, ვაშინგტონშიც, სტრასბურგშიც და ბრიუსელშიც. მონახეს ლობი, პოლიტიკური და ფინანსური მხარდამჭერები. ყველაფერი იკადრეს, ყველაფერი ჩაიდინეს და საზოგადოების ერთმა ნაწილმა ეს მათ აპატია.

**— თქვენ რაღა მიზნით მოაწყვეთ ეს უცხოური ტურნე?**

— ბუნებრივია, მათი გზით არ ვაპირებ სიარულს... მოსკოვში საგარეო საქმეთა სამინისტრომ, სახელმწიფო სათათბირომ და დიპლომატიურმა აკადემიამ მიმიწვიეს. მქონდა უაღრესად შინაარსიანი და ქვეყნისთვის სასარგებლო შეხვედრები საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილე ბატონ ლოშჩინინთან, ფედერაციის საბჭოში დეპუტაციასთან და ძალზე ამაღელვებელი შეხვედრა ჩემს მშობლიურ დიპლომატიურ აკადემიაში, რომელმაც აპლოდისმენტებით ჩაიარა. მოსკოვში ვიზიტის მთავარი შედეგი ის გახლავთ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ლეიბორისტული პარტიის ინიციატივის შემდეგ, ორ სახელმწიფოს, საქართველოსა და რუსეთს შორის, სავიზო რეჟიმის გამარტივების ან გაუქმების სურვილი გამოთქვა და ახლა ყველაფერი საქართველოს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული — ზედმეტ პრანჭვა-გრეხას თუ არ მოჰყვებიან... ჩემი გასაკეთებელი რაც იყო, უკვე გავაკეთე.

ევროპაში ჩემი ოფიციალური შეხვედრები ორშაბათიდან იწყება. მექნება შეხვედრა ფრანსუა მიტერანის სოციალისტურ პარტიასთან, საფრანგეთის სენატის ხელმძღვანელობასთან. ბრიუსელში კი შევხვდები ნატოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივანს, ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას, აგრეთვე, ევროპარლამენტის ფრაქციასა და სხვა პასუხისმგებელ პირებს.

**— ამ დღეებში პარიზს დავით გამყრელიძეც სტუმრობს, ერთად ხომ არ აღმოჩნდებით რაიმე ღონისძიებაზე?**

— არა, ბატონო. სხვა პარტიებსა და მის ლიდერებს არ ვუთანხმებთ ჩვენს გრაფიკს. ჩვენ იმ სისტემის წინააღმდეგ ვიბრძოლებთ, რომელიც შევარდნაძემ მოასწრო და მემკვიდრეობით გადასცა თავის მოადგილე სააკაშვილს.

**— მაგრამ არაფერს ნიშნავს მოსახლეობის თითქმის 100%-იანი მხარდაჭერა?**

— არჩევნების გაყალბება რომ ჟვანია-სააკაშვილის ხელობაა და 120% დაუწერიათ არჩევნებში, პირველად გესმით?

***(გაგრძელება იხ. გვ. 7)***

დედაქალაქის მერი **ვანო ზოდელავა** ხელისუფლებაში სააკაშვილის მოსვლის შემდეგაც არ არის უსაქმოდ. ისევ აგრძელებს დედაქალაქის ხელმძღვანელობას და 25 იანვარს პრეზიდენტის ინაუგურაციისთვისაც მონდომებით ემზადება. ინტერვიუს დასაწყისში უპირველესად იმით დავინტერესდით, თუ როგორ გრძნობს სააკაშვილის ხელისუფლებაში თავს შევარდნაძის უერთგულესი მოხელე.

— ძალიან კარგად. ყველამ მონდომებით უნდა იმუშაოს, რადგან გასაკეთებელი ბევრი გვაქვს. თუ ერთიანი გუნდი ჩამოყალიბდა და სწორი საკადრო პოლიტიკა გატარდა, ყველაფერს აუვალთ და მოვერევით; ხოლო თუ ახალმა ხელისუფლებამ ახალგაზრდობის ნიშნით შეარჩია ხალხი თანამდებობებზე, ამით საქმე წინ ვერ წავა. პროფესიონალებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება...

# „ეიფორიიდან უნდა გამოვიდეთ ისიც და ჩვენც“



„დიდუბის რაიონში ესტაკადის აშენებას ვაპირებთ“

ზამთარი საზოგადოდ რთული პერიოდია და ახალ ხელისუფლებას ორმაგად რთულ ვითარებაში უხდება მუშაობა — ამას ემატება 250 მლნ ლარით გარღვეული ბიუჯეტი, ენერგეტიკული და ფინანსური პრობლემები. არც სეირის საყურებლად გვცალია და არც იმისთვის, ვიმკითხაოთ, სააკაშვილს რა მოეწონება. სააკაშვილს მოეწონება ის, რაც ქვეყნისთვის იქნება კარგი. საქმე უნდა გავაკეთოთ. უნარიანი ხალხი მოვიდა ხელისუფლებაში და გვერდით უნდა დავუდგეთ. ძლიერები რომ არ ყოფილიყვნენ, რევოლუციას ვერ მოაწყობდნენ. ზოგიერთი ჩასაფრებულია, — აბა, რა შეეძლებათ მიშას ან ზურასო. უშეცდომო ადამიანები არ არსებობენ. შეცდომებს ესენიც დაუშვებენ, მაგრამ არ შეიძლება ჩავერიოთ და ცუდი ვუძახოთ. ყველას მოვუწოდებ, — ამბიციები გვერდით გადადონ და საქვეყნო საქმეს შეეწიონ.

**— თქვენ, სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთ გამოკვეთილ ლიდერს, ახალ ხელისუფლებასთან არ შეგქმნიათ პრობლემა?**

— ძველი ხელისუფლება მიყიჟინებდა, — ჟვანია-სააკაშვილთან ხარ კარგადო, ახლა ესენი მაბრალებენ, სახელისუფლებო ბლოკში იყავიო. არავისთანაც არ ვყოფილვარ. მე საქართველოს პრეზიდენტს ვემსახურებოდი, ეს არის ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და არა — სავარძელი. გულწრფელად გეტყვით, ახალ ხელისუფლებაზე მართლაც ვარ ნაწყენი — უკვე მერამდენე წელია ვამბობ, დედაქალაქის მერის თანამდებობა არჩევითი იყოს-მეთქი. რით არის საპარლამენტო არჩევნებზე ნაკლებმნიშვნელოვანი თბილისის მერის არჩევნები? ვისაც ევალება, შეიტანოს ცვლილება კანონში. არ ვამბობ, მე გავიმარჯვებ-მეთქი. ობიექტური არჩევნები ჩატარდეს და გამარჯვებულს მივესალმები.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ იკავებენ თავს?**

— იციან, რომ გავიმარჯვებ. ურთულეს პერიოდში მიწევდა ხოლმე ხალხის გვერდით, ხანაც პირისპირ ყოფნა, მაგრამ თავი არ შემირცხვენია, — ყველასთან მიმესვლება...

**— ადრე ჩვენთან ინტერვიუში თქვით, სანამ შევარდნაძეა პოლიტიკაში, მეც ვიქნებიო, შევარდნაძე წავიდა, თქვენ?..**

— პრეზიდენტს ბოლომდე ვუერთგულე. მას ვერავინ დასწამებს, მარტო ცუდი გაუკეთა საქართველოსო. მან გაპარტახებული ქვეყანა ჩაიბარა და ბრმა უნდა იყო, წინსვლა ვერ დაინახო. ეს ხავერდოვანი რევოლუციაც მისი დამსახურებაა და ამიტომ არ აძაგებს პრეზიდენტს დღევანდელი სახელისუფლებო სამეული, მათ ადამიანური ურთიერთობა შეინარჩუნეს შევარდნაძესთან.

პრეზიდენტს თავისმა გარემოცვამ უღალატა, ალბათ თავად შევარდნაძე არ ფიქრობდა თავისი გარემოცვიდან დაეტოვებინა ვინმე მემკვიდრედ. ხედავდა, რომ ადრე თუ გვიან ჟვანია-სააკაშვილი-ბურჯანაძე მოვიდოდნენ ხელისუფლებაში... როდესაც გამოსვლები დაიწყო, პრეზიდენტს ვურჩიე, — არჩევნები ჩაშლილად გამოაცხადე-მეთქი. 23 ნოემბრის დილით მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა გადადგომა და ჩვენთან, რამდენიმე კაცთან თქვა — ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ ეს დილითვე არ გამოვაცხადე და საღამოს დაველოდე, სანამ ჩემთან ჟვანია და სააკაშვილი მოვიდოდნენო...

**— ამას წინათ თქვენგან ასეთი ფრაზა გავიგონეთ, — „ჩემი მეგობარი საკრებულოს თავმჯდომარეო“, თქვენ და სააკაშვილი მეგობრები ხართ?**

— ხშირად მითქვამს, რაც დედაქალაქისთვის კარგი და სასიკეთო გაკეთდა, ამას საკრებულო და მერია ერთად აკეთებდა. ცუდიც და კარგიც ჩვენგან იყო — მერე რა, რომ ერთ პარტიაში არ ვიყავით. მთავრობის სხდომებზე ხშირად გაისმოდა საყვედური, — მიშასა და ზურას რაც მოეპრიანებათ, ვანიკო იმას აკეთებს, ვანიკო მათი მეგობარიაო... ეს ხომ ახსოვს ყველას.

**— ამ მეგობრობის გამო გარანტიაც ხომ არ მიიღეთ, რომ დედაქალაქის მერად დარჩებოდით?**

— ერთადერთი გარანტია მაქვს — კარგი ოჯახის შვილი ვარ და ჩემ უკან დედაქალაქის მოსახლეობა დგას. ქალაქის მერად არ დავბადებულვარ. ღირსეული ადამიანი ყოველთვის მზად იქნება გადადგომაზე გააკეთოს განცხადება და სხვების ტვირთად ან პრობლემად არ იქცეს.

**— ითქვა, შესაძლოა ვანო ზოდელავა დეპუტატადაც ვიხილოთო.**

— მზად ვარ, დედაქალაქის ნებისმიერ რაიონში ვიყარო კენჭი მაჟორიტარად... ადრეც ვაპირებდი, მაგრამ მაშინ თანაგუნდელებმა არ მირჩიეს.

**— გამოდის, ნათელაშვილი სიმართლეს ამბობდა — სააკაშვილი და ზოდელავა თანამშრომლობენო.**

— შალვა წაგებული კაცია და მასზე არ მინდა ვილაპარაკო. მარტოკაცია, გუნდი არა ჰყავს. ხელისუფლების დახმარებით იგებდა იგი საკონსტიტუციო სასამართლოში პროცესებს...

**— კონკრეტულად, ვინ ეხმარებოდა?**

— ჩემსა და პრეზიდენტის გარდა, ალბათ ყველა. ჩემო კარგო, ხელისუფლებისგან მხარდაჭერა ყველას ჰქონდა (ოპოზიციას ვგულისხმობ). ზოგი ნიჭიერი აღმოჩნდა — გამოიყენა ეს მხარდაჭერა, ზოგიც — უნიჭო. ამ შედეგებიდან გამომდინარე თქვენ განსაჯეთ, ვინ არის ნიჭიერი და ვინ — არა...

**— ავლაბარში პრეზიდენტის რეზიდენციის გადმოტანას როგორ უყურებთ?**

— იქ სამთავრობო რეზიდენციის მოწყობას ჯერ კიდევ კომუნისტების დროს ფიქრობდნენ. კარგად ვიცი ის უბანი. მიწისძვრამ ყველაზე მეტად ის უბანი დაანგრია. ბევრი რამ არის იქ მოსაწესრიგებელი. მტკვრის მარჯვენა სანაპირო შედარებით მოწესრიგებულია, კარგი იქნება, თუ მარცხენა სანაპიროც კეთილმოეწყობა — გზები გაკეთდება, დენისა და ბუნებრივი აირის საკითხი მოგვარდება. სამინისტროები თუ კანცელარიაში გადავლენ და მათი კუთვნილი შენობები გაიყიდება, კარგი იქნება. ამით ბიუჯეტში ფული შევა და ისევ ხალხს მოხმარდება.

პრეზიდენტის რეზიდენცია დიდი არ არის. ორსართულიანი შენობაა, 4000 კვმ, რა ფული უნდა დაიხარჯოს მასზე? მართალია, საფუძვლიანი შეკეთება სჭირდება, მაგრამ ის შენობა რატომ იქნება მიშასი? ქვეყნის იქნება და მიშას მერე ვინც იქნება პრეზიდენტი, მასაც გამოადგება. შენობის რეკონსტრუქციისთვის სპეცანგარიში გაიხსნება და ალბათ ბევრი ბიზნესმენი ჩარიცხავს იქ თანხას.

ქალაქში არაერთი ახალი ობიექტის მშენებლობაა გათვალისწინებული. უპირველესად მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობას ვგულისხმობ, რადგანაც ქალაქში მოძრაობა გაძნელებულია. სამარშრუტო ტაქსების რაოდენობა შემცირდება, გაიხსნება რუსთაველის ქუჩის პარალელური ძნელაძის ქუჩა, დიდუბის რაიონში ესტაკადის მშენებლობის დაწყებას ვაპირებთ. დაკონსერვებული კოოპერატიული ბინათმშენებლობა ისევ განახლდება და ა.შ.

მიშა შრომისმოყვარე კაცია. თუ თანაგუნდელებიც ამოუდგებიან მხარში, ბევრს გააკეთებს, ოღონდ ეიფორიიდან უნდა გამოვიდეთ ისიც და ჩვენც. ინაუგურაციის შტაბის ხელმძღვანელის მოადგილე ვარ, თბილისში ჩასატარებელ ღონისძიებებში მერიაა ჩართული. თუ რამე არ გამოგვივიდა, შავ დღეს დაგვაყრიან. თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, აღარავის გავახსენდებით... რას იზამ...

**— საკრებულოს ახალ თავმჯდომარეზე რას იტყვით?**

— კარგი კაცია. შალვა ნათელაშვილს რომ ჰკითხოთ, — ზაზა ბეგაშვილი ზოდელავას გადაბირებულია. ასე არ არის. ზაზა ნიჭიერი კაცია, დაინახა შალვას შეცდომები და გაეცალა. არ მინდა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ წინასწარ ვამბობ, ახლაც დაეშლება შალვას საკრებულოში ფრაქცია და ესეც მე არ დამაბრალოს.

**— ბატონო ვანო, თქვენს კაბინეტში უცნაური რყევა იგრძნობა...**

— შენობის ქვემოთ მეტროს ხაზი გადის და ამიტომ. ისე, ეს შენობა ორი საუკუნისაა, მაგრამ უძლებს და კიდევ გაძლებს.

***მარი ზანდუკელი***

# ვახტანგ რჩეულიშვილი „სტიქაროსანი გახდა“

## „რაკი მან შევარდნაძის ჩამოგდება შეძლო, მოსახლეობას სჯერა — ეს გვიშველისო“

*მას შემდეგ, რაც სოციალისტური პარტიის ლიდერმა პოლიტიკური ასპარეზი დატოვა, ძალას ახალ ამპლუაში ცდის. ამას წინათ ვახტანგ რჩეულიშვილმა საახალწლო გადაცემაში იმსახიობა, — ქურდის როლის განსახიერება ჩემმა ქალაქურმა ბიოგრაფიამ გამიადვილა, თორემ სინამდვილეში სიცოცხლეში არაფერი მომიპარავსო — გამოგვიტყდა იგი. მსახიობობამდე* ***ვახტანგ რჩეულიშვილმა*** *იერუსალიმში იმოგზაურა. მოგზაურობა იღბლიანი აღმოჩნდა — ჟორდანიასავით ტრაპის კიბეზე მისი დაკავება არავის უცდია:*

— იერუსალიმში დეკემბრის შუა რიცხვებში გავემგზავრე, ჩემს მოძღვართან, არქიმანდრიტ ილია ნასიძესა და ანსამბლ „ფესვებთან“ ერთად, რომელიც სვეტიცხოველშიც გალობს. პირველად ვიყავი სინას მთაზე, სადაც უფალმა უკარნახა მოსეს 10 მცნება. სინას მთამდე უდაბნოა გასავლელი. მთაზე 3 საათი ავდიოდით, — ჯერ აქლემებით ვიარეთ, მერე ფეხით. იმ ადგილას, სადაც ცეცხლოვანი მაყვლის ბუჩქი იხილა მოსემ, მართლმადიდებელთა მონასტერია აგებული. ის ბუჩქი (5 ათასი წლის შემდეგაც) ისევ არის. 12 დეკემბერს მამა ილიამ სინას მთაზე წირვა პირველად ჩაატარა, მეც პირველად ჩავიცვი სტიქარი. საოცრად შთამბეჭდავია სინას მთაზე ქართული წირვისა და ქართული საგალობლების მოსმენა.

> ალბათ, ღვთის ნება იყო, უცებ გაჩერდა ავტობუსი და იქიდან ჩვენი ნაცნობი იერუსალიმელი დედა გეორგია გადმოვიდა, მას დიმოევოს მონასტრის იღუმენი ახლდა. ეს ხალხი წმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი მიწიდან არიანო, წარგვადგინა მასთან დედა გეორგიამ და ხატი ზარ-ზეიმით შეაბრძანეს დიმოევოში. მას ჩვენც მივყევით.

მოგეხსენებათ, შარშან ბეთლემში სახლი შევიძინეთ. ეს ტერიტორია სახელმწიფოთა გაყოფის შემდეგ ალბათ პალესტინაში აღმოჩნდება. უსათუოდ უნდა შევიძინოთ საქართველოს ეკლესიისთვის სახლი იერუსალიმშიც.

ქ. ლიდაში ვნახეთ და მოვილოცეთ მთელი საქრისტიანოს სათაყვანებელი ადგილი — წმინდა გიორგის საფლავი. იერუსალიმში დიდი სიხარულით მიგვიღეს რუსმა დედებმა. შარშან თხოვნით მიმართა უწმიდესმა იერუსალიმის პატრიარქს, ირინეუსს, რომ მოეცა უფლება, საქართველოში ჩამოგვესვენებინა იერუსალიმის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი „იერუსალიმიტა“, რომელიც რუსულ დედათა მონასტერშია დასვენებული. მონასტერი აშენებულია სწორედ იმ ადგილას, სადაც ღვთისმშობელი და ელისაბედი შეხვდნენ ერთმანეთს. მონასტრის წინამძღვრის, დედა გეორგიას დახმარებით ამჯერად ამ ხატის ასლი წამოვაბრძანეთ საქართველოში, რომელიც სვეტიცხოველშია დღეს დასვენებული. პატრიარქი ირინეუსი დაგვპირდა, 2005 წელს თვით ამ ხატის წასვენების ნებას მოგცემთო. დღეს რაღაც მიზეზის გამო შეჩერებულია ხატების წასვენების პროექტები, მაგრამ დაგვაიმედეს, რომ საქართველოზე ეს შეზღუდვა არ გავრცელდება. ხატის ასლის გამოტანებით დიდი სიყვარული და თანადგომა გამოხატეს ქართული ეკლესიისადმი. მართლმადიდებლობას ახლა ბევრი ებრძვის, ამიტომ ბერძენი და რუსი მღვდელმსახურები დიდი იმედით შეჰყურებენ ქართულ ეკლესიას, დიდი ძალა აქვს და ამიტომ ებრძვიან მავანნი. რუმინეთის მართლმადიდებლური ეკლესია 3 ნაწილად გაიყო, ბულგარეთისა — 2 ნაწილად; საბერძნეთისა შვიდად, ამიტომაც ერთიან და ძლიერ ქართულ ეკლესიას დიდი მნიშვნელობა აქვს რადგან მართლმადიდებლობა ეროვნულობის სინონიმად იქცა. სანამ ქართული ერთიანი ეკლესია გვაქვს, მანამ გვექნება ერთიანი ქართული ცნობიერება, მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებების სხვადასხვაობისა. ქართული ეკლესიის ერთიანობის შენარჩუნება უწმიდესმა და უნეტარესმა შეძლო, ამიტომ უყვართ ის მთელ საქრისტიანოში. რუსმა დედებმა გვითხრეს უწმიდესზე — „Îí íàø ìîëèòâåííèê“ — ჩვენი სალოცავია თქვენი კათალიკოს-პატრიარქი, რომელიც არა მხოლოდ ქართული ეკლესიის, მთელი მართლმადიდებლური სამყაროს იმედიაო.

***(გაგრძელება იხ. გვ. 27)***



# „არც მჭირდება საქართველოს პრეზიდენტობა“



## „სამოგზაურო ფული სააკაშვილმა მასესხა“

(დასაწყისი იხ. გვ.6)

**— ხალხისგან გვესმის, მიშა სააკაშვილს ვენდობითო...**

— რომელ მიშაზე ლაპარაკობთ, რომელმაც პრეზიდენტობა ავლაბარში 60-მილიონდოლარიანი სასახლის მშენებლობით დაიწყო და რომელიც ფეხის შედგმას ბედავს დავით აღმაშენებლის საფლავზე?! ამით არის ხალხი აღფრთოვანებული. ეტყობა, მოსახლეობის ნაწილი ეიფორიაშია, რომელიც გაუვლით, როდესაც დაინახავენ, ისევ გაჭირვებულად ვცხოვრობთო.

**— რაკი ავლაბარი ახსენეთ, იქ არცთუ კეთილგანწყობით შეგხვდათ მოსახლეობა. რას იტყვით იმ ინციდენტზე?**

— მიშა სააკაშვილისა და „რუსთავი-2“-ის მიზანია ლეიბორისტული პარტიის დამარხვა, მაგრამ ამას ვერ მოესწრებიან. ძალიან გთხოვთ, დაწეროთ ამ არხის შესახებ. ადრეც რამდენჯერმე ვახსენე ეს ტელევიზია თქვენთან და არ დაწერეთ. ხომ შეიძლება ჩემი აზრი გამაჩნდეს? 8 წელია, გრძელდება ამ ტელევიზიით ჩემი ლანძღვა, შეურაცხყოფა, პროვოკაციები...

ავლაბარში, სააკაშვილის სასახლესთან ჩატარებულ ჩვენს გასვლით ბრიფინგს ტაშით შეხვდა მოსახლეობა და ტაშით გამოგვაცილეს. იქ იდგა ორი ქალბატონი, რომლებიც ყვიროდნენ, — თავი დაანებეთ სომხებსო. მე მიშაზე ვლაპარაკობდი და რა შუაში იყო სომხები?! სომხების მიმართ სიყვარულის მეტს არაფერს ვგრძნობ, ჩვენ მოძმე ერები ვართ.

**— მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე რა შედეგს ელოდება თქვენი პარტია?**

— ახალი ხელისუფლება არჩევნების მასობრივ ფალსიფიცირებას გეგმავს, რათა უკვე მესამედ არ შეუშვას ლეიბორისტული პარტია პარლამენტში. საბედნიეროდ, ეს ტელევიზიითაც განაცხადეს. ეს მათ ძალიან ძვირად დაუჯდებათ — ჩემი ევროპაში ვიზიტი სწორედ იმ მიზანს ისახავს, რომ მთელი ევროპა ფეხზე დავაყენო. ყველას ვუთხრა, როგორ აპირებენ ჩვენს პარლამენტგარეთ დატოვებას. მინდა შევახსენო სააკაშვილს, რომ შევარდნაძე ხელშეუხებელი იყო ევროპაში, მასზე აუგის თქმა არ შეიძლებოდა, სანამ ჩვენ არ ვუჩივლეთ სტრასბურგში 1999 წლის არჩევნების გაყალბების გამო. სწორედ ჩვენმა ბრძოლამ დაუკარგა შევარდნაძეს ავტორიტეტი საერთაშორისო არენაზე, რასაც შედეგად მისი გადადგომა მოჰყვა და იმავეს გავუკეთებთ სააკაშვილს, თუ შევარდნაძესავით მოიქცევა.

**— რაკი ახალი ხელისუფლების ოპოზიციაში თქვენთან ერთად კიდევ რამდენიმე პარტია აღმოჩნდა, ხომ არ აპირებთ მათთან გაერთიანებას?**

— ეს რომ გვნდომოდა, ბლოკებს შევქმნიდით და გაცილებით გაადვილდებოდა ფინანსების შოვნაც და სარეკლამო რგოლების გაშვებაც. გაერთიანებას არავისთან ვაპირებთ, რადგან ნამდვილი ოპოზიცია ჩვენ ვართ, ამით არის განპირობებული ჩვენი ვიზიტი ასეთ მაღალ დონეზე, თორემ გაგიგიათ, რომელიმე პარტიის ლიდერი ამხელა სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველ მოადგილეს მიეღოს? გაგიგიათ, რომ რომელიმე არასაპარლამენტო პარტიის ლიდერი, ფაქტობრივად, უმუშევარი კაცი, ნატოს გენერალურ მდივანს მიეღო? სანამ დამოუკიდებლად ვიქნებით, მანამ გვექნება საერთაშორისო ავტორიტეტი და ექნება ხალხს ჩვენი იმედი. ბლოკში ვინმესთან ჩვენს გაერთიანებას ხალხი ასე გაიგებს — იმდენად სძულთ ახალი ხელისუფლება, მზად არიან, ნებისმიერი უმსგავსობა ჩაიდინონ, ოღონდ ამათ ავნონ რამეო. ეს არ ჯდება არც ჩემს კაცობაში, არც პოლიტიკურ ეთიკასა და არც ჩემი ქვეყნის ინტერესებში.

**— ლეიბორისტები საკრებულოში ნაციონალებთან თანამშრომლობდით, გამორიცხავთ, ზოგიერთ საკითხზე სააკაშვილთან თანამშრომლობას?**

— მეტი რაღა გავუკეთო ნაციონალებსა და სააკაშვილს, — რუსეთი მზად არის გაამარტივოს სავიზო რეჟიმი. რუსეთში სააკაშვილის საწინააღმდეგო მიტინგები ხომ არ მომიწყვია. განგებ არ ვთქვი მასზე აქ არაფერი, რომ ვიღაცამ მერე კუდი არ გამოაბას ამას. მეტი რაღა გავუკეთო მაგ კაცს, თუ უნდათ რომ მოვეფერო და სხვებივით გავუგორდე, ბუჩქებში რომ იმალებიან, იქნებ ძვლები მაინც მოგვიგდოს სააკაშვილმა სახრავადო. ამას არ ვიზამ, მთელი საქართველოც რომ ამიჯანყდეს. თუ საქმეს დასჭირდა, ქვეყანას დავუდგები გვერდით და არა — სააკაშვილს. რაც შეეხება საკრებულოში ჩვენს „თანამშრომლობას“, ყველაფერი იყო თანამშრომლობის გარდა. სააკაშვილმა გადაგვაგდო — ოსტაპ ბენდერივით მოიქცა, თავი საკრებულოს თავმჯდომარედ აგვარჩევინა, შეეკრა ზოდელავას, რომელთანაც კოალიციური მთავრობა შექმნა, ჩვენები არავინ დანიშნა აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ქალაქის ბიუჯეტის ხარჯზე ფულები აკეთა, რომელიც მერე საარჩევნო კლიპებისა და მიტინგებისთვის გამოიყენა, არც უფასო განათლება შემოიღო და არც უფასო სამედიცინო მომსახურება. ყველაფერში მოგვატყუა, რაშიც შეთანხმებულები ვიყავით. ასეთ კაცთან კონსტრუქციული თანამშრომლობა თავის მოტყუება იქნება, მეტი არაფერი.

**— ბატონო შალვა, თქვენზე ამბობენ, დაბოღმილია და ასე მწარედ იმიტომ ლაპარაკობსო...**

— ვიქნები, აბა, არ ვიქნები დაბოღმილი?! შევარდნაძემ მოასწრო და ძალაუფლება გადასცა თავის „გაზრდილებს“. უნდა გამხარებოდა ეს ამბავი?! ამიტომ ვარ დაბოღმილი, თორემ იმიტომ კი არა, მე რატომ არ ამირჩიეს-მეთქი. არც მჭირდება საქართველოს პრეზიდენტობა.

**— თქვენზე იმასაც ამბობენ, ძალიან ემოციური გახდაო...**

— (იცინის) პირიქით. სააკაშვილზე ემოციური ხომ არ ვარ, კაცი ხანჯლით თავებს დაგაჭრითო — იმუქრება. სააკაშვილის შემდეგ მე რომ აღმოვჩნდები ემოციური, უცნაურია.

**— ბოლოდროინდელმა მოვლენებმა პოლიტიკიდან წასვლა ხომ არ გაფიქრებინათ?**

— ერთხანს ვიფიქრე კიდეც, პოლიტიკაზე ხელს ავიღებ-მეთქი, მაგრამ ეს გაქცევად ჩამეთვლებოდა და გაქცეული კაცის სახელს ვერასოდეს შევეგუები.

**— მოსკოვში ქართველ პოლიტიკოსებს — ლევან მამალაძეს, ასლან აბაშიძესა და იგორ გიორგაძეს ხომ არ შეხვედრიხართ?**

— არა, ბატონო, არ ვაპირებ მათთან შეხვედრას. რატომ მისვამთ ზოგიერთი ტელეარხივით პროვოკაციულ შეკითხვებს, არ გეკადრებათ... ქართველ პოლიტიკოსებს თბილისში შევხვდები, რუსეთში კი მხოლოდ რუსებს.

**— ზოგიერთს აინტერესებს — ნათელაშვილი ყოველთვის ხელმოკლეობას უჩიოდა და ევროპაში სამოგზაურო ფული სად იშოვაო.**

— სააკაშვილმა მასესხა სოროსის გრანტიდან, მაგრამ ჩასესხებას არ ვაპირებ, ახლა მე უნდა გადავაგდო...

# ვა(რ)დამდე და ვა(რ)დის შემდეგ...

**ახალმა რეალობამ ბევრი რამ შეცვალა. ზოგიერთისთვის ძველი კერპი დაიმსხვრა, ზოგისთვისაც ახალი იშვა. ზოგიერთებს აზრი შეეცვალათ, ზოგნიც ცვალებად დროს არ მიჰყვებიან და ძველებურად ფიქრობენ... ვინ რას ამბობდა და რას ამბობს დღეს? „კვირის პალიტრა“ ახალ რუბრიკას გთავაზობთ — ჩვენი რესპონდენტების ჩვენთვის გამხელილ ნააზრევს რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ.**



**მიხეილ სააკაშვილი**

**ვა(რ)დამდე („კვირის პალიტრა“, 18-24 ნოემბერი, 2002 წ.)**

„გაისად პრეზიდენტი თავის პოსტიდან წავა. დარწმუნებული ვარ, თუ პარლამენტშიც ისეთივე ოპოზიციურ ძალთა განლაგება იქნება, როგორიც საკრებულოშია, პრეზიდენტის იმპიჩმენტი გარდაუვალი იქნება. თუ არადა განხორციელდეს საკონსტიტუციო ცვლილება და პრეზიდენტის უფლებამოსილება ნულზე დავიდეს. ასე რომ, რაც თბილისის საკრებულოში მოხდა, ის იყო გენერალური რეპეტიცია იმისა, რაც 11 თვეში მოხდება საქართველოში (მიხეილ სააკაშვილი 1 თვეში „შეცდა“. — ი. რ.).“

**ვა(რ)დის შემდეგ („კვირის პალიტრა“, 24-30 ნოემბერი, 2003 წ.)**

„გადამრია არჩევნების კიდევ ერთხელ გაყალბებამ. ეს უკვე კულმინაცია იყო. ვიცოდი ხალხის აზრი. ვიცოდი, ვის უჭერდა მხარს უმრავლესობა. წარმოუდგენელი იყო ის ფაქტი, რომ პირველ ადგილზე ხელისუფლება გავიდა.

...შევარდნაძე არასოდეს ყოფილა ხალხისთვის. ხალხს უნდოდა მისი გადადგომა, მათ შორის, მეც. სანდო წყაროებიდან ვიცი მისი ანგარიშების შესახებ უცხოურ ბანკებში. ამ დროს კი ქვეყანა უკიდურეს ზღვარზეა. თქვენ არ იცით, რა ხდება ჩვენს ეკონომიკაში, რა დღეშია ხალხი... ჩვენი მოქმედება აბსოლუტურად მშვიდობიანი იყო. მართალია, შტურმით შევედით პარლამენტის შენობაში, მაგრამ უბრალოდ, ყვავილებით ხელში, იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ გვეთქვა — გადადექით-თქო...“



**ვახტანგ რჩეულიშვილი**

**ვა(რ)დამდე („კვირის პალიტრა“, 18-24 ნოემბერი, 2002 წ.)**

„არ ვიცი, რატომ აღმოვჩნდი ისტორიის სანაგვეზე, არადა პირიქით ვემუქრებოდი (შევარდნაძეს)... თავიდან ვნერვიულობდი, მაგრამ მერე გადავხარშე. შევარდნაძე არასოდეს ითვალისწინებს სხვის ინტერესებს. ჩვენ პაიკებივით ვჭირდებით თავისი თამაშისთვის... შევარდნაძე დიდი სკოლაა — სხვა საქმეა, დადებითი თუ უარყოფითი. ხელისუფლების ტექნოლოგია მინდა ამოვხსნა, რაც კარგად იცის შევარდნაძემ. კაცს ამხელა პოლიტბიურო დაჰყავდა თავის ჭკუაზე, ხუმრობა ხომ არ არის?.. პოლიტბიუროს ძველ წევრებთან შედარებით, ჩვენ პატარა ვირთხუნები ვართ. ერთი კბილი რომ გაგვკრან, გაგვაქრობენ.“

**ვა(რ)დის შემდეგ („კვირის პალიტრა“, 15-21 დეკემბერი, 2003 წ.)**

„სააკაშვილი ამ რევოლუციის აღმოჩენა იყო. ის აღმოჩნდა პოლიტიკოსი, რომელმაც არა მარტო აჯობა შევარდნაძეს, არამედ ჩამოაგდო კიდეც. მიხეილ სააკაშვილი, როგორც მებრძოლი რევოლუციონერი, უნიკალური მოვლენაა... არ გამოვრიცხავ, სააკაშვილმა და შევარდნაძემ ნობელის პრემიაც მიიღონ რევოლუციის უსისხლოდ მოხდენისათვის.“



**ლევან მამალაძე**

**ვა(რ)დამდე („კვირის პალიტრა“, 23-29 ივნისი, 2003 წ.)**

„ოპოზიციამ წინასწარ იცის, რომ არჩევნებს წააგებს და არეულობაც იმიტომ აძლევს ხელს. აბა, მითხარით, რა რეიტინგი აქვს ჟვანიას პარტიას?.. სხვათა შორის, სააკაშვილი ბოლო დროს დაჭკვიანდა. ეტყობა, კარგი მრჩევლები ჰყავს...

სააკაშვილი, ჟვანია და გამყრელიძე იუგოსლავიაში იყვნენ, რათა ქვეყნის დაშლის ტექნოლოგია შეესწავლათ. ამ მიზნის განსახორციელებლად ისინი რუსული და ამერიკული წრეებიდან ფინანსდებიან, მაგრამ იმასაც ვხედავ, მიუხედავად გაჭირვებისა, საზოგადოება არ ტყუვდება.

მათ (სააკაშვილი, ჟვანია, ბურჯანაძე) არჩევნები კი არა, გარანტიები აინტერესებთ. რომ უთხრას ვინმემ, — მობრძანდით, ბატონო, ერთი პრეზიდენტი გახდით, მეორე — პრემიერი, მესამე — პარლამენტის თავმჯდომარე და მთელი მთავრობა თქვენ დააკომპლექტეთო, იტყვიან, შემოდგომაზე სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნები ჩატარდებაო. მათი მთავარი მიზანი თანამდებობებია, მეტი არაფერი.“



**ვა(რ)დის შემდეგ („კვირის პალიტრა“, 1-7 დეკემბერი, 2003 წ.)**

„ის, რაც ქვეყანაში ხდება, უკანონო და არალეგიტიმურია. თუმც დღევანდელი სამეული, რომელიც ხელისუფლებაშია, ცდილობს მომხდარი და შემდგომი მოვლენები კანონიერ ჩარჩოში მოაქციოს...

გასაქცევი მაგათ აქვთ, მე სად უნდა წავიდე?! ვაკვირდები, როგორ განვითარდება მოვლენები, რა სახეს მიიღებს დღევანდელი რეჟიმი...

აშშ (და სხვა ქვეყნებიც) ჩვენნაირ პატარა ქვეყნებში თავიანთ მიერ შემუშავებული ტექნოლოგიების გამოცდას აწარმოებენ. ჩვენთანაც ასეთი ექსპერიმენტი ჩატარდა, რომლის შედეგი გადატრიალება იყო, რომელსაც ნამდვილად არ მოჰყვება ისეთი კეთილდღეობა, როგორსაც ეს „ტროიკა“ გვპირდება... საქართველოს პრეზიდენტს უნდა სცოდნოდა, რომ ხელისუფლება დემორალიზებული იყო და არ ღირდა საქმის მიყვანა რევოლუციამდე. მას გადატრიალებამდე უნდა მიეღო გადადგომის გადაწყვეტილება.“



**აკაკი ასათიანი**

**ვა(რ)დამდე („კვირის პალიტრა“, 20-26 იანვარი, 2003 წ.)**

„მიუხედავად იმისა, გავერთიანდებით თუ არა ნაციონალებთან, უნდა ვთქვა, რომ მათ უდიდესი სიმპათიით ვუყურებ. სააკაშვილი ისეთი პოლიტიკოსია, რომელიც დროის ტემპს გრძნობს. ვფიქრობ, რადიკალურობა საჭიროა პოლიტიკაში. ბუნებით მშვიდი ვარ. ვცდილობდი დამერწმუნებინა ხელისუფლება ჩვენს სიმართლეში, მაგრამ გამოვიდა რამე? მაინცდამაინც ყუმბარები უნდა მესროლა, რომ გაეგოთ?.. ჩვენი და ზურაბ ჟვანიას პოზიციები ბევრ რამეში ემთხვევა ერთმანეთს, მზად ვარ მათთან თანამშრომლობისათვის, მაგრამ ამჟამად სააკაშვილია ყველაზე თანამიმდევრული. სააკაშვილი სწორად სვამს საკითხს — ეს ხელისუფლება უნდა წავიდეს. მითხარით რაში ტყუის ეს კაცი?!“

**ვა(რ)დის შემდეგ („კვირის პალიტრა“, 5-11 იანვარი, 2004 წ.)**

„რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, მისი ლოზუნგი და მოწოდებები აბსოლუტური დემაგოგიაა. სააკაშვილს პრეზიდენტობა თამაში ჰგონია და დაე, ითამაშოს... ხალხს თუ ასეთი პრეზიდენტი უნდა, ხალხის წინააღმდეგ არ წავალ... წელს იქნება ნამდვილი პოლიტიკური იდეოლოგიის ბრძოლა ჩვენსა და დღევანდელ ხელისუფლებას შორის... ადრე ვიყავით ერთად, ახლა კი ზურაბ ჟვანია და ნინო ბურჯანაძე სააკაშვილის იდეებს გაჰყვნენ.“

**რევაზ შავიშვილი**

**ვა(რ)დამდე („კვირის პალიტრა“, 13-19 ოქტომბერი, 2003 წ.)**

„პრეზიდენტს (შევარდნაძეს) შესაძლოა უნდოდეს კიდეც რამის გაკეთება, მაგრამ უძლურია. მან თქვა, შევიცვალეო, მაგრამ არა მგონია, ასე იყოს. იგი ქვეყანას ცკ-ის მდივანივით მართავს. მთავრობის გაფართოებული სხდომები კი იმავე ცკ-ის პლენუმებია, მეტი არაფერი. ხალხიც დაუსრულებლად ელოდება — აი, საჯაროდ დასახელდება გვარები, დამნაშავეთა თავები დაცვივდებაო, მაგრამ სინამდვილეში არაფერიც არ მოხდება...

თავის დროზე პროკურატურას ათასობით საქმე გადავეცით. მათი უმეტესობა დღეს დახურულია. როდესაც ხელისუფლება შეიცვლება (გინდ ამაზე უკეთესი მოვიდეს, გინდ უარესი), ვინ დატოვებს ამ საქმეებს ისე... ის მასალები, რომლებიც პრაქტიკულად ყველა სტრუქტურას შეეხება, უთუოდ ნახავს დღის სინათლეს და მის საფუძველზე დაფერთხავს ახალი ხელისუფლება ყველა სტრუქტურას.“



**ვა(რ)დის შემდეგ („კვირის პალიტრა“, 29 დეკემბერი - 4 იანვარი, 2004 წ.)**

„ხელისუფლების წასვლის შემდეგ იწყება ძველი საქმეების წამოწევა და დამნაშავეების დასჯა. როდესაც ქვეყანაში „კარგი“ ხელისუფლება მოდის (მე დიდი იმედი მაქვს, რომ საქართველოშიც ასე მოხდა), ასეთი საქმეები სიტუაციის გაჯანსაღებისთვის წამოიწევა ხოლმე. თუმც ასეთ საქმეებს ცუდი ხელისუფლებაც წამოწევს, ოღონდ სხვა მიზნით — მოიშოროს კონკურენტები და გაათავისუფლოს ადგილები სამინისტროებსა და უწყებებში.

ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მაგრამ სასურველია, დასასჯელების გამორჩევა პოლიტიკურ საფუძველზე არ მოხდეს. გულუბრყვილობაა, როცა ამბობენ, — დასჯის შიშით ვერ მოიპარავენო. საზოგადოებაში უნდა აღდგეს რწმენა, რომ დანაშაულზე პასუხს აგებს ყველა. ამას სჭირდება პრეცედენტები. დაჭერების მომხრე არ ვარ, მაგრამ ისინი, რომელთაც ქვეყანა გაანადგურეს, უნდა დაისაჯონ...“

***მოამზადა იზო რიკაძემ***

CMYK

# ბაზების ლიკვიდაცია ქრთამის სანაცვლოდ?!

მოსკოვმა, როგორც იქნა, ხმამაღლა თქვა ის, რაზეც რამდენიმე წელია ირიბად მიგვანიშნებდა: ფული — ბაზების სანაცვლოდ! ანუ რუსული სამხედრო მანქანის ნარჩენების საქართველოდან ერთხელ და სამუდამოდ გასაყვანად რუსეთის ფედერაცია თავდაცვის მინისტრის პირით გვითვლის — ფული მოიტათო.

ამის თქმა რუსეთის თავდაცვის მინისტრ სერგეი ივანოვს სულაც არ უჭირს და ამ ბანალურ გადაწყვეტილებას ამგვარად ხსნის: რუსული სამხედრო შენაერთების საქართველოდან სამშობლოში დაბრუნებას დიდი თანხა სჭირდება. ამასთან, რუსეთის ტერიტორიაზე აუცილებლად უნდა მოეწყოს ახალი სამხედრო ქალაქები, საბავშვო ბაღები და სკოლები საქართველოდან გაყვანილი სამხედროებისა და მათი ოჯახების უზრუნველსაყოფად, ხოლო საბრძოლო ტექნიკის შესანახად აიგოს სპეციალური ფარეხები და ა.შ.

— ჩვენ აღარ გავიმეორებთ გერმანიიდან გამოსვლის დროინდელ შეცდომას, როცა რუსი სამხედრო მოსამსახურეები სტეპებში დავყარეთ. კეთილი ინებოს საქართველომ და უზრუნველყოს მათი ნორმალურ პირობებში გამოყვანა — შეუვალია მინისტრი ივანოვი.

იგი ერთ რამეში მართალია. გასული საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე გერმანიიდან, უნგრეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და პოლონეთიდან გამოყვანილი ჯერ საბჭოთა, ხოლო შემდგომ რუსული სამხედრო დანაყოფების დიდი ნაწილი მართლაც ტრიალ მინდორში აღმოჩნდა დაყრილი.

ამას რუსი გენერლები დღემდე აბრალებენ საბჭოთა კავშირის პირველ და უკანასკნელ პრეზიდენტ მიხაილ გორბაჩოვსა და მის საგარეო საქმეთა მინისტრ ედუარდ შევარდნაძეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი აღარ არის საქართველოს პრეზიდენტი, რუსი გენერლების ამ პლეადას საქართველოს მიმართ ბრაზი ჯერაც არ განელებია.

სერგეი ივანოვს მართალია, საქვეყნოდ არ გამოუცხადებია, მაგრამ ქართულ მხარესთან დახურული მოლაპარაკების დროს დაასახელა ციფრი — 500 მლნ დოლარი! სწორედ ამ თანხის გადახდის შემთხვევაში ინებებს რუსეთი და ჩვენი მიწა-წყლიდან თავის სამხედრო შენაერთების გაყვანას დააჩქარებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, 11 წელიწადს ერთი დღეც რომ დააკლდეს, საქართველოდან ფეხს არ მოვიცვლიო, — ჯიუტობს.

ოფიციალური თბილისი კი ამ პროცესისთვის დაჟინებით ითხოვს სამ წელიწადს. ამასთან, ახალი ხელისუფლება რუსეთს აბრალებს სტამბოლის 1999 წლის სამიტზე მიღწეული შეთანხმების დარღვევას, რომელიც თითქოსდა ითვალისწინებდა ყველა იმ რუსული სამხედრო ბაზის გაუქმებასაც, რომლებიც იმ მომენტისთვის საქართველოში იყო განთავსებული. მაგრამ მოსკოვი თბილისს ერთ უზუსტობაში იჭერს: სტამბოლის სამიტზე მიღწეული შეთანხმების თანახმად, ვაზიანისა და გუდაუთის რუსული სამხედრო ბაზები 2001 წლის ზაფხულამდე უნდა გაუქმებულიყო. მოსკოვმა იმ დროისთვის მართლაც დახურა ვაზიანის ბაზა და არაერთხელ განაცხადა, გუდაუთის ბაზაც გაუქმებულიაო. მაგრამ იმის გამო, რომ ამ ბაზის ინსპექტირებაზე არ უშვებენ არათუ ქართველ სამხედრო ვერიფიკატორებს, არამედ მათ უცხოელ კოლეგებსაც, დაბეჯითებით არ შეიძლება მტკიცება, გაუქმდა თუ არა იგი.

რაც შეეხება ბათუმის მე-12 და ახალქალაქის 62-ე რუსულ სამხედრო ბაზებს, სტამბოლის სამიტზე გადაჭრით არ დაუსახელებიათ მათი გაყვანის ზუსტი თარიღი. მაშინ მხოლოდ შეთანხმდნენ, რომ ვაზიანის და გუდაუთის ბაზების გაუქმების შემდეგ გაგრძელდებოდა ორმხრივი ქართულ-რუსული მოლაპარაკებები, რომლებზეც დადგინდებოდა ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზების გაყვანის თარიღი. ამ დიპლომატიური შეცდომით შესანიშნავად სარგებლობს მოსკოვი, რომელიც აჭიანურებს ზემოხსენებული მოლაპარაკებების არაფრისმთქმელ რაუნდებს.

საქართველოში ბოლო თვეებში მომხდარი სერიოზული ცვლილებების შემდეგ, როდესაც ქვეყნის ორიენტაცია მკვეთრად გადაიხარა დასავლეთისკენ, რუსეთი ნელ-ნელა ეგუება იმ აზრს, რომ მის სამხედროებს მაინც მოუწევთ ქართული მიწის დატოვება. და თუ ეს მოხდება, მაშინ რატომ არ უნდა ვნახოთ სარგებელი აქედანო, — ფიქრობს კრემლი. მათ წუწკობას მაშინ მიეცა დასაბამი, როდესაც ვაზიანის სამხედრო ბაზის გაყვანისას, ტექნიკისა და პირადი შემადგენლობის გადაადგილება არარუსული ფულით დაფინანსდა, ანუ თეთრმა სახლმა გარკვეულწილად დააფინანსა ეს პროცესი. ამჯერადაც მოსკოვს სურს, ფული დასცინცლოს აშშ-ს, რომელიც საქართველოს მეგობრობაზე თავს დებს, თორემ კრემლზე უკეთ ვინ იცის, რომ 500 მლნ დოლარი საქართველოს ერთი წლის ბიუჯეტია და მისი გადამხდელი თბილისი არ არის!

მაგრამ ეს თანხა თვით უმდიდრეს ამერიკელებსაც კი აღაშფოთებს. ქვეყანას, რომლისთვისაც რუსეთის არმია კვლავაც პოტენციური მოწინააღმდეგეა, ვერანაირად ვერ ააშენებინებ რუსი ჯარისკაცისთვის რუსეთის ტერიტორიაზე კომფორტულ ყაზარმებს...

ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფებას — ГРВЗ-ს, საქართველოში 500-მდე ტანკი და ჯავშანმანქანა ჰყავს დარჩენილი, ანუ გამოდის, რომ თითო საბრძოლო ტექნიკის სამშობლოში დასაბრუნებლად მოსკოვი თითო მლნ დოლარს ითხოვს?!

# რუსულ ტანკებს ამერიკელთა გაწვრთნილი ქართველები მიუსხდებიან



კრწანისის ცენტრში რუსული ტანკების გამოყენებას ქართველებს ამერიკელი ინსტრუქტორები ასწავლიან...

ახალი ფორმატის ოთხი ქართული ბატალიონის მომზადებით „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა არ დასრულებულა. 17 იანვარს ოფიციალურად დაიწყო ამ პროგრამის მესამე, „E“ ფაზა, 20 იანვრიდან კი სამხედროები მომზადებას შეუდგებიან.

იგი ითვალისწინებს მექანიზებული ტაქტიკური ჯგუფის გაწვრთნას, რაც სრულიად განსხვავდება იმ პროგრამისგან, რომელიც გაიარა ორი ათასზე მეტმა ქართველმა სამხედრომ.

ამჯერად, სამთვიანი სწავლების დასრულების შემდეგ, 180 კაცი მძიმე საბრძოლო ტექნიკის ეკიპაჟებში განაწილდება.

ცოტა საკვირველი კია, მაგრამ ამერიკელი ინსტრუქტორები ქართველ სამხედროებს რუსული ტანკების გამოყენებას ასწავლიან საბრძოლო მოქმედებების დროს.

ოფიციალურად ამ ეტაპს მექანიზებული ტაქტიკური ჯგუფის მომზადება ჰქვია და 10 ერთეული T-72 ტიპის ტანკისა და ამდენივე ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-1-ის ეკიპაჟების გაწვრთნას ითვალისწინებს. ამის გარდა, 3-თვიანი სწავლების კურსს გაივლიან ხუთი შეჯავშნული გამწევის МТ-ЛБ-ს ეკიპაჟი და ოთხი 120 მმ კალიბრიანი ნაღმსატყორცნის გათვლა.


— ხოლო ეკრაში ამერიკულ M-113 ჯავშანტრანსპორტიორების მართვას ქართველი ოფიცრები თავად ეუფლებიან

ნურავინ იფიქრებს, ამერიკელები მარტო ტანკებისა და ჯავშანმანქანების ტარებას ასწავლიან ქართველ კოლეგებს. ამ საქმეს ქართველი სამხედროები მასწავლებლებზე ნაკლებად როდი გააკეთებენ, თუკი მშობლიური თავდაცვის სამინისტრო ხშირად ჩაუსხამს საწვავს ტანკებს ავზებში.

წვრთნის მიზანია, ამ მექანიზებული ტაქტიკური ჯგუფის ყველა წევრმა ისწავლოს ურთიერთშეთანხმებული მოქმედება საბრძოლო ოპერაციის განხორციელებისას როგორც შეტევის, ისე თავდაცვის დროს, ანუ ის, რაც ასე გვაკლდა აფხაზეთის ომში — საბრძოლო მოქმედების სწორი დაგეგმვა და ეფექტიანი მართვა. იმედია, ამერიკელების მომზადებული ქართველი ტანკისტები მოწინააღმდეგის დასახლებულ პუნქტებში უთავბოლო სირბილს აღარ დაიწყებენ, როგორც ეს აფხაზეთის ომში ხდებოდა...

ტანკისტების მომზადების დამთავრების შემდეგ „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა უვადოდ გაგრძელდება. აშშ-ის ელჩის განცხადებით შემდგომში მომზადებას გაივლიან ჯარების სხვადასხვა სახეობის დანაყოფებიც, თუმცა ამ პროგრამისთვის დიდი ოდენობის თანხები აღარ გამოიყოფა.


# პროსტატ-ჰელსი: საუბარი მამაკაცის ძალასა და ჯანმრთელობაზე

*საინტერესოა, რაზე შეიძლება გესაუბროთ ექიმი, გარდა ჯანმრთელობისა? ჩვენ არ გთავაზობთ ტრაფარეტულ მოწოდებას ცხოვრების ჯანმრთელი წესისაკენ; ჩვენ უბრალოდ გადმოგცემთ მედიკოსების ზოგიერთ მოსაზრებებს, რომლებიც ცდილობენ წინ აღუდგნენ დროის დამანგრეველ ზემოქმედებას. დღევანდელი საუბარი შეეხება მამაკაცებს, რადგანაც განიხილება პროსტატიტთან დაკავშირებული პრობლემები.*

პროსტატიტზე უამრავი რამაა დაწერილი. პრაქტიკულად ყველა მამაკაცმა იცის რაღაც მაინც მის შესახებ. მით უმეტეს, რომ პროსტატიტი ამა თუ იმ ფორმით, უამრავ მამაკაცს აწუხებს თუმცა ხშირად ამის შესახებ, შესაძლოა არც კი დაფიქრებულან. გარდა იმისა, რომ ამ დაავადებას მამაკაცისთვის ფიზიკური დისკომფორტი მოაქვს, იგი სამწუხაროდ, ამცირებს სექსუალური აქტივობის ხანას, ართმევს შესაძლებლობას მიიღოს სიამოვნება დედამიწაზე არსებული ყველაზე დიდი ფიზიკური ტკბობისაგან. პროსტატიტი კლავს მამაკაცში - მამაკაცს! (სწორედაც პროსტატის ანთება შემთხვევათა 70%-ში - სექსუალური დარღვევების მთავარი მიზეზია.)

პროსტატა - მამაკაცის მეორე გულია; ჯირკვლოვანი ორგანო, გამოიმუშავებს ათობით ჰორმონს, რომლებიც პასუხს აგებენ სექსუალურ ლტოლვაზე (ლიბიდო), პოტენციაზე, ორგაზმის სიღრმეზე, სქესობრივი აქტის ხანგრძლივობაზე, სპერმატოზოიდების აქტივობასა და ა.შ., და ბოლო დროს აღმოჩენილიც კია ჰორმონები, რომლებიც თავის ტვინის ქერქში მამაკაცის ხასიათის ცენტრებს მართავს. ალბათ ამიტომ, ასეთი ავადმყოფები ყოველთვის მიდრეკილნი არიან დეპრესიისკენ, ხოლო გამოცდილ უროლოგს ქრონიკული პროსტატიტის დიაგნოზის დასმა ავადმყოფის სახის გამომეტყველებითაც კი შეუძლია.

*ვის ემუქრება პროსტატიტი?*

დიაგნოზი - პროსტატიტი მედიცინაში ცნობილია 1857 წლიდან. უკანასკნელი საუკუნე-ნახევრის მანძილზე ამ პრობლემას მსოფლიოს უროლოგების ყოველწლიური მრავალრიცხოვანი კონფერენციები, ყრილობები, სიმპოზიუმები ეძღვნება. უკანასკნელ წლებში, ისევე როგორც, სხვა ქრონიკული დაავადებები, პროსტატიტი მნიშვნელოვნად გაახალგაზრდავდა. ეს დაავადება დიაგნოსტირდება უკვე 15-17 წლის ასაკის მამაკაცებში, მაშასადამე სქესობრივი ცხოვრების დაწყებისთანავე.

*რამ შეიძლება გამოიწვიოს პროსტატიტი?*

პროსტატიტის გამომწვევი მიზეზი ბევრია, ახალგაზრდებში ეს, ჩვეულებრივ, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციაა. მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ქრონიკული პროსტატიტის გამომწვევ ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს ნაკლებად მოძრავი ცხოვრების სტილი. თანამედროვე უროლოგიაში ქრონიკული პროსტატიტი ასოცირდება „მენეჯერის სინდრომთან“. პროსტატის ჯანმრთელობისათვის საჭიროა მისთვის სისხლის ადეკვატური მიწოდება. ანატომიურად, ჯირკვალი მდებარეობს შორისის მიდამოში და ყოველთვის, როცა ვზივართ, განიცდის ზეწოლას. ამასთან, სისხლის მიმოქცევა მასში მნიშვნელოვნად ფერხდება. ალბათ, ბევრი მამაკაცისთვის ცნობილია დისკომფორტის უსიამოვნო შეგრნება, ქაჩვითი ხასიათის ტკივილები, რომლებიც მითითებულ ადგილებში წარმოიქმნება. როდესაც ზიხართ, მიმდინარეობს „გადამუშავებული“ ვენური სისხლით (ჟანგბადითა და საკვები ნივთიერებებით ღარიბი სისხლი) ჯირკვლის გადავსება.




სისხლის შეგუბება ხელს უწყობს ჯირკვლის ინფიცირებას, მისი უჯრედების გადაგვარებას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მათ გაავთვისებიანებასაც - კი. უკეთეს შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს პროსტატის ადენომა, ხოლო უარესში - პროსტატის კიბოც.

*როგორ ავარიდოთ თავი პროსტატიტს?*

ძირითადად, ცხოვრებას მჯდომარე მდგომარეობაში ვატარებთ. ვზივართ ტრანსპორტში, საკუთარ ავტომობილში, სამსახურში, სახლში. ცხოვრების ძირითადი ჯდომითი წესიდან გამომდინარე, მოძრაობითი აქტივობა აშკარად არ არის საკმარისი. სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებას მცირე მენჯის ღრუში, მაშასადამე პროსტატაშიც, ისე არაფერი უწყობს ხელს, როგორც სირბილი ან „ჯოგინგი“. ფეხის, დუნდულოებისა და შორისის კუნთები, შეკუმშვისას და მოდუნებისას ტუმბოსავით მუშაობენ, უჭერენ ვენებს და ხელს უწყობენ მათგან სისხლის გადინებას. ასე რომ, სირბილით, ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდევარნი გაურბიან არა მარტო ინფარქტს, არამედ პროსტატიტსაც, ხოლო მოწესრიგებული სქესობრივი ცხოვრება, პროსტატის ჯანმრთელობისთვის აუცილებელ ფონს ქმნის.

ერთობ ლოგიკური იქნებოდა, რომ ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადღება გავამახვილოთ უმსხვილესი ამერიკული კომპანია **„შიფ“**-ის ახალ ბიოფორმულაზე - პრეპარატზე **„პროსტატ-ჰელსი“**. პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი ფიტოსტეროლები, ლიკოპენი, მიკროელემენტები - ცინკი, სელენი, აგრეთვე კალციუმის - გლუკორატი - აწესრიგებენ პროსტატის სტრუქტურასა და ფუნქციონალურ მდგომარეობას, ასტიმულირებენ ტესტოსტერონის სინთეზს (სექსუალურობის ჰორმონი) და სპერმატოგენეზს, და ამით აღადგენენ მამაკაცის სექსუალურ ცხოვრებას და რეპროდუქციულ პოტენციალს. ეს პრეპარატი დაგეხმარებათ თავი დააღწიოთ დაავადების შემაწუხებელ სიმპტომებსა და მასთან დაკავშირებულ უხერხულობებს, რომლებიც ცხოვრების ჩვეულ რიტმს არღვევენ.

**„პროსტატ-ჰელსი“** - მთლიანად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების რეალური შანსია, აგრეთვე სექსუალური აქტივობის შენარჩუნების, კომფორტისა და ყოფის სიხარულის შეგრძნების დაბრუნების საშუალება.

*აქვე შეგიძლიათ მიიღოთ კვალიფიციური ექიმი-დიეტოლოგის უფასო კონსულტაცია შარდსასქესო სისტემის დაავადებებისას სწორი კვების შერჩევის თაობაზე.*

**„ჯეოვიტი“ – თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი!**

**თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ მათში, ვისაც ყველაზე მთავარს – საკუთარ ჯანმრთელობას ანდობთ!**

ჯეოვიტი
GEOVIT

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი
საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“
მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),
☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56 ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით
www.schiffvitamins.com

# ზოგი ასე უბერავს...

## როგორ დადის ქართული არმიის დანაყოფი, ანუ „აჯაფსანდალი“ ქართულად. ვისი დირიჟორობით?



ასე სიარული ჩვენს სამხედროებს ამერიკელმა ინსტრუქტორებმა ასწავლეს.

25 იანვარს, რუსთაველის პროსპექტზე, საქართველოს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე მოწვეული უცხოელი სტუმრები შეიძლება უმალ ვერც კი მიხვდნენ, თუ რომელი ქვეყნის არმიის დანაყოფები ჩაივლიან საზეიმო სააღლუმო სვლით პრეზიდენტ სააკაშვილის წინ...

ამის ნიშნები ჯერ კიდევ შარშან, 13 დეკემბერს, გამოჩნდა რესპუბლიკის მოედანზე „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამით მომზადებული მეოთხე, თელავის ბატალიონის პირადი შემადგენლობის ფიცის დადების დროს. მაგრამ მაშინ მომავალი პრეზიდენტი სააკაშვილი თბილისში არ იმყოფებოდა. მან, რამდენიმე დღით ადრე, ამ ამერიკულ-ქართული პროგრამით მომზადებული ოთხივე ბატალიონი უშუალოდ გარნიზონის სამხედრო ბაზაზე ნახა და ფრიად კმაყოფილიც დარჩა.



ასე სიარულს თურქი სამხედრო მასწავლებლები ითხოვენ კურსანტებისგან.

ასე რომ, 25 იანვარს ახალ პრეზიდენტს პატარა სიურპრიზი ელის — მის წინ ქართული არმიის „აჯაფსანდალი“ ჩაივლის სამწყობრო ნაბიჯით.

ამას, ალბათ სხვა სახელს ვერ დაარქმევ, რადგან ამერიკელთა მომზადებული ბატალიონები, ამერიკული არმიის წესდებით, გაივლიან ძირს დაშვებული ავტომატის ლულებით, ხოლო თავდაცვის ეროვნული აკადემიის კურსანტები მხარზე თოხივით გადებული ავტომატებით, ანუ ისე, როგორც მათ თურქმა სამხედრო პედაგოგებმა ასწავლეს. „ჩვეულებრივი“ სამხედროები კი, რომლებსაც არც ამერიკელები ასწავლიან და არც თურქები, ეტყობა, წლობით ნავარჯიშები რუსული „რაზ-დვათი“ ჩაივლიან.

ამ, მართლაც „აჯაფსანდლის“, შემხედვარე არაქართველი უთუოდ დაიბნევა — ნეტავ, რომელი ქვეყნის სამხედრო დანაყოფები ულოცავენ საქართველოს ახალ პრეზიდენტსო? მით უმეტეს, რომ სხვადასხვა მწყობრით მოსიარულეებს სამხედრო ფორმაც სხვადასხვა ყაიდისა ეცმევათ. ეს ჯერ კიდევ არაფერია: გორში გახსნილ უნტერ-ოფიცერთა (ჩვენებურად სერჟანტთა) სკოლაში ქართველი ახალგაზრდების მომზადება გერმანულმა ბუნდესვერმა იკისრა.



ეს კი საბჭოთა „სკოლის“ გადმონაშთია.

წარმოიდგინეთ, რა საყურებელი იქნება, ერთ მშვენიერ დღეს, თბილისის ცენტრში, აღლუმზე, ამერიკელების მომზადებული „კომანდოსები“, თურქების გაწვრთნილი აკადემიის კურსანტები, გერმანელთა გამოზრდილი უნტერ-ოფიცრები და ბერძნების მიერ განსწავლული მეზღვაურები ერთად...

# საახალწლო ნობათი ოკეანის გაღმიდან

## თეთრ სახლს ორი არმიის შენახვა უწევს — საკუთრისა და... საქართველოსი

ძველით საახალწლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საჩუქრები მიიღო — ფოთის სანაპიროს უზარმაზარი კონტეინერმზიდი „სან ლორენცო“ მოადგა, რომელმაც ქართულ არმიას სამხედრო სატვირთო ავტომობილები ჩამოუტანა.

სწორედ იმ დროს თბილისში, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილე ლინ პასკო 3 მლნ დოლარს გადასცემდა საჩუქრად ახალ ქართულ მთავრობას „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამით მომზადებული ბატალიონების პირადი შემადგენლობის ხელფასებისთვის, ხოლო ზაჰესის საბაჟო ტერმინალზე თურქეთის სახელმწიფო მინისტრი მეჰმედ აიდინი ქართული არმიისთვის საკვები პროდუქტების ტრაილერებს ცლიდა...

ასეთ ერთდროულ და, გარკვეულწილად, ცოტა მოულოდნელ დახმარებას ქართული შეიარაღებული ძალებისთვის, შეიძლება რამდენიმენაირი მიზანი ჰქონდეს:

1. ქართული არმია მართლაც შიმშილობის პირასაა, ხოლო უხელფასოდ დარჩენილი სამხედროები ბუნტის ზღვარზე დგანან;

2. დასავლეთი და, უპირველესად, აშშ-ის ადმინისტრაცია, ცდილობს დაეხმაროს ახალ ხელისუფლებას, რომელიც არ მალავს სიმპათიებს ვაშინგტონისადმი. ამერიკულმა დახმარებებმა უნდა გამოათავისუფლოს ჩვენს მწირ ბიუჯეტში არმიის გამოკვებისა და სახელფასო ნაწილი;

3. ამერიკელები არავის მისცემენ უფლებას, სამარცხვინოდ ჩაიშალოს „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა და ამით სალაპარაკო მიეცეს ანტიამერიკულ კოალიციას, მათ შორის ანტიქართულად განწყობილ კრემლს.

აშშ-ის მიერ ქართველი სამხედროებისთვის გადაცემული 3 მლნ დოლარი, დაგეგმილია, რომ გაუნაწილდეს „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამით მომზადებულ „კომანდოს“, საჩხერის მე-16 სამთო, 111-ე (თელავის) და 113-ე (შავნაბადას) ბატალიონებს და მექანიზებული ტაქტიკური ჯგუფისა და შვეულმფრენების („იროკეზების“) ესკადრილიის პირად შემადგენლობას. მათ 2-3 თვის ხელფასს გადაუხდიან.

სახელმწიფო მინისტრის, ზურაბ ჟვანიას განმარტებით, თანხის ნაწილს შინაგან ჯარებსა და მესაზღვრეებსაც უწილადებენ, კერძოდ, იმ ოცეულებს, რომლებმაც თავის დროზე თავდაცვის სამინისტროს ბატალიონებთან ერთად გაიარეს „წვრთნისა და აღჭურვის“ 3-თვიანი პროგრამა.

აღსანიშნავია, რომ მათი ხელფასები, ვინც არ მონაწილეობდა „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამაში, ჯერაც ბოლომდე გაურკვეველ საქართველოს ბიუჯეტზე იქნება დამოკიდებული. ასეთები კი მრავლადაა თავდაცვის სამინისტროში, სადაც შარშანდელი დეკემბრის ხელფასი ძველით ახალ წელს დაარიგეს, ხოლო ნოემბრის თვისა კი გაყინეს.

„წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამას ტყუილად როდი დაერქვა ეს სახელი. პროგრამისთვის გამოყოფილი 64 მლნ დოლარით აშშ კისრულობდა სწორედ ქართული ბატალიონების სრულ აღჭურვას და გაწვრთნას. შეთანხმებაში არაფერი იყო ნათქვამი ამერიკული მხარიდან პირადი შემადგენლობის ხელფასებით დაკმაყოფილებაზე, ეს საქართველოს მთავრობას უნდა მოეგვარებინა. მიუხედავად რევოლუციური ქარტეხილისა, ამ ბატალიონების პირადი შემადგენლობა (2240-მდე სამხედრო) თითქმის დაუგვიანებლად იღებდა გასამრჯელოს, 375-დან 600 ლარამდე.

დღეიდან 2-3 თვის განმავლობაში ისინი „ამერიკულ“ ხელფასს მიიღებენ, მაგრამ როდემდე?!

ხელფასისა არ იყოს, რთული მდგომარეობაა ჯარის საკვებით უზრუნველყოფის საქმეშიც. გენერლებს რომ ჰკითხოთ, ყველაფერში დამნაშავე მწირი სამხედრო ბიუჯეტი და დაგვიანებული სახსრებია, თუმცა რატომღაც კრინტს არ ძრავენ იმაზე, თუ რატომაა გაფორმებული შესყიდვების საბუთებში 50-თეთრიანი კარტოფილი 70-80 თეთრად, ხოლო კონსერვები — ორმაგ ფასად...

მაგრამ ასეა თუ ისე, თურქეთის მიერ ნაჩუქარი 1.560 ტ სხვადასხვა სახის პროდუქტი (ბრინჯი, ფქვილი, სტაფილო, შაქრის ფხვნილი, კარტოფილი, კვერცხი, მზესუმზირის ზეთი...) ქართულ ძალოვან სტრუქტურებს 3-4 თვე უნდა ეყოთ; ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომელიც ნაჩუქარი პროდუქტების მთავარი განმკარგავია. ფინანსთა მინისტრის განმარტებით, სახელმწიფო ყოველთვიურად 1,2 მლნ ლარს ხარჯავს ძალოვანი სტრუქტურების „გამოსაკვებად“.

კიდევ კარგი, თურქეთმა ერთბაშად არ გამოგვიგზავნა დაპირებული 90 ტრაილერი პროდუქტი, თორემ, სხვა თუ არაფერი, ზოგიერთი ჩვენი ბედოვლათი სამხედრო მას ნამდვილად დაალპობდა.

თურქების დახმარება სამ ეტაპად განხორციელდება. 90 ტრაილერიდან 10 — აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაიცლება, იქ დისლოცირებული სამხედრო ნაწილების საწყობების შესავსებად.

დაბოლოს, იმ დახმარების შესახებ, რითიც დავიწყეთ ეს სტატია.

უზარმაზარმა კონტეინერმზიდმა გემმა „სან ლორენცომ“ ფოთის პორტში 137 ერთეული სამხედრო დანიშნულების საავტომობილო ტექნიკა ჩამოიტანა. აქედან 69 ცალი ორხიდიანი და სამხიდიანი სატვირთო ავტომობილი ქართულ არმიას გადაეცემა, კონკრეტულად კი სწრაფი რეაგირების ძალების მე-11 ბრიგადას, რომელშიც გაერთიანებულია „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამით მომზადებული სამი ბატალიონი.

სხვათა შორის, ეს საჩუქარი, წინა ძღვენისგან განსხვავებით, ნამდვილად არ ყოფილა მოულოდნელი, რადგან 3-მა ქართველმა სამხედრო ავტომობილისტმა ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინ მოიარა იტალიასა და გერმანიაში დისლოცირებული ამერიკული სამხედრო ბაზები, სადაც მათ შეარჩიეს ეს 2,5 ტ და 5 ტ ტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილები. 69 სატვირთოდან 10 — სათადარიგო ნაწილებად დაიშლება.

საგულისხმოა, რომ ეს სატვირთო ავტომობილები შეუიარაღებელია და უმთავრესად სატვირთო და პირადი შემადგენლობის გადასაყვანად გამოიყენება, თუმცა რუსეთის ტელეარხებმა ისარგებლეს და მთელ ქვეყანას მოსდეს, — საქართველომ ამერიკიდან საბრძოლო ტექნიკა მიიღო საჩუქრადო.

„სან ლორენცოდან“ ჩამოტვირთული საავტომობილო ტექნიკის დანარჩენი ნაწილი საქართველოს ტერიტორიის გავლით გაიგზავნება შუა აზიაში იმ რეგიონის პოსტსაბჭოური ქვეყნებისთვის.

აბა, საჩუქარს რა სჯობს, თანაც მოულოდნელ საჩუქარს, მაგრამ მუდამ დახმარების მოიმედე ადამიანი ზარმაცდება. იგივე შეიძლება ითქვას ქვეყანაზეც — საქართველოს ნამდვილად შესწევს იმის ძალა, რომ საკუთარი არმია გამოკვებოს, საკუთარი წარმოებული სამხედრო ფორმა ჩააცვას და სათანადოდ ავარჯიშოს. ოღონდ ყოველივე ამისთვის საჭიროა კეთილი ნება და ქვეყნის ეკონომიკის სწორად წარმართვა.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# თევზაძეს ერაყშიც არ ასვენებენ

## საქართველოს თავდაცვის მინისტრს ააცილეს!

თავდაცვის მინისტრის, გენერალ-ლეიტენანტ დავით თევზაძის ერთდღიანი ვიზიტი ერაყში კინაღამ ტრაგედიით დამთავრდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთ ინტერპრეტაციას აძლევენ ამ ფაქტს მისი თანმხლები პირები, თორემ თავად მინისტრის თქმით, მას უბრალოდ... ჩაეძინა და არ გაუგია, როგორ გაუხსნეს ცეცხლი მის თვითმფრინავს მიწიდან.

საზენიტო ცეცხლს თვითმფრინავს, როგორც წესი, დაფრენის ან აფრენის მომენტში უხსნიან. საქართველოს თავდაცვის მინისტრი ერაყში ერთდღიანმა სტუმრობამ ალბათ ძალზე დაღალა, თორემ თვითმფრინავის აფრენამდე არ ჩაეძინებოდა.

სხვათა შორის, მან ინტერვიუში გულახდილად თქვა, — ცეცხლის გამხსნელებს ალბათ თვითმფრინავის ჩამოგდება სურდათ, თორემ აბა, მე ვის რად ვჭირდებოდიო!

თვითმფრინავი, რომელმაც ჩარტერული რეისი განახორციელა საქართველო-ერაყი-საქართველოს მარშრუტით, ქართველმა ბიზნესმენმა მამუკა ჯინჭარაძემ დაიქირავა თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური დელეგაციისთვის.

თავდაცვის სამინისტროს საკუთარი სამგზავრო თვითმფრინავი არ ჰყავს, რადგან ვარდიკო ნადიბაიძის დროინდელი საშტაბო Ту-134 თევზაძემ, გამინისტრებისთანავე (1998 წლის გაზაფხული), პრეზიდენტ შევარდნაძის მომსახურე საავიაციო ესკადრილიას დაუთმო და მასზე მეურვეობა სახელმწიფო დაცვის სამსახურმა აიღო. თუმცა, როგორც ამბობენ, ეს თვითმფრინავი მას შემდეგ ჰაერში ასული არავის უნახავს. შეიძლება იმიტომაც, რომ ამ Ту-134-ს თუ კაპიტალური რემონტი რუსეთში ჩაუტარდებოდა, რუსეთის თავდაცვის სამინისტრო აპირებდა მის დაკავებას და თავისთვის დატოვებას.



ერაყში გენერალ თევზაძის ერთდღიანი სტუმრობის უნიკალური ფოტო. ქ. თიქრიტში იგი იქ განთავსებულ ქართველ სამხედროებს ხვდება. მან ჯერჯერობით არ იცის, რომ რამდენიმე საათში ერაყის ცაში მასზე ადგილობრივი პარტიზანები დაიწყებენ „ნადირობას“.

ერაყში მინისტრი თევზაძე და მისი თანმხლები ჯგუფი (სულ ათიოდე კაცი) უკრაინისგან ნაქირავები Ан-24 ტიპის თვითმფრინავით ჩაფრინდა. ეს საბჭოთა წარმოების, ორძრავიანი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი, თავისი კონფიგურაციით, არ ჰგავს არც ერთ იმ სატრანსპორტო თვითმფრინავს, რომლებსაც ამერიკელები ერაყში ინტენსიურად იყენებენ.

თუმცა, ეტყობა, ერაყელებისთვის სულერთია, რომელ თვითმფრინავს გაუხსნიან ცეცხლს, რადგან ამერიკელების მიერ კონტროლირებადი ერაყის აეროდრომებიდან აფრენილ ყველა თვითმფრინავში მათ ქვეყანაში დაუპატიჟებლად შესულ უცხო ქვეყნის სამხედროებს ხედავენ.

ისე, თევზაძე და მისი თანმხლები პირები კიდევ კარგად გადარჩნენ, თორემ ერაყელებმა მანამდე საერთაშორისო გადაზიდვების კომპანია DHL-ის თვითმფრინავს მოარტყეს რაკეტა, ხოლო სულ რამდენიმე დღის წინ, ერაყელი პარტიზანების მიერ გაშვებული „სტრელას“ ტიპის საზენიტო რაკეტა ამერიკელების ყველაზე დიდ სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავ C-5 „გელაქსის“ მეოთხე, განაპირა ძრავაში მოხვდა. სხვათა შორის, ერაყში თავდაცვის მინისტრს ახლდა პოლკოვნიკი მალხაზ ჩიხლაძეც — მასზე წინა ნომერში ვწერდით. როგორც ირკვევა, გერმანიაში მომხდარი ჩხუბის გამო იგი მაიორად არ ჩამოუქვეითებიათ, თუმცა ამის შესახებ განაცხადეს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურმა პირებმა. და, რაც ყველაზე საინტერესოა, იგი ერაყში ვოიაჟის დროს მინისტრმა თევზაძემ წარადგინა, როგორც ახალი ქართული სამშვიდობო დანაყოფის უფროსი. მისი მეთაურობით 217 ქართველი სამხედრო 2 თებერვალს უნდა გაემგზავროს ერაყში იქ მყოფი 69 კოლეგის შესაცვლელად.

ამასთან, გაირკვა გერმანიაში, მარშალის ცენტრში, მომხდარი ჩხუბის დეტალები. ქართველ პოლკოვნიკს რამდენჯერმე უშნოდ გახუმრებია რუსი კოლეგა. მისი გამოწვევა რუს პოლკოვნიკს ბარშიც უცდია და საპასუხოდ გალახვაც დაიმსახურა. არც გამშველებლები დარჩენილან მუშტის გარეშე. ბოლოს, საქმეში პოლიცია ჩარეულა.

ასე რომ, პოლკოვნიკი ჩიხლაძე ალბათ მაინც უხელმძღვანელებს ქართულ სამშვიდობო დანაყოფს ერაყში, მიუხედავად აშშ-ის საელჩოს სამხედრო ატაშეს მიერ თავდაცვის სამინისტროში გაგზავნილი წერილისა, რომელშიც ამერიკული მხარე მარშალის ცენტრში მომხდარი ინციდენტის გამო, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მის დასჯას სთხოვდა.

სანამ საქართველოს თავდაცვის მინისტრზე ერაყის ცაში „ნადირობდნენ“, მისმა პოლონელმა კოლეგამ, ეჟი შმაიძინსკიმ, განაცხადა, რომ ერაყში, პოლონეთის პასუხისმგებლობის სექტორში, თავის დანაყოფებს გაგზავნიან სამხრეთ კორეისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროები. ამ სექტორში განთავსებულ პოლონურ დივიზიაში ერთდროულად 25 ქვეყნის წარმომადგენლები იმსახურებენ.

# ცოდვიანი ღამე სოფელს დღესაც ახსოვს...

ტრაგედია 1996 წლის შემოდგომაზე დატრიალდა. სექტემბერის ღამეს, თიანეთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში პეტრე აბზიანიძის (აქ და ქვემოთ გვარსახელები შეცვლილია) ხუთსულიანი ოჯახი და იმ ღამით მათთან მყოფი ორი ახლობელი ამოხოცეს. ამ ამბისადმი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინტერესი დღემდე არ ცხრება, მეტიც, ინტერესს კიდევ უფრო აღვივებს ის გარემოება, რომ დანაშაული მეტად ალოგიკურად „გაიხსნა“... მომხდარიდან მეშვიდე წელს.

თავისთავად ცხადია, „კვირის პალიტრას“ მოუწევს მასმედიის საშუალებებში ამ საქმესთან დაკავშირებული ზოგიერთი დეტალისა და მოსაზრების გამეორება. თუმცა, დაინტერესებული მკითხველი ჩვენს პუბლიკაციაში ისეთ შემზარავ სიმართლესაც ამოიკითხავს, რაც დღემდე არსად თქმულა და შესაძლოა გამოძიებისთვისაც სიახლე აღმოჩნდეს, თუმცა, ამაზე ცოტა მოგვიანებით. ჯერ ვნახოთ, როგორ განვითარდა მოვლენები და რა ვითარებაა დღეისათვის.

## განგაში

სამი წლით ადრე პეტრე აბზიანიძე იმ დროისათვის უკვე მოსკოვში დამკვიდრებული ცოლისძმის, გიგუშა გიგაურის რჩევას დაჰყვა და ლუკმაპურის საშოვნელად მეუღლესთან ერთად რუსეთის დედაქალაქს მიაშურა. იქ იზმაილოვოს რაიონში, მეტრო „ავტოზავადსკოეს“ მახლობლად ლუდითა და ღვეზლით ვაჭრობდნენ. დაზამთრებიდან შემოდგომამდე ორიოდ კაპიკს უყრიდნენ თავს. მერე აქეთ, სოფლისაკენ მოიჩქაროდნენ — ბავშვებთან. პირუტყვს აბინავებდნენ, ზამთრის საკვებს იმარაგებდნენ. იმ წელსაც ასე იყო. სექტემბრის დასაწყისში ჩამოვიდა ცოლი და ქმარი, ბავშვებსა და საქონელს დახედეს, ეზოს ქვითკირის გალავანი შემოავლეს, პროფესიით ტრაქტორისტ — პეტრეს ტრაქტორის ყიდვა უნდოდა. ემამ კი ავეჯის შეძენა მოინდომა, მაგრამ რაკი ამდენი ფული არ აღმოაჩნდათ, ეს საქმე სამომავლოდ გადადეს. იმ საღამოს გალავნის დამთავრების აღსანიშნავი ვახშამი გამართეს. მეზობელთან ერთად მოილხინეს და უკვე გვიანი იყო, დასაძინებლად რომ დაწვნენ. იქვე დარჩა დასთან სტუმრად მყოფი, პეტრეს მეორე ცოლისძმა ნოდარ გიგაური და აბზიანიძეების ხანდაზმული მეზობელი თინა შალვაშვილი. მეორე დილით ბელეტაჟზე შედგმული ამ სახლის ჯერ კიდევ მოუთავებელ კიბეზე პეტრეს მამა, სამოცდაათი წლის მიშა აბზიანიძე ავიდა. იმ ოთახში შევიდა, სადაც ნოდარ გიგაურს ეძინა, მაგიდაზე ხორცით სავსე მინის ქილა დადო და უკან გამობრუნდა. როგორც თვითონ აცხადებს, არც სისხლის კვალი შეუნიშნავს და არც სხვა საეჭვო რამ. რამდენიმე წუთის შემდეგ კიბეზე ადის მიშას რძალი, გარდაცვლილი შვილის ქვრივი, მზია ბალარჯიშვილი და იმავე წამს ისმის მისი შემზარავი კივილი... „მიშველეთ, ყველანი დაუხოცავთ, სისხლი, სისხლი!“.

მეგი ბუგიანიშვილი (აბზიანიძეების მეზობელი, ეჭვმიტანილი გუბაზ ოშხერელის და): — შესასვლელში პეტრეს ცოლისძმა იწვა. მისთვის თავში ესროლათ, შუბლი ერთიანად ჰქონდა შენგრეული. გარშემო სისხლის გუბეები იდგა. უფრო შემზარავი სანახავი იყო ბავშვების ოთახი. სამივე ბავშვი — 15 წლის თიკო, 14 წლის ბაია და 10 წლის გოდერძიც ტყვიით დახოცილები იყვნენ. იმავე ოთახში ეგდო თინა შალვაშვილის გვამიც. კივილზე მეზობლები მოაწყდნენ ეზოს. მამაკაცებს ვუთხარი, პეტრესა და ემას საძინებელში შეიხედეთ, იქნებ ისინი ჯერაც ცოცხლები არიან-მეთქი, მაგრამ ცოლ-ქმარიც ისევე ჩაეცხრილათ, როგორც დანარჩენები. აშკარად ჩანდა, მძინარეები ისე დახოცეს, არც ერთს არაფერი გაუგია, მაგრამ სხვებს თუ თითო-ოროლა ნასროლი ჰქონდათ, ერთ-ერთ გოგონას ავტომატის მთელი ჯერი ჰქონდა მიყრილი. რატომ? რისთვის? არავინ იცის. წაღებული არაფერი იყო, ფულიც კი ხელუხლებლად იდო ცოლ-ქმრის საწოლქვეშ.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროკურატურამ იმ დღესვე ვერტმფრენით გადასვეს რამდენიმე მომკვლევი ჯგუფი თიანეთში, რომლის ხელმძღვანელობა პროფესიონალ იურისტს, იმხანად რესპუბლიკის პროკურორის ერთ-ერთ მოადგილეს მიანდვეს. ჩვენი აზრით, ეს იყო ამ საქმის ძიებაში დაშვებული პირველი და გადამწყვეტი შეცდომა — ასეთ დროს მოკვლევას პროფესიონალი მაძებარი სჭირდება და არა — თანამდებობის პირი, რაც ზედმეტი სულაც არაა, მაგრამ დანაშაულის გახსნა, პირველ რიგში პროფესიონალი მაძებრის, ოპერმუშაკის საქმეა. ამას, ბუნებრივია, მოჰყვა შეცდომების სერია, დღემდე პასუხგაუცემელი უამრავი კითხვა და ჭორი. ამბობდნენ, ამ მკვლელობაში ჩვენი მკითხველისათვის ცნობილი მადლენას (იხ. „კვირის პალიტრა“, 2002 წ., 2-8 სექტემბერი) ბანდის ხელი ურევიაო, რომელიც იმ დროისათვის ფაქტობრივად ლიკვიდირებული იყო. პროკურატურისა და პოლიციის თანამშრომლებით დაკომპლექტებული ცალკეული ჯგუფები ერთმანეთს ეცილებოდნენ პირველობას და ამით ფაქტობრივად შლიდნენ საქმესთან დაკავშირებულ ყველა შესაძლო ნაკვალევს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ პოლიციაში მიყვანილთა კივილი მთელ ქალაქში ისმოდა. ამის შემყურე ბევრი ადამიანი, ისინი, ვისაც შეეძლოთ გამოძიებისათვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიეწოდებინა, რაიონიდან გარბოდა. იქაურებს ეს შიში დღემდე არ განელებიათ და სულაც არ გამკვირვებია, რომ ახალი წლის წინა დღეებში ამ საქმესთან დაკავშირებით თიანეთში ჩასულს აშკარად გამირბოდნენ ჩემი რესპონდენტები. ამისდა მიუხედავად, მაინც შევძელი რამდენიმე კაცთან გასაუბრება, მაგრამ იმთავითვე შემაშფოთა დახოცილების დისა და მამიდის, ქალბატონ პელო აბზიანიძე-ხარხელაურის პოზიციამ. იგი ყველანაირად ცდილობდა ხელი შეეშალა ჟურნალისტთან მისი მეუღლის, ბატონ ომარ ხარხელაურის საუბრისათვის. ქალბატონ პელოს ეს საქციელი ჩემი კიდევ უფრო დაინტერესების საბაბი გახდა და ამიტომ დეკემბრის ბოლოსთვის დაგეგმილი წერილის გამოქვეყნება გადაიდო. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი აზრით, შევძელით იმ ინფორმაციის მოპოვება, რომლისაც ასე ეშინიათ აბზიანიძეების ოჯახის წევრებს და რაც ნამდვილად არ გაემტყუნებათ.



## ვერსიები

მაინც ვის ან რატომ უნდა ამოეხოცა აბზიანიძეების ოჯახი? რა ცოდვა ჰქონდათ, რომ ასე სასტიკად გაუსწორდნენ ბავშვებსაც კი? ეს კითხვა მერვე წელია აწვალებს ყველას. გასულ წელს საქმის „გახსნის“ მიუხედავად, თვითონ გამოძიებაც ვერ ახერხებს არგუმენტირებული ბრალი წაუყენოს ეჭვმიტანილს, ამის გამო კი უკვე მეორედ გააგრძელებინა სასამართლოს მისთვის წინასწარი სამთვიანი საპატიმრო ვადა. ჩანს, იგი კიდევ კარგა ხანს ვერ გასცემს ამ კითხვას სწორ პასუხს. აქამდე არსებული ვერსიები კი უსაფუძვლოდ უარყვეს — არასერიოზული დამოკიდებულების გამო დაუკარგეს მათ რეალიზაციის პერსპექტივა. იყო ისეთებიც, თავისთავად რომ უნდა გამორიცხულიყო. მაგალითად, ერთი ვერსიის თანახმად, ცოლ-ქმარს მოსკოვიდან ან დიდი ოდენობით ნარკოტიკი გამოატანეს, ან რადიოაქტიური ნივთიერება და რომ ტრაგედიაც წილის გაყოფაში წარმოქმნილი დავის შედეგი იყო. ეს იმ დროს, როცა ცოლიცა და ქმარიც ჩამოსვლის დღისთანავე ან მთაში იყვნენ და საქონლისთვის თივას ამზადებდნენ, ან ეზო-კარს უვლიდნენ და თან მოსკოვში დაბრუნებასაც ეშურებოდნენ. ასეთებს მსგავსი პრობლემები არ აწუხებთ.

მეორე ვერსიის თანახმად, მდინარე იორს გადაღმა აბზიანიძეების სახლის საპირისპირო მხარეს მკვლელობამდე სამი დღის განმავლობაში იდგა თეთრი მანქანა, რომელთანაც მიახლოების სურვილი რატომღაც არავის გაუჩნდა. არც მანქანის ნომერი დაუმახსოვრებია ვინმეს, არც მისი მგზავრები. მთაში კი ასე არ ხდება — საკმარისია უცხო კაცმა გაიაროს და ყველამ ყველაფერი იცის.

ნუგზარ ჭიპაშვილი (აბზიანიძეების მეზობელი) — წყალგაღმა მანქანა სამ დღეს კი არა, მგონი ერთ კვირას იდგა...

მიშა აბზიანიძე (პეტრე აბზიანიძის მამა): — წყალგაღმა იყო მანქანა, სამ დღეს იდგა.

— იქითურებიც ხომ თქვენი მეზობლები არიან. როგორ გგონიათ, რატომ არ თქვეს. უბანში შვიდი კაცი ამოხოცეს, აქ კიდევ რამდენიმე დღე უცხო მანქანა ტრიალებდა.

— არ ამბობენ. ყველას სცემდნენ და ვინ რას იტყოდა...

— კი, მაგრამ, როცა ასეთი რამ ხდება, რად უნდოდა ამას პოლიცია, მის გარეშეც შეიძლებოდა მანქანის პატრონის დადგენა.

— რა ვი, აბა. ასე კი იყო და...

ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ ამ გზაზე სატვირთოთი მიმავალ ახალგაზრდებს განუცხადებიათ — იმ თეთრი მანქანის დანახვაზე ისეთმა უცნაურმა შიშმა აგვიტანა, რომ უკან დაბრუნებას ვაპირებდითო. მათივე განცხადებით კი ისინი მთაში ავიდნენ და იქ თიბავდნენ იმ დღეებში. აქაურები იმასაც ამბობენ, რომ ისინი: ბახვა ჯაჯანაშვილი, მურთაზ შიმშილაშვილი, გერა წვენიაშვილი, ვახტანგ დათაშვილი და სხვები იმ დღეს სათიბში არ ყოფილან, მაშ, რისთვის დასჭირდათ ტყუილი? თუმცა სანდო წყაროს ცნობით, ყველანი წესიერი ახალგაზრდები არიან, მაგრამ ალბათ სადავო არაა, რომ სიმართლის დასადგენად აუცილებელია ყველა წვრილმანის გათვალისწინება.

იმ დღეებში ვორონეჟიდან თიანეთში, თავისიანებთან ჩავიდა აბზიანიძეების მეზობელი გუბაზ ოშხერელი. კაცი, რომელიც 10-12 წლის წინ სპორტულ სარბიელზე ბუგიანიშვილის გვარით გამოდიოდა. მერე ეს გვარი არ მოეწონა და ოშხერელი დაირქვა. დაბადების წელიც გადაიკეთა, რაც არცთუ ისე იშვიათი მოვლენაა სპორტსმენების ცხოვრებაში. მასვე ოცდახუთი წლის წინ, როცა ჯერ კიდევ არასრულწლოვანი იყო, შემთხვევით მეგობარი შემოაკვდა სანადირო თოფით. არსებული კანონის შესაბამისად, მაშინ თოფის სრულწლოვანი პატრონი დასაჯა სასამართლომ, არასრულწლოვანი კი გაამართლა. ამ ამბის გახსენება იმიტომ დაგვჭირდა, რომ ახლა ყველაფერ ამას მომხდარ ტრაგედიაში ეჭვმიტანილად ცნობილი გუბაზ ოშხერელის კომპრომეტაციისთვის იყენებს გამოძიება, არადა ისიც კმარა, რომ იგი ქურდია და ვფიქრობთ, ამით ყველაფერია ნათქვამი. ქურდი კი ციხეში უნდა იჯდეს. ოღონდ არა როგორც მკვლელი, მით უმეტეს, როცა მას ეს დანაშაული არ ჩაუდენია. საამისოდ კი სავალდებულოზე მეტი მტკიცებულება არსებობს. ლოთბაზარა გუბაზ ოშხერელი იმ ღამით თიანელ გიგი ხატიაშვილს სტუმრობდა, ნუგზარ ჭიპაშვილსა და მინდია კაციაშვილთან ერთად. საღამოს გზად მიმავალ მწყემსს ბატკანი წაართვა თუ „შეაწერა“, სამარხვო ქეიფი რომ არ გამოსვლოდა. სწორედ ეს ინციდენტი და მისი წარსული შეიქნა იმის მიზეზი, ოშხერელი რომ იმ დღეებშივე დაეკავებინათ, მაგრამ მისი ალიბი იმდენად მტკიცე აღმოჩნდა, რომ ორი კვირის შემდეგ გაათავისუფლეს. ერთი სიტყვით, სამართალდამცავებმა ამით წყალი აამღვრიეს და მეტი არაფერი. ბოლოს და ბოლოს, თბილისშიც მიხვდნენ შეცდომას და ორი თვის შემდეგ თიანეთში პროფესიონალთა მცირერიცხოვანი ჯგუფი გაუშვეს. მაგრამ მალე, როგორც ეს მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს სჩვეოდა, ჯგუფის ხელმძღვანელი საქმეს ჩამოაშორეს. შვიდი კაცის მკვლელობის ოპერატიული დამუშავება უვადოდ გადაიდო. თვითონ საქმე კი გამომძიებელს გადააწერეს და დანარჩენებმა ხელი დაიბანეს. წერილის მზადების ბოლო სამი დღის განმავლობაში, არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, ვერ მოვახერხე ამ საქმის გამომძიებელ ბატონ მერაბ აბრამიასთან დაკავშირება, რადგან ტელეფონი სულ გამორთული ჰქონდა. თუმცა ამ საქმესთან დაკავშირებული მისი არგუმენტები სხვა გაზეთებისთვის მიცემული სიტყვაძუნწი ინტერვიუებიდანაც ცნობილია და მათ ერთი საერთო ნიშანი აერთიანებთ — ვრცელი განმარტებებისგან თავს იკავებს... გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე ეს ასეც უნდა იყოს. არადა, საინტერესოა: რატომ დუმდა ოშხერელის დეიდაშვილის შვილი, ყაჩაღობისათვის მსჯავრდადებული თბილისელი დავით მკალავიშვილი მთელი შვიდი წლის განმავლობაში, რომელიც ახლა აცხადებს: გუბაზ ოშხერელმა თავის დროზე აბზიანიძეების დაყაჩაღება შემომთავაზა და შეუძლოდ ყოფნა მოვიმიზეზე, მაგრამ მანქანაზე უარი ვეღარ ვუთხარი. მეორე დღეს მანქანა ბერდო ხმიადაშვილმა ჩამომიყვანა და მითხრა, რომ გუბაზს წუხელ შვიდი კაცი შემოაკვდაო. ჯერ ერთი, თიანელი კაცი თიანეთში საყაჩაღოდ თბილისში რატომ ინათხოვრებდა მანქანას. მეორეც, რატომ გაანდობდა 18 წლის ბერდო ხმიადაშვილს შვიდი კაცის მკვლელი თავის საიდუმლოს და თბილისშიც დააბარებდა — იქაც თქვი, შვიდი კაცი რომ მოვკალიო. რატომ ანდობდნენ მართვის უფლების უქონელ ცხვირმოუხოცავ ბიჭს მანქანას თიანეთიდან თბილისში — აფრიკის დასახლებამდე.

ასეა თუ ისე, ამ „ჩვენებების“ საფუძველზე გასულ ზაფხულს, მომხდარიდან შვიდი წლის შემდეგ, რუსეთიდან ექსტრადირება გაუკეთეს ქურდობისათვის მსჯავრდადებულ გუბაზ ოშხერელს და ახლა მის გასამართლებას აპირებენ აბზიანიძეების ოჯახში დატრიალებული ტრაგედიისათვის. დააპატიმრეს ბერდო ხმიადაშვილიც, რომელიც უკვე თიანეთის პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი გახდა და სტატუსით ევალებოდა ოპერატიული ინფორმაციების შეგროვება აბზიანიძეების მკვლელობის საქმეზე.

მერი აფციაური (ხმიადაშვილის ადვოკატი): — ბერდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს „კაპეზეში“ გადაყვანის დღიდან სასტიკად აწამებდნენ. მკალავიშვილის ჩვენების დადასტურებას აიძულებდნენ — ხელ-ფეხზე დენს უერთებდნენ, ხელკეტებით სცემდნენ. ბოლოს ვეღარ გაუძლო და იძულებული გახდა, ხელი მოეწერა პროკურორის მიერ გამოტანილ ბრალდებებზე. სასამართლომ სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა, მაგრამ ორთაჭალის იზოლატორში გადაყვანის ნაცვლად, „კაპეზეში“ დატოვეს და იმავე მეთოდებით განაგრძობდნენ მის დამუშავებას. ჯალათებს თავზე ნიღბები ჰქონიათ ჩამოცმული. ხმიადაშვილი, როგორც იქნა, გადაიყვანეს მეხუთე იზოლატორში, მაგრამ იქაც „კაპეზეს“ პირობებში ამყოფებდნენ, ანუ კვლავ გრძელდებოდა მასზე ფიზიკური ზემოქმედება. გამოძიებას სამხილი არ აქვს, ამისდა მიუხედავად, არ ჩქარობენ პატიმრის გათავისუფლებას.

გურამ გულიაშვილი (ოშხერელის ადვოკატი): — როდესაც ოშხერელი პირველად დააკავეს, წამების ყველანაირი მეთოდი გამოიყენეს. მიუხედავად ამისა, მან არ აღიარა დანაშაული. მკალავიშვილის ჩვენება კი, ცხადია, შეთხზულია და დარწმუნებული ვარ, მალე თვითონ გენპროკურატურა მოითხოვს ოშხერელისა და ხმიადაშვილის გათავისუფლებას, რადგან მტკიცებულება არ გააჩნიათ.

ამჟამად დაცვა გამოძიებისაგან ითხოვს მკალავიშვილისა და ოშხერელის დაპირისპირებას. ამასობაში კი გამოძიებამ ავჭალის კოლონიაში გამონახა მსჯავრდადებული, ქურდბაცაცა ჯუბა მაკარიძე, რომელიც დავით მკალავიშვილის ჩვენების გასამაგრებლად სჭირდება. მაგრამ ვეჭვობ, რომ ეს კაცი (ამ შემთხვევაში მოწმე) საქმეს სასამართლომდე მიჰყვეს. წერილის ავტორმა კოლონიაში მოინახულა მაკარიძე, რომელმაც გაანდო ჟურნალისტს, რომ გამომძიებელმა იგი საგანგებოდ მოინახულა, რამდენიმე ცალი კოროლიოკი მიართვა და დახმარება სთხოვა. მართალია, ის აღარ გვითხრა მაკარიძემ, სანაცვლოდ რას შეჰპირდა პირადად მას, მაგრამ ის კი თქვა, ოშხერელზე საქმის აკიდების შემთხვევაში, მკალავიშვილს ერთ წელიწადში კოლონიის გარეთ გაგდებას დაჰპირდნენო.

## სოდომი ანუ ვერსიის ვერსია

ახლა ისეთი რამ უნდა გაუწყოთ, რამაც შესაძლოა მკითხველს თავზარი დასცეს, მაგრამ ჯერ ერთი, გამიჭირდება იმ საიდუმლოთი ვიცხოვრო, რომელიც ამ დღეებში გამანდეს. მეორეც, მართალია, პირობის შესაბამისად წყაროს ვერ დავასახელებ, მაგრამ იმავე პირობის თანახმად, მოვალე ვარ ეს საქმე გავახმაურო, ვინძლო, ყურად იღოს მან, ვინაც ჯერ არს. თუმცა სულაც არ ვცდილობ იმის მტკიცებას, რომ ჩემი ვერსია მაინცდამაინც ერთადერთია და ჭეშმარიტი. უბრალოდ, იგი ვერსიების დიდი ჯაჭვის ერთი რგოლია. კარგი იყო თუ ცუდი, გამოძიება საწყის ეტაპზე იხილავდა ვერსიას იმის შესახებ, რომ პეტრეს მამას, ოდესღაც რუსული საიდუმლო სპეცბატალიონის მოსამსახურეს, მიშა აბზიანიძესა და მისი გარდაცვლილი შვილის ქვრივს, მზია ბალარჯიშვილს ინტიმური ურთიერთობა ჰქონდათ, რაც შესაძლოა ამ ტრაგედიის საფუძველი გამხდარიყო. ჩემი ოპერატიულ სამსახურში მუშაობის გამოცდილებით ვიცი — ასეთ რამეს სამართალდამცველები არ შეთხზავენ. ასეთი რამ მხოლოდ სოფელმა იცის და დაუწერელი კანონის თანახმად, მის გახმაურებასაც ერიდებიან. თუმცა იმ დღეებში ამ ამბავმა მაინც გამოჟონა, მაგრამ მხოლოდ ჭორად. სხვა რამ ხელჩასაჭიდი რომ ჰქონოდათ, ვეჭვობ ისეთ გამოცდილ გამომძიებელს, როგორიც ბატონი მერაბ აბრამიაა, ვინმეს შიშით აევლო მისთვის გვერდი. გარდა ამისა, დასაწყისში პოლიციასა და პროკურატურას გამოუსწორებელი შეცდომები რომ არ დაეშვათ, დიდი ხნის წინ გაეცემოდა პასუხი ყველა კითხვას. კერძოდ, კარგად რომ ჩასძიებოდნენ იორგაღმა მდგარი მანქანის მგზავრების ვინაობის დადგენას, გაარკვევდნენ, რომ იქაურების უმრავლესობა იცნობდა მათ, მაგრამ სამართალდამცველებს თუ დაუმალეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ხალხს არაფერი ჰქონდა საერთო აბზიანიძეების ტრაგედიასთან, რადგან ამის ჩამდენი ოჯახის მამა, მიშა აბზიანიძე გახლავთ. ჩემი ინკოგნიტო რესპონდენტის ცნობით, პირველი შვილიც მიშას მოუკლავს (არ გვინდა დავიჯეროთ, რომ მის განზრახვას რძალიც იზიარებდა). სიბინძურე შეუმჩნეველი არ დარჩენია მის ვაჟს, როსტომს. არც ისაა გამორიცხული, რომ ამის შესახებ მამამთილისგან შეწუხებულმა თვითონ მზიამ უთხრა ქმარს, რის გამოც ურთიერთობა ისე დაიძაბა, რომ სიმთვრალეში უკიდურესად ცუდი ზნის მქონე მიშამ ერთხელ სახალხოდ ესროლა თოფი შვილს, მერე კი ჩაუსაფრდა — ჯერ ქვა ჩაარტყა თავში, შემდეგ კი ხიდიდან გადააგდო საკუთარი შვილი, რომლის გვამიც მეორე დღეს იპოვეს. იმ საბედისწერო საღამოსაც, ვიდრე სტუმრები სუფრაზე ილხენდნენ, შეზარხოშებულმა მიშამ საქონლის სადგომში დაიმარტოვა მეორე რძალი, პეტრეს მეუღლე ემა, მაგრამ ისეთი სილა მიიღო, რომ შემდეგში ალბათ ამის გაფიქრებასაც ვეღარ გაბედავდა და იქნებ ამით დასრულებულიყო ყველაფერი, რომ არა ბოსელში მოულოდნელად შესული პატარა თიკო, რომელმაც ყველაფერი დაინახა და ტყვიანაკრავივით გავარდა გარეთ. ემამაც უმალვე დატოვა ბოსელი, თუმცა მიშა დიდხანს იდგა გაოგნებული. დარწმუნებული იყო, რომ ქალი ქმარს არაფერს ეტყოდა, მაგრამ ბავშვი ნამდვილად არ ეიმედებოდა. სანამ პეტრე თამადობდა, ამას ვერ მოახერხებდა. სუფრის დაშლამდეც დაიძინებდა, მაგრამ ხვალ კი აუცილებლად ეტყოდა მამას და მაშინ?..

***(გაგრძელება იხ. გვ. 27)***

# ვინ იმუქრებოდა თბილისის ერთ-ერთი ცათამბჯენის აფეთქებით

## „პრივატიზაციის“ შედეგად მითვისებული მილიარდობით დოლარის ქონების განიავება გრძელდება




**შეგნებულად არ მოიწვიეს აქციონერთა კრება და არც ჩვენ მოგვცეს მისი მოწვევის უფლება. მიდიოდა დაშინება და ზეწოლა თანამშრომლებზე. დამნაშავეებსაც დაუკავშირდნენ და ცემა-ტყეპით, იარაღით გვაიძულებდნენ ხმა ჩაგვეკმინდა. აქციონერებისგან მოითხოვდნენ მათ ხელთ არსებული აქციების გაყიდვას და ამ გზით თანამშრომლების საერთო წილიდან, დაახლოებით აქციების სამი-ოთხი პროცენტის ხელში ჩაგდება მოახერხეს. შედეგად, ისინი გახდნენ აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელები და დაიწყო შენობაში არსებული ქონების განიავება.**

*ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე სააქციო საზოგადოება „საქტრანსპროექტის“ ბუღალტერიაში, შემდეგ კი შენობის დაცვის ოთახში უცნობმა პირმა დარეკა — იგი შენობის („საქტრანსპროექტის“ თერთმეტსართულიანი შენობა თამარ მეფისა და აღმაშენებლის გამზირების გადაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზეა აღმართული. — ზ. ჩ.) აფეთქებით იმუქრებოდა, თუ ადმინისტრაციის წევრები, რომლებმაც მუქარითა და ძალის გამოყენებით აიძულეს ზოგიერთი აქციონერი კუთვნილი აქციები მათთვის დაეთმოთ, კანონიერებას არ აღადგენდნენ. უცნობი „ტერორისტი“ მოითხოვდა, რომ ადმინისტრაციას დაებრუნებინა თანამშრომლებისთვის წართმეული აქციები და სააქციო საზოგადოების მართვა კანონიერი მფლობელებისთვის დაეთმო. საზოგადოების ხელმძღვანელმა მომხდარის შესახებ სამართალდამცველებს აცნობა და უშიშროებამ „საქტრანსპროექტის“ ტელეფონებზე კონტროლი დააწესა...*

*მაინც რა ხდება ს/ს „საქტრანსპროექტში“? სჯობს ყველაფერს თანამიმდევრულად მივყვეთ.*

*დაახლოებით ერთი წელია, თბილისელებს თვალში უშნოდ ეჩხირება „საქტრანსპროექტის“ ჯერ კიდევ ლამაზი შენობის მეექვსე სართულზე უზარმაზარი წითელი ასოებით დაწერილი განცხადება — „ქირავდება“, ქვემოთ მიწერილი ტელეფონის ნომრებით. ბევრჯერ გამიგია მოქალაქეებისაგან — სინამდვილეში, იყიდება და „ქირავდება“ მხოლოდ თვალის ასახვევად დაუწერიათ შენობის პატრონებსო. სხვაც ბევრი რამ მსმენოდა ამ შენობაზე და გულში ვფიქრობდი, ერთ დღეს აუცილებლად მოვიცლი და დავინტერესდები, რა ხდება ერთ-ერთ თბილისურ „ცათამბჯენში“-მეთქი.*

*ახალი წლის წინა დღეებში რედაქციაში მისულს ოცამდე მოქალაქე დამხვდა, რომლებიც ჟურნალისტთან შეხვედრას ითხოვდნენ. ისინი სწორედ „საქტრანსპროექტის“ თანამშრომლები აღმოჩნდნენ. ოც კაცთან საუბარი ძნელია, ამიტომ ერთობლივად გადავწყვიტეთ, რომ სათქმელს მათ მიერ არჩეული ორი „დელეგატი“ გადმომცემდა. დელეგატები რედაქციის შენობაში მივიწვიე და დიქტოფონი ჩავრთე. ჩემი რესპონდენტები ს/ს „საქტრანსპროექტის“ გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე* ***ამირან გეგენავა*** *და ამავე საზოგადოების პროექტების მთავარი ინჟინერი* ***ზეინაბ ბრიხალოვა*** *აღმოჩნდნენ. მათი განცხადებით: „ჩვენ უკან „საქტრანსპროექტის“* 400-ზე მეტი თანამშრომელი და მათი ოჯახის წევრები დგანან. ჩვენი კანონიერი უფლებები ფეხქვეშ გათელეს და ულუკმაპუროდ დაგვაგდეს. საქმე „საქტრანსპროექტის“ ქონების პრივატიზაციას ეხება. ჯერ კიდევ 1994 წელს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, მაშინდელი ქონების მართვის სამინისტროს დადგენილებით ჩვენს შრომით კოლექტივს უფლება მიეცა სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბებულიყო. კანონის თანახმად, როგორც თანამშრომლებს, უფლება გვქონდა პირდაპირი მიყიდვის გზით შეგვეძინა აქციების 50,23 პროცენტი, ფასდაკლებით კი აქციების 3,96 პროცენტი და უფასოდ მიგვეღო აქციების 7,91 პროცენტი. ანუ თავს იყრიდა აქციების 62,1 პროცენტი. თანამშრომლებმა აქციების შესყიდვა დავიწყეთ. ამ დროს ჩვენი შენობით დაინტერესდა რკინიგზის დეპარტამენტის შეფი აკაკი ჩხაიძე. მან ასეთი რამ შემოგვთავაზა, — პრივატიზაცია დაუბრკოლებლად ჩატარდება, თუ ს/ს „საქტრანსპროექტის“ თანამშრომლები ნებაყოფლობით დათმობენ შენობის ორ სართულს ჩემს სასარგებლოდო. რკინიგზის ხელმძღვანელის არაკანონიერ მოთხოვნას არ დავთანხმდით — ვიცოდით, თუ ორ სართულს დავუთმობდით, მოგვიანებით ოთხს მოინდომებდა და ბოლოს სულ წაგვართმევდა შენობას. ამან გაანაწყენა ჩხაიძე და დაგვემუქრა ორმოცამდე კაცის თანდასწრებით — აი, ნახეთ, რაც და-გემართოთ. ჯობდა, ორი სართული ჩემთვის დაგეთმოთო. მართლაც შეგვისრულა მუქარა. თავდაპირველად, შეკვეთები შეგვიწყვიტა — „საქტრანსპროექტი“ რკინიგზის დეპარტამენტს შეკვეთებს საპროექტო სამუშაოებს უსრულებდა. ჩხაიძის მითითებით რკინიგზის ბუღალტერიამ ჩვენ მიერ უკვე შესრულებული საპროექტო სამუშაოების თანხები აღარ გადმორიცხა. განსაკუთრებით, ორი თანხის ბედი გვაღელვებს — 375 ათასი ლარისა და ნახევარი მილიონის. ეს თანხები ჩვენ გვეკუთვნოდა, მაგრამ რკინიგზამ საქმეში კაკო შევარდნაძის შპს „კარლოსი“ ჩართო და ის თანხები მას გადაურიცხა. ეს ოპერაცია რაღაც ფინანსური მაქინაციით დააკანონა. მერე კი „საქტრანსპროექტის“ შენობის პრივატიზაციის პროცესიც შეაჩერა. კერძოდ, სახელმწიფო კანცელარიაში არსებობს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელის წერილი, რომელიც დაუსაბუთებლად და ამასთან, კატეგორიულად მოითხოვს „საქტრანსპროექტის“ პრივატიზაციის შეჩერებას.

*აქ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მკითხველს გავაცნოთ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის განკარგულება, სადაც წერია: „სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, შეჩერდეს „საქტრანსპროექტის“ ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების პრივატიზაცია“. საუბარს კვლავ* ***ამირან გეგენავა*** *და* ***ზეინაბ ბრიხალოვა*** *აგრძელებენ:*

— დარწმუნებული ვართ, ეს განკარგულება პრეზიდენტს კაკო და ნუგზარ შევარდნაძეებმა შეუცურეს ხელმოსაწერად.

**— ნუგზარსა და კაკოს რა ხელს აძლევდათ პრივატიზაციის შეჩერება?**

— ალბათ ჩხაიძემ დააინტერესა ისინი „საქტრანსპროექტის“ შენობით. ძნელი იყო ყოვლისშემძლე პირებისთვის ამ გემრიელი ლუკმის რიგითი ინჟინრებისთვის დათმობა. მათ „საქტრანსპროექტის“ ყოფილი დირექტორიც გადაიბირეს და ერთ დღეს გვესტუმრნენ შპს „ეი-ემ ფაინენშელ გროუპის“ წარმომადგენლები, რომლებმაც განგვიცხადეს, შენობა აქ არსებული ქონებით ჩვენი საკუთრებაა და ქონების მართვის სამინისტროში კომერციულ კონკურსზე „საქტრანსპროექტის“ აქციების საკონტროლო პაკეტი შევისყიდეთო. გაკვირვებისაგან პირი დავაღეთ — 400-ზე მეტმა თანამშრომელმა ისიც კი არ ვიცოდით, პრივატიზაციის პროცესი თუ განახლებული იყო. მოგვიანებით დავადგინეთ, რომ ქონების მართვის სამინისტროს დაინტერესებული პირების ზეწოლით პრივატიზაციის განახლების შესახებ ინფორმაცია გაუსაიდუმლოებია...

*აქ იძულებული ვართ კვლავ გავწყვიტოთ ინტერვიუ და მკითხველს გავაცნოთ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის განკარგულება, სადაც ვკითხულობთ: „საქართველოს კანონის შესაბამისად, განახლდა სააქციო საზოგადოება „საქტრანსპროექტის“ აქციების პრივატიზირება“. ქონების მართვის სამინისტროს იმავე წლის ბრძანებით კი დაინიშნა ს/ს „საქტრანსპროექტის“ აქციათა პაკეტის (საწესდებო კაპიტალის 75 პროცენტის) კომერციული კონკურსის საშუალებით გაყიდვა. სამინისტროს ბრძანება გვამცნობს, რომ ეს ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთ „მესაკუთრის“ 1998 წლის 5 ივნისის ნომერში (სხვათა შორის, ჩვენ შევეცადეთ გადაგვემოწმებინა გაზეთ „მესაკუთრის“ იმ ნომრის არსებობა, სადაც ს/ს „საქტრანსპროექტის“ აქციების კონკურსის წესით გაყიდვის შესახებ განცხადება იყო დაბეჭდილი. სამწუხაროდ, გაზეთის ეს ნომერი საჯარო ბიბლიოთეკიდან გამქრალია, რასაც ბიბლიოთეკის თანამშრომლები ოფიციალური წერილით ადასტურებენ).*

*ჩვენი რესპონდენტის აზრით, პრივატიზაციის შესახებ ინფორმაცია შეგნებულად დამალა ქონების მართვის სამინისტრომ და იმ ხალხმა, რომლებსაც აქციების უკანონოდ ხელში ჩაგდება სურდათ. სამინისტროს არ შეეძლო კონკურსის გამოცხადება აქციების საკონტროლო პაკეტის გასაყიდად, — კონკურსი შეჩერებული იყო და არც არავის გაუუქმებია პრეზიდენტის ადრინდელი განკარგულება და ქონების მართვის სამინისტროს ბრძანებულება. ასევე, კანონიც, რომლის თანახმად, აქციების საკონტროლო პაკეტი ორგანიზაციის თანამშრომლებს უნდა ეყიდათ. კონკურსი შეჩერებული იყო და არა გაუქმებული.*

***ამირან გეგენავა*** და ***ზეინაბ ბრიხალოვა***: — იმ დროს, როდესაც კონკურსი შეჩერდა, ჩვენ აქციების 25 პროცენტი ნაყიდი გვქონდა. ერთი სიტყვით, შპს „ეი-ემ ფაინენშელ გროუპის“ წარმომადგენლებმა სამინისტროს ბრძანება აგვიფრიალეს და საკონკურსო კომისიის ოქმიც გვაჩვენეს, სადაც კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადებული იყო შპს „ეი-ემ ფაინენშელ გროუპი“, რომელმაც აქციათა 75 პროცენტი 200 ათას დოლარად იყიდა. როგორც აღმოჩნდა, რომ შპს „ეი-ემ ფაინენშელ გროუპი“, როგორც „თბილკომბანკის“ შვილობილი შპს, კონკურსამდე რამდენიმე თვით ადრე, ორ პირს დაუარსებია. შპს-ის საწესდებო კაპიტალი მხოლოდ ექვსი ათასი ლარი იყო. აქციების შესასყიდი თანხა რეალურად „თბილკომბანკმა“ გაიღო *(ეს ბანკი 2000 წელს გაკოტრებულად გამოცხადდა და ბანკის ერთ-ერთი დირექტორის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა შს სამინისტროში. — ზ.ჩ.)*. ბანკების შესახებ კანონის თანახმად, ბანკს არა აქვს უფლება შვილობილი კომპანიის ან საწარმოს ქონისა. „თბილკომბანკის“ არაოფიციალური პატრონი კი ბატონი გურამ ახვლედიანია. გამოდის, რომ აქციების საკოტროლო პაკეტი „თბილკომბანკმა“ წაგვართვა. გადავწყვიტეთ არ დაგვეთმო კუთვნილი აქციები და სასამართლოს მივმართეთ. ყველა სასამართლო უწყებაში ირჩეოდა ჩვენი საქმე. რამდენიმე პროცესი მოვიგეთ კიდევაც. 2000 წელს უზენაესმა სასამართლომ ჩვენი სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და აქციების საკონტროლო პაკეტი „ეი-ემ ფაინენშელ გროუპს“ ჩამოართვა, მაგრამ რად გინდა — საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება დღემდე არ შესრულებულა. მეტიც, შპს „ეი-ემ ფაინენშელ გროუპმა“ ისეთი დოკუმენტები შეადგინა, რომ თითქოს მან გაყიდა თავის მფლობელობაში დარჩენილი აქციების 49,77 პროცენტი. და ვითომ ეს აქციები „თბილკომბანკმა“ იყიდა. უბრალოდ, თამაშიდან გააქრეს „ეი-ემ ფაინენშელ გროუპი“, არავინ რომ არ მიდავებოდათ.

**— უზენაესი სასამართლოს დადგენილებით თქვენ ხომ აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახდით, რაც ნიშნავდა იმას, რომ ს/ს „საქტრანსპროექტი“ თქვენს კონტროლქვეშ იმყოფებოდა. სამეთვალყურეო საბჭოც და ადმინისტრაციაც თქვენ უნდა დაგენიშნათ.**

— ამის საშუალება არ მოგვცა ახვლედიანის ხალხმა — შეგნებულად არ მოიწვიეს აქციონერთა კრება და არც ჩვენ მოგვცეს მისი მოწვევის უფლება. მიდიოდა დაშინება და ზეწოლა თანამშრომლებზე. დამნაშავეებსაც დაუკავშირდნენ და ცემა-ტყეპით, იარაღით გვაიძულებდნენ ხმა ჩაგვეკმინდა. აქციონერებისგან მოითხოვდნენ მათ ხელთ არსებული აქციების გაყიდვას და ამ გზით თანამშრომლების საერთო წილიდან, დაახლოებით აქციების სამი-ოთხი პროცენტის ხელში ჩაგდება მოახერხეს. შედეგად, ისინი გახდნენ აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელები და დაიწყო შენობაში არსებული ქონების განიავება. საწარმოს ეზოდან აორთქლდა ქანების საბურღი სამი მოძრავი დაზგა, რომელთა საერთო ღირებულება ნახევარი მილიონი დოლარი იყო. შენობის თითოეულ სართულზე ათამდე ახალი კონდიციონერი იყო, ახლა მხოლოდ სამი-ოთხი ცალიღაა დარჩენილი. ასევე „დაიკარგა“ მაცივრები. განიავდა უნიკალური ლაბორატორია. ჩვენი ინფორმაციით, იგი საკმაოდ სოლიდურ ფასად გაყიდეს. მოძრავი ქონება რომ აითვისეს და ფული შემოაკლდათ, უძრავ ქონებას მიადგნენ.

**(გაგრძელება იხ. გვ. 13)**



# წყალკურთხევის მადლით

ნათლობის მადლსა და ნაკურთხი წყლის სასწაულებზე მრავალი მაგალითი არსებობს. მხოლოდ ორ მათგანს მოგიყვანთ უახლესი დროიდან, რომელთა თანამონაწილეცა და მნახველიც თავად გახლდით.

5 წლის შეუღლებულ ცოლ-ქმარს შვილი არა და არ უჩნდებოდა. დაიწყეს ეკლესიაში სიარული, მარხვასა და ლოცვებში შესთხოვდნენ უფალს მემკვიდრის ყოლას. შეისმინა ღმერთმა მათი ვედრება და წლისთავზე ქალიშვილი შეეძინათ, რომელსაც ელენე დაარქვეს. ერთ-ერთმა მნახველმა ვირუსი შეიტანა ოჯახში, რომელიც 19 დღის ელენეს გადაედო. დღითი დღე უარესდებოდა ბავშვის მდგომარეობა. საავადმყოფოში დააწვინეს, მაგრამ მის გამოჯანმრთელებას საშველი არ დაადგა. ბოლოს, მშობლებმა გადაწყვიტეს, რაკი ბავშვს არაფერი ეშველა და ხელიდან გვეცლება, მოძღვარი მოვიყვანოთ, რომ მოინათლოსო. მოიყვანეს მამა სოკრატე. მონათლა ელენე და აი, სასწაული — ნაკურთხი წყლის დაპკურება და ბავშვის ამ ქვეყნად გამობრუნება ერთი იყო.

გოგონა, რომელსაც სიცოცხლის არანაირი ნიშანწყალი არ ჰქონდა და ოდნავღა სუნთქავდა, უცებ მამა სოკრატეს კალთაში ამოძრავდა დაატირდა ისე, როგორც დედის მუცლიდან გამოსული ჩვილი. ელენე მეორედ დაიბადა. დღეს იგი ერთი წლისაა.

სამწლინახევრის მარიამს გლანდების ოპერაციის შემდეგ ყელი დაუზიანდა, ლაპარაკი უჭირდა, ბგერებსაც სწორად ვერ გამოთქვამდა. როცა მივედით მამა სოკრატესთან და ბავშვის მიყვანის მიზეზი ვუთხარით, მან პირი გააღებინა პატარას, ხოლო ლოცვის შემდგომ ნაკურთხი წყალი აპკურა თუ არა, გოგონა მაშინვე ალაპარაკდა და აღარც ბგერების სწორად გამოთქმა გასჭირვებია.

**ვენერა (ბარბარე) გაბაშვილი**

## საქრისტიანო მოამბე

ახალი წლის ღამეს მოსულმა თოვლმა უფრო მეტი სილამაზე და ხალისი შემატა 14(1) იანვრის დილას. მორწმუნე მრევლი თავ-თავიანთი ტაძრებისკენ მიიჩქაროდა. ამ დღეს საეკლესიო კალენდარი უფლის წინადაცვეთას და ბასილი დიდის ხსენებას მიუთითებდა.



განსაკუთრებული სიხარული სუფევდა წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიაში. უკვე რამდენიმე წელია ამ დღეს აქ აღინიშნება „შენ ხარ ვენახის“ სასწაულთმოქმედი ხატის დღესასწაული, რომელიც ამ ტაძარშია დაბრძანებული. ტაძარი და ეზო ვერ იტევდა ხატის მოსალოცად მოსულ მორწმუნეებს. ბევრი მათ შორის სხვადასხვა რაიონიდან იყო ჩამოსული. აღსანიშნავია, რომ „შენ ხარ ვენახის“ ხატის დიდება გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს, ეს ხატი საპატიო ადგილს დაიკავებს ივანოვოს ეპარქიაში, ღმრთისმშობლის შობის ტაძარში, სადაც დასვენებული იქნება მსოფლიოში არსებული ღმრთისმშობლის ყველა სასწაულთმოქმედი ხატი.

ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა არჩილმა (მინდიაშვილი) ქადაგების დროს მრევლს მოუთხრო იმ კურნებათა შესახებ, რომელიც ხატის მეოხებით დღემდე აღესრულება.

წირვის შემდეგ აღევლინა საგანგებოდ „შენ ხარ ვენახის“ ხატისთვის შედგენილი საგალობელი (აკათისტო). შემდეგ კი ყველას სცხეს ფსკოვპეჩორის მონასტრიდან ჩამოტანილი სურნელოვანი მირონი, რომელიც უხვად სდიოდა იქ დასვენებული „შენ ხარ ვენახის“ ხატის ასლებს (ამის შესახებ „კვირის პალიტრა“ წერდა).

# ნათლისღება

## „ესე არს ძე ჩემი, საყუარელი...“

### საუფლო დღესასწაული

დღეს, 19 იანვარს, მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესია სიხარულით შეხვდა უდიდეს საუფლო დღესასწაულს — ნათლისღებას.

საქართველოს ყველა მოქმედ ეკლესიაში აღევლინა საზეიმო ლიტურგია და ჩატარდა წყალკურთხევა (დიდი აიაზმა). საზეიმო წირვის დროს წაკითხული სახარება კიდევ ერთხელ შეგვახსენებს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ნათლობას მდინარე იორდანეში.

გადმოცემა ამბობს, რომ იესო ქრისტე იორდანეში იმ ადგილას ჩავიდა, სადაც ისუ ნავესმა ისრაელელები დამშრალ წყალში გაიყვანა. ქრისტიანობის პირველ პერიოდში ამ ადგილას დადგეს დიდი ჯვარი, რომელიც დიდხანს ინახებოდა. ნაპირზე აღნიშნული იყო ის ადგილიც, სადაც მაცხოვრის ნათლობის განმავლობაში მისი სამოსელი ეწყო. იქ იდგა მომცრო ზომის ეკლესია, რომელიც შემაღლებულ ადგილას იყო აშენებული, რათა წყალდიდობისას წყალს არ დაეფარა.

მაშინ, როდესაც იოანე ხალხს ნათლავდა იორდანეში, მასთან იესო მივიდა. რატომ მიდის უფალი იოანესთან? იმიტომ, რომ პატივდებული იქნას თავისი წინამორბედისაგან? ან საზეიმოდ გამოუჩნდეს ხალხს? არა. მაშ, იქნებ იმიტომ მივიდა იორდანეზე, რომ ნათლობა სჭირდებოდა, რომელიც ცოდვათაგან განწმენდს ადამიანს? მაგრამ მას ხომ ცოდვები არ ჰქონდა. ნათლობა ადამიანს ღვთის სასუფევლისათვის ამზადებს, მაგრამ სასუფევლის მეუფე ხომ თავად იყო! მაშ, რატომ იქმს ამას? რა მიზანი ჰქონდა მის ნათლობას? უფალი ჩვენთვის, მისი ცოდვილი მონებისთვის ინათლება, აკურთხებს წყალს და მას ცოდვებისგან განწმენდის ძალას ანიჭებს.

„ამ მიზეზით ჩავიდა იგი წყალში, მაგრამ ისე, რომ მას შეუდარებლად უფრო მეტი მიანიჭა, ვიდრე თავად მიიღო, რადგან მას არაფერი ესაჭიროებოდა. თავისი ნათლით წყალი განანათლა და განსაკუთრებული ძალა მიანიჭა, რითაც მორწმუნენი, რომლებიც მოინათლებიან, შეიმოსავენ ამ ძალას და მისი ნათლით განათლდებიან“ (წმ. ეპიფანე კვიპრელი).

იოანემ, რომელიც ხალხს მოსანათლად მოუწოდებდა, იცოდა, რომ ვისზეც გარდამავალ სულიწმიდას იხილავდა, ჭეშმარიტი მესია ის იქნებოდა. როცა დაინახა მისკენ მომავალი იესო, იოანე მაშინვე შეძრა მისმა უცოდველმა, თავმდაბალმა, წმინდა და ამაღლებულმა მზერამ და აი, საკუთარი უღირსებისა და იესოს ღვთაებრივი დიდების შეგრძნებით განმსჭვალულმა შესძახა: „მე ვსაჭიროებ შენგან მონათვლას, შენ კი ჩემთან მოდიხარ“. იესო ჩადის იორდანეში და წყალში იფლვება.

ნათლობის დროს იესო ქრისტეზე სულიწმიდა გარდამოვიდა. მისი გარდამოსვლა იესოზე ყოველ მხილველს შთააგონებდა, რომ ეს არ იყო უბრალო ფრთოსანი, არამედ — სული უფლისა, რომელმაც სხეულებრივი სახე მიიღო.

ზეცის გახსნა და სულის გარდამოსვლა უკვე თავისთავად ამოწმებდა მონათლულის ღვთაებრივ ღირსებას, მაგრამ იმისათვის, რომ უმცირესი ეჭვიც არ დარჩენილიყო, რათა კიდევ უფრო სრულყოფილად დაემოწმებინა, თუ რა დიდი იყო ზეცის მონაწილეობა მიწაზე აღსრულებულ საქმეში, ზეციდან ხმა გაისმა: „ესე არს ძე ჩემი, საყუარელი“.

„ვისთვის იყო ეს ხმა? იოანესათვის, იოანეს მოწაფეებისთვის, რომლებიც შეიძლება ახლომახლო იმყოფებოდნენ, ყოველი იუდეველისთვის, რომლებიც შემდეგ მოისმენდნენ იმ სასწაულების შესახებ, რაც იესოს ნათლობისას აღესრულა და ბოლოს, ყოველი ჩვენგანისთვის, რომლებიც ამ მოწოდებას აყოლილნი, მარიამის ძედ, მაცხოვრად, უფლად და მსაჯულად ვაღიარებთ“ (ინოკენტი ხერსონელი მთავარეპისკოპოსი).

ამგვარად აღესრულა მაცხოვრის ნათლობა. მოდით, ჩვენი სულიერი თვალი მივაპყროთ იორდანეს და ვეცადოთ, წმინდად შევინარჩუნოთ ის ძვირფასი სამოსელი, რომლის შესახებაც ეკლესია ნათლისღების დღესასწაულზე შეგვახსენებს: „რაოდენთა ქრისტესმიერ ნათელგვიღებიეს, ქრისტე შეგვიმოსიეს“.

**წმინდა მამათა მიხედვით**

*ვორონცოვის სანაპირო, მიხეილის ხიდი 19(6) იანვარს, წყლის კურთხევის დღეს. ფოტო 1880-1881 წლებისა*





## რას გვეტყვი, მამაო?

**— როგორ მივიღოთ ნაკურთხი წყალი?**

— ნაკურთხი წყალი უნდა მივიღოთ დილის ლოცვის მერე, უზმოზე, ასევე უძლურების დროს. ნაკურთხი წყალი შეგიძლიათ მოაპკუროთ ოთახში ჯვრის სახით.

**— თბილისში სადღაც ყოფილა ნათლისმცემლის წყარო და ვერ მივაკვლიეთ. თქვენ ხომ ვერ მიმასწავლით?**

— სოფ. ავჭალაში, იოანე ნათლისმცემლის ტაძრიდან დაახლოებით 200მ-ის მანძილზე მდებარეობს წყარო, რომელსაც პირობითად, ნათლისმცემლის წყაროს უწოდებენ. ეს წყარო XVII საუკუნეში გამოუყვანიათ სოფელში მცხოვრებ შამანაურებს, რისთვისაც დაუმზადებიათ თიხის ფილებიანი არხი.

როცა წყლის შემცველობა შეამოწმეს, აღმოჩნდა, რომ იგი დიდი რაოდენობით შეიცავდა ვერცხლსა და კალიუმს და გააჩნდა სამკურნალო თვისებები. იოანე ნათლისმცემლის სახელთან დაკავშირებულ დღესასწაულებზე წყაროსთან უამრავი მორწმუნე იყრის თავს. არ ერიდებიან არც ყინვას და არც წვიმას და უფლისმიერი რწმენით განიბანებიან.

**— რას ნიშნავს პანთეისტური რწმენა?**

— პანთეიზმი (ბერძნ. პან — ყველა; თეოს — ღმერთი) — ეს არის ღმერთისა და ბუნების შერწყმის, ერთი მთლიანობის რწმენა, რომელიც უარყოფს ცოცხალი, განპიროვნებული, სულიერი და ფიზიკური ღმერთის არსებობას, მაგრამ თვლის, რომ ღმერთი განსახიერებულია სამყაროში, მის ყოველ საგანში. აქედან გამომდინარე, პანთეიზმი არ ესადაგება მართლმადიდებლურ მსოფლმხედველობას.

### წარსულთან მიახლება

# „ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს...“

*ყველამ ვიცით აკაკის სიტყვები „დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო“, მაგრამ ზოგმა შეიძლება არ იცოდეს, ვის ათქმევინა იგი დიდმა მგოსანმა — სამშობლოს ბედით გულანთებულ „რაინდსა, ურჩსა მტრისასა“ — დიმიტრი ყიფიანს. მოგვიანებით ეს ფრაზა საქართველოდან წასული და ვერდაბრუნებული ქართველის სიმღერად იქცა.*

*გვინდა ბატონ აკაკი ბაქრაძის ამ წერილით კიდევ ერთხელ შევახსენოთ მკითხველს, რომ სიკვდილი ყოველთვის დამარცხებას არ ნიშნავს.*

1886 წლის 24 მაისს უბედურება დატრიალდა საქართველოში: ეროვნული შეურაცხყოფისა და დამცირებით დაგროვილმა ბოღმამ ჯებირი გაარღვია და სემინარისტმა იოსებ ლაღიაშვილმა სატევრით მოკლა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი პავლე ჩუდეცკი. ამ ამბით გაბოროტებულმა ეგზარქოსმა პავლემ დასწყევლა და შეაჩვენა იოსებ ლაღიაშვილი და, მასთან ერთად, მთელი ქართველი ხალხი. იმ დროს დიმიტრი ყიფიანი თავის მამულში, ქვიშხეთში ისვენებდა. იქ შეიტყო შემაძრწუნებელი ამბავი ქართველი ხალხის შეჩვენებისა და დაწყევლისა. დიმიტრი ყიფიანი რის დიმიტრი ყიფიანი იქნებოდა, ეს რომ მოეთმინა და 8 ივნისს, ხაშურიდან, დეპეშა გამოუგზავნა ეგზარქოს პავლეს. იგი იწერებოდა:

„თქვენო მაღალსამღვდელოებავ! მიიღეთ მწყემსმთავრული მოწყალება და შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება, თუ მე, აყოლილი დაუჯერებელ ხმებს, ვცოდავ თქვენ წინაშე, მაგრამ ეს ხმები მოგაწერენ თქვენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიც მოწოდებული ხართ სამწყსოდ და რომელიც ამის გამო მოელოდა თქვენგან, როგორც ქრისტეს პირველმსახურისა და წარმომადგენლისაგან, მარტოოდენ სიყვარულსა და სათნოებას.



იგივე ხმები არ კმაყოფილდებიან თქვენი ტახტის შეურაცხყოფით და მოგაწერენ აგრეთვე განზრახვას: მოიხადოთ ბოდიში სამწყსოს წინაშე თქვენგან წარმოთქმული სიტყვების უზომო ცოდვიანობის გამო.

თუ ეს ყველაფერი მართალია, მეუფეო, თქვენი ღირსების გადარჩენა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ შერცხვენილი დაუყოვნებლივ განიდევნოს შეჩვენებული ქვეყნიდან. კეთილი გულით და გულწრფელი სურვილით — თავიდან აიცდინოს ახალი უზომო შეცოდება, — ამას თქვენ გეუბნებათ ერთ-ერთი წევრი თქვენი სამწყსოსი.

თუ ეს ყოველივე ტყუილია, შემინდეთ და მაკურთხეთ თქვენი მწყემსმთავრული მარჯვენით.

თქვენი მაღალსამღვდელოების უმორჩილესი მონა დიმიტრი ყიფიანი“.

ამის პატიებას დიმიტრი ყიფიანისთვის არც ეგზარქოსი პავლე აპირებდა და არც კავკასიის მთავარმმართველი დონდუკოვ-კორსაკოვი, კავკასიის ხელისუფლება პეტერბურგს ევედრებოდა: დიმიტრი ყიფიანის სამაგალითო დასჯის უფლება მოგვეცითო. პეტერბურგი ერთხანს თავს იკავებდა. ითვალისწინებდა, რომ დიმიტრი ყიფიანი ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, სამი ორდენით (წმიდა სტანისლავის პირველი ხარისხის, წმიდა ანას და წმიდა ვლადიმირის მეორე ხარისხის ორდენებით) დაჯილდოებული ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი იყო. ბოლოს სახელმწიფოს უშიშროებისათვის მაინც გაიმეტეს იგი. ჯერ თანამდებობიდან გადააყენეს და მერე სტავროპოლში გადაასახლეს.

გადასახლების წინ აკაკი წერეთელს უნახავს ქვიშხეთში. „მისმა მხიარულმა სახემ გამაოცა. ერთი იმ თავითო და მეორე ამ თავითო! — მომაყვირა სიცილით — პატიმრობით დავიწყე ცხოვრება და პატიმრობითვე ვათავებო!... დაღრეჯილობა რომ შემატყო, სიცილით მითხრა: „ნუ გშურს ჩემთვის ეს ღვთის წყალობაო! უკეთესს ჯილდოს მე ვერც კი მოვიფიქრებდიო!.. ეს ერთი საუკუნეა, რაც ქართველები ცუდკაცობისთვის იგზავნებიან ციმბირში და ჯერ იდეურად არავინ დასჯილაო და დეე, პირველი მერცხალიც მე ვიყოო!.. მართალია, პირველ მერცხალს ხანდახან სუსხი დაჰკრავს და გაზაფხულს ვეღარ ესწრება, მაგრამ მაინც პირველი მახარობელია და გაზაფხული მაინც მოვაო!“ — სთქვა და ჩაფიქრდა“.

სტავროპოლში ყოფნა დიდხანს არ მოსწევია დიმიტრი ყიფიანს. 1887 წლის 24 ოქტომბერს, ღამით, მის საცხოვრებელში ჯალათი შეიპარა, თავში ურო ჩაარტყა და ქურდულად მოჰკლა. „ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს... იმ გულზე, რომელიც სამშობლოსთვის სძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს“ (აკაკი წერეთელი).

### გულითადი განდობანი

# ღვთით გამთბარი ყინულიანი მდინარე

ვერ ვიტყვი, მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე დიდი მორწმუნეობით გამოვირჩეოდი-მეთქი. ხანდახან, როგორც ყველა ადამიანს, მეც ჩამიდენია ისეთი საქციელი, რაც მერე მინანია და განმიცდია. შუახნის ქალი ვარ, ჩემს ბავშვობაში ეკლესიები არ მოქმედებდა. ამიტომ, ბუნებრივია, არც ახლაშენებულ თუ აღდგენილ ტაძრებში სიარულის სურვილი მქონია... რამდენიმე წლის წინ დიდი უბედურება შემემთხვა და სიმშვიდე დავკარგე. აი, მაშინ გადავწყვიტე ოზურგეთში იმხანად იშვიათად მოქმედი ტაძრებიდან ერთ-ერთში, კვირიკეთის ეკლესიაში სიარული... იქაურმა მოძღვარმა მამა მათემ თავისი ხელით აღადგინა დიდი ხნის წინ ნანგრევებად ქცეული და ხავსმოდებული ეს ეკლესია... თავდაპირველად, ყველაფერს, რაც ტაძარში ხდებოდა, თითქოს შორიდან შევყურებდი და ზედაპირულად აღვიქვამდი. როგორც შვილი უახლოვდება დიდი ხნის წინ იძულებით მოშორებულ დედას, სწორედ ისე, ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდებოდი ყოველივე ქრისტიანულს... თანდათან მითბებოდა სული და სიმშვიდე მეუფლებოდა... ვისწავლე ლოცვა და ლოცვით გავძლიერდი... ჩემი სუსტი ჯანმრთელობის პატრონს, მეგონა, ფეხზე ვერაფერი დამაყენებდა, სასაცილოდაც არ მეყოფოდა, ვინმეს რომ ეთქვა, შუა ზამთარში მდინარეში ჩახვალ და იბანავებო... მახსოვს იმ წელს, 18 იანვარს, ნათლისღების ღამეს მამა მათემ მთიდან ჩამომავალ მდინარე ბუჟუში ჩაიყვანა მრევლი განსაბანად. ვფიქრობდი, ეს ხალხი ფეხზე ვეღარ დადგება-მეთქი... მაგრამ იმ წელიწადს ფრჩხილიც კი არავის წამოსტკენია... მეორე წელიწადს, 18 იანვარს ოზურგეთში ისეთი ყინვა იყო, მიწა სკდებოდა... მკითხეს, არც ამ საღამოს ჩახვალ მდინარეში განსაწმენდადო? მომერიდა და დავთანხმდი. არადა, რამდენიმე დღე სახსრები მტეხდა და ფეხები უკან მრჩებოდა...

იმ საღამოს ყინულივით ცივ წყალში შევედით ყველანი, მათ შორის, ავადმყოფებიც... სამი დღის შემდეგ ტკივილებმა გამიარა... მას შემდეგ ყველა ნათლისღების ღამეს მამა მათეს ბუჟუის წყალში განსაბანად მეც დავყვები. სულ უფრო გვემატება ხალხი...

სოფელში, სადაც სულ რამდენიმე წლის წინ სანთლით საძებნელი იყო მორწმუნე, დღეს ნათლისღების მადლით „ქრისტე შეიმოსიეს“ და ჩვენს პატარა სოფელში ღვთის თვალი დატრიალდა.

**ლ.ბ.**
**ოზურგეთი**

*გვერდი მოამზადა მანანა ჯანელიძემ*

**ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა** **იხ. გვ. 36.**



# ვინ იმუქრებოდა თბილისის ერთ-ერთი ცათამბჯენის აფეთქებით

***(დასაწყისი იხ. გვ. 11)***

კერძოდ, შენობის მარცხენა ფლიგელი სავაჭრო ორგანიზაცია „დანიურ სახლზე“ გაყიდეს. ჩვენი თვალის ასახვევად, ისე შეადგინეს დოკუმენტები, თითქოს ფლიგელს აქირავებდნენ. ახლა კი ფლიგელი გაყიდულია. რა თანხად გაყიდეს, ჩვენთვის უცნობია. როდესაც ეს ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა იკითხა, ხელები გადაუგრიხეს და კაბინეტიდან წიხლისკვრით გააგდეს. ნელ-ნელა დაიწყეს სართულებისა და ოთახების გაქირავება სხვადასხვა ორგანიზაციაზე. რამდენიმე წელია, რაც თითქმის მთელი შენობა გაქირავებულია — დამქირავებლებს თითოეულ კვადრატულ მეტრზე ხუთ დოლარს ახდევინებენ თვეში. თუ ვიანგარიშებთ, რომ შენობის საერთო ფართი 6800 კვმ.-ია, წელიწადში დაახლოებით 408 ათას დოლარს იღებენ. მიუხედავად ამისა, არასოდეს დაურიგებიათ აქციონერებისთვის დივიდენდები. მთელ შემოსავალს თვითონ იჯიბავენ — ხელშეკრულებებში კი ფართის ქირავნობის ღირებულებად ხუთი დოლარის ნაცვლად, 2-3 დოლარი აქვთ მითითებული. ამ გზით გადასახადებს მალავენ, ჩვენ კი გვატყუებენ, მოგება არ გვაქვსო. არადა, ჩვენ დღეს აქციების 47 პროცენტს ვფლობთ. ყველაფერი ეს კარგად დაგეგმილი თამაში იყო. ახლახან ისიც შევიტყვეთ, რომ შენობის გაყიდვასაც აპირებენ — პირველი ექვსი სართულის მყიდველიც გამოჩენილა...

*ამით დასრულდა იმ დღეს ჩვენი და „საქტრანსპროექტის“ თანამშრომლების შეხვედრა. ბუნებრივია, ჩემი რესპონდენტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას გადამოწმება სჭირდებოდა. ამიტომ თავდაპირველად ს/ს „საქტრანსპროექტის“ ადმინისტრაციის დირექტორს, ბესო კალანდაძეს დავუკავშირდი. სიმართლე გითხრათ, ეს არ გამჭირვებია, რადგან „საქტრანსპროექტის“ შენობაზე გაკრულ განცხადებაზე მიწერილი ტელეფონის ნომრები სწორედ მისი აღმოჩნდა. მან ინტერვიუზე კატეგორიული უარი განაცხადა და თავის ადვოკატთან დაკავშირება შემოგვთავაზა. გული არ გავიტეხეთ და რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ დავუკავშირდით დირექტორ* **ბესო კალანდაძეს** *და თავი საოფისე ფართის დაქირავების მსურველად გავაცანით. ბატონმა დირექტორმა მეორე დღეს დაგვინიშნა შეხვედრა. ასეც მოვიქეცით. გაცნობის აუცილებელი პროცედურის შემდეგ დირექტორი პირდაპირ საქმეზე გადავიდა:*

— რამხელა ფართის დაქირავება გინდათ? მსურველი ბევრია და შეიძლება ვერ დაგაკმაყოფილოთ.

**— გავიგეთ, რომ გაყიდვასაც აპირებთ.**

— რამდენიმე თვის წინ ვაპირებდით. დღეს მხოლოდ ფართის იჯარით გაცემა გვაძლევს ხელს.

**— თუ ასეა, ჩვენ ალბათ ორ ან მეტ სართულსაც დავიქირავებთ.**

— მხოლოდ ბოლო ორი სართულის შემოთავაზება შემიძლია. ორივე სართულის საერთო ფართი 800 კვ.მ-ია. თითოეულ კვადრატულ მეტრს 6 დოლარად ვაქირავებთ, თვეში 4.800 დოლარის გადახდა მოგიწევთ.

**— ორზე მეტი სართული რომ დაგვჭირდეს?**

— პირველი ექვსი ერთ-ერთმა სოლიდურმა ბანკმა 15-წლიანი იჯარით უკვე აიღო. დანარჩენი სართულებიც გაქირავებული გვაქვს გადახდისუნარიან ორგანიზაციებზე. შემიძლია საიჯარო ხელშეკრულება მხოლოდ ორი წლით დაგიდოთ.

**— ორი ცოტაა, რემონტი ხომ უნდა გავაკეთოთ და მერე თქვენ უნდა დაგიტოვოთ?**

— ხელმძღვანელებს გადავცემ თქვენს წინადადებას. ერთი სიტყვით, ზეგ მობრძანდით.

*ორი დღის შემდეგ მართლაც მივედი ს/ს „საქტრანსპროექტში“. ამჯერად შინაურივით მიმიღეს და შენობის მთავარმა ინჟინერმა ბოლო ორი სართულიც დამათვალიერებინა. დათვალიერების დროს იქ მყოფ რამდენიმე თანამშრომელსაც გავესაუბრე. ერთ-ერთმა მითხრა:* „მთელი შენობის გაყიდვას აპირებდნენ, მაგრამ ამ ბოლო დროს ხელისუფლებაში მომხდარმა ცვლილებებმა ისინიც დააფიქრა. მფარველები აღარ ჰყავთ და ამიტომ გაყიდვა გადაიფიქრეს და შენობას აქირავებენ. „საქტრანსპროექტის“ ინჟინრებს, რომლებიც ერთ სართულზე არიან დაბინავებული, აძევებენ და იმ სართულს ალბათ თქვენ მოგაქირავებენ“.

*შენობის დათვალიერების შემდეგ მთავარმა ინჟინერმა დირექტორის კაბინეტამდე მიმაცილა, სადაც მის ნაცვლად სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე* **მამუკა მაჭავარიანი** *დამხვდა. ჩვენ შორის საქმიანი საუბარი გაიმართა:*

**— ბატონო მამუკა, ჩვენ დირექტორთან თითქმის ყველაფერზე შევთანხმდით, მაგრამ მაინტერესებს, ამ შენობაზე ვინმე პრეტენზიას ხომ არ აცხადებს, ანუ მომჩივანი ხომ არ გყავთ.**

— არა, მომჩივანი არავინაა. შენობა ჩვენი აქციონერების საკუთრებაა და ჩვენ ვფლობთ აქციების საკონტროლო პაკეტს. როგორც იცით, პირველი ექვსი სართული ერთ-ერთ ბანკს გადავეცით იჯარით 15 წლის ვადით, ბანკი შენობის კეთილმოსაწყობად ინვესტიციის სახით 700 ათას დოლარს დებს. ჩადეთ ამ თანხის პროპორციული თანხა და თქვენც მოგაქირავებთ 15 წლით არა მხოლოდ ორ, ოთხ სართულსაც.

**— ჩემი ინფორმაციით, მომჩივანი აქციონერები ნამდვილად არსებობენ, თქვენ კი მიმალავთ.**

— აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელი ჩვენ გახლავართ. ჩვენ დაგიდებთ იურიდიულად სრულყოფილ ხელშეკრულებას და საიჯარო თანხის დროულად გადახდის შემთხვევაში, ვერავინ შეგეხებათ. ჩვენ რამდენიმე აქციონერისგან აქციები მართლაც შევისყიდეთ და ჩვენ ვართ შენობის პატრონები და განმკარგავები. ის კი, თუ რამდენ აქციას ვფლობთ, ჩვენი კომერციული საიდუმლოებაა... — *ცოტა არ იყოს, დაეჭვებით შემომხედა მაჭავარიანმა.*

*დაწვრილებითი ინფორმაციის ძებნის პროცესში ეროვნული ბანკის ერთ-ერთი თანამშრომელი დაგვეხმარა. მან აგვიხსნა ის, თუ როგორ მოახერხეს „თბილკომბანკის“ მეშვეობით „ეი-ემ ფაინენშელ გროუპსის“ დამფუძნებლებმა ს/ს „საქტრანსპროექტის“ კონკურსის წესით აქციების შეძენა. მისი თქმით:* „თბილკომბანკიდან“ შპს „ეი-ემ ფაინენშელ გროუპმა“ კრედიტი — 200 ათასი დოლარი აიღო და სწორედ ამ თანხით იყიდა აქციები. შეგიძლიათ ეს ინფორმაცია ეროვნული ბანკის კომერციული ბანკების ლიკვიდაციის განყოფილების უფროსთან, ზურაბ გოგატაძესთან გადაამოწმოთ. იქ თქვენთვის მეტად საინტერესო დეტალებსაც გაგაცნობენ. კერძოდ, იმას, თუ რამ გამოიწვია „თბილკომბანკის“ გაკოტრება, რა კავშირი ჰქონდა მის არაოფიციალურ ერთ მოწილეს „ეი-ემ ფაინენშელ გროუპთან“ და ა. შ.. *ჩვენ დავუკავშირდით ბატონ* **ზურაბ გოგატაძეს**, *რომელმაც შემდეგი განაცხადა:* — საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2001 წლის განკარგულებით „თბილკომბანკი“ გადახდისუუნაროდ გამოცხადდა და ჩამოერთვა საბანკო ლიცენზია. ბანკი გამოცხადდა გაკოტრებულად. ეროვნული ბანკი იძულებული შეიქნა ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დასაწყისი გამოეცხადებინა.

**— რა მიზეზით გაკოტრდა „თბილკომბანკი“?**

— უმთავრესი მიზეზი ბანკის გაკოტრებისა იყო ბანკის ხელმძღვანელების მიერ არასწორად წარმართული მენეჯმენტი და თანხების სესხად ისე გაცემა, რომ გაცემული კრედიტის სანაცვლოდ კრედიტის მიმღები ორგანიზაცია გარანტიას არ დებდა ბანკში. ამას დაემატა ბანკის ერთ-ერთი დირექტორის მიერ თანხის გატაცებაც. საბოლოოდ, „თბილკომბანკს“ 60 მილიონ დოლარზე მეტი ვალი დაედო.

**— იქნებ დაგვისახელოთ გარანტიის გარეშე რომელ ორგანიზაციებზე გაიცა სესხები?**

— მოქმედი კანონმდებლობით სესხების მიმღებებისა და ბანკის მეანაბრეების ვინაობას ვერ გაგიმხელთ.

**— მაშინ ერთი სესხის მიმღები მაინც დამიდასტურეთ. კერძოდ, შპს „ეი-ემ ფაინენშელ გროუპმა“ მიიღო თუ არა „თბილკომბანკიდან“ 200 ათასი დოლარის სესხი გარანტიის გარეშე?**

— ამ კითხვაზე ალბათ ჩემი ერთ-ერთი ლიკვიდატორი **თენგიზ გენძეხაძე** გიპასუხებთ. იგი „თბილკომბანკის“ ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ საქმეზე მუშაობს.

*უფროსსა და ხელქვეითს შორის ხანმოკლე თათბირის შემდეგ, ასეთი პასუხი მივიღე:*

— „ეი-ემ ფაინენშელ გროუპმა“ მართლაც მიიღო ყოველგვარი გარანტიის გარეშე კრედიტი. მეტს ვერაფერს გეტყვით.

*ჩვენ კვალს გავყევით და დავადგინეთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში სამი წლის წინ „თბილკომბანკის“ მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრულა. სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს,* **ბესო მორჩილაძეს,** *რომელიც „თბილკომბანკის“ საქმეს იძიებდა, კომენტარი ვთხოვეთ:* — ჩვენ შევისწავლეთ „თბილკომბანკის“ საქმიანობა. მისი ერთ-ერთი დირექტორის, ვინმე მიხაილოვის წინააღმდეგ 38 ათასი ლარის გატაცებაზე აღვძარით სისხლის სამართლის საქმე. ამჟამად საქმე სასამართლოშია.

**— ბანკს 60 მილიონ დოლარზე მეტი ვალი დაედო და სასაცილოდ ხომ არ გეჩვენებათ, რომ საქმე მხოლოდ 38 ათასი ლარის დატაცებაზე აღიძრა?**

— ჯერჯერობით, ბანკის სხვა ხელმძღვანელების მიერ ბანკიდან თანხის დატაცებაზე დამამტკიცებელი საბუთები არ არსებობს.

*ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით* **გურამ ახვლედიანსაც** *ვთხოვეთ კომენტარი. მისი განცხადებით:* „თბილკომბანკთან“ კავშირი არასოდეს მქონია. „საქტრანსპროექტზე“ კი მხოლოდ ის ვიცი, რომ იგი თამარ მეფის გამზირზე მდებარეობს“.

*დასასრულ, „საქტრანსპროექტის“ ადმინისტრაციის ადვოკატის,* **ნიკა სახვაძის** *განცხადებას შემოგთავაზებთ:*

„საქტრანსპროექტის“ თანამშრომელთა განცხადებები აბსურდულია. საკონტროლო პაკეტის მფლობელები კერძო პირები არიან, მათ ინტერესებს მე ვიცავ. მათ აქციების უმნიშვნელო პროცენტი აქვთ და თუ სიმართლე გინდათ, აქეთ ცდილობენ დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შანტაჟს“.

*რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.*

***P.S.*** *პრივატიზაციის პროცესს ხალხმა სამართლიანად უწოდა „პრიხვატიზაცია“. კორუმპირებულმა ჩინოვნიკებმა და მათთან დაახლოებულმა პირებმა საყოველთაო-სახალხო, მილიარდობით დოლარის ღირებულების დოვლათი ხელში კაპიკებად ჩაიგდეს. ესეც არ იკმარეს, ნაცვლად იმისა, საწარმოები აემუშავებინათ, ყველაფერი გაანიავეს — დაზგა-დანადგარები დაჭრეს და ჯართად, ხოლო შენობები აგურ-აგურ გაყიდეს. საწარმოების თანამშრომლები კი „უვადო შვებულებებში“ მიაბრძანეს. ბევრი დღეს ბაზრობებზე ვაჭრობით ირჩენს თავს. არსებობს იმის რეალური საშიშროება, რომ „საქტრანსპროექტის“ გამოცდილი კადრები სახელმწიფომ სამუდამოდ დაკარგოს და ისინი დღეს-ხვალ ქუჩაში აღმოჩნდნენ, რასაც ნამდვილად არ იმსახურებენ.*

**ზვიად ჩაკვეტაძე**



# სააკაშვილმა საგზაო პოლიციას ქრთამების აღების საშუალებაც მოუსპო და შენობაც წაართვა

საქართველოს ახალ პრეზიდენტს გადაწყვეტილი აქვს, ქვეყანაში არა მარტო სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარება, არამედ საქართველოს დროშისა და გერბის შეცვლა და ახალ რეზიდენციაში გადასვლა.

— ეს შენობა როცა გარემონტდება, ერთ-ერთი ულამაზესი იქნება ევროპაში. დარწმუნებული ვარ, იგი ახალი საქართველოს ნამდვილ სიმბოლოდ იქცევა, — ამბობს მიხეილ სააკაშვილი თბილისის საგზაო ავტოინსპექციის ახლანდელ შენობაზე, რომელიც მალე პრეზიდენტის რეზიდენცია გახდება.

ეს ორსართულიანი შენობა ავლაბარში, მთის ფერდობზე დგას და ამერიკის თეთრ სახლს თუ XVIII საუკუნის რუსულ სათავადო სასახლეს ჩამოჰგავს. აქედან მშვენიერი ხედი იშლება — შევარდნაძის ახლანდელი რეზიდენციაც მოჩანს, სახელმწიფო კანცელარიაც, სატელევიზიო ანძაც და მთაწმინდაზე გრიბოედოვის საფლავიც.



— თქვენს რეზიდენციაზე მაღლა მხოლოდ გრიბოედოვი იქნება? — ვეკითხებით პრეზიდენტს.

— ყველაზე მაღალი სამების საკათედრო ტაძარია, — გვიპასუხა.

ტაძარი ჯერ არ დასრულებულა. ამ ორ შენობას შორის მდგარ ქოხმახებს მალე დაანგრევენ და მშვენიერ ხეივანს გააშენებენ, მოსახლეობას სხვა უბნებში დაასახლებენ. მაგრამ არავინ იცის, რა ელის ახალაშენებულ სახლებს. ჯერ კიდევ ორი წლის წინ ამ რაიონში ბინას 5-7 ათას დოლარს აფასებდნენ, ახლა კვმ 500-700 დოლარი ღირს. მაგრამ ზოგიერთმა ყიდვაზე კი არა, გაყიდვაზე უნდა იფიქროს, მაგალითად, ნეოლიბერალური პარტიის პოლიტსაბჭოს წევრმა ვალერი გელაშვილმა, რომელმაც სახლის აშენება პირდაპირ საგზაო სამმართველოს შენობის წინ წამოიწყო მოდური ქართული აგურით.

ახალმა მთავრობამ განაცხადა, ჩვენ მხოლოდ შენობის კოსმეტიკურ რემონტს ვაპირებთო. ზოგის თქმით, რემონტს 1-3 წელი მაინც დასჭირდება და 3 მლნ დოლარამდე დაჯდება. იმასაც ამბობენ, ამ საქმეში ან უცხოელები დაგვეხმარებიან, ან თბილისის გარეუბნებში განლაგებულ სახელმწიფო აგარაკებს გავყიდითო. ჯერჯერობით კი, საქართველოს ახალი პრეზიდენტი სააკაშვილი (მან, ეტყობა, არ იცის, რომ სახელმწიფო აგარაკების უმეტესობა უკვე გაყიდულია) კრწანისის სახელმწიფო რეზიდენციის №1 სახლში ცხოვრობს, რომელიც ბერიას აგარაკად არის ცნობილი. ამ მაღალჭერიან, ძვირფას, ცეკას დროინდელი ავეჯით გაწყობილ სახლში თანამედროვედ მხოლოდ პრეზიდენტის კაბინეტში მდგარი საახალწლო ნაძვის ხე და ფართოდ გაღებული ფანჯრები გამოიყურება. დაცვაც არსად ჩანს. შესასვლელში, რასაკვირველია, მომსვლელებს საბუთებს უმოწმებენ, მაგრამ მერე თავისუფლად შეიძლება სიარული. — „ამბობენ, აქ ბერიას აჩრდილი დადისო. ჯერ არ შემხვედრია, მაგრამ თუკი მომეჩვენება, ცუდად მექნება საქმე," — იცინის სააკაშვილი.

საპრეზიდენტო ფიცს სააკაშვილი დადებს გელათის სამონასტრო კომპლექსში, დავით აღმაშენებლის საფლავთან, რომლის დროსაც საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინების ხანა დაიწყო. ამასთან დაკავშირებით, მისი წინამორბედი ამბობს, — სააკაშვილს დავით აღმაშენებელმა კი არ მოუმატა ჭკუა, არამედ რევოლუციის დღეს დალეულმა ჩემმა ჩაიმო. რაც შეეხება დროშას და გერბს — „მენშევიკური" შინდისფერ-შავ-თეთრი დროშა ბაგრატოვანთა ბაირაღით შეიცვალა. წმინდა გიორგის გამოსახულებიანი ახლანდელი გერბიც ბაგრატოვანთა გერბით შეიცვლება, რომელზეც წმინდა გიორგი არ არის. საქართველოს საპატრიარქო თანახმაა გერბის შეცვლაზე, მაგრამ ახალ ხელისუფლებას ურჩევს ახალ სიმბოლიკაში წმინდანის შენარჩუნებას. პასუხი ჯერ არ ჩანს — შეიძლება საქართველოს ახალ ხელისუფლებას ურჩხული უკვე დამარცხებული ჰგონია...

***იზვესტია***

# არავითარი დამოუკიდებელი აფხაზეთი

სოხუმში, 12 იანვარს ჩასულ გაეროს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელს, ჰაიდი ტალიავინის, აუღიარებელი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მიმართა თხოვნით — დართოს აფხაზეთის დელეგაციას გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე დასწრების ნება.

სოხუმის ხელისუფლება მზადაა განაახლოს ორი წლის წინ შეწყვეტილი მოლაპარაკება თბილისთან, თუ ცენტრი ზოგიერთ კომპრომისზე წავა. თუ ახალ ქართველ ლიდერს მართლა უნდა ქვეყნის გაერთიანება, ძალის გამოყენებას — დიალოგი უნდა ამჯობინოს. როცა ამას თბილისი შეიგნებს, მოლაპარაკებები არა მარტო აღდგება, არამედ წარმატებითაც დაგვირგვინდება. სოხუმის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა, საქართველოს ხელისუფლებამ ალაგმოს დასავლეთ საქართველოში მოთარეშე ქართველი კრიმინალები.

31 იანვარს გაეროს უშიშროების საბჭო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საკითხს განიხილავს. აფხაზური მხარე მოითხოვს, რომ მათი აზრიც მოისმინონ (აქამდე ასეთი დონის თათბირებზე სოხუმელები არავის მიუწვევია), ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ოფიციალური თბილისი ამის წინააღმდეგი არ იქნება. არადა საქართველოს ხელისუფლებას აფხაზების ხელის კვრა ახლა არ არგებს, რადგან კვლავ ჩაიშალა მოლაპარაკებები სამხრეთ ოსეთთან, გამწვავდა ურთიერთობა აჭარასთან. როგორ მოიქცევა ქართული მხარე, ახალი პრეზიდენტის შეხედულებებზე იქნება დამოკიდებული. თუ გავითვალისწინებთ მიხეილ სააკაშვილის განცხადებებს, ჩანს, რომ ის რადიკალური და სწრაფი მოქმედებების გატარების მომხრეა. მან არჩევნების დამთავრებისთანავე განაცხადა, — ეს ბოლო არჩევნები იყო, რომელშიც აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს არ მიუღია მონაწილეობაო.

საქართველოს ხელისუფლების მტკიცე პოზიციას აფხაზეთის მიმართ ადასტურებს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე დავით ბერძენიშვილი: „რადგან ქართველმა ხალხმა შევარდნაძის რეჟიმის თავიდან მოცილება შეძლო, აფხაზეთის პრობლემასაც მოუვლის. ომი შევარდნაძემ და არძინბამ დაიწყეს, ამიტომ თვითონვე არიან პასუხისმგებლები. აფხაზეთში არჩევნებია დაგეგმილი, ვნახოთ, რა მოხდება. ჩვენ „ღია" აფხაზეთის მომხრე ვართ, სადაც ღია იქნება კომუნიკაციები, ინფორმაციული სივრცე. მოკლე ხანში ქართული მხარე აპირებს სოხუმთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას. შევეცდებით, დავარწმუნოთ აფხაზური მხარე ერთობლივი ეკონომიკური პროექტების შექმნის მიზანშეწონილობაში. ჩვენ არ გვინდა, რომ აფხაზეთი ჩაკეტილი იყოს საქართველოსათვის, ხოლო რუსეთისათვის — ღია. ჩვენ სამხედრო ფორმირებებსაც გავაძლიერებთ, მაგრამ არა ომის დასაწყებად. ჩვენ არ ვაღიარებთ აფხაზეთის დამოუკიდებლობას. თავის დროზე რესპუბლიკურმა პარტიამ აფხაზეთის თვითმმართველობის რამდენიმე პროექტი გამოაქვეყნა. ერთ-ერთი მათგანი იყო აფხაზეთის დაყოფა ქართულ აფხაზეთად და აფხაზურად. ეს უკიდურესი ვარიანტია. ეს არც ჩვენ გვინდა, არც აფხაზებს, მაგრამ თუ აფხაზები ჩათვლიან, რომ ქართველებთან ერთად ერთიან სახელმწიფოში ცხოვრება არ შეუძლიათ, მაშინ არჩევანი მოუწევთ — დამოუკიდებლობასა და ტერიტორიას შორის, რადგან ვერავინ აუკრძალავს ლტოლვილებს აფხაზეთში დაბრუნებას. თუ აფხაზური მხარე მზადაა რეალური დიალოგისთვის, მაშინ ეს გალის რაიონში მოსახლეობის პრობლემის მოგვარებით უნდა დაიწყოს".

***ნოვიე იზვესტია***

# შანსი საქართველოსათვის

ხალხს იმედი აქვს, რომ „ვარდების რევოლუციის" შემდეგ არასტაბილური და ღარიბი ქვეყანა, ერთ მშვენიერ დღეს ნორმალური ცხოვრების კალაპოტში ჩადგება, რაც ნაწილობრივ ახალ მთავრობაზეა დამოკიდებული. მაგრამ არის სხვა ფაქტორიც, რომელიც საქართველოს მომავალს განსაზღვრავს — ეს რუსეთია. მედასავლეთე ბატონ სააკაშვილს ძლიერი ამერიკული კავშირები აქვს და სურს საქართველოს ნატოსა და ევროსტრუქტურებში გაწევრება, აპირებს ქვეყნიდან რუსული ბაზების გაყვანას, სამი მეამბოხე რეგიონისთვის რუსების მხარდაჭერის აღკვეთას.

მაგრამ რუსეთს, რომელიც მე-18 საუკუნიდან ბატონობს კავკასიაში, არჩეული გზიდან გადახვევა არ სურს. 1999 წლის სტამბოლის გადაწყვეტილებები მოსკოვმა ნაწილობრივ შეასრულა, საქართველოში მხოლოდ ორი ბაზა დაიხურა, დანარჩენი ორის დახურვას კი არ ჩქარობს. საქართველოს ხელისუფალნი სიფრთხლეს იჩენენ რუსეთის მიმართ. მათ დიდ მეზობელს ხომ ხელში ძლიერი ბერკეტი — ელექტროენერგია და გაზი — უპყრია. თანაც მოსკოვს შეუძლია მეტი დაბრკოლებები შეუქმნას საქართველოს გამოყოფის მოსურნე რეგიონებში.

ამჟამად საქართველოს საუკეთესო შანსი აქვს თავი დააღწიოს პოლიტიკურ ძალადობასა და საერთო სიღარიბეს. მართალია, რუსეთი აცხადებს, მეზობლად აყვავებული საქართველო მირჩევნიაო, სინამდვილეში, შესაძლოა მის დასუსტებას ესწრაფოდეს.

ამერიკამ და საქართველოს დასავლელმა მეგობრებმა ყოველგვარი ძალისხმევა უნდა გამოიყენონ, რომ საქართველოს ახალ ლიდერებს ეს საფრთხე აარიდონ.

***უოლ სტრიტ ჯორნალი***

# ახალი სტალინი ხომ არ მოდის?



ცნობილი ბიზნესმენი ანზორ აქსენტიევი (კიკალიშვილი) ახალბედა პოლიტიკაშიც არ არის, საკმაოდ გამოკვეთილი ფიგურაა. იგი ორი პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის — სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემიისა და სარატოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულია, არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. ანზორ აქსენტიევი (კიკალიშვილი) განზრახვას არ მალავს: „მართალია, რუსეთის წინა საპრეზიდენტო არჩევნებში ვერ გავიმარჯვე, მაგრამ იმედი მაქვს, ეს არ არის რუსეთში ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები, მე კიდევ დავბრუნდები!"

აქსენტიევმა სიტყვა შეასრულა, ისევ წამოაყენა თავისი კანდიდატურა.

*— ანზორ იოსიფოვიჩ, დარწმუნებული ხართ, რომ მხარდამჭერთა ორ მილიონ ხელმოწერას შეაგროვებთ?*

— რფ პრეზიდენტობის კანდიდატად მე კალინინგრადის ოლქმა წარმადგინა. თუ რუსეთის ყველა კუთხიდან მიღებული შეტყობინებებით ვიმსჯელებთ, ვფიქრობ, ხელმოწერათა შეგროვება არ გამიჭირდება.

*— ცნობილია, რომ თქვენ ნახევრად ქართველი ხართ, უფრო სწორად, რუსი ქართველი. ჩვენს ქვეყანას ოდესღაც სათავეში ქართველი ედგა — იოსიფ სტალინი. მის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს. თქვენ რა აზრისა ხართ მასზე?*

— სტალინისტი არა ვარ, მაგრამ მადლობა ღმერთს, არც ანტისტალინისტი გახლავართ. რადგან ანტისტალინიზმმა გაცილებით მეტი ზიანი მიაყენა რუსეთს, ვიდრე თათარ-მონღოლთა ურდოებმა და ფაშისტებმა ერთად. მოდით, ვნახოთ, რა დავკარგეთ: მსოფლიო მასშტაბით რუსი ადამიანის სიდიადე, გადამწყვეტი გავლენა მსოფლიო გეოპოლიტიკაზე, აღმოსავლეთ ევროპა, საბჭოთა კავშირი... ჩემთვის გენერალისიმუსი სტალინი, უპირველეს ყოვლისა, ფაშიზმის გამანადგურებელი საბჭოთა არმიის მთავარსარდალია. ჩემი მამა-პაპა, მილიონობით სხვა გმირთან ერთად, მისი ხელმძღვანელობით იბრძოდა ჩვენი სამშობლოსათვის.

*— გიფიქრიათ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე?*

— იმაზე, რაც ამ ორ ქვეყანას შორის ხდება, მე ნათელი და მტკიცე აზრი მაქვს. ნორმალურად არ მიმაჩნია, რომ ორი მართლმადიდებელი სახელმწიფო ერთმანეთთან მტრულად იყოს განწყობილი.

*— როგორია თქვენი საპრეზიდენტო პროგრამა?*

— პირველ რიგში, უნდა მოხდეს ოლიგარქიული კაპიტალის ნაციონალიზაცია კერძო საკუთრებისა და მეწარმეობის განვითარების მიზნით. მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოს შეუძლია ფეხზე დააყენოს კერძო ბიზნესი, გლეხობა, ხელი შეუწყოს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს. მე ვიცი, რა გზით უნდა გავაძლიერო სახელმწიფო. ჩემი პროგრამის ერთ-ერთი პუნქტია რუსეთის როლის წინ წამოწევა ახალი, თავისუფალი, სუვერენული რესპუბლიკების კავშირის შექმნაში. ეს იქნება კონფედერაციული სახელმწიფო.

*— კი, მაგრამ ისინი ნებაყოფლობით ისურვებენ გაერთიანებას?*

— რა თქმა უნდა, სუსტ და ღარიბ ქვეყანასთან გაერთიანებას არავინ ისურვებს და პრეზიდენტობაც იმიტომ მინდა, რომ რუსეთი მდიდარ და ძლიერ ქვეყნად ვაქციო.

***ამონარიდი ინტერვიუდან***
***მირ ნოვოსტეი***

**გვერდი მოამზადა**
**თინათინ მარგველაშვილმა**


# ჯადოსნური კუპონი




„ბუთქუნას და მეგობრების" ბოლო 6 წიგნის ყველა ეგზემპლარში დევს ჯადოსნური კუპონი ფირმა „თოლიასაგან". თუ ამ კუპონს წარადგენთ „კვირის პალიტრის" საგაზეთო ჯიხურებში, საჩუქრად მიიღებთ უგემრიელესი ნამცხვრის, „ზღაპრულის" ან „ლიმპოპოს" ერთ შეკვრას.




კუპონების განაღდება ასევე შეიძლება იმ სავაჭრო ობიექტებში, სადაც იყიდება „თოლიას" ნაწარმი



უფროსებო!
გაახარეთ პატარები!

თან საინტერესო, თან გემრიელი!

წიგნები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში და წიგნის მაღაზიებში



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიამბობენ

პატარა **გეგა გავაშელი** ვერ გამოთქვამს სიტყვა „ტელევიზორს“. ჰოდა, როცა ტელევიზორის ჩართვა უნდა, ორივე ხელს მაღლა შემართავს და მთელი ხმით ყვირის: მიჩა, მიჩა! მიჩა!

თუ ჩაურთეს ხომ კარგი, თუ არადა გააგრძელებს:

— საქათველო! საქათველო! საქათველო!

თუ ამანაც ვერ გაჭრა, ერთ ადგილზე იწყებს ტრიალს და ხმამაღლა ყვირის:

— გადადექი! გადადექი! გადადექი!

***

პაპა „ჭრიჭინა და ჭიანჭველას“ უკითხავს პატარა **ტატოს**.

„კარზე მიადგა ჭინჭველას
ვედრებით: ჩემო ნათლია...“

— პაპა, დიდი ვედროებით მივიდა ჭრიჭინა ჭიანჭველასთან? — ეკითხება პატარა.

***

დედა და პატარა **ვახტანგ კილასონია** ტელევიზორს უყურებენ. ეკრანზე ლამაზი ქალიშვილი გამოჩნდა.

— რა კარგი გოგონაა ფიზიკურად! — ამბობს დედა.

— შენ რა იცი, რომ ფიზიკოსია? — ეკითხება ბიჭი.

### I – ანა, გამოიცანი

**1) რომელი მწერის სიცოცხლის ხანგრძლივობაა ყველაზე ნაკლები?**
ა) ფუტკრის; ბ) ბუზის; გ) პეპლის; დ) ჭიამაიას.

**2) რამდენი კაცი აირჩია მოციქულად იესო ქრისტემ?**
ა) 10; ბ) 11; გ) 12; დ) 13.

**3) რომელ ქვეყანაში გამოიგონეს ჭადრაკი?**
ა) ეგვიპტეში; ბ) ინდოეთში; გ) ირანში; დ) საბერძნეთში.

**4) რომელი ქართველი მეფე მოკლეს წამებით მონღოლებმა?**
ა) დემეტრე ; ბ) გიორგი ბრწყინვალე; გ) დავით აღმაშენებელი; დ) თეიმურაზ .

**5) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია ზედმეტი?**
ა) გოდება; ბ) კისკისი; გ) ხარხარი; დ) ხითხითი.

**6) რა თანამდებობა ეკავა ავთანდილს როსტევანის კარზე?**
ა) ვაზირის; ბ) სპასპეტის; გ) მეჭურჭლეთუხუცესის; დ) ამირეჯიბის.

**7) რომელი არ არის კომპოზიტორი?**
ა) გერშვინი; ბ) მენდელსონი; გ) შუბერტი; დ) ციოლკოვსკი.

**8) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ არის კურორტი?**
ა) ახტალა; ბ) ბახმარო; გ) აბასთუმანი; დ) წალკა.

**9) რომელია ესპანეთის დედაქალაქი?**
ა) სევილია; ბ) მადრიდი; გ) ბარსელონა; დ) ბილბაო.

**10) რა შეიცავს ყველაზე მეტ ვიტამინს?**
ა) მზესუმზირა; ბ) ხილბოსტნეული; გ) გამაგრილებელი სასმელები; დ) ნაყინი.

### II

**იპოვე ორი ერთნაირი ჩიტი**




### III

**ქვემოთ მოცემული რომელი დეტალები არ მიესადაგება ნახატს?**




შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: ***„ფაქიზი ფრთების ფარფატით გადაეფარა მიწას, ბარიდან მალე წავიდა, მთაში კი დიდხანს იწვა.“***

### IV



**რომელი არსებაა ზედმეტი ამ ნახატზე?**

### V




**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*


# საუკეთესო ზღაპრები
## +4 გასართობი გვერდი

გამოსულია 40-ზე მეტი ქართული და უცხოური ზღაპარი



ყურადღება!
პატარა მკითხველების თხოვნით, ზღაპარი „სამი გოჭი“ ხელახლა დაისტამბა

ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები
1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში


ბიბლიური მოთხრობა

## იესო მოინათლა

როდესაც იესო დაახლოებით ოცდაათი წლისა იყო, იოანე ნათლისმცემელთან მდინარე იორდანეზე მივიდა. იგი მოინათლა როგორც სხვები. შემდეგ ლოცვა დაიწყო. უეცრად გაიხსნა ცა და სულიწმინდა გადმოვიდა იესოზე, როგორც მტრედი. ციდან გაისმა ხმა: „შენ ხარ ძე ჩემი საყვარელი. შენში კეთილად გამოვჩნდი მე“.

შემდეგ იესო ჩავიდა გალილეაში. ქადაგებდა ღვთის სახარებას და ამბობდა: „გასრულდა დრო და მოახლოვდა ღვთის სასუფეველი. მოინანიეთ და იწამეთ კეთილი მოძღვრება, რომელსაც მე ვქადაგებ“.

როდესაც იესო თავის მშობლიურ ქალაქ ნაზარეთში მივიდა, შაბათ დღეს სინაგოგას ეწვია. იქ მან წაიკითხა სიტყვები წინასწარმეტყველ ესაიას წიგნიდან: „სული უფლისა ჩემზე, რომლისთვისაც მცხო მე და მომავლინა გლახაკთა მახარებლად და გულის შემუსვრილთა მკურნალად, ტყვეთათვის განთავისუფლების მაუწყებლად, ბრმათა თვალის ამხელად, ტანჯულთა განსატევებლად და უფლის კეთილსასურველი წლის მქადაგებლად“. იესომ გამოუცხადა ყველას, სინაგოგაში მყოფთ: „დღეს აღსრულდა ეს ნაწერი, რომელიც მოისმინეთ“.

# მიწას მხოლოდ მიწისა დაუბრუნა...

## შტრიხები დიდი მსახიობის პორტრეტისთვის


ბაბუა და შვილიშვილი

**ის სიცოცხლის ბოლო წუთებამდე თეატრში იყო, თითქმის მომაკვდავიც კი რეპეტიციას არ გააცდენდა, მიდიოდა იქ, სადაც მთელი ცხოვრება მიჰყავდა ბედისწერას — თეატრში. არტისტი, რომელიც ერთადერთი შვილის სიკვდილის ტკივილს ატარებდა და საკმაოდ ტრაგიკული ცხოვრებით ცხოვრობდა, ორგან გრძნობდა თავს ლაღად: თეატრში და შვილიშვილთან — კაკულისთან. ორივესთან, რომ იტყვიან, ერთ სულ და ერთ ხორც იყო შეთვისებული. ამიტომ, როცა აკაკი ვასაძის შესახებ ვისაუბრებთ, ძირითადად ამ ორ სიყვარულს შევეხებით. თუმცა უმნიშვნელოვანესია მისი წინაპრების ამბავიც. ფესვები ხომ ყოველთვის განსაზღვრავენ მომავალს.**

### ფესვები

ძალიან საინტერესო წინაპრები ჰყავდა აკაკი ვასაძეს... ბაბუამისის, სოფრომის მამა, შეძლებული გლეხი ყოფილა, პალიასტომზე საქირაო ნავები ჰქონია. ბლომად ფულისთვის მოუყრია თავი. გურიელს როცა სჭირდებოდა, ფულს მისგან სესხულობდა თურმე. ერთხელ შემოუთვლია გურიელს — ფული მჭირდებაო. მას კი, ეტყობა, გამოცდილებიდან გამომდინარე, გირაო მოუთხოვია. გაბრაზებულ გურიელს ჩაფრები მიუსევია ოჯახისათვის... ბაბუის მამა ტყეში გაქცეულა, დედას ორი შვილი ქვევრში დაუმალავს და თვითონ ძუძუთა ბავშვით დახვედრია ჩაფრებს. აუწიოკებიათ. დამალული ბავშვებიც უპოვიათ. ერთი — სოფრომი — აკაკის ბაბუა, როგორც გაირკვა, გაგარინისთვის უჩუქებია გურიელს, გოგონა კი — ოსმალეთის ფაშისთვის.

სოფრომი პეტერბურგში, გაგარინის ოჯახში გაიზარდა. გავიდა დრო. გაგარინი ქუთაისში დანიშნეს გუბერნატორად. მამამ ეს რომ გაიგო, გზაზე ჩაუსაფრდა თურმე. ასე შეხვედრია დავაჟკაცებულ სოფრომს, რომელიც, უნიფორმაში ყოფილა გამოწყობილი — არაფერი სჯობნებია მის შეხედვას!

რაკი გაზრდილის მშობლები გამოჩნდნენ, გაგარინს მათთვის დიდი მიწები უჩუქებია მწვანეყვავილაზე. ვასაძეები იქ დასახლდნენ.

სოფრომი 72 წლისა ყოფილა, როცა ჩარკვიანის 18 წლის ქალი შეურთავს ცოლად. ეს ქორწინება სვანებთან შერიგების სიმბოლოდ უღიარებიათ (ქუთაისის გუბერნატორი გაგარინი სვანეთის უკანასკნელმა მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა მოკლა, რადგან რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, სვანეთის სამთავრო უნდა გაეუქმებინათ და მთავრის ოჯახი საქართველოდან გაესახლებინათ. სოფრომი გაგარინის მემკვიდრედ ითვლებოდა). წლისთავზე ვაჟიც შესძენიათ — აკაკი ვასაძის მამა ალექსი.

ალექსი თერძი იყო. ეტყობა, მამამისის პეტერბურგულმა განსწავლულობამ იმოქმედა. მას ქუთაისში ატელიე და ევროპული ტანსაცმლის მაღაზია ჰქონდა. ცოლად ჰყავდა მინადორა ზვიადაძე, რომელთანაც სამი შვილი შეეძინა — აკაკი (დაიბადა 1899 წელს), თამარი და ნინო. 15 წლის იქნებოდა აკაკი ვასაძე, დედა რომ გარდაეცვალა. მამამ მეორე ცოლი შეირთო — ანა ჩახავა. ის არაჩვეულებრივი ქალბატონი ყოფილა, თვითონ ორი შვილი შესძენია და ხუთივე ბავშვს ერთნაირად დიდი სითბოთი და სიყვარულით ზრდიდა.

ვასაძეებს ძალიან თბილი ოჯახი ჰქონიათ, ყველა ენამოსწრებული და არტისტული ბუნებისა იყო თურმე. ერთხელ, აკაკი ვასაძეს, ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრში გამართული პრემიერის შემდეგ წვეულება გაუმართავს. თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძეც ყოფილა წვეულთა შორის. ის გაუოცებია მსახიობის უმცროსი ძმის, ცნობილი თვალის ექიმის, არტისტიზმს და უთქვამს: შოთა მსახიობი რომ გამხდარიყო, უთუოდ გაჯობებდაო. რა მოგახსენოთ. ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია აკაკი ვასაძეზე უფრო არტისტული ადამიანი. ის ხომ შინაგანად, თითქმის ყველა ნერვითა და ძარღვით გრძნობდა თეატრს.

### თეატრი — ბედისწერა

აკაკი ვასაძე ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლისას დაუკავშირდა თეატრს. ის კარგად ხატავდა. ქუთაისის თეატრში მაშინ მხატვარი პეტრე ოცხელი გახლდათ. აკაკი ვასაძე მასთან ასისტენტად მუშაობდა. ეხმარებოდა დეკორაციების გაფორმებაში, თანაც მასობრივ სცენებში მონაწილეობდა. აქედან ჩაესახა თეატრის დიდი სიყვარული. ეს რომ სასწავლებელში გაიგეს, მკაცრად უთქვამთ: ან გიმნაზიაში უნდა ისწავლო, ან თეატრში მიბრძანდეო. ამან განაპირობა, რომ აკაკი ვასაძემ ექსტერნად დაამთავრა გიმნაზია. აქვე ვიტყვი, რომ აკაკი ვასაძეს ჰქონდა იმის ნიჭი და უნარი, კარგი ფსიქოლოგი ან ბიოლოგი გამხდარიყო, გნებავთ ფილოსოფოსიც კი, თუმცა თვითონ მხატვრობა აირჩია.

სწავლის გაგრძელებას პეტერბურგში აპირებდა, აკადემიაში გაგზავნილი ჰქონდა თავისი ნამუშევრები, პასუხიც მიიღო: ძალიან მოგვეწონა და ჩამობრძანდითო...

დღეს აკაკი ვასაძის სახლ-მუზეუმში არის გამოფენილი მისი ფანქრითა და აკვარელით შესრულებული რამდენიმე მშვენიერი ნამუშევარი. სამწუხაროდ, ალბომი, რომელშიც დიდი მსახიობის საუკეთესო ნამუშევრები ინახებოდა, დაკარგულა. რუსეთ-თურქეთის ომში წასვლის წინ ალბომი თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში დაუტოვებია შესანახად.

ომში აკაკი ვასაძე მეტყვიამფრქვევე იყო.

— თურქები როგორც კი გავიდნენ ბათუმიდან და აჭარა დატოვეს, უსაქმოდ დავრჩით, — იხსენებდა აკაკი ვასაძე, — სად უნდა წასულიყავი, თუ არა თეატრში?

მიადგა კიდევ ბათუმის თეატრს და კარგა ხანს იქ მუშაობდა.

ამასობაში, რუსეთში გადატრიალება მოხდა. აკაკი ვასაძე სასწავლებლად პეტერბურგში ვერ წავიდა. თბილისის უნივერსიტეტში ჩაირიცხა. ორი წლის შემდეგ ქუჩაში შემთხვევით შეხვდა მსახიობი მიხეილ ქორელი. ამ დღიდან შეიცვალა მისი ცხოვრება — საბოლოოდ დაუკავშირდა თეატრს, თუმცა ოჯახი წინააღმდეგი იყო, განსაკუთრებით მამა. როგორ, კომედიანტობა გინდაო? — საყვედურობდნენ. შეუწყნარებლად [illegible], მხოლოდ მამიდა — [illegible] ვასაძე უმართავდა ხელს.

მალე აკაკი ვასაძე ძალიან პოპულარული გახდა. 20 წლისაც [illegible] და თამარ ჭავჭავაძე, როცა შემოქმედებითი საღამო-ბენეფისი გადაუხადეს. აკაკი „ორინდა ბედნიერებაში“ აბესალომს თამაშობდა. თვითონ დავით კლდიაშვილი უნახავს სპექტაკლი, შემდეგ სცენაზე ასულა და მიულოცავს: — ბედნიერი ვარ, ასეთი აბესალომ რომ ვნახეო.

აკაკი ვასაძე თეატრის სცენაზე მთელი თავისი არსით, მოწოდებით, ბედისწერითაც კი ცხოვრობდა. თანდათანობით თეატრი გახდა მისი დიდი ბედნიერებისა და დიდი უბედურების მიზეზიც კი. „1949 წლის 10 ივნისი, — იხსენებდა აკაკი ვასაძე, — ღამის პირველ საათს გადაცილებული იყო. თეატრიდან ახალდაბრუნებული და უკვე ნავახშმევი, ჩემი საძილე ოთახის აივანზე გავედი. ჩვენს თეატრს გავხედე და ისევ მასზე დავიწყე ფიქრი. უცებ, თეატრის სახურავზე კვამლის შავი ბოლქვი ავარდა. ვაიმე! — უნებურად აღმომხდა და ტანსაცმელს ვეცი, — დავიღუპეთ! თეატრი იწვის! როგორ გავჩნდი თეატრთან, აღარ მახსოვს. თეატრში ერთი მორიგე მეხანძრე დამხვდა. ისიც მე გავაღვიძე. სცენისაკენ გავვარდი... ცეცხლმა არ გამიშვა. მაშინ იქვე, მილს ვეცი, წუთში მოვარგე სახანძრო წყალსადენის ონკანს. ონკანმა კი, თითქოს დამცინისო, შლანგიდან მხოლოდ ერთი ბეწოზე გადმოაწიტა... უეცრად გამახსენდა თეატრის მოლარე მარიამ ჯილაური, რომელიც მესამე იარუსის ლოჟის გვერდით ცხოვრობდა. ადგილს მოვწყდი. იქით გავქანდი.

ჩვენი თეატრის თანამშრომლებს შორის ყველაზე ადრე ჩვენი საყვარელი, შესანიშნავი დურგალი, უკვე მოხუცი კაცი — სტეფანე არაქელოვი გაჩნდა. მან სადურგლო საამქროს დაცლას უხელმძღვანელა. ცეცხლში ცეცხლივით ტრიალებდა თეატრისათვის თავდადებული მოხუცი. მძიმე სახერხი დაზგის გატანისას ქვის კიბე ჩაენგრათ, მოხუცი ქვეშ მოჰყვა... კვდებოდა და აქეთ გვამხნევებდა: „თქვენი ჭირი წამიღია, თქვენ კარგად იყავით, მთავრობა უკეთესს აგიშენებთ, არ დაღონდეთ, ბიჭებო!“..

მალე მთელმა თბილისმა შეიტყო ეროვნული უბედურება. ადრე დილით, თეატრის შესასვლელთან ჭირისუფალივით მდგარს შალვა დადიანი მომიახლოვდა და მითხრა: — ამას რას მოვესწარი, აკაკი, ქართული თეატრის მეორედ დაწვას. მე თან ათას საზრუნავზე ვფიქრობდი, თან ეჭვი მღრღნიდა, ვინ მოსთვალის, რამდენი მტერი მყავდა მეც, აკაკისაც, თეატრსაც... ვინ იცის, რამდენია მათ შორის ჭკუანაკლული და სინდისგარეცხილი“.

ათეული წლების შემდეგ ავადმყოფი აკაკი ვასაძე მშვიდად ეგებებოდა სიკვდილს, რადგან მან უკვე იცოდა, განცდილი ჰქონდა სიკვდილის სიმძაფრე — ის უკვე შეხვდა სიკვდილს თეატრის დაწვის დროს...

### აკაკი და კაკული

ოჯახი ადრე შექმნა. მისი მეუღლე, ანა ქადეიშვილი, მსახიობი იყო, მაგრამ გათხოვების შემდეგ სცენას თავი დაანება. აკაკი ამბობდა: ორი მსახიობი ერთ ოჯახში საშინელება იქნებაო. მეუღლემ მთელი დრო და ენერგია ქმარ-შვილს შესწირა.

ბატონ აკაკის განსაკუთრებით ანებივრებდნენ. ქალბატონი ანას გარდაცვალების შემდეგ ვასაძეების ოჯახს მისი გაუთხოვარი და უვლიდა. ერთხელ ის სტუმრად წავიდა. ბატონ აკაკის საუზმე შვილიშვილის მეუღლემ მოუმზადა და ჰკითხა: — ჩაიში რამდენი კოვზი შაქარი ჩაგიყაროთო? რა ვიცი მეო! — გაჰკვირვებია აკაკის.

არა მარტო ეს, მან არ იცოდა, სად იყიდებოდა პური, სად იყო ბოსტნეულის მაღაზია...

აკაკი ვასაძის ვაჟი გიორგი, ძალიან მუსიკალური და არტისტული ადამიანი იყო. სამსახიობო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მოსკოვში წავიდა სარეჟისორო განათლების მისაღებად. მუშაობდა სხვადასხვა თეატრში. ბოლოს, ტელევიზიის მუსიკალურ გადაცემათა მთავარი რეჟისორი იყო. სამწუხაროდ, ბატონი გოგი 50 წლის ასაკში გარდაიცვალა. აკაკი ვასაძეს თავზარი დასცა შვილის სიკვდილმა, მწუხარებისგან გაქვავდა...

ყველაფერი ხომ მის თვალწინ მოხდა. ზღვაზე დასასვენებლად მყოფი გოგი მოულოდნელად ცუდად გახდა და უცებ დალია სული...

მთელი სიყვარული, იმედი ერთადერთ შვილიშვილზე — გიორგისა და მარინე თბილელის ვაჟზე — კაკულიზე გადაიტანა. შვილიშვილსაც უსაზღვროდ უყვარდა ბაბუა, ყველგან თან ახლდა...

5 წლის წინ კაკული ვასაძეც გარდაიცვალა. კიდევ კარგი, ბაბუა ვერ მოესწრო ამ უბედურებას...

მარინე თბილელი იხსენებდა: ბიჭი რომ შეგვეძინა, ბატონი აკაკი თეატრთან ერთად უკრაინაში იყო გასტროლებზე. დეპეშით შევატყობინეთ. მოგვივიდა პასუხი: გილოცავთ პატარა აკაკის დაბადებასო...

ასე დაურქმევია ბაბუას თავისი სახელი შვილიშვილისათვის. სიყვარულით კაკულის ეძახდა, სწორედ ისე, როგორც თავად მას, ბავშვობაში უხმობდნენ.

აკაკი ვასაძე იხსენებდა: კაკულის დაბადება რომ შემატყობინეს, უკრაინაში მთავრობის წარმომადგენლებს ვყავდით სუფრასთან მიწვეულნი. მაშინ ხრუშჩოვი იყო უკრაინის ცკ-ის I მდივანი და მან ასწია პირველი ჭიქა და დალია პირველი სადღეგრძელო ჩემი შვილიშვილისა. ეს იყო 1939 წლის 29 ივლისსო.

**...ჩვენ ვიცოდით, რომ სტალინს „გაფრინდი, შავო მერცხალო“ უყვარდა და წამოვიწყეთ. უცებ, ჩემდა გასაოცრად, სუფრის ყველა წევრი აგვყვა ბანით. ყველაზე მეტად ჟდანოვი და მიქოიანი ცდილობდნენ. კიდევ უფრო გავოცდი, როცა მცირე ხნის შემდეგ მოლოტოვმა და ჟდანოვმა „ნანი-ნავ დელავო დელიასაო“ წამოიწყეს.**

მერე ხშირად ხუმრობდნენ ხოლმე — კაკული პირველმა ხრუშჩოვმა დალოცაო...

### სტალინი და — ბანები

აკაკი ვასაძე სცენაზე უმეტესად უარყოფით პერსონაჟებს ასახიერებდა. ცხოვრებაში სრულიად განსხვავებული იყო: რბილი, თბილი, სიკეთით სავსე. არასოდეს იტყოდა აუგს რომელიმე მსახიობზე. ის კი არა, სხვას რომ ეთქვა და დაესაბუთებინა, მავანი კარგი მსახიობი არ არისო, გაიკვირვებდა და ისეთ არგუმენტებს მოიყვანდა „განკიცხულის“ სასარგებლოდ, აზრს შეგაცვლევინებდათ. მისგან ხმამაღალ სიტყვას ვერ გაიგონებდით.

რაღაცნაირად ახერხებდა, რომ ნებისმიერი საუბარი თეატრზე გადაეტანა, თუნდაც ბაზარში ფასების მომატებაზე ყოფილიყო მსჯელობა. არაჩვეულებრივად საინტერესო და უაღრესად განათლებული ადამიანი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ არქივში იპოვეს ჩანაწერები. ბეხტერევის „ფიზიოლოგიაც“ კი ჰქონდა დამუშავებული. კარგად იცოდა ფსიქოლოგია, ზედმიწევნით — ისტორია, ლიტერატურა. როლზე მუშაობისას ყველაფერს სწავლობდა — ეპოქას, იმ ქვეყნის ისტორიას... არაჩვეულებრივად ფლობდა თავს. შეეძლო საჭიროებისამებრ გაფითრებულიყო, გაწითლებულიყო...

ამბობენ, თეატრალი პრეტენზიული მაყურებელიაო. აკაკი ვასაძე მიამიტი ბავშვივით იყო. ისე აღფრთოვანებული უყურებდა ნებისმიერ სპექტაკლს, გეგონებოდათ, პირველად ნახა თეატრიო. ერთხელ ტელევიზიით უჩვენებდნენ „სამანიშვილის დედინაცვლიდან“ კირილეს სცენას. კირილეს როლში რამაზ ჩხიკვაძე იყო. აკაკი ვასაძეს ცრემლები ჩამოსდიოდა სიცილისგან — ყოჩაღ, ბიჭოო, — ამბობდა.

შეეძლო მაყურებლის მართვა. „ოტელოში“, შემოვიდოდა თუ არა სცენაზე აკაკი ვასაძის იაგო, მთელი ყურადღება მასზე გადადიოდა.

სპექტაკლზე წასვლის წინ ყოველთვის იმეორებდა სცენას. ერთხელ, რუსთაველის თეატრში, სადაც ქუთაისიდან დაბრუნების შემდეგ თამაშობდა, „თეთრი ბაირაღები“ გადიოდა. თეატრში წასვლამდე ისიდორეს ბოლო მონოლოგს კითხულობდა. ამ დროს ოთახში ეზოდან ამოსული, გახვითქულ-გაოფლიანებული შვილთაშვილი გიორგი შემოვარდა. ბავშვი ერთ ადგილზე გაიყინა... ცრემლები მოადგა... აკაკი ვასაძემ კითხვა რომ დაამთავრა, გაექანა შვილთაშვილი და ჩაეხუტა... გაქათქათებული პერანგიც კი დაუსვარა.

აკაკი ვასაძეს განსაკუთრებით უფრთხილდებოდა კაკული... როცა ბატონი აკაკი თავის წიგნზე, „მოგონებები და ფიქრები“, მუშაობდა, შვილიშვილს უამრავ რამეს კარნახობდა, ისიც სიამოვნებით იწერდა.

აკაკი ვასაძე იხსენებდა, როგორ დანიშნეს რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელად, როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა თეატრი წარმატებისაკენ. 1936 წელს რუსთაველის თეატრის დელეგაცია ჩავიდა მოსკოვში. განსაკუთრებით იხსენებდა ბატონი აკაკი ვოროშილოვის აგარაკზე სტუმრობას: „ვინ სად დამჯდარიყო — სადარბაზო ბარათებზე ეწერა. ბარათები მაგიდის გასწვრივ, სკამების პირდაპირ ელაგა. ჩემი ადგილი სტალინსა და ორჯონიკიძის შუა აღმოჩნდა. დაველოდე, ვიდრე ისინი დასხდებოდნენ. შემდეგ მეც დავჯექი. მაგრამ რა დაჯდომა იყო ეს — გინდა ვმჯდარვარ და გინდ თავდაყირა ვმდგარვარ.

— ამათ მსახიობი ჰყავთ ერთი, ემანუელ აფხაიძე, — მიმართა ორჯონიკიძემ სტალინს, — არ წამოუყვანიათ ახლა, თორემ ესენი ერთად რომ დასხდებიან და სიმღერას იტყვიან, ამხანაგო კობა, ჭკუას დაკარგავს კაცი!

— აფხაიძის მაგივრად მე ვიქნები და აბა, ვნახოთ, როგორც დამაკარგვინებენ ჭკუას, — თქვა და არც აცია და არც აცხელა, კახურ კილოზე წამოიწყო: „შენც ობოლი, მეც ობოლი, ხშირ-ხშირად მოდი ჩემთანა...“

— მაპატიეთ, პატივცემულო იოსებ, მაგრამ ეს სიმღერა არ გამიგონა, ვერც პირველსა და ვერც მეორეს გეტყვით...

— არაფერია, მაშინ რაც შენ იცი, ის წამოიწყე და აბა, ვნახოთ, მეცოდინება თუ არა.

...ჩვენ ვიცოდით, რომ სტალინს „გაფრინდი, შავო მერცხალო“ უყვარდა და წამოვიწყეთ. უცებ, ჩემდა გასაოცრად, სუფრის ყველა წევრი აგვყვა ბანით. ყველაზე მეტად ჟდანოვი და მიქოიანი ცდილობდნენ. კიდევ უფრო გავოცდი, როცა მცირე ხნის შემდეგ, მოლოტოვმა და ჟდანოვმა „ნანი-ნავ დელავო დელიასაო“ წამოიწყეს. ავყევით, დავამთავრეთ თუ არა სიმღერა, ბუდიონმა პანია ბაიანს დაავლო ხელი და ცეკვა „კაზაჩოკი“ წამოიწყო. ვოროშილოვი აჰყვა. უეცრად სტალინი მოგვიბრუნდა და გვითხრა: — ახლა რამე ქართული გვიცეკვეთო. აკაკი ხორავა პიანინოსთან დავსვი — „ანზორიდან“ საცეკვაო დაგვიკარი-მეთქი. აკაკი ღელავდა, მაგრამ თავიდანვე კარგად გაართვა თავი დაკვრას. ზამბარასავით ჰქონდა ყოველი კუნთი დაჭიმული. თამარ ჭავჭავაძემ და ნატო ვაჩნაძემ ისეთი ტემპი შემომთავაზეს, იატაკზე ტერფების მიკარებას ვერ ვასწრებდი — ჰაერში გასმა გამომდიოდა...“

„მოგონებებისა და ფიქრების“ მეორე გამოცემაც იყო განზრახული, რადგან პირველ გამოცემაში ბევრი რამ არ შევიდა... არ შეიძლებოდა საბჭოთა ქვეყანაში ყველაფერი დაბეჭდილიყო. მაგალითად, სტალინთან სტუმრობის ამბავი 1947 წელს.

1947 წელს სტალინმა მიიწვია აკაკი ვასაძე, აკაკი ხორავა, სპარტაკ ბაღაშვილი... ძალიან საინტერესოდ იხსენებდა იმ შემთხვევას ბატონი აკაკი. ამბობდა, ძალიან განათლებული ადამიანი იყო სტალინიო... არაჩვეულებრივი სმენა ჰქონდა და მშვენივრად მღეროდაო. ორივე აკაკი ხომ შესანიშნავად მღეროდნენ... ისინიც კი გაუკვირვებია სტალინის შესრულებულ „ხასანბეგურას“... ხალხური სიმღერების ვარიანტებიც კი იცოდა — გურულები ასე მღერიან, იმერლები — ასეო...

დიდი არტისტის ცხოვრება ძალიან ღრმა იყო. ამას კარგად გრძნობდნენ მისი რჩეული თანამედროვენი.

გრიგოლ რობაქიძესთან ჰქონდა მიმოწერა. „გველის პერანგი“ რომ წაუკითხავს, აღფრთოვანებულს წერილი მიუწერია დიდი მწერლისთვის. პასუხიც მიუღია: რამდენიმემ მაინც თუ გაიგო ისე ჩემი ნაწერი, როგორც თქვენ, ჩემი მისია აღსრულებულიაო.

აკაკი ვასაძეს ხანდაზმულობაში მძიმე დაავადება აღმოაჩნდა... მაშინ გიგა ლორთქიფანიძე „ოიდიპოს მეფეს“ დგამდა. აკაკის სთხოვა ეპიზოდური — მწყემსის როლის თამაში. უნდა გენახათ, რა გულმოდგინედ ემზადებოდა ამ როლის განსასახიერებლად. უკვე ძალიან ცუდად იყო. ჰემოგლობინი უვარდებოდა, შინაგანი სისხლდენა ჰქონდა... გადაუსხამდნენ მედიკამენტებს, მომაგრდებოდა, წავიდოდა რეპეტიციაზე. ხშირად საავადმყოფოდანაც კი. გიგა ლორთქიფანიძე ეუბნებოდა, — არ გინდათ, ბატონო აკაკი, ნუ მოხვალთ დღესო, მაგრამ არ თანხმდებოდა... თუმცა პრემიერას ვეღარ მოესწრო — რამდენიმე დღით ადრე გარდაიცვალა.

მაშინ 78 წლისა იყო...

„ბოლოს და ბოლოს, ხელოვნება, მსახიობობა ხომ თამაშია, თუმცა უაღრესად სპეციფიკური, განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი ხასიათისა, მაგრამ მაინც თამაში, რომლისადმი მიდრეკილება თავისთავად და თანდათანობით ყალიბდება ადამიანში და რომლისადმი სიყვარული, რაღაც უცნაურის ძალით ცხოვრებაზე უფრო ძვირფასია მოთამაშისათვის. ჩემი დევიზი მუდამ ეს იყო: მიწას მიწისა უნდა დაუბრუნოს კაცმა. სულიც, სიყვარულიც არ უნდა შეაჭმევინოს მას და რაც კი წმინდა ადამიანისეული აქვს, აქ, მზის სინათლეზე, სახლში დატოვოს“, — წერდა აკაკი ვასაძე და დატოვა კიდეც დიდი, ძალიან დიდი სიყვარული, მიწას მხოლოდ მიწისა დაუბრუნა.

*ლელა ჯიყაშვილი*

# — ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲛᲝᲡᲐᲙᲚᲐᲕᲘ ᲛᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘ, ᲐᲛᲐᲗ ᲗᲣ ᲐᲠ ᲘᲕᲐᲠᲒᲔᲡ...

. — დროზე მოდი, რა... ხალხს ველარ ვაკავებ! — უკვე გზაში მყოფს დამირეკა ანსამბლ „უნივერსიტეტის“ ხელმძღვანელმა რობერტ გოგოლაშვილმა. ვიფიქრე, ამ ინტერვიუს საქმე წასულია-მეთქი, მაგრამ ყველა რომ ადგილზე დამხვდა, ბატონ რობერტს ვკითხე: — რას ერჩით ამ სერიოზულ ხალხს-მეთქი.

— სერიოზულსო!.. ესენი არიან სერიოზულები? ჩემს მტერს, მაგისთანა სერიოზულობა. მარტო სცენაზე ან სიმღერის სწავლისას არიან ჭკვიანად. მაშინაც რა? — საკმარისია რომელიმეს დაურეკონ და რეპეტიცია შეჩერდეს, ატყდება ერთი ამბავი, ახვევენ ქაღალდებს და ესვრიან ერთმანეთს. ყველა ლაპარაკობს, ველარ ვარჩევ, ვინ რაჭველია, ვინ გურული. ერთი ქართლელი რომ მყოლოდა, ეგებ მშველებოდა რამე, მაგრამ სად არის?.. ვზივარ და ვიცდი, როდის მორჩებიან ყაყანს... ძნელად აღსაზრდელები არიან...

„ძნელად აღსაზრდელი“ — ერთ-ერთი საუკეთესო ფოლკლორული ანსამბლის 11 წევრი გახლავთ, 23-დან 29 წლამდე. ზოგიერთის, მათ შორის მამუკა და დათო ჭკუასელების მამა (ბატონი თემური) „ქართულ ხმებში“ მღეროდა, ანუ ესენი უმცროსები არიან, ხოლო „ქართული ხმები“ — უფროსებად ითვლებიან. როგორც ამბობენ, უმცროსებს უკეთესი მომავალი აქვთ. ხმათა ასეთი ჰარმონიის შესაქმნელად „ქართული ხმების“ სოლისტმა რობერტ გოგოლაშვილმა 6 წელი დახარჯა. როცა მათ უსმენ, მაშინ ხვდები, რომ სხვა საქართველო მართლაც არსად არი...

***რობერტ გოგოლაშვილი:*** — ერთხელ, პარიზში, მე და გოგი დოლიძე იარაღის მაღაზიაში შევედით. დიდებული იარაღი ეწყო. გოგიმ მითხრა, — ნახე, მამა, რა დამბაჩააო! ვუთხარი, — მაგით რისი თქმა გინდა, უვარგისი რომ გაგზარდე, თავი უნდა მოვიკლა-მეთქი? მაშინ ვიხუმრე, მაგრამ ახლა აღარ ვხუმრობ. ამათ რომ რამე დააშავონ, კაცები არ გადგნენ, მართლა მოსაკლავი მექნება თავი. მარტო სიმღერას ხომ არ ვასწავლი — ცხოვრების მასწავლებელიც ვარ. ჯერჯერობით, კარგი ბიჭები არიან — თავში არ უვარდებათ ქება. ბავშვობიდან ჩუმ-ჩუმად სწავლობდნენ სიმღერას. ჩემთანაც მოდიოდნენ შინ, დათოსთან, ჩაჯდებოდნენ თავისთვის, მღეროდნენ და მღეროდნენ. ერთხელ დათო მირეკავს პარიზში: — მამა, „ხარათიას“ სიტყვები მიკარნახეო... გადავირიე, აქ იმდენი რა მომცეს, სიმღერის კარნახში დავხარჯო-მეთქი! მაშინ სერიოზულად არ ვუყურებდით ამათ გატაცებას. მაგრამ თავი რომ არ დაანებეს, მალხაზ თალაკვაძე დავუნიშნეთ მასწავლებლად. ერთი წელი გაუძლო და მერე — ეს ჩემი საქმე არ არისო... მაშინ მე მთხოვეს ბიჭებმა — მიხედეო. უარი ვერ ვუთხარი, ან როგორ უნდა მეთქვა! ჩვენ ვბერდებოდით და ვსუქდებოდით — მე, ზაურ ბოლქვაძე და გია ჭირაქაძე, სამივე ერთად, ისე დავმძიმდით, რომ ჩავანგრევდით სადმე სცენას, ვინმეს ხომ უნდა გაეგრძელებინა ჩვენი საქმე?..

**— კარგ ფეხზე მოსულხართ. ბიჭები ისე მღერიან, ღრმად ამოსუნთქვას ვერ გაბედავს კაცი.**

***დათო ჭკუასელი:*** — მართლა? ამას წინათ კონცერტი გვქონდა ფილარმონიაში. სცენიდან დავინახეთ — უკანა რიგებში ჩოჩქოლი ატყდა. ხალხი ვიღაცას ასულიერებდა. გვითხრეს, ისე იმღერეთ, ქალს გული წაუვიდაო. კარგია, როცა ქართული სიმღერა გულს ასე ხვდება. მასში მართლა არის წინაპრის სული — შედიხარ, შედიხარ და გრძნობ, ვინ ხარ, რა კაცი ხარ. უცებ გიჩნდება სურვილი — წინაპარს გაეხმაურო...

***დათო გოგოლაშვილი:*** — გასტროლები გვქონდა იტალიაში. ერთი კვირის ნამგზავრი ვიყავით. განძრევა აღარ შეგვეძლო. ორი საათის ჩასულებს გვითხრეს, — უნდა იმღეროთ, ჩოხები ჩაიცვითო. ჩოხის სახელოებს ველარ ვაგნებდით, მაგრამ როგორც კი ჩავიცვით, იმ წუთში მივხვდით, რომ ისე უნდა გვემღერა, იმაზე უკეთესი არავის არაფერი გაეგონა. მაშინ ვიგრძენით, რა არის ქართველობა... ჩანაწერი რომ მოვისმინეთ, გაგვიკვირდა, — რა კარგად გვიმღერიაო...

**— ტრაბახობთ...**



*ანსამბლი „უნივერსიტეტი“ (მარცხნიდან): დათო კიკაბიძე, გიგა აბესაძე, დათო არჯევანიძე, დათო არჩვაძე, დათო უგრელიძე, იასონ მეუნარგია, დათო გოგოლაშვილი, დათო ჭკუასელი, კახა გრიგალაშვილი, ლევან ვეშაპაძე*

***დათო არჯევანიძე:*** — არა, სერიოზულად გეუბნებით. ყველა უსიამოვნებას ქართული ხალხური სიმღერა გვავიწყებს. ნამდვილად გვეცოდება ის ხალხი, ვინც მას ამახინჯებს... დგანან სცენაზე და ბღავიან. ეს მათი მასწავლებლების ბრალიცაა. ოღონდ კონკურსებში გამოაჩინონ მოწაფეები და რომელსაც გინდა, იმ სიმღერას მოუღებენ ბოლოს. ეს ყველგან ხდება, მაგრამ ჩვენში ამას განსაკუთრებული მონდომებით აკეთებენ: სწრაფად და „სამჯერადი კვებით“, თან ამტკიცებენ — კომპოზიტორები ვართო. ჯანსუღ კახიძე ბუმბერაზი ხელოვანი იყო, მაგრამ ერთხელ არ უთქვამს, კომპოზიტორი ვარო... ყველა ქვეყანაში მღერიან უგემოვნო სიმღერებს, მაგრამ იმათ რას ვედრებით? ამ სამყაროში ჩვენ ჩვენი სათქმელი გვაქვს...

***დათო გოგოლაშვილი:*** — თქვენ არ შეგეშინდეთ, ყველა ქართველი ასე არ იმეტებს თავის კულტურას. თითო მახინჯი შვილი კი ყველა ერს ჰყავს. საერთოდ, ქართველებს გვიყვარს ჩვენი სიმღერა. ჩვენ კი არა, უცხოელებსაც უყვართ.

**— ძალიან კი ხართ გაჯავრებული, მაგრამ ყველა ნიჭიერი ხომ არ იქნება?**

— გაჯავრებული არა ვართ, მაგრამ იმაზე ვჩხუბობთ, — მაინცდამაინც საკუთარი ფესვები უნდა გავანადგუროთ?

***რობერტ გოგოლაშვილი:*** — ამათზე ამბობენ, ქართულ სიმღერაში მთელი ეპოქა შექმნესო. მართლა ბევრი აიყოლიეს. სამედიცინო უნივერსიტეტშიც არის ასეთივე ანსამბლი. წლები ისე გავიდა, როინ მეტრეველის გარდა, არავინ დაგვხმარებია. როცა გამოვჩნდით, მაშინ თქვეს, რა კარგები ყოფილანო... 11 წელიწადია, რაც ეს ბიჭები მღერიან. „ქართულმა ხმებმა“ გვიან დავიწყეთ. რაც ჩვენ გავიარეთ, იმის ნახევარი გზა ამათ უკვე გავლილი აქვთ. ძლიერი გუნდია, თანაც ამათი ხმა აწი შევა ძალაში. გითხარით, არასერიოზულები არიანმეთქი. მაგრამ მთლად ასეც არ არის საქმე. ძალიან კარგად გრძნობენ, რას ქომაგობენ. ვინ რას აძლევდა, რეპეტიციებზე რომ დარბოდნენ? ხალხური სიმღერა ფესვია ჩვენი და ამისთანა ბიჭები უსხამენ წყალს.

***დათო არჩვაძე:*** — სხვათა შორის, ახლა ბევრია დაინტერესებული ფოლკლორით. სადაც მივედით, ყველგან გვკითხეს, — ჩემი შვილი მღერის და სად უნდა მივიყვანოთო...

**— ეს გადარჩენის ინსტინქტია, ისე, როგორც ომის შემდეგ. უმეტესად ბიჭები რომ იბადებიან სიცოცხლის დასაბალანსებლად.**

— ალბათ. თვითონ ბავშვები არიან დაინტერესებულნი. ჩვენგან ერთი-ორი კაცი მასწავლებლობს და თვალებში შესციცინებენ, ისრუტავენ ქართულ ბგერებს. აღარ გვეგონა, ასე თუ იქნებოდა.

**— არც მეეჭვება, რომ ბევრი მშობელი გვანდობთ შვილს...**

— გვანდობს კი არა, ნატრობენ, ნეტავ, თქვენნაირები გაიზარდონო. ისეთი კარგები ხართ, ხელს არავინ მოგიქნევთო...

**— „იმუნიტეტიც“ გქონიათ...**

— ასე გამოდის. დღეს ასეა — თითქმის ყველა ლხინი ჩხუბით მთავრდება. მაგრამ არის ხალხი, რომელიც ამ აგრესიას ანეიტრალებს. ჩვენ „გამნეიტრალებლები“ ვართ, თუმცა თუ კაცი შარზეა, ჩხუბი ჩვენც ვიცით.

**— გჭირდებათ? „გველსა ხვრელით“ ტკბილად მოუბარი ენაც ამოიყვანს, სიმღერით ვერ ამოგიყვანიათ?**

***დათო კიკაბიძე:*** — ხანდახან — ვერა. გვქონია შემთხვევა, იმაზეც აგვიშარდნენ, კარგად რატომ მღერითო... სიმღერით უნდა გვეპასუხა?

**— სიმღერასავით ბევრ საქმეში ხართ ყოჩაღი?**

***რობერტ გოგოლაშვილი:*** — აი, მაგალითად, დათო ნებისმიერ რეკორდს მოხსნის კოსტიუმის გახდაში. სცენიდან ჩამოსულიც არ არის, 2 წუთში დაკეცილი უჭირავს ხელში. შარვალი — გაუთოებული და გატკიცინებული, ჯინსის ქვეშ აცვია, არ გამოჩნდესო. ვერ გავიგე, რა დაუშავა ამ ხალხს კოსტიუმმა. ოღონდ ფორმა არ ჩაიცვან და რას არ იზამენ. ყველა კონცერტის წინ მეკითხებიან, ფორმა ჩავიცვათო? კაცო, ხომ არ შეიძლება, რამდენი კონცერტიც იქნება, სულ ეს იკითხო?

***გიგა აბესაძე:*** — ჩოხის ჩაცმას კიდევ არა უშავს, ვუძლებთ. პირველად შარშანწინ ჩავიცვით, მაგრამ აზიურებს ვერაფერი გავუგეთ. სხვათა შორის, ჩოხის ჩაცმა კარგად დაგვებედა, მაშინ „უფროსებთან“ ერთად ვიმღერეთ და ჩვენზე ბედნიერი არავინ იყო.

**— ასეთი გავლენა აქვთ?**

***დათო არჩვაძე:*** — ერთი სიკეთე ის გვაქვს, სიმღერაში არ ვბაძავთ. ისე, ბავშვობიდან გვინდოდა, ყველაფერში დავმსგავსებოდით... ჩვენთან არის ხალხი, მათი აფიშის ნაგლეჯსაც რომ ინახავს. რაც გინდა, „ქართულ ხმებზე“ ყველაფერი იციან... დათო კიკაბიძემ ერთხელ ფუნიკულიორზე მათი კასეტის ნამტვრევი იპოვა და შინ წაიღო, ფილარმონიის საკონცერტო პანელიც დაახვია და ისიც გააქანა... ვეხუმრებით, ზაურ ბოლქვაძეს ოპერაციაზე რომ თითი მოაჭრეს, ისიც უნდა შეგენახაო... ამბობს, არ ვიცი, სად წაიღეს, თორემ შევინახავდიო...

**— უფროსებთან ერთად იმღერეთ — ოცნებაც ასრულდა. აწი რაღა გინდათ?**

— ბევრი არაფერი. ჯერ სხვა იყოს კარგად და მერე ჩვენ. ახლახან ჩვენი ახლობელი მომღერალი გარდაიცვალა. იმ დღეს ჩაწერა გვქონდა, სიმწრით ვიმღერეთ... ღმერთმა ქნას, ასე არასოდეს გვემღეროს. ვარსკვლავების მოწყვეტას არ ვაპირებთ, მაგრამ გვინდა, რასაც ვაკეთებთ, კარგი გამოვიდეს. ქართული სიმღერა მხოლოდ ყურის საამებლად არ არის შექმნილი, რახან გადარჩა, ესე იგი, ასე იყო საჭირო. ჩვენ, როგორც შეგვიძლია, ვუვლით. მეტი არაფერი...

P. S. როცა „არასერიოზული“ ბიჭების საუბარი დასრულდა, „ხმელი წიფელი“ გამახსენდა — თუ ღმერთს წასაქცევად არ ემეტები, ახალი ყლორტები უნდა გაჩუქოს!

***ეთერ ერაძე***







# მამულ-დედული

## მივხედოთ ტყეს...



ტყეს ადამიანისთვის დიდი სარგებლობა მოაქვს. მერქნის გარდა ტყე იძლევა ძვირფას მასალას კვების მრეწველობისათვის სოკოებისა და ხილკენკრის (პანტა, მაჟალო, ტყემალი, მოცვი, მოცხარი, ჟოლო, მაყვალი...) სახით; ასევე კაკალს, წიფელს, თხილს, სამკურნალწამლო მცენარეებს.

უშუალოდ მერქნიდან 2.000-ზე მეტი დასახელების პროდუქცია მზადდება.

მერქანს იყენებენ: სამშენებლო საქმეში, ცელულოზა-ქაღალდის, საფეიქრო, ასანთის, ქვანახშირის, სამთამადნო, სააფეჯო, საფანტრო, საავიაციო და საავტომობილო მრეწველობაში, მუსიკალური ინსტრუმენტებისა და სასკოლო მოწყობილობათა წარმოებაში, რკინიგზის ძელებისთვის, ვაგონმშენებლობაში, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და გემთმშენებლობაში... მაგალითად, ერთი საშუალო წყალწყვის საოკეანო გემის მშენებლობაზე საჭიროა 4.000 კუბური მეტრი მერქანი...

მერქნის ქიმიური დამუშავებით მიიღება: ღვინისა და ხის სპირტი, ძმარმჟავა, ფორმალინი, აცეტონი, სკიპიდარი, კანიფოლი... სამკურნალო პრეპარატები — ასპირინი, ქაფური; საკვები პროდუქტები: შაქარი, ცილოვანი ნივთიერებები, ლიმონმჟავა, ვიტამინები, კაუჩუკის, რეზინისა და კინოფირების წარმოებისათვის საჭირო მასალები.

ერთი ტონა ნახერხის დამუშავებით მიიღება: 200 ლ ღვინის სპირტი, ან 75-100 კგ შაქარი (გლუკოზა) ან 200 კგ ცელულოზა, ან 2.000 კვმ ცელოფანი, ან 160 კგ აბრეშუმის ძაფი. ნახერხისაგან მიღებული გაწმენდილი შაქარი თითქმის არ განსხვავდება გემოთი ჭარხლის ან ლერწმის შაქრისაგან.

მერქნის ქიმიური დამუშავებით ღებულობენ: ბამბას, შალს, საღებავებს, ლაქს. ხის ქერქისაგან (ტირიფი, მუხა, ნაძვი და სხვ.) ხდიან მთრიმლავ ნივთიერებებს, რასაც იყენებენ ტყავეულის მრეწველობაში. წიწვოვანი ჯიშების (სოჭი, ნაძვი, ფიჭვი) წვრილი ტოტებისაგან იღებენ ეთერზეთებს, რომელსაც იყენებენ საპარფიუმერიო მრეწველობაში...

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური სიმდიდრისა, რასაც ტყე საუკუნეების მანძილზე აძლევს კაცობრიობას, ყველაზე დიდი სიკეთე მაინც ფოტოსინთეზია, რომლის დროსაც ტყე შეუდრეკად შთანთქავს ნახშირორჟანგს და ატმოსფეროში გამოყოფს ჟანგბადს. ტყე ასუსტებს ქარის ძალას, ასუფთავებს ჰაერს მექანიკური მინარევებისაგან... დიდია ტყის როლი ნიადაგის წარმოქმნასა და დაცვაში, მდინარეებისა და ტბების მუდმივი რეჟიმის შენარჩუნებაში. ტყე ინახავს წვიმის წყლის 90-95%-ს, რაც გამორიცხავს ღვარცოფებს.

დღეს, როცა საქართველოს ტყეები ყაჩაღური გაჩეხა-გაზიდვით კატასტროფულ მდგომარეობაშია, როცა გაჩეხილია ქალაქების, დაბების, სოფლების შემოგარენი, მოგიწოდებთ, ვისაც მართლა გული შეგტკივათ ქვეყნისათვის, ვისაც უყვარს მამულ-დედული და ქვეყნის მომავალი თაობა — დამიჯერეთ, დავრგოთ თითოეულმა ყოველწლიურად თითო ძირი ხე მაინც და 10-15 წლის შემდეგ ძველებურად აშრიალდება ულამაზესი ტყეები, მომრავლდება ნადირ-ფრინველი და რაც ყველაზე მთავარია, გაიწმინდება გარემო უთვალავი შხამისაგან, რომლითაც გაჯერებულია ჰაერი, წყალი და ნიადაგი.

P.S. ამ საქმის ორგანიზაციასა და ნერგებზე: მერიამ, გამგეობებმა, სატყეო დეპარტამენტმა და გამწვანების სამსახურებმა უნდა იზრუნონ.

## ტაიგის მტაცებელი



ეს ისეთი მტაცებელი ცხოველია, რომლის სახელის ხსენებაზეც კი მონადირეებს სუნთქვა ეკვრით.

როსომახი კვერნის ოჯახის წარმომადგენელია. მისი გავრცელების არეალია: ტუნდრა, ტაიგის ტყეები, კოლის ნახევარკუნძულიდან სახალინამდე და კამჩატკამდე.

ტანად პატარაა, 60-80 სმ სიგრძეში და იწონის 6-7კგ-ს. თავს ესხმის არა მარტო თავისზე მცირე ზომის ცხოველებსა და მიწაზე მობუდარ ფრინველებს, არამედ ისეთ გიგანტებსაც, როგორიც არის ცხენ-ირემი ანუ ლოსი.

ერთ-ერთი ნაკრძალის თანამშრომლები შეჭმული ლოსის ნარჩენებს წააწყდნენ და გაოცდნენ, როცა მის ირგვლივ თოვლს ამ პატარა აბეზარი ცხოველის ნაკვალევი ემჩნეოდა. მეცნიერებმა ასე დახატეს მტაცებლის ლოსზე თავდასხმის სურათი — როსომახი, რომელმაც იცოდა, რომ ბილიკზე ცხენ-ირმების ჯოგს უნდა გაევლო, მათ ხეზე ჩაუსაფრდა. მიახლოებისთანავე, ერთ-ერთ ფურს დაახტა ზურგზე, ჩააფრინდა კისერში და დაუწყო ღრღნა. ამ მდგომარეობაში ლოსმა ყინულზე ირბინა 300 მეტრამდე იმ მიზნით, რომ გადმოეგდო თავისი „მხედარი“, მაგრამ ვერ შეძლო. საბოლოოდ იგი ყელგამოღადრული დავარდა ყინულზე. ასე დაიმორჩილა 7-კილოგრამიანმა როსომახმა 170-200-კილოგრამიანი ლოსი.

როდესაც როსომახი ირემს ან რომელიმე სხვა ცხოველს მისდევს, მანამდე არ მოეშვება, სანამ არაქათგამოცლილი მსხვერპლი მიწაზე არ დავარდება.

როსომახი არცთუ ისე იშვიათად მიჰყვება ფოცხვერის ნაკვალევს და თუ სადმე მისი ნანადირევის ნარჩენებს წააწყდა — მიირთმევს, თუმცა, არც მასზე თავდასხმას ერიდება, რის გამოც ფოცხვერს მისი ეშინია და გაურბის.

როსომახი ხაფანგების მტერიცაა — მათ მონადირეებზე ადრე „აკითხავს“ და... მხოლოდ ბუმბულს და დაფლეთილ ტყავს ტოვებს. ასევე არბევს პროფესიონალ მონადირეთა ქოხებს...

როსომახის ტყავი არ გახლავთ იმდენად ძვირფასი, რომ მასზე ნადირობა ღირდეს. მაგრამ მავნე ჩვევებისა და სანადირო მეურნეობისათვის დიდი ზარალის მიყენების გამო, მისი მოკვლა ნებადართულია მთელი წლის განმავლობაში.

## გნოლი



ქათმისებრთა ოჯახიდან სულ 4 სახეობის ფრინველია საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი: დურაჯი, კავკასიური როჭო, კასპიური შურთხი და გნოლი. უძველესი დროიდან ამ ფრინველებზე ნადირობამ, მათი საბინადრო ადგილების შემცირებამ, შხამ-ქიმიკატების განუკითხავმა გამოყენებამ, პირუტყვის უსისტემო ძოვებამ და ბრაკონიერებმა მინიმუმამდე დაიყვანეს მათი რაოდენობა, იმდენად, რომ ამ ფრინველთა გადაშენების საშიშროების წინაშეც დავდექით.

წითელი წიგნის ერთ-ერთ „ბინადარი“, უმშვენიერესი გნოლი გავრცელებულია ევროპაში, მცირე აზიაში, კავკასიაში, ირანში, ჩრდილოეთ ყაზახეთში, ციმბირში.

საქართველოში მცირე რაოდენობით გვხვდება: ჯავახეთში, ადიგენის, წალკის, მარნეულის და ყაზბეგის რაიონებში, შირაქში... ბინადრობს ყანებსა და სათიბებში, ზეგნებზე, იქ, სადაც ქვიან-ბალახიანი ხევები და ბუჩქნარებია.

მარტის დასაწყისში გნოლები წყვილდებიან, დედალი აპრილში დებს 12-დან 20-მდე კვერცხს, კრუხობს 26 დღე-ღამის განმავლობაში. მამალი ბუდის შორიახლოს დაგოგმანობს და საფრთხის შემთხვევაში მონადირეს თუ ნადირს თავს მოაჩვენებს, თითქოს ფრთამოტეხილია და შორს გაიტყუებს ბუდისაგან.

ახალგამოჩეკილი ბარტყები უკვე მშობლებთან ერთად დარბიან. პირველ დღეებში ისინი მხოლოდ ჭიებით იკვებებიან, შემდეგ კი გადადიან მარცვლეულზე.

შემოდგომაზე გნოლები გუნდად იკრიბებიან და ასე ეძებენ საკვებს. ჭამენ მცენარეთა ყლორტებს, კვირტებს, კენკრას, ლოკოკინებს, მწერებს და ა.შ. სხვა ქათმისნაირი ფრინველებისაგან განსხვავებით, გნოლს ცურვაც შეუძლია.

## მოზაიკა

- დედამიწის მხოლოდ 2%-ია ვარგისი სახნავ-სათესად, დანარჩენი უკავია ზღვებს, მთებს, მუდმივ გამყინვარებას და ა.შ.
- მსოფლიოში ტყეს უკავია 4 მილიარდი ჰექტარი.
- ქაღალდის წარმოების ისტორია 2.000 წელზე მეტს ითვლის. ნედლეულად 1840 წლამდე გამოიყენებოდა: პაპირუსი, ბამბა, კანაფი და სხვ. ამ წელს კი გერმანელმა ინჟინერმა კელერმა, ხოლო მოგვიანებით სხვებმაც, დაამუშავეს ქაღალდის მერქნისაგან მიღების მეთოდი.
- თითოეული ადამიანი სიცოცხლის მანძილზე ხარჯავს 100 კუბურ მეტრ მერქანს.

## მკითხველის ფოტო



ჩვენი პირველი ნაძვის ხე

***გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ***

### რედაქციისაგან:

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ. გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).

წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.

## ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

### როცა კაკლის ხე არ ისხამს



**— ჩემს მამულში ამ 25 წლის წინ თავისით აღმოცენდა 4 ძირი კაკლის ხე. ამ ხნის განმავლობაში ხეები გაიზარდნენ, მაგრამ ნაყოფი არ მოუციათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დაახლოებით ერთ ვედროს თითოეული ძირიდან. სოფელში მასწავლეს გამოცდილმა გლეხებმა, რომ კაკლის ხე უნდა „შეაშინო“ ძირში ნაჯახის რამდენიმე დარტყმით. მოვსინჯე, მაგრამ უშედეგოდ. გთხოვთ, გამიწიოთ სათანადო კონსულტაცია.**

**ოთარ მაისურაძე**

— თქვენს ბაღში აღმოცენებული კაკლის ხეები დიდი ხნის წინ უნდა მოგეჭრათ, თუმც არც ახლაა დაგვიანებული. კაკლის ხის მასალა ხომ საუკეთესოა როგორც სახარატო, ისე საავეჯო საქმეში. როგორც წესი, კაკალი 7-10 წლიდან (ზოგი უფრო ადრეც) მსხმოიარობს. ასე რომ, რაც მალე მოაცილებთ თქვენი კარმიდამოდან უსარგებლო ხეს, მით უკეთესი. დარგვით კი დარგეთ ადრე მსხმოიარე ჯიში, მაგალითად „იდეალი“, რომელიც მესამე წელიწადს ისხამს, ახასიათებს მტევნებად მოსხმა, მტევანში 5-7 და მეტი კაკალიც არის, ნიგოზიც საუკეთესოა.

### ასე „მზადდება“ თაფლი...



**— იქნებ მოგვითხროთ იმის შესახებ, თუ როგორ ამზადებს ფუტკარი თაფლს.**

**ნანა გაბუნია**

— თაფლის „დამზადება“ არცთუ ისე ადვილი საქმეა. მუშა ფუტკარი ყვავილის სანექტრიდან ხორთუმით იღებს ნექტარს, მცირე ნაწილს თვითონ მიირთმევს, დანარჩენი მიაქვს სკაში და გადასცემს მიმღებ ფუტკარს. მიმღები ფუტკარი 120-140-ჯერ გამოიღებს ნექტრის წვეთს და ისევ ყლაპავს. ამასობაში ნექტარში არსებული წყლის დიდი ნაწილი ორთქლდება. დარჩენილ მასას იგი ათავსებს ფიჭის ცარიელ უჯრედში, სხვა ფუტკრები კი მრავალჯერ გადაიტანენ ერთი უჯრედიდან მეორეში. ნექტარი სქელდება და გარდაიქმნება თაფლად. ნექტარში 75-80% წყალია, თაფლში კი 16-20. წყალი შეიწოვება ფუტკრის ჩიჩახვის კედლებშიც. ჩიჩახვში ნექტარი მდიდრდება ფერმენტებით, ორგანული და სხვა ნივთიერებებით. თაფლით სავსე ფიჭის უჯრედებს ცვილით „დაბეჭდავენ“ და 3-4 კვირის განმავლობაში თაფლი „მწიფდება“. თაფლს ასხვავებენ იმის მიხედვით, თუ რომელი მცენარიდან არის მიღებული:

აკაციის თაფლი — აქვს ნაზი, სასიამოვნო არომატი, გამჭვირვალე ფერი, შაქრდება გვიან, იყენებენ უძილობისას, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, თირკმლებისა და კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს.

ცაცხვის თაფლი — შაქრდება წვრილ კრისტალებად. იყენებენ ანგინის, სურდოს, ბრონქიტის, ბრონქული ასთმის, კუჭ-ნაწლავის, თირკმლების, დამწვრობის სამკურნალოდ.

მდელოს თაფლი — შაქრდება სწრაფად, გამოირჩევა სასიამოვნო არომატით. იყენებენ სასუნთქი გზების, თავის ტკივილის, უძილობის და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ.

წაბლის თაფლი — მუქი ყავისფერია, აქვს ოდნავ მომწარო გემო, შაქრდება ნელა. იყენებენ კუჭ-ნაწლავისა და თირკმლების სამკურნალოდ.

### როგორ შევამოწმოთ თაფლი...

**— ახლა ყველგან იყიდება თაფლი და ყველგან „გვიმტკიცებენ“, ნატურალურია. რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, რომ ფალსიფიცირებული თაფლი არ შემოგვაპარონ?**

**ნათელა ხურციძე**

— იმის გასაგებად, თაფლი ნატურალურია თუ არა, გთავაზობთ რამდენიმე ხერხს: თაფლით სავსე კოვზი გადმოატრიალეთ და გადმოასხით. ნატურალური თაფლი ნაკადივით არ წამოვა; თაფლიან წყალში ჩააწვეთეთ ორი წვეთი იოდი. თუ წყალი გალურჯდა, ე. ი. შესასქელებლად დაუმატებიათ სახამებელი ან ფქვილი; ნამდვილი თაფლი სურნელოვანია და ცოტათი ჩახეხს ყელს; დაასხით ქაღალდზე თაფლი. თუ გაჟონა ან გარშემო ნოტიო ლაქები გაჩნდა, ე. ი. დაუმატებიათ წყალი ან შაქრის ვაჟინი.



1 ბუდიზმის ძირითადი მიზანი
2 აფრიკული ანტილოპა
3 ჰეიერდალის პაპირუსის ნავი
4 პოლონური პარფიუმერიის სერია „...ვალევსკა“
5 3,14
6 მსახიობი ანჟელიკას როლში
7 სახელმწიფო ოკეანიაში „... ახალი გვინეა“
8 ავტომობილის ფარანი
9 დაბერებული თხა
10 ჭამის სურვილი
11 ზღაპრ. ცხენი
12 პუგაჩოვა
13 ბაშკირეთის დედაქალაქი
14 ადამის ნეკნისგან შექმნილი
15 კუზანოვი
16 ზღვის მომცრო ყურე
17 რუსული თვითმფრინავის მარკა
18 განცხადება კონცერტის შესახებ



19 კერძების ჩამონათვალი
20 გერმანიის პრეზიდენტი
21 ქართველი პოეტი
22 ღამის ფრინველი
23 ქართული „ენდემური“ ყველი
24 ფულის შესანახი ქსოვილის პარკი
25 წიფელი ან რცხილა
26 გორაკი
27 მტაც. კვერნისებრ. ოჯახისა
28 ზღუდე აივანზე, ხიდზე
29 მდინარე ციმბირში
30 ამაღლებული ადგილი
31 დედამიწის თავზე
32 წავების მდა
33 მცხეთის სადარაჯოზე „მდგარი“ ყაჩაღი
34 ყანწის მასალა
35 მდინარე, რომელსაც შტრაუსმა ვალსი უძღვნა
36 ბოროტი სული ჩინურ მითოლოგიაში
37 ესპანეთის ავიაკომპანია
38 ჩრდილოატლანტიკის სამხედრო ალიანსი
39 შოტლანდიური ურჩხული
40 ბრაზილიელი ავტომრბოლელი
41 მჭევრმეტყველი



42 ნახტომი ფიგურულ ციგურაობაში
43 კინოფესტივალ. ქალაქი საფრანგეთში
44 კუს რქოვანი ფარი
45 კბილის შემადგ. ნაწ.
46 ზედმეტად კადნიერი
47 ბექჰემის კონკურენტი „რეალში“
48 ამერიკ. გენერალი სამოქალაქო ომში
49 მსახიობი და მოცეკვ., მუნჯი კინოს ლეგენდა
50 მხედველობის არეში მოქცეული ადგილი
51 კონცერნ „ფილიპსის“ ქარხნის ადგილმდებარეობა
52 საქონლის შესაფუთი მასალა
53 ყვავილი
54 ჭანი
55 იტალ. ქალბატონი
56 სასტამბო მანქანა
57 სრული უაზრობა
58 დემი მურის ყოფ. ქმარი
59 გვაროვნული გაერთიანება მაფიაში
60 ლედი დი
61 კალატოზის იარაღი





62 „მაკენას ოქრო“ (მაკენას თანამდებობა)
63 რუსი ფერმწერი
64 კურორტი ლატვიაში
65 ნავსადგური საფრანგეთში
66 ინგლ. პოეტი–რომანტ.

**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. ბარამბო; 2. გალა; 3. რაბანი; 4. ამნერისი; 5. ოლბრაიტი; 6. აბუ; 7. ცანგალა; 8. ბაბო; 9. ენცო; 10. სლაი; 11. ლაყე; 12. მიმი; 13. ხალი; 14. „ბაუნტი“; 15. ტონგა; 16. დელი; 17. იო; 18. აია; 19. „ტოკაი“; 20. კიანუ; 21. ქვა; 22. ია; 23. ლარნი; 24. სუ; 25. ზარი; 26. ლედი; 27. დოზა; 28. აკრა; 29. ზერო; 30. ამინდი; 31. ნაივი; 32. ზოდი; 33. გადია; 34. იოვანა; 35. ნაირა; 36. დმანისი; 37. გუნო; 38. ნინო; 39. მანი; 40. გრამი; 41. მაი; 42. რომანი; 43. ბანი; 44. გოგოლი; 45. ნიკე; 46. ცაავა; 47. ცეკვა; 48. გუგა; 49. ლიმა; 50. „ტამანგო“; 51. დე; 52. რუკა; 53. მანგო; 54. ბენი; 55. საბო; 56. მაუგლი; 57. გუამი; 58. „მინდია“; 59. ლი; 60. ბუ; 61. ბია; 62. „აუმი“; 63. კელი; 64. ყურანი; 65. არუე; 66. ტრემბიტა; 67. გული.
1. ბაბუას ახალგაზრდული ვნებანი; 2. ოცნება და სინამდვილე; 3. კოქტეილი „მეგობრობა“; 4. სიყვარული ბრმაა; 5. გო.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანმიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ.**
**ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

შეადგინა რამაზ ალანია

CMYK

# თქვენთვის

# „არ ვიცი, ჩემი საქციელი ლაჩრობაა თუ ვაჟკაცობა!“



...ლადო რუსეთში დაახლოებით ათი წლის წინ გადაიხვეწა. საყვარელი იყო პირდაპირ. სალაღად მოყვარულმა მამამ და მეუღლემ, სრულიად უმიზეზოდ მიატოვა ოჯახი — ცოლი და ორი ქალიშვილი და განაცხადა: — მე დაბრუნებას არ ვაპირებ, არც შეეცადოთ გადამაფიქრებინოთ, ან შემაცვლევინოთ გადაწყვეტილება. ჩათვალეთ, რომ აღარ ვარსებობ!..

ლადოს ყველა ამჯგუფებს, მშობლებიც კი: ასეთ ცოლ-შვილს რომ მიატოვებს, იმ კაცს გამართლება არა აქვს. უპატიოსნესი ქალია ჩვენი რძალი ნათია. ქმრის ღალატის მიუხედავად, ოჯახის ერთგული დარჩა, ანგელოზივით შვილებს ზრდის, უკვე 14-15 წლისანი არიან გოგონები, მამის ყურადღება განსაკუთრებით სჭირდებათ. ლადო ფულს კი უგზავნის, მაგრამ განა ეს საკმარისია?!

თავად ნათია ასე ამბობს ხოლმე: — ოჯახის საქმეს სხვა ვერ გაიგებს. ალბათ ასე ჯობდა ჩვენთვის, რომ ცალ-ცალკე გვეცხოვრა, ლადოს უკვე სხვა ცოლ-შვილი ჰყავს და შერიგებაზე ლაპარაკიც აღარ აქვს აზრი.

ლადო შარშან ზაფხულს ძალიან ახლობელი ადამიანის ტრაგიკულმა დაღუპვამ ჩამოიყვანა საქართველოში. სამიოდ დღე დარჩა მშობლიურ ქალაქში და მაშინაც ბიძაშვილებთან ათევდა ღამეს მოსკოვიდან ჩამოყვანილ ცოლ-შვილთან ერთად. მისი მეუღლე ეკატერინე რუსია, გოგონა, ვიკა, სამი წლისაა...

...ჩემთან საუბარი თავად ისურვა — იქნებ ჯობია, საიდუმლო სიკვდილამდე ვიზიდო მძიმე ტვირთად, მაგრამ არც ის მინდა, ყველას უნამუსო კაცი ვეგონო, დედ-მამაც კი დანაშავედ მთვლიდეს. იმედი მქონდა, ჩემს ცოლს ყოველივე ძალა და თავად გაარკვევდა ყველასთან ურთიერთობებს, მაგრამ ასე არ მოხდა. დღემდე ის თვალთმაქცობს, ყველას ჩემი თავი შეაძულა, ყველა ახლობლის დამსახურებით, დედამისის სახლში ღამის გასათევად ვერ მივსულვარ, შვილებსაც მე ვგონივარ დამნაშავეო...

— ისიც არ ვიცი — ლაჩრობა უფრო იყო ჩემი საქციელი თუ ვაჟკაცობა. ინჟინერი ვარ, ერთ-ერთ ქარხანაში ცვლის უფროსად ვმუშაობდი და, ბუნებრივია, ღამითაც ხშირად მიწევდა შინიდან გასვლა...

მე და ნათია სიყვარულით დავქორწინდით და გულშიც არასოდეს გამივლია, რომ მას შეეძლო ჩემი ღალატი. საკუთარი თვალით რომ არ მენახა და სხვას ეთქვა, არ დავიჯერებდი.

იმ დაწყევლილ დღეს ღამის ცვლაში ვიყავი, თანაც ღამის თორმეტიდან დილამდე უნდა მემუშავა. ცუდად ვგრძნობდი თავს და მეგობარს ვთხოვე, ჩემ მაგივრად დარჩი-მეთქი, მე კი შინ წავედი. რადგან გვიანი იყო, კარი საკუთარი გასაღებით გავაღე და ფეხაკრეფით შევიპარე, არ მინდოდა მძინარე ცოლ-შვილის შეწუხება. იმდენად სუსტად ვგრძნობდი თავს, ჩაის დალევაც არ შემეძლო და პირდაპირ საძინებელში შევედი, იქ კი...

...არა, დაწვრილებით ვერ გეტყვით, ან რა სასიამოვნოა იმ საზიზღრობის აღწერა?!.. მათ არც გაუგიათ ჩემი შესვლა... გაოგნებულმა ავანთე შუქი და...

არ ვიცი, რატომ არ დავხოცე ორთავე ან თავი რატომ არ მოვიკალი!..

თან, უცხო მაინც ყოფილიყო ვინმე, ჩვენი ოჯახის მეგობარი და ბავშვის ნათლია! — მეტი ცოდვა შეიძლება დატრიალდეს?!. შვილი მეუბნებოდა ხოლმე, — წუხელ ნათლიამ საჩუქრები მომიტანაო, მაგრამ აზრადაც არ მომსვლია ცუდის ფიქრი. იმ წუთში კი მივხვდი, რომ იმ გაიძვერას არც ხშირი სტუმრობა იყო შემთხვევითი და არც პირველ ღალატს შევსწრებივარ იმ ღამეს!..

...უსიტყვოდ გამოვედი!.. ის ღამე მანქანაში გავათენე. დილით მშობლებთან წავედი.

ნათია ჩემი გადახვეწის შემდეგ დაბრუნდა ჩემებთან (მისი მხრიდან ესეც ცინიზმად მიმაჩნია, დანაშაულზე დამატებულ დანაშაულად!..), მე კი ორი კვირა 40 გრადუსი ტემპერატურით ვიწექი ენაჩავარდნილი და მხოლოდ მას შემდეგ მოვედი ცოტა გონს, რაც გადაწყვეტილება მივიღე...

როგორ გამემხილა — ცოლს საკუთარ საძინებელში შვილის ნათლიასთან წავასწარი-მეთქი! ისევ მე შემრცხვა და გაქცევა ერთადერთ გამოსავლად მივიჩნიე. მეგონა, ნათიას ეყოფოდა ადამიანობა და თავად გამოუტანდა განაჩენს თავს, სწორ გადაწყვეტილებასაც მიიღებდა, მაგრამ ისევ მე თუ დამაბრალებდა ოჯახის არევას, რა მაფიქრებინებდა?! ყველა ახლობელი დამიპირისპირა — ყველა მის პატიოსნებასა და ერთგულებაზე ლაპარაკობს, რაც ნამდვილად არ არის მართალი.

დაწერეთ ამ ამბავზე, ოღონდ სახელები მაინც შეცვალეთ (შეცვლილია! — ი.ჯ.), ვინც საჭიროა, ის რომ მიხვდეს მხოლოდ, ვინცა ვარ. არ მინდა სიცოცხლის ბოლომდე მოღალატედ და უგულო ადამიანად მთვლიდნენ ახლობლები და არ ჩამომესვლებოდეს სამშობლოში!.. ნათიას საკმარისზე მეტი დრო მივეცი, რომ სწორი გადაწყვეტილება მიეღო და თავად მოეძებნა ადგილი. როგორც ჩანს, მას სიცოცხლის ბოლომდე აქვს ჩემი ღალატი ჩაფიქრებული!.. ნუ განმსჯით მკაცრად, ნურც სულმოკლეობად ჩამითვლით ამ აღსარებას. წარმოიდგინეთ თავი ჩემს ადგილზე და გულახდილად თქვით, თვითონ როგორ მოიქცეოდით?!.

მე უდანაშაულო ვარ და მინდა ეს ყველამ იცოდეს, უპირველესად კი ჩემმა ქალიშვილებმა. ის, ვინც არ მოინანია უდიდესი შეცოდება, მეცოდება კიდევაც, რადგან ვერც სიცოცხლეში და ვერც სიკვდილის შემდეგ, სიმშვიდეს ვერ ეღირსება!..

...ლადო ისე გაემგზავრა, მშობლების სახლში არ მისულა... დიდხანს ვებრძოლე თავს, მექცია თუ არა საგაზეთო მასალად გულდაკოდილი, ცხოვრებადამსხვრეული კაცის ტკივილი, ბოლოს მაინც დავჯექი საწერად!.. ვიცი, ლადოს არც რამე მოუგონია, არც რამე გაუზვიადებია და მაინც... იქნებ ახლა მაინც მოინანიოს ნათიამ, მართლაც ძალიან ცოდვილმა ქალმა...

სხვათა შორის, ბატონ ლადოს „ნათლიაზეც“ ვკითხე: — ის როგორღა მოიქცა-მეთქი.

არავინ იცის, სადაა და რას აკეთებს, ცოცხალია თუ მკვდარი, საქართველოდან გადაიხვეწა და ყველაზე ახლობელ ადამიანებსაც კი არ ეხმიანება, რაც უკვე დანაშაულის აღიარებას და შეგნებას ნიშნავსო, — მითხრა.

ალბათ ასეცაა...

სხვას ვეღარაფერს დავამატებ ნათქვამს, მეც გაოგნებული და დაბნეული ვარ!..

**ინგა ჯაყელი**

---

გვეკითხებიან

# ნამდვილი ბოსი

**გამიგონია, რომ მამაკაცებს ძალიან მოსწონთ „ბოსის“ ფირმის კოსტიუმები. მაინტერესებს ვინ იყო ეს ბოსი?**

***ერეკლე ცაგარელი***

ბიზნესმენთა ტანსაცმლის ერთ-ერთი პრესტიჟული და პოპულარული მარკა „ჰუგო ბოსი“ ვერნერ ბალდესარინისთან არის დაკავშირებული. 30 წლის მანძილზე ეს დიზაინერი ძალ-ღონეს არ იშურებდა ცნობილი ბრენდის კეთილდღეობისთვის.

ადამიანი, სახელად ჰუგო ბოსი, ნამდვილად არსებობდა, მაგრამ ალბათ როცა ბიზნესს იწყებდა, ვერ წარმოიდგენდა, რომ დროთა განმავლობაში მისი სახელი ასეთ პოპულარობას მოიხვეჭდა.





ჰუგო ბოსი გერმანიაში ცხოვრობდა. 1923 წელს უპრეტენზიო სამუშაო ტანსაცმლის — კომბინეზონებისა და ხალათების კერვა დაიწყო. საქონელი კარგად საღდებოდა, მაგრამ მაინცდამაინც დიდ შემოსავალს არ იძლეოდა. საქმის გამოსასწორებლად ჰუგომ სარფიანი საქმე წამოიწყო — სამხედრო დაკვეთებს ასრულებდა — არმიისთვის მუნდირების კერვით ისეთი კაპიტალი დააგროვა, რომ სამხრეთ გერმანიაში, მეტცინგერში, ქარხანაც კი შეიძინა. 1948 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ, საქმე მისი ვაჟის, ზიგფრიდის და სიძის, ეუგენ ჰოლის ხელში გადავიდა. მაგრამ ოჯახური ბიზნესი შვილიშვილებმა — ჰიუ ბოსმა, უვე და იოჰან ჰოლებმა ააყვავეს — მათ უნიფორმების მაგივრად რესპექტაბელური ტანსაცმლის, მამაკაცის კოსტიუმების შექმნას მიჰყვეს ხელი საფირმო ნიშნით — Hugo Boss-ი. მათ მოსწონდათ ბაბუის კეთილხმოვანი და ადვილად დასამახსოვრებელი სახელი — მიზნის მისაღწევად ხომ ამასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჰუგოს მემკვიდრეებმა წარმოების მოდერნიზებით დაიწყეს და საფუძველი ჩაუყარეს კომპანიის განვითარებას. მათი ტანსაცმელი პრაქტიკული და ხარისხიანი იყო, მაგრამ ეს არ კმაროდა იმ წარმატებისთვის, რომლისკენაც ისწრაფოდნენ. ნამდვილი წარმატება ვერნერ ბალდესარინისთან ერთად მოვიდა. ამ სამხრეთტიროლელს სტილის საოცარი შეგრძნება გააჩნდა. 70-იან წლებში ვერნერ ბალდესარინი მიუნხენის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ მაღაზიაში მუშაობდა დიზაინერად. სწორედ მას შესთავაზა უვე ჰოლმა ბოსის ფირმის კოსტიუმები გასაყიდად. ბალდესარინიმ კრიტიკის ქარცეცხლში გატარა მისი ნაწარმი — დაუწუნა ქსოვილი, ღილები, სტილი და ა.შ. გამწარებულმა და შეურაცხყოფილმა ჰოლიმ დაიჟინა — ჩვენი ფირმის კოსტიუმები მხოლოდ ამ მაღაზიაში უნდა გაიყიდოს და თუ რამე არ მოგწონთ, უკეთესი მოდელები შემოგვთავაზეთო. და... ბალდესარინიმაც გაუზიარა თავისი აზრი, როგორი უნდა ყოფილიყო მამაკაცის იდეალური კოსტიუმი... შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ბალდესარინის რჩევით შექმნილ კოსტიუმებს კომერციული წარმატება ხვდა წილად მთელ გერმანიაში. ძმებმა მაშინვე „რამდენიმეწლიანი“ კონტრაქტი გააფორმეს ახალ დიზაინერთან, მაგრამ ეს „რამდენიმე წელი“ ოცდაათი წელი გაგრძელდა. ბალდესარინის არა მარტო მთავარი დიზაინერის, არამედ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტიც ეჭირა. მან მოახერხა საქმიანი კოსტიუმისთვის, ბიზნესმენთა ამ უნიფორმისთვის, ინდივიდუალურობა მიენიჭებინა. ეს სათანადოდ დააფასეს პოლიტიკოსებმა და ტოპმენეჯერებმა.

თანამედროვე მოდის ისტორიაში „ჰუგო ბოსმა“ სახელი გაითქვა, როგორც ელეგანტურმა სტილმა ნამდვილი ბოსებისთვის, რომლებიც ყოველთვის წარმატებას აღწევენ.

დროთა ვითარებაში ბალდესარინიმ მამაკაცის ტანსაცმლის კოლექციებს არტისტიზმი შემატა, თანაც კლასიკური მოდის ტრადიციული წესების დაურღვევლად.

Hugo Boss-ის უკვე აღიარებულ მოდელებთან ერთად გაჩნდა უფრო დემოკრატიული, არაფორმალური სამოსიც — „ჰუგო ახალგაზრდებისთვის“. მალე მამაკაცთა მოდელებს ქალებისთვის შექმნილი მოდელებიც დაემატა. ეს დროის მოთხოვნა იყო — ხელმძღვანელ მამაკაცებს აქტიურად ენაცვლებოდნენ კარიერის შექმნის მოსურნე ქალები. მათ კი ელეგანტური, საქმიანი კოსტიუმები სჭირდებოდათ. ასე რომ, მამაკაცი-„ბოსის“ გვერდით გაჩნდა ქალი-„ბოსი“.

2002 წელს ვერნერ ბალდესარინიმ ადმინისტრაციის მეთაურის პოსტი დატოვა და ახლა საკუთარ კოლექციებს — „Baldessarini Hugo Boss“-ს უშვებს.

---

# კაცის გული ისეთია...

*„კაცის გული ისეთია, ვით მორევი შავი ზღვისა, რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს, მაინც ენატრება სხვისა“, — ნათქვამია. ამ ნათქვამის ჭეშმარიტებაში საბოლოოდ ამას წინათ დავრწმუნდი. თურმე, ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ერთფეროვნება მალე ჰბეზრდებათ და მისგან თავის დასაღწევად თვალებს აქეთ-იქით აცეცებენ. ნუ გაგიკვირდებათ და, მათი უმრავლესობა ოცნებობს, ერთბაშად რამდენიმე პოპულარული და ლამაზი ქალი ცოლად თუ არა, „მახეში“ მაინც ჰყავდეს გაბმული.*

*მოუსმინეთ მამაკაცებს და მათი გულების გასაღებს, თუ ცოტას გაირჯებით, მყისვე იპოვით.*

**ლევანი (42 წლის):** — ერთი ძალიან ლამაზი გოგო გვყავდა კლასში. ბიჭები ლამის ერთმანეთს ვხოცავდით მისი გულის მოსაგებად. მაგრამ ზედაც არ გვიყურებდა. ერთმა აიღო თავზე ხელი და მოიტაცა. ის ბიჭიც ძალიან ლამაზი იყო. მიუხედავად იმისა, რომ შინ მზეთუნახავი ცოლი ეჯდა, თვალი მაინც სხვისკენ გაურბოდა. მერე, როგორც იქნა, ბოლო მოეღო მის მექალთანეობას, ცოლს აღარ სცილდებოდა. გაოგნებული დავრჩით — რა მოხდაო. მალე ქალის ეშმაკობას მივხვდით.

მის სულელ ქმარს ფილმებში რომელი მსახიობი ქალიც მოეწონებოდა, მერე იმნაირს გარეთ ეძებდა თურმე. მიუხვდა ცოლი ამას, დაიწყო სილამაზის სალონებში, მაღაზიებში სიარული, თავისთვის მოიცალა და ქმარი სულ გამოაშტერა. რაღა დაგიმალოთ და, მეც და ჩემს ბევრ მეგობარს ასეთი ქალი გვირჩევნია ცოლად, ვიდრე ისეთი, თვალებში რომ შემოგციცინებს და საკუთარი თავი არ ახსოვს.

**დათო (36 წლის):** — ცოლი სიყვარულით კი შევირთე, მაგრამ როგორც კი ჩემად ვიგულე, რაღაც უცნაური გრძნობა გამიჩნდა. ოხერი კითხვა ამეკვიატა — ნუთუ ამ ერთი ქალის გვერდით უნდა ვიყო მთელი სიცოცხლე-მეთქი, ის ერთი ქალი კი ჭკუას კარგავდა ჩემთვის. ისე შემაწუხა ჩემმა ფიქრებმა, რომ ფსიქოთერაპევტთანაც კი დავიწყე სიარული. ერთი და იგივე თმის ვარცხნილობა, ერთი და იგივე სიტყვები, საქციელი და სხეულის ტკბილი, მაგრამ ნაცნობი სურნელი ნერვებს მიშლიდა. უკვე შვილიც გვყავდა. ჩემი მეუღლე გრძნობდა, რომ რაღაც მჭირდა, მაგრამ ვერ ხვდებოდა მიზეზს. ფსიქოთერაპევტიც ამაოდ მუშაობდა, არაფერი გამოგვდიოდა. ერთ დღეს ჩემი სახლის ტელეფონის ნომერი ჩაიწერა — დროდადრო შინ დაგირეკავო. ამ ამბიდან დაახლოებით ერთი თვის თავზე, ერთ საღამოს, შინ ყველაფერი შეცვლილი დამხვდა. ფანჯრებზე ახალი ფარდები ეკიდა და ავეჯი გადაადგილებული იყო. რაღაცნაირად კარგად ვიგრძენი თავი. ყველას ეძინა. ჩემს ცოლსაც, რომელიც სულ მეგებებოდა. დაიჯერებთ, რომ არ შემხვდა, მესიამოვნა. შევედი აბაზანაში, სასიამოვნო სურნელი ტრიალებდა. ვიბანავე, საძინებელში შევედი, ჩემი ცოლი არც განძრეულა. დავიბენი, ბალიშზე თითქოს სხვა ქალს ედო თავი — სხვა ფერის თმა, სხვანაირი ვარცხნილობა... გვერდით მივუწექი, რაღაც საოცარ სურნელებას აფრქვევდა. დღესაც არ ვიცი, რას ისვამს თუ ისხამს. სულ სხვადასხვა სურნელი ასდის. თურმე ფსიქოთერაპევტს ჩემს ცოლთან დაუწყია მუშაობა. ეს ახლახან გავიგე, როცა უკვე ყველაფერი ძალიან კარგად გვაქვს. ჩემი მეუღლე წარამარა იცვლის ვარცხნილობას, შინაც ხშირად ცვლის ფარდებს, გადასაფარებლებს, ნოხებს, რაც ძალიან მსიამოვნებს. ამიტომაც არასდროს ვეკითხები, სად ხარჯავს ამდენ ფულს-მეთქი.

**მერაბი (29 წლის):** — ამდენი ლამაზი, თამამი და ეშმაკუნა გოგონების დანახვაზე თავგზა გვერევა და გვინდა, ყველა ის თვისება, რომელიც ამდენ ქალში მოგვწონს, ერთში იყოს თავმოყრილი. ის კი გვავიწყდება, რომ თვითონ არანაირად არ ვართ სრულყოფილები. არც ქალის სურვილებზე ვფიქრობთ. ძალიან კარგი გოგო მიყვარდა, ლამაზი, ჭკვიანი, ერთგული. მეტი რა ჯანდაბა მინდოდა, თვითონაც არ ვიცოდი. ერთხელ ფილმი ვნახე, „სიმონა“, სადაც ალ პაჩინო კომპიუტერულ სახეს ქმნის მსოფლიოში ცნობილი ლამაზმანების საუკეთესო ნაკვთებისა და მანერებისაგან. ჩემს შეყვარებულს ვუთხარი, რომ შემეძლოს, სიამოვნებით შევქმნიდი ქალ-რობოტს ალ პაჩინოს გეგმის მიხედვით-მეთქი. იმ დღიდან დამცილდა, აღარ მხვდებოდა, არც ტელეფონზე მპასუხობდა. მერე უკვე ჩვენს საყვარელ ბარებსა და რესტორნებში ვაწყდებოდი სხვადასხვა ბიჭებთან ერთად. ერთ დღესაც ყელში ამომივიდა ეს ყველაფერი და შინ მივუვარდი: რას სჩადი, ყველას რატომ ხვდები-მეთქი. მიპასუხა — მინდა ყველა თქვენგანში საუკეთესო თვისებები დავიმახსოვრო და კაცი-რობოტი შევქმნა. მეცოდინება, რომ მას სული არ ექნება და გარეგნობისა და მანერების გამო შევიყვარებ. მაგრამ შენ და შენისთანებს, თავი ღვთაებრივი რომ გგონიათ, ქალში სრულყოფილებას რომ ეძებთ და სული საერთოდ გავიწყდებათ, პატივს არ გცემთ და ცოლადაც არავის გავყვებიო. ეს მითხრა და გარეთ გამომაგდო. ორ თვეში გათხოვდა, ახლა თურმე ფეხმძიმედაა და თავს ძალიან ბედნიერად გრძნობს იტალიელ ქმართან ერთად. ძალიან ვწუხვარ...



**ეკა ლიჩელი**

# სიყვარულმა ბევრი დაბრკოლება და ტკივილი დამაძლევინა...

— გაგონილა, ხალხო, სამი შვილის დედა ისე აცუნდრუკდეს, ოჯახი მიატოვოს და ვიღაც გადამთიელს გაეკიდოს? ყურს არ სმენია და თვალს არ უნახავს ამგვარი რამ. ვინმეს რომ ეთქვა, არ დავიჯერებდი, არადა ჩემს თავს დატრიალდა ეს უბედურება და სირცხვილი... რა ბედნიერია ჩემი ქმარი, ამ თავლაფდასხმას რომ არ მოესწრო! — ქოთქოთებდა დარეჯანი და მუხლებზე ხელებს იცემდა. მისი შვილი კი, ცოლისგან მიტოვებული ვაჟა, მზერაგაყინული ფანჯარასთან გაშეშებულიყო. მასთან მიახლოებას ვერ ბედავდნენ მეზობლის ქალები, დარეჯანს კი, როგორც შეეძლოთ, ამშვიდებდნენ:

— რაღას იზამთ, აბა, მოსახდენი უკვე მოხდა, რაღა ეშველება ვაი-ვიშით საქმეს? ეგება, გონს მოეგოს და დაბრუნდეს. აგე, უფროსი ბიჭი ხომ აქა ჰყავს?

ამ სიტყვებმა კიდევ უფრო გააცეცხლა დარეჯანი: — რას ჰქვია, გონს მოეგება და დაბრუნდება, ვილას უნდა შერცხვენილი და სახელგატეხილი. იმდენს ვიზამ, იმ ორ ბავშვსაც კანონის ძალით წავართმევ. მაგას არა აქვს იმის უფლება, რომ დედა ერქვასო...

— სულერთია, მოვკლავ! — კბილებში გამოცრა ვაჟამ და ელვის სისწრაფით გავარდა გარეთ. ქალებმა ვერ მოასწრეს მისი შეჩერება. დარეჯანმა კი ლოყა ჩამოიხოკა...

შვიდი წლის წინ გაიცნეს ვაჟამ და ელენემ ერთმანეთი. ვაჟას ბებია (დარეჯანის დედა) სოფელში ცხოვრობდა, ელენე კი იქ მეგობარმა, ლიამ დაპატიჟა. სწორედ იმ წელიწადს ამთავრებდა სკოლას.

ვაჟა ხუთი წლით უფროსი იყო ელენეზე. დანახვისთანავე გულში ჩაუვარდა ლამაზი გოგონა. მეგობრებმა შეაგულიანეს: თუ მოგწონს, წაიყვანე, თორემ ისეთი გოგოა, ბევრს ეყოლება გულში ამოჭრილიო.

ერთხელ, კინოთეატრიდან რომ გამოვიდნენ, ვაჟამ დაიმარტოხელა ელენე: ძალიან მიყვარხარ, შენს მეტი არავინ მინდა ცოლადო.

გოგონას გაეცინა, — ჯერ ის გაიგე, მიყვარხარ თუ არაო. ვაჟამ ალალად უთხრა: — რაც მთავარია, მე მიყვარხარ ძალიან, შენ კი აუცილებლად შეგიყვარდებიო. ელენემ გადაწყვიტა, მაშინვე ეთქვა სიმართლე: — ვაჟა, შენ კარგი ბიჭი ჩანხარ, მაგრამ მე სხვა მიყვარს და სკოლის დამთავრებისთანავე მას უნდა გავყვეო.

არ ელოდა ვაჟა უარს. მართალია, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ელენეს თაყვანისმცემლები ეყოლებოდა, მაგრამ ვიღაცის საცოლე თუ იქნებოდა, ვერ იფიქრებდა. მეორე დღესვე მოელაპარაკა ბიჭებს და ელენეს მოტაცება გადაწყვიტეს.

...ლიას ოჯახი თავზარდაცემული იყო — რა ვუთხრათ ელენეს მშობლებს, რა წყალში გადავვარდეთო... თუმცა მალე ყველაფერი ჩაწყნარდა, ახალგაზრდებს მიულოცეს გაბედნიერება, უფროსებმა ქორწილის დღეც დათქვეს.

ვაჟას არ უკვირდა ელენეს სიცივე, მაგრამ სჯეროდა, ცოლი შეიყვარებდა. ძალ-ღონეს არ ზოგავდა, რომ მის თვალებში საპასუხო გრძნობა ამოეკითხა, მაგრამ... თავად ელენეც გაოცებული იყო: ეტყობა, ვაჟა იყო ჩემი ბედი, მაგრამ აგერ, თვეები გავიდა და ვერაფერს ვგრძნობ მის მიმართ. ეგ არის, შევეჩვიე და მეტი არაფერი. ზოგჯერ მეცოდება, ამხელა კაცი რას არ აკეთებს ჩემი გულისთვის, მე კი ისევ გიოზე ვფიქრობო.

დრო მართლაც სწრაფად გარბოდა. ელენეს ბიჭი გაუჩნდა, თორნიკე... და როცა ვაჟას ეგონა, ახლა კი ჩემიაო, ერთ ღამეს მიხვდა, რომ მწარედ ცდებოდა...

პატარას რომ ჩაეძინა, ვაჟამ მიუალერსა საყ-



ვარელ ქალს, ცოლმაც ალერსით უპასუხა და სწორედ ამ დროს მოესმა მისი ჩურჩული: „გიო“. თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, გაქვავდა. ქალიც გონს მოეგო და მიხვდა, ანაზდად წამოცდენილმა სახელმა რა დღეშიც ჩააგდო ქმარი. არც ახსნა-განმარტება დაუწყია, არც პატიება უთხოვია, საბანში გახვეულმა გათენებამდე იტირა.

იმ დღიდან გამოიცვალა ვაჟა. გაუხეშდა, საშინლად ეჭვიანი გახდა. შავ დღეს აყრიდა ელენეს, თუკი დიდხანს გაჩერდებოდა აივანზე — ვინმეს ხომ არ ეკეკლუცებიო. მარტო არსად უშვებდა — თუ მეგობრებთან წასვლა გინდა, მანქანით წაგიყვან, ან სჯობს, ისინი მოვიდნენო. ნებას არ აძლევდა, პაპანაქებაშიც კი მოკლემკლავიანი და გულამოღებული კაბა ჩაეცვა. სტუმრად ყოფნისას, ელენე მუდამ დაძაბული იყო, რადგან ღვინომოკიდებული ვაჟა გაცილებით ეჭვიანი ხდებოდა. ქალს აღარც უნდოდა ქმართან ერთად სადმე წასვლა. უნივერსიტეტის დაუსწრებელი განყოფილება დაამთავრა. გამოცდაზე ან ქმარი ახლდა, ან დედამთილი... ამასობაში, კიდევ ორი შვილი გაუჩნდა — გოგონა და ბიჭი. სამი შვილის მამობამაც ვერ დააწყნარა ვაჟა. სულ ახსოვდა ცოლის მიერ ალერსით წარმოთქმული „გიო“. ისიც კი აღიზიანებდა, რომ მისი ცოლი უფრო და უფრო მშვენდებოდა. შვებას საყვარლებსა და ღვინოში ეძებდა, შინ მისული — ჩხუბობდა, რამდენჯერმე ხელითაც შეეხო ელენეს: ეგ ლამაზი სახე უნდა დაგილილავო, რომ აღარავინ შემოგხედოსო.

რაც დრო გადიოდა, გამწარებულ ელენეს უფრო ეძალებოდა გიოზე ფიქრი.

მოტაცების შემდეგ გიომ სთხოვა, — უშენოდ ძალიან მიჭირს გაძლება. მიატოვე ვაჟა და ერთად ვიყოთო, მაგრამ ელენემ არ ინდომა — ვინ იცის, ვინ რას იტყვისო... ეტყობა, ასე იმიტომ დავისაჯე, რომ გიოს ცოლობაზე ვუთხარი უარიო, — ფიქრობდა სასოწარკვეთილი.

ბოლო ხანს ძალიან მოენატრა გიო, მისი ხმის გაგონება, ერთი დანახვა მთელ ქვეყანას ერჩია. თავს რომ ველარ მოერია, ლიას სთხოვა, გიოს შემახვედრეო.

ისინი ლიასთან ოჯახში შეხვდნენ ერთმანეთს. გიო უკვე 29 წლის იყო, მაგრამ ისევ უცოლო დადიოდა. ერთ შეხვედრას მეორე მოჰყვა, მერე მესამე... მეოთხედ, დათქმულ დროს ველარ მივიდა ელენე — მთვრალ ქმარს ისე უცემია, გონი დაუკარგავს. ორი კვირის მერე სამი შვილის დედამ წერილი დატოვა: „არ შემიძლია ამ ოჯახში გაჩერება. ვაჟა, არ მიყვარხარ, არც არასოდეს მყვარებიხარ. მივდივარ იმ კაცთან, ვინც ყოველთვის მიყვარდა და დღემდე მელოდა. ალბათ შენც უკეთესად იცხოვრებ ამის მერე. პატარები თან მიმყავს. თორნიკეს მოგვიანებით წავიყვან. მე არ ვარ უნამუსო დედა, ამიტომ ბავშვებმა ჩემთან უნდა იცხოვრონ“.

ვაჟამ კარგა ხანს ვერ იპოვა ცოლის გზაკვალი. გაცოფებული სიდედრ-სიმამრს მიუვარდა და ელენეს მოსაკლავად დატენილი თოფი სიმამრს ესროლა. დაჭრილი კაცი საავადმყოფოში გააქანეს და ძლივს გადაარჩინეს. ვაჟა დააპატიმრეს, თუმცა მალევე გამოვიდა ციხიდან, რადგან დანაშაული აფექტის ნიადაგზე ჩაიდინა.

ელენე და გიო ცოტა ხანს მცხეთაში ცხოვრობდნენ, მერე თბილისში გადმოვიდნენ. ვაჟა აღარ გაჰკარებია მათ. სამაგიეროდ, არც თორნიკეს (უფროს შვილს) აძლევდა დედასთან წასვლის ნებას. ელენესთვის ეს აუტანელი ტკივილი იყო. საქმე სასამართლომდე მივიდა, თუმცა დედის სასარგებლოდ გადაწყდა ყველაფერი. ვაჟა ცოცხალ-მკვდარი იდგა. ელენეს მაინც შეებრალა იგი და დაჰპირდა, როცა მოისურვებდა, შეეძლო შვილები მაშინ ენახა...

ელენეს და გიოს გოგონა შეეძინათ, მაგრამ ბავშვს რაღაც ინფექციური დაავადება შეხვდა და წლისა არც იყო, ხელიდან გამოეცალათ. ვაჟას ეს ამბავი გაუგებარი არ დარჩენია. გულდაკოდილ მშობლებს ესტუმრა და გესლიანად მიახალა: სიმშვიდე და ბედნიერება არასოდეს გეღირსებათ, რადგან თქვენ მე გამთელეთ და სულში ჩამაფურთხეთო...

გიოს ეყო ძალა, არ აჰყოლოდა გაბოროტებულ კაცს, ელენე კი ცუდად შეიქნა და კარგა ხანს საწოლიდან ველარ ადგა...

რამდენიმე წლის შემდეგ მოყვარულ ცოლ-ქმარს, „სხვების“ გულის გასახეთქად მაინც ეყოლა ბიჭი, გიორგი. მამამ თავიდანვე ასე გადაწყვიტა, რომ თუ ბიჭი გაჩნდებოდა, მისი მოსახელე იქნებოდა.

წლები გავიდა, თან წაიღო მრავალი ტკივილი, სევდა და დარდი. ელენესა და გიოს ცხოვრებაში წუხილთან ერთად სიხარულიც მრავლად იყო. რაც მთავარია, ის სიყვარული, რომლის გამოც ამდენი რამ გადახდათ, არ განელებულა, პირიქით, უფრო გაღრმავდა.

„როცა გიყვარს, ყველაფერს აიტან და გაუძლებ. მთავარია გრძნობდე, რომ შენთვის ძვირფას ადამიანსაც უყვარხარ. ხომ ამდენი რამ გადავიტანეთ, ხომ ათასნაირი ბილწი და უხამსი ჭორი გაგვაგონეს, მაინც არ დავეცით სულიერად, რადგან ერთმანეთი უსაზღვროდ გვიყვარდა ყოველთვის. ერთს ვნანობ მხოლოდ, როცა გიომ მითხრა: მიყვარხარ, ნუ დარჩები ვაჟასთანო, — მაშინ არ უნდა მეთქვა უარი მისთვის. გამოვეკიდე იმ აზრს, რომ ხალხი უზნეობად მონათლავდა ჩემს საქციელს, დავნებდი ბედს და მწარედაც ვინანე. ის შვიდი წელი საშინელება იყო ჩემთვის, რადგან ვცხოვრობდი იმასთან, ვინც არ მიყვარდა, ვიტანდი შეურაცხყოფას და ტანჯვას“, — მითხრა ქალბატონმა ელენემ.

იგი თავს მაინც ბედნიერ ქალად თვლის.

თორნიკე 6 წელია, ცოლ-შვილთან ერთად გერმანიაში ცხოვრობს და მუშაობს, ჰყავს ერთი შვილი. ნაბოლარა, გიორგი, ერთი წელია, რაც უფროს ძმასთან იმყოფება გერმანიაში, მედიცინას ეუფლება. ლიზი და კახა თბილისში არიან. ლიზის ქალ-ვაჟი ჰყავს, კახა ალბათ მალე შეირთავს ცოლს. მათი დედა ერთადერთს და უმთავრესს უსურვებს თავის შვილებს (და არა მარტო მათ!): იცხოვრონ ლამაზი და დიდი გრძნობით, რადგან უანგარო სიყვარულზე ძლიერი არაფერია ამქვეყნად...

**მარინა ბაბუნაშვილი**

გამოხმაურება

# ნარსულმა დიდი ტკივილი დამიტოვა...

„ვეხმაურები ქალბატონ დიანას, რომელიც „ინტიმურ სატელეფონო ხაზზე მუშაობს“.

მისი ცხოვრება რაღაცით ჩემსას ჰგავს. ოღონდ მას გვიან ესტუმრა სიყვარული და საყვარელი ადამიანისგან შვილი გააჩინა, მე კი პირიქით, ადრე გამოვცადე დიდი სიყვარული, თუმცა მაშინ ვერ დავაფასე სათანადოდ და ჩემი უმეცრებით ხელი ვკარი. მეგონა, მომავალში აუცილებლად მესტუმრებოდა ის გრძნობა, რაზედაც გოგონები სულ ოცნებობენ. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. უსიყვარულოდ გავთხოვდი და... სიცარიელეში აღმოვჩნდი. შვილი შვილია და დედას ის ყოველთვის თავს ურჩევნია, მაგრამ ერთ რამეს ვფიქრობ განუწყვეტლივ: რა მოხდებოდა, თავის დროზე ხელი არ მეკრა ძვირფასი ადამიანისთვის? რა მოხდებოდა, მისგან შვილი მყოლოდა? თუმცა, მაშინ მისი ცოლიც ვიქნებოდი და ასეც აღარ დავიტანჯებოდი. ძალიან ძნელია, ცხოვრობდე კაცთან და მის მიმართ არანაირ სითბოს არ გრძნობდე... ბედნიერია დიანა, რადგან თვითონ არის თავისი ბედის გამგებელი.

სამწუხაროდ, საქართველოში ბევრი ქალია ჩემს მდგომარეობაში... მაგრამ ოჯახის დანგრევას ვერ ბედავს. არ უნდათ, შვილები დაეჩაგროთ, არც ჭორების სამიზნედ გახდომა ხიბლავთ, ამიტომაც ურჩევნიათ „მყარი“ ოჯახის ნიღბით იცხოვრონ... ცხოვრება კი თვალსა და ხელს შუა ქრება და ილევა უსიყვარულოდ.

ჩვენი მამაკაცების უმეტესობა ხომ ასე ფიქრობს ცოლთან განშორების მერე: თუკი აღარ ვუნდი-



ვარ, შვილებზეც ნუ შემაწუხებს, მე ხელები დამიბანიაო. ჰოდა, საცოდავი ქალიც, რომელსაც მარტოს არ შეუძლია ოჯახის მოვლა და შვილების რჩენა, იძულებულია, აიტანოს ერთფეროვანი ცხოვრება, დამცირება, შეურაცხყოფა...

ალბათ სრულყოფილი ბედნიერება არ არსებობს, მაგრამ პირადად მე ბედნიერების პაწაწკინტელა სხივიც არ მღირსებია. ერთს ვნატრობ მხოლოდ: ჩემმა შვილებმა მაინც იცხოვრონ ლაღად და სიხარულით, სიყვარულის უნარი ჰქონდეთ მუდამ.

თქვენი რესპონდენტი ფსიქოლოგიც ყოფილა. საინტერესოა, რას ურჩევს ჩემს ბედში მყოფ ქალებს?

**პატივისცემით — უცნობი მკითხველი, თბილისი“.**



# მანდარინის კოსმეტიკა

ეს სურნელოვანი ნაყოფი არა მარტო საჭმელადაა სასიამოვნო, არამედ მისი გამოყენება კოსმეტიკურ საშუალებადაც შეიძლება: დაკეპეთ მანდარინი კანიანად და დაასხით 0,5 ჭიქა არაყი. ნაყენი დადგით სიბნელეში ერთი კვირა. გაწურეთ. ლოსიონი შეიძლება გამოიყენოთ ყოველდღე ცხიმიანი კანის მოსავლელად.

მანდარინის კანით დაამზადეთ ვიტამინიანი ნიღაბი: 1ჩ/კ მშრალი ცედრა აურიეთ 1ჩ/კ არაჟანში. მასა დაიდეთ სახეზე და დეკოლტეს ადგილებში 15-20 წუთი. შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

# „მაინტერესებს, ქალი ხარ თუ ალქაჯი?“

*ამ ქვეყანაში ცხრა მთავრობა რომ შეიცვალოს, მძღოლ ქალებს მაინც არაფერი ეშველებათ. მაგათთან არც ტკბილი სიტყვა ჭრის, არც ჯარიმა. თბილისის ქუჩებში ქალი-კამიკაძეები დააქროლებენ მანქანებსო, — შემომჩივლა ნაცნობმა საგზაო პოლიციელმა და დააყოლა, — თუ ასე გაგრძელდა, ალბათ მუშაობას თავს დავანებებო. თურმე პოლიციელს მოძრაობის წესების დამრღვევი სიმპათიური ქალბატონი გაუჩერებია. მძღოლი მეგობრებთან ერთად მჯდარა „მერსედესში“. რას ჰქვია, გაგვაჩერეთო, — ისეთი ამბავი დაუწევიათ პოლიციელისთვის, რომ საწყალი თავ-ბედს იწყევლიდა. ეს რა არის. ჩემი კოლეგები ისეთ ამბებს მოგიყვებიან, ჩვენი ცოდვით გული დაგეთუთქებაო...*

*პოლიციელებთან საუბრის შემდეგ მძღოლ ქალებს დავუკავშირდი. მხიარულად მიამბეს, რომელმა რა დღე დააწია „თავხედ“ პოლიციელს.*

*დასკვნები თვითონ გააკეთეთ, ვინ არის თავხედი და ვინ — დაჩაგრული.*

**კოტე (41 წლის):** — ქალს საჭესთან რომ ვხედავ, შიშის ჟრუანტელი მივლის და როგორი დამრღვევიც არ უნდა იყოს, გზიდან შორს მივდივარ. შარშან, ბარათაშვილის ხიდთან ვიდექით სამნი, უკვე კაი შებინდებული იყო. სანაპიროსთან „ბე-ემ-ვეს“ მძღოლმა საშინლად დაარღვია წესი. დაბურული მინები ჰქონდა. გააქვავა მანქანა, მინა ჩამოსწია, ანგელოზივით გოგო იყო. ან კაიფში უნდა ყოფილიყო, ან გალეწილი მთვრალი. საბუთები და მანქანიდან გადმოსვლა მოვთხოვე, მიბნედილი თვალებით ამომხედა და მითხრა ამის და ამის ცოლი ვარ (კანონიერი ქურდის), არაფერი შეგეშალოსო. ქალბატონო, მანქანიდან გადმოდით, ან საბუთები მომეცით-მეთქი. უცებ იარაღი დააძრო და მომიღერა — ხმა ჩაიკმინდე, ძაღლოო. მე შენ ჭკუას გასწავლი-მეთქი. მანქანის კარი გამოვაღე და უცებ ფეხებში მესროლა, ამცდა. მეც რომ ამოვიღე იარაღი, გაიქცა. იმ ქალის მანქანის ნომრები სამმართველოს გადავეცით. არ ვიცი, მერე რა მოხდა, მაგრამ მე დღემდე მახსოვს ის შიში, რაც მაშინ ვჭამე.



**ოთარი (49 წლის):** — ამას წინათ „კვირის პალიტრაში“ წავიკითხე ერთი ამბავი უწესრიგო მძღოლ-ქალზე, რომლის მსგავსს თვითონ წავაწყდი არცთუ ისე დიდი ხნის წინ თბილისში, ყაზბეგის გამზირზე... ერთმა მძღოლმა ორ წუთში ხუთჯერ დაარღვია მოძრაობის წესები. ვანიშნე, გაჩერდი-მეთქი, ძლივს გააჩერა, ისეთი ინერციით მოდიოდა. ახალგაზრდა ქალი იყო. ერთი ანგელოზივით ბავშვი გვერდით, სავარძელზე ჰყავდა მიკრული, მეორე, ჩვილი, კალთაში ეჯდა. ცალი ხელით საჭე ეჭირა, ცალით — ტელეფონით საუბრობდა. როცა გავაჩერე შემომხედა, გამიღიმა. გამოშტერებული ვუყურებდი. როგორც იქნა, საუბარს მორჩა და — გისმენთო. თქვენი საბუთები-მეთქი. მაგისთვის გამაჩერეო? — გაუკვირდა. დიახ, მაინტერესებს ქალი ხარ თუ ალქაჯი, ასე გიჟივით რომ დაქრიხარ, თავი თუ არ გენანება, ამ ანგელოზივით ბავშვებს რას ერჩი-მეთქი. წადი, რა!.. ეგ ლექცია ცოლს წაუკითხეო და ისე მოწყვიტა მანქანა ადგილს, კინაღამ ფეხებზე გადამიარა. რამდენიმე წუთში ის ქალბატონი გმირთა მოედანზე შეუჩერებია პოლიციას, ისინიც კარგად გამოულანძღავს და გავარდნილა. დავადგინეთ მისი ვინაობა. სამხედრო პირის მეუღლეა, რაღაც პატარა ბიზნესკომპანიის შეფი, რომელიც ბავშვებს მუდამ თან ატარებს თურმე და სულ ასე გიჟივით დაქრის.

**თაკო (29 წლის):** — პოლიციელებს ჭირის დღესავით ვძულვარ. რა თქმა უნდა, არც მე მეხატებიან გულზე. ერთი-ორჯერ მართლა ტყუილუბრალოდ გამაჩერეს. რაღაც დღესასწაულები მოდიოდა და ერთმა ჩემმა ტოლმა ინსპექტორმა მითხრა, — ლამაზო, ამ კაი მანქანით რომ დადიხარ, ბაჟი გაქვს გადასახდელიო. გვარიანად გამოვლანძღე, მერე შემაგინეს, დავურეკე ჩემს ქმარს, ის თავის ძმაკაცებთან ერთად მოვარდა და მაგარი ჩხუბი ატყდა.

**მაკა (34 წლის):** — ბევრი მძღოლი ქალი მართლა უზრდელი და თავხედია. ერთხელ შევესწარი, საშინელი დარღვევის გამო, როგორ გააჩერა პოლიციელმა ქალი-მძღოლი. მან, მობოდიშების ნაცვლად, ჯერ ლანძლა პოლიციელი, მერე კი ხელითაც შეეხო. შემრცხვა მის შემხედვარეს. ძალიან „გაბლატავებულები“ არიან ქალები, ხშირად ქმნიან ავარიულ სიტუაციას.

**ეკა ლიჩელი**

# ნუ ჩაწერთ ინტერვიუს იმასთან, ვინც დო-რე-მი... არ იცის

*საქართველოში რევოლუცია გრძელდება. პოლიტიკურ ცხოვრებაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების შემდეგ. მდგომარეობის მკვეთრ ცვლილებას თურმე ქართულ შოუბიზნესშიც უნდა ველოდოთ. ამ მოლოდინის საფუძველს იძლევა გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ რამდენიმე მუსიკალური სტუდიის პატრონმა, აგრეთვე ცნობილმა ავტორ-შემსრულებლებმაც, გადაწყვიტეს სერიოზული ბრძოლა გამოუცხადონ ქართული თანამედროვე მუსიკისა და სიმღერის სფეროში გამეფებულ არაპროფესიონალიზმს და „ტახტიდან" ჩამოაგდონ ე.წ. „ვარსკვლავები", რომლებიც უგემოვნო და დაბალი ხარისხის მუსიკით „იპყრობენ" მასებს. მუსიკალურ „რევოლუციონერთა" ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი* ***მერაბ სანოძე*** *(იგი მთელი 8 წელი მოღვაწეობდა უცხოელი ვარსკვლავების გვერდით ევროპაში, უახლოეს ხანებში ქართული მუსიკის ფანებს სერიოზულ სიურპრიზებს უმზადებს და თბილისში ჩამოჰყავს მსოფლიო მუსიკის ვარსკვლავები) ასე გამოხატავს თავის პოზიციას:*

— მე ვიწყებ ინსტიტუციონალურ რევოლუციას ანუ ბრძოლას იმისათვის, რომ ე.წ. ქართულ შოუბიზნესში და საერთოდ თანამედროვე ქართული სიმღერის სფეროში ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდეს. ანუ ვისაც სიმღერის უფლება აქვს, იმან უნდა იმღეროს, სხვამ არა. ვოკალური მონაცემების გარდა, მომღერალს აუცილებლად უნდა შეეძლოს ერთ ინსტრუმენტზე დაკვრა მაინც, ნოტებში პრაქტიკულად უნდა ერკვეოდეს.

უცხოეთში მოღვაწეობის ხანგრძლივ პერიოდში არ მინახავს პროფესიონალ მომღერალს „გარმოშკაზე" დაკვრა მაინც რომ არ შესძლებოდა. ხომ მოგვწონს ჩვენ ამერიკული და ევროპული ცხოვრება, ჰოდა, გადმოვიღოთ იქიდან კარგი და საუკეთესო და ვისწრაფოთ პროფესიონალიზმისკენ.

— **ბრძოლას როგორ აპირებთ?**

— ჩემს სტუდიაში სიმღერების ჩაწერზე ისედაც არ ვთანხმდებოდი ყველას. დღეიდან კი ძალიან ბევრს ვეტყვი უარს. მაპატიეთ, მაგრამ მთელი რიგი ე.წ. „ვარსკვლავები", რომლებიც სამწუხაროდ თქვენ, მასმედიამ შექმენით, უნდა ჩაქრნენ. ისე არ გამიგოთ, რომ თქვენ გაბრალებდეთ რამეს, მაგრამ ყველამ ერთად გავაფუჭეთ საქმე და ახლა უნდა მივხედოთ. უნდა გაიგონ ამ თვითმარქვია ვარსკვლავებმა, რომ ჟურნალების გარეკანებზე მათი სახეების დაბეჭდვა პროფესიონალიზმს და ვარსკვლავობას არ ნიშნავს.

— **მერაბ, ამბობენ, ანალოგიური პრობლემა უცხოეთშიც არისო.**

— არ გეთანხმებით. კიდეც რომ იყოს, რატომ ვედრებით იმ ქვეყნებს, სადაც მოსახლეობის რაოდენობა უზარმაზარია, ჩვენ კი 3 მილიონი ვართ. იმდენი, რამდენი თაყვანისმცემელიც მხოლოდ ერთ მომღერალს ჰყავს უცხოეთში. იქ კარგსაც მღერიან და ცუდსაც და არჩევანის საშუალებაც არის, აქ კი ყველა ერთსა და იმავეს მღერის. ცამპარუმპა სიმღერებმა წალეკა ქვეყანა, ჰარმონია, მელოდია მხოლოდ სალექსიკონო ცნებებადღა დარჩა.

— **ეს იმის ბრალი ხომ არ არის, რომ კომპოზიტორებსაც მოუჩლუნგდათ კალამი?**

— არა. შესანიშნავ, მელოდიურ, ჰარმონიულ სიმღერებსაც წერენ ახალგაზრდა კომპოზიტორები, მაგრამ საუბედუროდ, მათში ფულის გადახდა ენანებათ, ამიტომ წავედი გერმანიაში, სადაც კარიდან კარზე დავეხეტებოდი, რომ რაღაც გამომსვლოდა. იქ წარმატება ძნელად მოდის, რადგან გამარჯვებისთვის ოფლი უნდა დაღვარო. აქ კი 3.000 დოლარი თუ აქვს ვინმე ბატს, „ვარსკვლავობს", მიჩერჩეტდებიან სტუდიაში, კომპიუტერი იზრუნებს სიმღერაზე და ვარსკვლავიც ნამცხვარივით მზადაა, რა.



— **ანუ, თქვენ, სტუდიის მეპატრონეს და ამავე დროს, დიდი გამოცდილების მქონე მუსიკოსს, შეგიძლიათ მეც მაქციოთ ვარსკვლავად, თუკი 3.000 დოლარს გადაგიხდით?**

— თუ მე შუბლზე ძარღვს გავიწყვეტ და ჩემს პრინციპებზე უარს ვიტყვი, აბა, რას ვიზამ. მაგრამ თქვენ ხომ გეცოდინებათ, რომ ვარსკვლავი არა ხართ. პიარს გაგიკეთებთ და მორჩა, მაგრამ ეს ხომ ტრაგედიაა. როგორ შეიძლება ამ ერთ ციცქნა ქვეყანაში ყველას ვარსკვლავობა უნდოდეს. მე ვარსკვლავი ვიცი მერაბ სეფაშვილი. მაგრამ ესეც ძალიან ცუდია, მარტო მერაბი რომაა ვარსკვლავი. ეს იცით, რისი ბრალია? უგულისყურობის, გულგრილობის. კომპოზიტორიც გულგრილია, მომღერალიც და ყველა. სწავლაზე დროის ხარჯვა არ სურს არავის. მგონი ვერ ხვდებიან, რომ მოგებული დრო სწორედ განათლებაზე დახარჯული დროა. მუსიკის და სიმღერის 90% ძირითადად კომპიუტერზე კეთდება. მისი წყალობით ჩანან ავტორიც და შემსრულებელიც, კომპიუტერი და ფონოგრამა „დგას დღეს სცენაზე".

— **მერაბ, უცხოეთში მოღვაწეობის პერიოდმა რა გამოცდილება მოგცათ?**

— ბევრი რამ ვისწავლე, თუნდაც საქმის წარმოება, რასაც ახლა ვაკეთებ. „პროდიუსინგ მენეჯმენტი" ვისწავლე, რასაც საქართველოში, ჩემი აზრით, თითქმის ვერავინ ფლობს. სამწუხაროდ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ აქ არც მენეჯმენტია, არც პროდიუსერი და არც შოუბიზნესია ჩამოყალიბებული.

— **რამდენადაც ვიცი, მიუზიკლის — „ცეკვა ზღაპარში" — შემდეგ თქვენ რამდენიმე მუსიკალური პროექტის განხორციელებას აპირებთ.**

— ვმუშაობთ ახალ მიუზიკლზე, ოღონდ უკვე არა პატარების, არამედ უფროსი ასაკის მოცეკვავეთა შესრულებით. ასევე ვმუშაობთ პროექტზე „60 დოლი". 60 შემსრულებელი 60 დასარტყამი ინსტრუმენტით წარდგება სცენაზე. ვფიქრობ, ეს იქნება ორიგინალური სანახავიც და მოსასმენიც. დაფინანსების საკითხი ჩვეულებისამებრ ჭიანურდება და ეს აყოვნებს პროექტების დასრულებას.

— **ერთი პერიოდი „არტ-იმედის" ხელმძღვანელი იყავით და უცებ უარი თქვით თანამდებობაზე, ახლა ამბობენ, „არტ-იმედი" საერთოდ იშლებაო. რა ხდება?**

— არა მგონია, დაიშალოს. რამდენადაც ვიცი, რაღაც რეორგანიზაციას აპირებენ. თუ სწორად იმოქმედებენ, ალბათ გადარჩებიან. მე იმიტომ წამოვედი, რომ ვერ გავიგე, საერთოდ რა ხდებოდა იქ. ისე, ახლაც მიჭირს ზოგიერთი გამოხდომის გაგება და ატანა ჩვენში.

— **მაგალითად?**

— თუნდაც იმის, რომ საქართველოში შეიძლება არ იყოს კულტურის სამინისტრო. დამისახელეთ ერთი ნორმალური ქვეყანა, სადაც ასეთი სამინისტრო არ არის. აბა, რა უნდა იყოს? ამოიგდონ ეს სისულელე თავიდან და კიდევ ერთი — გაიგონ, კულტურა მარტო სიმღერა არ არის, იგი მიწიდან მოდის, გათხარეთ ან უკვე გათხრილი ნახეთ და გაიგებთ, არქეოლოგიაში როგორ იქმნებოდა კულტურა, როგორ იყო ხელოვნების ყველა სფერო ერთმანეთთან ჩაორნამენტებულ-ჩახვეული. ნახონ, ისწავლონ ეს ყველაფერი და მიხვდებიან, რა გვჭირდება.

— **ხომ არ აპირებთ შესთავაზოთ ხელისუფლებას რაიმე იდეა ან პროექტი?**

— არაფერსაც არ ვაპირებ. თვითონ უნდა მიხვდეს ყველა თავის გასაკეთებელს. თანაც სულ ვფიქრობ, რომ ღმერთი გვიყურებს მაღლიდან და ჭკუაარეულ ხალხს ან დიდხანს არ აბოგინებს, ან კიდევ უწამლებს. კულტურის სამინისტრო უნდა ახორციელებდეს ყველა მნიშვნელოვან კულტურულ პროექტს. უნდა დამთავრდეს ეს მარაზმი, სადაც შევდივარ, ფეხის ფეხზე გადადებისა და ყავის სმის მეტი არაფერი იციან. არაპროფესიონალებმა წალეკეს ქვეყანა. გავერთიანდეთ, მოვიფიქროთ რაღაც, თუ რევოლუციაა, რევოლუცია იყოს.

— **ჟურნალისტების როლი როგორ გესახებათ ამ საქმეში?**

— ბერლინში მე და აზიზა მუსტაფამ ორსაათიანი კონცერტი ჩავატარეთ ცნობილ „მიუზიკლ არენაზე". ძალიან მაგარია აზიზა, მაგრამ იმ საღამოს რაღაც ვერ გამოვიდა. მეორე დღეს გერმანულმა პრესამ გადაგვიარა, დაივიწყეს ჩვენი ყველა წარმატება და ის პატარა წარუმატებლობა არ გვაპატიეს. პროფესიონალური სტატიები დაწერეს, გაგვაკრიტიკეს. აი, ეს არის ჟურნალისტური მუშაობა და არა იმაზე წერა, ვის როგორი ბიკინი ან წინდა აცვია. წერეთ იმაზე, ვინ რა შეასრულა წარმატებულად, ვის რა შეეშალა. არ იცით მუსიკა? რაც იცით, იმაზე წერეთ, ან ისწავლეთ, ან მუსიკათმცოდნეებს, ხელოვნებათმცოდნეებს ჰკითხეთ და ნუ აიღებთ ინტერვიუს იმ ხალხისგან, ვინც დო-რე-მი-ფა-სოლ-ლასი არ იცის.

# „თუ სიმღერა გვინდა, მართლა ვიმღეროთ!.. კომპიუტერის მონებად ნუ გადავიქცევით"



*ახალი წლის შემობრძანებისადმი მიძღვნილ რუსთაველის პროსპექტზე, ღია ცის ქვეშ გამართულ კონცერტზე, სადაც 1-ელ იანვარს, ღამით ერთმანეთს ცვლიდნენ ქართული შოუბიზნესის წარმომადგენლები, ერთმა ფაქტორმა გამაოცა. ერთ-ერთ წამყვანს, თუ დავუჯერებდით, კონცერტის ყველა მონაწილე ვარსკვლავი იყო(?!). ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ეგრეთ წოდებული ქართული შოუბიზნესი ვარსკვლავცვენას არა, მაგრამ უვარსკვლავობას განიცდის. ზოგიერთი მომღერლისთვის ციური მნათობების „სეხნიაობა" კი უკვე საგინებლადაც აღიქმება. ქართველი მუსიკოს-შემსრულებელი* ***ნატო გელაშვილიც*** *სკეპტიკურად უყურებს ვარსკვლავობას.*

— დღეს რომ ვარსკვლავი დაგიძახონ, უნდა გეწყინოს, რადგან ეს სიტყვა თითქმის სალანძღავად იქცა. ჩვენთან შეიძლება ორი უგემოვნო სიმღერის გამო გიწოდონ ვარსკვლავი. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ „ვარსკვლავის" ტიტული საქართველოში ღირს 10 თეთრი და მისი ყიდვა შეუძლია ყველას, ვისაც სურს.

— **რა კლასიფიკაციით უნდა ხდებოდეს ამ ტიტულის მინიჭება?**

— იმ კლასიფიკაციით, როგორც ეს ხდება ქვეყნებში, სადაც ნამდვილად არიან ვარსკვლავები. აქ ჰგონიათ, თუ 10 სიმღერა აქვთ ჩაწერილი და ორი ან თუნდაც 10 კლიპი გადაღებული, ვარსკვლავები არიან. ევროპასა და ამერიკაში კი ვარსკვლავობისათვის წლობით მუშაობენ, იბრძვიან. რისი შესანიშნავი მაგალითიც არის მადონა. იქ შრომისმოყვარეობის უპრეცედენტო მაგალითებს აჩვენებენ. იციან, რომ თუ საკუთარი თავის მიმართ მაქსიმალურად მომთხოვნი არ იქნებიან, მექანიკურად დაკარგავენ ყველაფერს. ვარსკვლავობა ნიშნავს სანიმუშო მოქალაქეობას, კანონის პატივისცემას, პროფესიონალიზმს. უცხოეთში იციან, თუ ნარკოტიკს მოიხმარენ, ციხეში მოხვდებიან, დანაშაულისთვის დაისჯებიან, აქ კი საჭესთან რომ სხედან ე. წ. ვარსკვლავები, პოლიციამ არ უნდა გააჩეროს. პასუხი არაფერზე არ უნდა მოეთხოვოთ. ქართული კინოსა და თეატრის ნამდვილი ვარსკვლავები გვყავდა... დიდების და ამავე დროს ადამიანური უბრალოების განსახიერება რომ იყვნენ... რაც შეეხება მუსიკალურ სამყაროს, დღეს ჩვენთან ვარსკვლავი ქალბატონი ნანია. მეშინია კიდეც, მას ეს სიტყვა შევკადრო, რადგან ჩვენში ეს სიტყვა გაუფასურდა. არ შეიძლება ნანი ბრეგვაძეც ვარსკვლავი იყოს და ხუთი წლის ბავშვიც.

— **ნატო, აშკარაა, რომ ვითარდება არაჯანსაღი ტენდენცია ქართულ შოუბიზნესში. როგორ გესახებათ ცვლილებები?**

— ისეთი ტემპით მუშაობს მახინჯი სინამდვილის შემქმნელი მანქანა, რომ ვფიქრობ, მისი შეჩერება გაძნელდება. ჩემი აზრით, წარსულს უნდა დავუბრუნდეთ. უნდა უარვყოთ თანამედროვე ტექნიკის მიღწევები, ფონოგრამა, მინუს-პლუსები და მივბაძოთ ცივილიზებულ მსოფლიოს, სადაც ყველა დიდი მუსიკოსი და მომღერალი ცოცხალ შესრულებას ამჯობინებს. ცოცხალი ორკესტრის თანხლებით ატარებდნენ კონცერტებს ქართველი მომღერლები გასულ საუკუნეში, მანამდე კი, ჩემგან არ გესწავლებათ, რომ ჩვენი წინაპარი ისეთ სიმღერას „ქედდა", დღემდე რომ აოგნებს ნებისმიერ მსმენელს. ვაქციოთ ზურგი ეშმაკს და თუ სიმღერა გვინდა, მართლა ვიმღეროთ. კომპიუტერის მონებად ნუ ვიქცევით.

— **რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ცენზურა, რომელიც განსაზღვრავს, რისი გაშვება იქნება შესაძლებელი ეთერში და რისი არა.**

— ვფიქრობ, ძლიერი ხელის, დავარქვათ მას თუნდაც ცენზურა, არსებობა აუცილებელია ჩვენთან. ეს ხელი უნდა გიბიძგებდეს იმისკენ, რომ ამბიციური თუ ხარ, გაამართლო შენი ამბიცია თუ, რა თქმა უნდა, შესაძლებლობები გაქვს. თუ არა და შეეშვი რა... ეს ძლიერი ხალხი არ ჩანს დღეს, თუმცა, არიან ისინი საქართველოში. ჩემი აზრით, მუსიკალური ხელოვნების ნიჭიერი მცოდნენი ისევე დუმან, როგორც პროფესიონალები სხვა უამრავ სფეროში.

— **ახალ, 2004 წელს რას სთავაზობთ ახალს თქვენს მსმენელს?**

— ვიცი, რომ ჩემი მსმენელი ელოდება აუდიოალბომს, რომელიც უკვე ჩავწერე. ეს არის მხოლოდ საკუთარი ინტერპრეტაციით შესრულებული სიმღერების კრებული, ერთი სიმღერის გარდა ყველა ახალია. არა მგონია, თამამ ნათქვამად ჩამეთვალოს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ ალბომს გემოვნებიანი მსმენელი შეიძენს. გარდა ამისა, ძალიან მინდა მოვამზადო ჩემი საღამო, ვაპირებ, ეს იყოს არატიპური მოვლენა. მინდა დავდგა პატარა მიუზიკლი, რომელიც გაიმართება არა ერთჯერადად, არამედ წარმოვადგინო საკონცერტო სერიად. ვეცდები მიუზიკლი ისეთი გამოვიდეს, რამდენიმე წლის შემდეგაც რომ სასიამოვნო იყოს მისი განმეორებითი წარდგენა, ან სულაც თავიდან დადგმა.

— **ნატო, დათანხმდებით თუ არა იდეას, რომ სხვა კოლეგებთან ერთად მიხვიდეთ სკოლებში და მოსწავლეებს თუნდაც თვეში ერთხელ ჩაუტაროთ მუსიკის გაკვეთილი?**

— დიდი სიამოვნებით დავთანხმდები. არა მგონია, ვინმემ უარი თქვას იმაზე, რომ თაობებს რაღაც ფასეული დაუტოვოს. 16 წლიდან ვმუშაობ ბავშვებთან და დღეს რომ ეს ვინმემ დამიშალოს, უბედური ვიქნები. სკოლებში მუსიკოსების შესვლა — შესანიშნავი იდეაა ჩემი აზრით. ბავშვებთან ერთად მეც დიდ სიამოვნებას მივიღებ და მათთან ჩატარებული თითოეული გაკვეთილი ჩემთვისაც გაკვეთილი იქნება. ასე პროფესიონალ მსმენელსაც გავზრდით. ასე კი, მართლა დავამარცხებთ იმ ბოროტ უხილავ მანქანას, რომელიც დღეს მახინჯ რეალობას ქმნის.

***გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ***




# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**როგორ შეიძლება თავი დავაღწიო ძილში ხვრინვას? რა იწვევს მას? ძალიან ვაწუხებ ოჯახის წევრებს და ამის გამო თავადაც შეწუხებული ვარ.**

***ერთგული მკითხველი***

ხვრინვა უფრო ახასიათებს მსუქან ადამიანებს, რომელთაც მოკლე, სქელი კისერი აქვთ. ეს განპირობებულია ხახა-სასის აგებულების თავისებურებით, კერძოდ, სასუნთქი გზების შევიწროებით. ხვრინვა შეიძლება გამოწვეული იყოს ტონზილიტით, ჰაიმორიტით, რინიტით, ფარისებრი ჯირკვლის გადიდებით. ხვრინვას თავი რომ დააღწიოთ, უპირველესად, უნდა დადგინდეს მიზეზი და შეძლებისდაგვარად, უმკურნალოთ მას. ხვრინვის პრობლემებზე მუშაობს ექიმი სომნოლოგი. თუ ასეთ ექიმთან ვერ მოხვდებით, მაშინ მიმართეთ ყელ-ყურ-ცხვირის სპეციალისტს.

**ჩემს 15 წლის ვაჟს აქვს ჩირქოვანი გამონაყარი სახეზე და ზურგზე, რასაც ძალიან განიცდის. არის თუ არა საჭირო მკურნალობა, თუ ეს გარდატეხის ასაკის ბრალია და თავისთავად გაუვლის?**

***მკითხველი***

გარდატეხის ასაკი ის პერიოდია მოზარდის ცხოვრებაში, როდესაც მის ორგანიზმში მართლაც სერიოზული ცვლილებები მიმდინარეობს. ეს ცვლილებები ეხება თითქმის ყველა ორგანოსა და სისტემას, რომლებიც მუშაობის ახლებურ რეჟიმზე, ახალ რიტმზე გადადიან. მათ შორის გამონაკლისი არც კანი გახლავთ. ამ ყველაფერს კი საფუძვლად ჰორმონალური ძვრები უდევს. ჩვეულებრივ, მსგავსი მოვლენები უკუვითარდება ხოლმე გარდატეხის პერიოდის ჩამთავრებისთანავე, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თუ ბავშვს აქვს ჩირქოვანი გამონაყარი ტანზე, ამას არავითარი ყურადღება და მოვლა არ სჭირდება. საჭიროა დამუშავდეს გამონაყარი პერიოდულად ბრილიანტის მწვანით. დღეს არსებობს ანტიანთებითი და ანტიბაქტერიული მოქმედების უამრავი საცხი, რომლებითაც უნდა შევებრძოლოთ გამონაყარის პროგრესირებას და გავრცელებას კანის ჯანსაღ ნაწილზე. აგრეთვე გირჩევთ, ასვათ მოზარდს კალციუმის ქლორიდის 10%-იანი ხსნარი და რომელიმე პოლივიტამინი..

**ვარ 65 წლის ქალი. ხელებზე გამიჩნდა დიდი, ყავისფერი ხალები, რომლებიც მრავლდება. რითია გამოწვეული ის და როგორ მოვიცილო?**

***ნათელა ხოსიტაიშვილი***

ხანდაზმულ ასაკში მატულობს კეთილთვისებიან წარმონაქმნთა განვითარების რისკი. უნდა ვიფიქროთ, რომ თქვენ შემთხვევაშიც სწორედ ამ მოვლენასთან გვაქვს საქმე. საჭიროა თუ არა მათი მკურნალობა და კერძოდ, რა მეთოდით, ამას დერმატოლოგ-ონკოლოგი გადაწყვეტს.

**გთხოვთ მირჩიოთ, როგორ განვიკურნო ქუსლებზე ნახეთქებისაგან და რა იწვევს ამ ავადმყოფობას?**

***სალომე ჯაინჯიხაძე***

ქუსლების დახეთქვა დაავადება კი არა, სიმპტომია, რომელიც სხვა დაავადების ნიშანს წარმოადგენს. იგი ხშირად ახასიათებს შაქრიან დიაბეტს, იოდის ცვლის დარღვევას (ჰიპოთირეოზი), აგრეთვე სოკოვან დაავადებებს. გირჩევთ გაიაროთ კონსულტაცია თერაპევტთან, რომელიც დაადგენს, კერძოდ, რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილის მიზეზი და ამ მიზეზის მკურნალობა იქნება ეფექტიანი გზა ნახეთქების მოსაშორებლად (ადგილობრივ მკურნალობასთან ერთად).

**ვარ 19 წლის. რამდენიმე თვეა, პერიოდულად მიბუჟდება მარჯვენა ხელის თითები (ნეკი და არათითი). თავიდან უფრო იშვიათად მემართებოდა, მაგრამ ბოლო დროს თითქმის მუდმივად მაქვს დაბუჟებული. დავაკვირდი, როდესაც იდაყვს ვეყრდნობი ხოლმე, ეს შეგრძნება უფრო მიძლიერდება. რასთანაა ეს დაკავშირებული?**

***ნუკა პერტაია***

აღნიშნული სიმპტომი იმაზე მეტყველებს, რომ თქვენ გაქვთ მე-4-5 თითების მანერვირებელი ნერვის პათოლოგია. უნდა მიმართოთ ექიმ-ნევროლოგს დიაგნოზის დასაზუსტებლად.

**მკურნალობის რა მეთოდებია ეფექტიანი შემდეგი დიაგნოზის დროს: ხერხემლის, გულ-მკერდის ნაწილის დეგენერაციულ-დისტროფიული ცვლილებები (ოსტეოქონდროზი, სპონდილოზი).**

***ერთგული მკითხველი***

აღნიშნული დაავადების დროს ეფექტიანია ფიზიოთერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა და მასაჟი, თუ ამის უკუჩვენება არ არის. მედიკამენტოზური თერაპია მხოლოდ სიმპტომატურია, მაგალითად, ტკივილის მოსახსნელად, ანთებითი პროცესის შესამსუბუქებლად.

**თითქმის ორი თვეა, მაწუხებს ტკივილი მუცლის მარჯვენა მხარეს (ხან კუჭთან, ხან ნაღვლის ბუშტთან, ხანაც ბრმა ნაწლავის მიდამოებში). შეიძლება თუ არა ვიმკურნალო მედიკამენტებით ოპერაციის გარეშე ბრმა ნაწლავის შემთხვევაში?**

***ა. ი., ბათუმი***

ნუ შეუდგებით თვითდიაგნოსტირებას და ნუ დაძაბავთ ნერვულ სისტემას ამ მოსალოდნელი... სამწუხაროდ, რაც შესაძლოა (უფრო სწორად, დიდი შანსია), არც გამჟღავნდება. თქვენი ჩივილი შეიძლება უკავშირდებოდეს ქრონიკულ ქოლეცისტიტს ან სხვა პათოლოგიას. გასტროენტეროლოგთან ჩატარეთ სათანადო გამოკვლევები და თუ ამის საჭიროება გექნებათ, შემდეგ დაინტერესდით ბრმა ნაწლავის მკურნალობის არაოპერაციული მეთოდებით. ცნობისთვის: ქირურგთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ აპენდიციტს ქრონიკული მიმდინარეობა არ ახასიათებს და მწვავე შეტევის გამოვლენისთანავე საჭიროა მისი მოშორება.

**ჩემს ქმარს გამაგრებული აქვს მკერდის ჯირკვალი ერთ მხარეს. მისი თქმით, ზოგჯერ ტკივილიც აწუხებს, ზოგჯერ კი ვერაფერს გრძნობს. ჩვენ დაქორწინებული ვართ უკვე 4 წელია. აღნიშნული ნიშანი ჩვენი დაქორწინებისთანავე აღმოვაჩინე. იგი წააგავს 12 წლის გოგონას მკერდს. რა შეიძლება ეს იყოს? მეუღლე ექიმთან არ მომყვება.**

***მკითხველი***

მდგომარეობას, რომლის დროსაც მამაკაცს უდიდდება მკერდის ჯირკვალი, გინეკომასტია ეწოდება. მისი მიზეზი უხშირესად სხვადასხვაგვარი ენდოკრინული დარღვევებია, აგრეთვე — ზოგიერთი მედიკამენტის მიღება. თქვენს მეუღლეს აუცილებლად ესაჭიროება ენდოკრინოლოგის კონსულტაცია და მის მიერ დანიშნული გამოკვლევების ჩატარება.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## მკითხველი — მკითხველს

**მაქვს სამწვერა ნერვის ანთება. დამტანჯა აუტანელმა ტკივილებმა. გამაყუჩებლების რეგულარულად მიღებამ ხომ მომიშხამა მთელი ორგანიზმი. აღარ ვიცი, რა გზას დავადგე. იქნებ ვინმემ იცოდეს ხალხური საშუალება ამ დაავადების სამკურნალოდ. ძალიან გთხოვთ, ნუ დამტოვებთ უყურადღებოდ — შემეხმიანეთ.**

***ერთგული მკითხველი ნონა შ.***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის" დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში" მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

ოდს ემთხვევა.

ექიმების რჩევით, თვლემისას სულ 15-20 წუთია საჭირო იმ ჰორმონების გამოსამუშავებლად, რომლებიც აძლიერებენ ტვინის მოქმედებას, აღადგენენ სასიცოცხლო ძალებს.

მაგრამ თუ ძილი უფრო ხანგრძლივი იქნება, მაშინ ადამიანი იღვიძებს უფრო მოთენთილი და აპათიური.

## სიესტა — ენერგიის წყარო

ნაშუადღევს ძალიან ხშირად ვგრძნობთ დაღლილობას. თურმე ამ დროს ეცემა ბიორიტმის სინქრონი, რაც ხდება ენერგეტიკული დეპრესიის მიზეზი.

ექიმები გვარწმუნებენ, რომ ენერგიისა და ძალის სწრაფად აღსადგენად საუკეთესოა ცოტა ხნით წაძინება. ძილში ისვენებს ადამიანი, უმაღლდება შრომისუნარიანობა, უუმჯობესდება ყურადღების კონცენტრაცია, ნაკლებად ცდება.

კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ყველაზე მოთენთილია ადამიანი 13-დან 15 სთ-მდე. უბედური შემთხვევების 23%-ც ამ პერიოდს ემთხვევა.

ეს ყველაფერი ეხება მოზრდილებს.

მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ ხანმოკლე სიესტა უსარგებლოა ბავშვებისათვის. 8-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებს (დღისით) პრაქტიკულად ვერ დააძინებთ, 13-დან 15 სთ-მდე მათი ბიორიტმი აქტიურ ფაზაში რჩება და არ სჭირდებათ შუადღისას ძილი.

ხოლო მათ, ვისაც საერთოდ უძილობა აწუხებთ, შეიკავონ თავი შუადღის ძილისაგან (ღამე ველარ დაიძინებენ) და ძალ-ღონის აღსადგენად უმჯობესია ისეირნონ ჰაერზე.

***ლიზა №1***

## რა ვუყოთ ადენოიდებს?



ადენოიდები, ანუ ჩვენთვის კარგად ცნობილი გლანდები, იმისთვის გვაქვს, რომ მოვერიოთ მიკრობებს, რომლებიც ცდილობენ ორგანიზმში შეღწევას ჰაერიდან, რომელსაც ცხვირიდან შევისუნთქავთ. ავადმყოფობის დროს ადენოიდები ზომაში მატულობს. თუ პოლიკლინიკაში გირჩიეს ადენოიდების ამოკვეთა, დაინტერესდით არგუმენტებით ამ გადაწყვეტილების სასიკეთოდ. მიდით ქირურგთან კონსულტაციაზე. დიაგნოზი შესაძლოა არ დაზუსტდეს. ოპერაციის დროს ბავშვს ადგილობრივ ანესთეზიას უკეთებენ, მაგრამ ის მაინც შეიგრძნობს ტკივილს, ყვირის, მოძრაობს, რითიც ხელს უშლის ქირურგს. სისხლის დანახვა, შიში — ყველაფერი მოქმედებს მის ფსიქიკაზე. უნარკოზოდ გაკეთებულ ოპერაციას შეიძლება მოჰყვეს შარდშეუკავებლობა, ენის მოკიდება. მშობლებს ძალიან აწუხებთ ერთი საკითხი: ხომ არ გაიზრდება ადენოიდები კვლავ ოპერაციის შემდეგ? სამწუხაროდ, რეციდივები (ხელმეორედ გაზრდა) ხშირად ხდება. მიზეზი, როგორც წესი, ერთია: ქირურგი ბოლომდე არ კვეთს ადენოიდებს, ტოვებს ქსოვილის ნაწილებს. თანამედროვე ტექნოლოგიებმა გადაწყვიტეს ეს პრობლემა. ოპერაცია კეთდება ტელეკამერების საშუალებით. ყველაფერს, რაც ხდება ცხვირ-ხახაში, ექიმი ხედავს მონიტორზე. ეს ხელს უწყობს მთლიანად მოკვეთოს ადენოიდური ქსოვილი, აიცილოს სისხლდენა და გართულებები.

თუმცა შესაძლებელია ოპერაციის თავიდან აცილებაც. არსებობს ოქროს წესი: ნებისმიერი დაავადების შეჩერება უფრო ადვილია, ვიდრე გართულების მკურნალობა. თქვენ თუ არ მიეკუთვნებით იმ მშობლების რიცხვს, ვისაც ურჩევნია ბავშვის ექიმთან მიყვანას თვითმკურნალობა, გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები:

**1.** არ გაუშვათ უქეიფოდ მყოფი ბავშვი საბავშვო ბაღში. ასეირნეთ სუფთა ჰაერზე, ატარეთ სპორტზე, დიდი ხნით ნუ დასვამთ ტელევიზორთან ან კომპიუტერთან. ანგინის შემდეგ ბავშვის ბოლომდე გამოსაჯანმრთელებლად საჭიროა სულ ცოტა, 10-14 დღე.

**2.** ნუ ეცდებით ბავშვს თავად უმკურნალოთ — ექიმის გარეშე. ნუ გაჭყიპავთ ანტიბიოტიკებით, წამალი უნდა შეარჩიოს ექიმმა. ბევრი დედიკო შვილს წამლებს ასმევს სურდოს, ან წამოხველების, თუნდაც ოდნავი თავის ტკივილის დროს. სინამდვილეში ამით ხელს უშლიან ბავშვის ორგანიზმს, ისწავლოს ავადმყოფობასთან შებრძოლება. ბოლოს და ბოლოს (ანტიბიოტიკებით გაჭყეპის შემდეგ) მიკრობები ეგუებიან წამლის ზემოქმედებას — მათთვის სულერთია, თუ რას მოიხმარენ მათ წინააღმდეგ.

**3.** თვალყური ადევნეთ, რომ ბავშვმა ცხვირით ისუნთქოს. როცა პაწია პირღია დადის, მაშინ ცხვირით არ სუნთქავს. ეს კი ჰიპოქსიის საშიშროებაა ანუ ტვინის ჟანგბადით მოუმარაგებლობა. თუ პაწია გაცივდა, ჩააწვეთეთ სისხლძარღვების შემავიწროებელი წვეთები. 3-4 დღეში სურდო გაუვლის. მაგრამ, თუ ბავშვი მუდმივად ცხვირით სუნთქავს, პირღიას სძინავს, ძილში ხვრინავს — სურდო არაფერ შუაში არ არის, მაგრამ მაშინვე ნუ დააბრალებთ ადენოიდებს, მიმართეთ ექიმს, ის გაერკვევა თქვენი ბავშვის პრობლემებში.

***კრესტიანკა***

## მალე მორჩებით

გრიპის დროს ცხვირში ჩაიწვეთეთ ინტერფერონი ან გრიპფერონი (ინტერფერონითაა დამზადებული) და მიიღეთ ანაფერონის აბები (მისი საფუძველიც ინტერფერონია).

თუ თავს ცუდად გრძნობთ, ოთახის ტემპერატურის 1 ჩ/ჭ წყალში გახსენით 3 ჩ/კ ვაშლის ძმარი, 2 ჩ/კ თაფლი და გამოივლეთ ყელში.

განსაკუთრებით ეფექტიანია ნივრის ინჰალაცია.

დაჭყლიტეთ ორი კბილი ნიორი, წაუსვით ბინტზე, ჩადეთ ცარიელ საჩაიეში და 5 წთ ისუნთქეთ ნივრის არომატი. ამოისუნთქეთ არა პირით, არამედ ცხვირით. 5 პროცედურის შემდეგ არა მარტო სურდო მოგშორდებათ, არამედ ანგინა და ბრონქიტიც უკან დაიხევს.

***მედიცინსკაია გაზეტა***



## ვიტამინები დაგვიცავს სიბრმავისგან

ამერიკის ქალაქ ბალტიმორის ჯონ ჰოპკინსის სახელობის მედიცინის ფაკულტეტის თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ სიბრმავისაგან ვიტამინები დაგვიცავს. მეცნიერების გამოანგარიშებით C, E ვიტამინების შემადგენლობის პრეპარატების რეგულარულმა მიღებამ (ბეტა-კაროტინი, თუთია და თუთიის ოქსიდი) მარტო აშშ-ში წელიწადში მინიმუმ 300 ათასი თვალის დაავადების შემთხვევა შეამცირა.

მსგავსი პროფილაქტიკა გაცილებით იაფია, ვიდრე მკურნალობა. გარდა ამისა, ექიმები გვირჩევენ, აუცილებლად ჩავრთოთ ყოველდღიურ რაციონში სტაფილო (ნებისმიერი სახით) კომბოსტო, სატაცური, კომბოსტო, ისპანახი, საქონლის ღვიძლი, თევზეული, კერძოდ, თინუსი. ასევე, არ დაივიწყოთ სრულფასოვანი ღამის ძილი.

***ოტდოხნი! №2***

## წიწიბურა კურნავს დიაბეტს

ექიმებმა მღრღნელებზე დაკვირვებით კიდევ ერთხელ დაამტკიცეს წიწიბურას სარგებლიანობა. კერძოდ, ის ძალიან სასარგებლოა დიაბეტით დაავადებულთათვის.

მეცნიერებმა ვირთხებს ხელოვნურად შეჰყარეს დიაბეტი, შემდეგ მათი რაციონი გაამდიდრეს წიწიბურას მარცვლებისაგან მიღებული ექსტრაქტით.

ასეთმა დიეტამ საშუალოდ 15-20%-ით დასწია გლუკოზის დონე დაავადებული მღრღნელების სისხლში.

***ცელებნიკი***



# იმეგობრეთ ცხოველებთან

ევროპელმა და ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ძაღლის პატრონებს სისხლში ნაკლები ქოლესტერინი, მოწესრიგებული ნერვული სისტემა აქვთ და დღეგრძელებიც არიან. საიდუმლო იმაშია, რომ ძაღლებს გულით უყვართ პატრონები და ცხოველთა შორის მხოლოდ მათ შეუძლიათ მოუხსნან ადამიანებს დაძაბულობა. მეორე ადგილზე არიან კატები.

*ოტდოხნი! №3*

# გაფრთხილდით!

ხანდაზმული ადამიანი დაცემის დროს მრავალ ტრავმას იღებს. ავსტრალიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ტრავმების უმეტესობის მიზეზი D ვიტამინის ნაკლებობაა. ეს ვიტამინი მზის სხივების მოქმედებით თავისთავად წარმოიქმნება ორგანიზმში. გამოკვლევამ, რომელშიც ჩართული იყო 15.400 ოთხმოცი წლის ქალი, აჩვენა: ამ მნიშვნელოვანი ნივთიერების დეფიციტის კომპენსაცია აბების ან საჭმლის დანამატების სახით საგრძნობლად ამცირებს მოტეხილობას. როგორც ცნობილია, D ვიტამინი მოქმედებს ძვლის გამძლეობაზე, აუმჯობესებს ტვინის მოქმედებას. აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გასაყიდად გამოჩნდა D ვიტამინით საკვები პროდუქტების გამამდიდრებლები, მაგრამ მეცნიერების მტკიცებით, ეს ვერ შეცვლის მზეზე ყოფნას და სუფთა ჰაერზე სეირნობას.

*ოტდოხნი! №2*


ვმკურნალობთ

**ქრონიკულ პროსტატიტს**

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**



N19

ოჯახის მკურნალი

სამედიცინო ჟურნალი ფასი 70 თ.

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის



სამედიცინო ცენტრი „ლაზერი"

ბუასილის კვანძების მოცილება ოპერაციის გარეშე უნიკალური უცხოური ტექნოლოგიით. სწორი ნაწლავის ნაპრალის, კოლიტის მკურნალობა.

ექიმი ვიტალი ბერიშვილი ☎ 899 70 00 40

გინეკოლოგიური დაავადებები. განსხვავებული მიდგომა განსხვავებული შედეგებით.

ექიმი მზია ჩიტიშვილი ☎ 899 57 68 27

სექსუალური პრობლემები. უროლოგიური დარღვევები. პროსტატიტი ექიმი გიორგი აფაქიძე ☎ 899 21 36 30

ტროფიკული წყლულების მძიმე შემთხვევების, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების მკურნალობა

ცენტრის ხელმძღვანელი: პროფესორი ლუიზა მარსაგიშვილი ☎ 899 20 60 73

Cveni reklama - Cveni Sedegebia

მის: ქ. თბილისი, ბახტრიონის 18, ☎ 91-18-33



რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, კიფოზი, მეწაღისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა.



მრავალი წლის განმავლობაში ამ დაავადებებს დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდებით: მანუალური თერაპია, სამკურნალო მასაჟი, სამკურნალო ფიზკულტურა, ტრენაჟორები.

მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე ალმაშენებლის 90/84 I სად, II სართ.
ტელ: 95-47-67; 75-06-14 (საღამოს); 899-26-51-08



სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"

სექსოპათოლოგიის კლინიკა ტელ.: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
- პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ვაქცინაციის ცენტრი (წინასწარი ჩაწერით) ტელ.: 32 44 78

- ფართო სპექტრის მომსახურება უცხოური ვაქცინებით

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11


**ვარ 30 წლის. უკვე 12 წელია ვეწევი სიგარეტს. ახლა გადავწყვიტე დაფეხმძიმება. რა ზეგავლენას მოახდენს ჩემი წარსული ნაყოფზე, როგორ განვითარდება ორსულობის პერიოდი? რას უნდა ველოდო და როგორ მოვიქცე?**

*ლ. გარდაფხაძე*

# ორსულობა და სიგარეტი



გირჩევთ, სასწრაფოდ დაანებოთ თავი სიგარეტს, რადგან ორსულობის დროს სიგარეტის მოწევა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ნაყოფზე.

ნიკოტინი იმდენად იოლად ალწევს პლასტიკურ ბარიერს, რომ ზოგჯერ ამ ნივთიერების კონცენტრაცია უფრო მაღალია ნაყოფის სისხლში, ვიდრე დედისაში. სიგარეტის, სიგარის ან ჩიბუხის მოწევისას სასუნთქ სისტემაში ხვდება სხვა ბევრი, უფრო მავნე ნივთიერება, მათ შორის ბენზიირენი და თუმც უმნიშვნელო რაოდენობა, მაგრამ მაინც რადიოაქტიური იზოტოპები.

მომწამლავი ნივთიერებების სხვა ნაწილი წარმოიქმნება დედისა და ნაყოფის ორგანიზმში თამბაქოს წევისას სისხლში გადასული ნივთიერების დაშლის შედეგად და ზეგავლენას ახდენს ნაყოფის განვითარებაზე.

დედის მიერ სიგარეტის მოწევის შედეგად ადგილი აქვს პლაცენტის (რითაც ხდება ნაყოფის კვება მუცლადყოფნის დროს) სისხლძარღვების სპაზმს (შევიწროება), ამის გამო ნაყოფი რამდენიმე წუთით განიცდის ჟანგბადის ნაკლებობას.

და თუკი დედა ორსულობის დროს მუდმივად ეწევა სიგარეტს, მისი ნაყოფი ფაქტობრივად მუდმივად განიცდის ჟანგბადის ნაკლებობას, რის გამოც ვერ ხდება მისი განვითარება.

ასეთი ბავშვები, როგორც წესი, მცირეწონიანები იბადებიან, ძნელად ეგუებიან ცხოვრებას, აქვთ სუსტი ცენტრალური ნერვული სისტემა, სუსტი ჯანმრთელობა. ისინი უფრო ხშირად და ამასთან უფრო ხანგრძლივად ავადმყოფობენ სასუნთქი სისტემის დაავადებებით.

მწეველ ქალებს ორსულობის შეწყვეტის საშიშროებაც ემუქრებათ, თითქმის ორჯერ იზრდება ვადამდელი მშობიარობის (ნაადრევი ან ადრეული) რისკი.

ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, დედის მიერ თამბაქოს მოწევამ შესაძლოა ნაყოფში სიმსივნური პროცესების განვითარებაც კი გამოიწვიოს.

*გაითვალისწინეთ!*

პასიური მოწევაც ძალზე მავნებელია, მეტიც, ის უფრო მავნებელია, ვიდრე ჩვეულებრივი მოწევა.

რაც შეეხება მოწეული სიგარეტის რაოდენობასა და ხარისხს, აქ რაიმე უსაფრთხო ზღვარი არავის დაუდგენია. ამიტომაც გირჩევთ, თავი დაანებოთ თამბაქოს. უმჯობესია, რა თქმა უნდა, დაფეხმძიმებამდე.

სიგარეტი არცთუ იშვიათად იწვევს თვითნებურ აბორტს. მწეველი დედის შვილები უფრო ხშირად იბადებიან დღენაკლულები, ილუპებიან მშობიარობის წინ ან სიცოცხლის პირველსავე დღეებში.

იმ ბავშვებში, რომელთა დედები ორსულობის დროს 1 კოლოფ სიგარეტს ეწეოდნენ, უფრო ხშირია არაადეკვატური ქცევა, ჰიპერაქტიურობა, შფოთვა და სხვა დარღვევები. ასეთი ბავშვები ჩამორჩებიან როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი განვითარებით.

მწეველი ქალები ხშირად ხდებიან ალერგიულები, უფრო მეტიც, ისინი გადასცემენ ალერგიის მიმართ მიდრეკილებას შთამომავლობას. რისკი იმატებს, თუკი ის განაგრძობს სიგარეტის მოწევას ორსულობის დროსაც.

ბავშვს შეიძლება განუვითარდეს საკვებისმიერი ალერგია, პოლინოზი — ყვავილის მტვრის მიმართ ალერგია, ბრონქიალური ასთმა.

ასეთ ბავშვებში ძლიერ არის დაქვეითებული იმუნიტეტი, ორგანიზმში სუსტად გამომუშავდება ინტერფერონი-გამა, რაც იმუნური სისტემების ნორმალური ფუნქციონირებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ის ხელს უწყობს ინფექციურ ფაქტორთან ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარიანობას. ასე რომ, მწეველი დედის შვილები ცხოვრების პირველ პერიოდში ნაკლებად არიან დაცულნი ბაქტერიებისა და ვირუსების ზემოქმედებისგან.

მწეველი დედის შვილს ასევე მნიშვნელოვნად „სუსტი" ფილტვები აქვს.

ზუსტად როდის უნდა შეწყვიტოს ქალმა სიგარეტის მოწევა დაფეხმძიმებამდე ძნელი სათქმელია, რადგან, არავინ იცის, როდის დადგება ორსულობა.

თუ სიგარეტზე თავის დანებებას დაფეხმძიმების დროისთვის გადადებთ, შესაძლოა დიდხანს მოგიხდეთ ლოდინი. რადგანაც სიგარეტი მნიშვნელოვნად აქვეითებს დაფეხმძიმების შანსს. თამბაქოს ბოლში შემავალი ნივთიერებები ღუპავენ კვერცხუჯრედებს.

დადგენილია, რომ სიგარეტის მოწევა ახალგაზრდა ქალისთვის ერთ-ერთი საკვერცხის ფუნქციონირების შეწყვეტის ტოლფასია.

ამიტომაც, დასაფეხმძიმებლად მწეველ ქალს შესაძლოა ერთი წელიც კი დასჭირდეს, სიგარეტის მოწევისგან თავის დანებების შემდეგ.

სერიოზული პრობლემები შეიძლება შეექმნეთ იმ ქალებსაც, ვისაც სურვილი აქვთ ხელოვნური განაყოფიერებისა. ფრანგი მეცნიერების მიერ დადგინდა, რომ იმ ქალებში, ვინც დღეში 10 ღერ სიგარეტს ეწევა, ხელოვნური განაყოფიერებით ბავშვის გაჩენის შანსი 55%-ით ნაკლებია.

გარდა ამისა, სიგარეტის მოწევა 3 წლით აჩქარებს მენოპაუზის — კლიმაქსის დადგომას.

მწეველ ფეხმძიმე ქალს ექმნება პლაცენტის ნაადრევი აცლის, ასევე სანაყოფე წყლების ნაადრევი დაღვრის დიდი რისკი.

თუ ქალი ვერც მშობიარობის მერე ანებებს თავს სიგარეტს, მას პრობლემები შეექმნება ლაქტაციასთან (რძის გამომუშავება და გამოყოფა) დაკავშირებით.

სიგარეტისთვის თავის დანებების საშუალებები:

— ნიკოტინის შემცველი საღეჭი რეზინი, მაგალითად, ნიკორეტე;
— მედიკამენტოზური საშუალება — აბები ანაბაზინ ჰიდროქლორიდის, საღეჭი რეზინი გამიბაზინი, ტაბეაქსის აბები;
— ჰომეოპათია;
— საკვებისმიერი დანამატები;
— რეფლექსოთერაპია;
— ფსიქოთერაპია, შთაგონება, ფსიქოანალიზი.

*მაია მუხიგული*



# წვნიანი მარტოობას შველის

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ საყვარელი კვების პროდუქტების მიხედვით შესაძლებელია ადამიანის ხასიათისა და ნიჭის გამოცნობა.

**ვაშლის** მოყვარული ბუნებით მშვიდია, გულმოდგინე და ცოტა ძველმოდურიც.

**ხენდროს** მოყვარულთ ძალიან დახვეწილი გემოვნება აქვთ და ძვირფასი, ლამაზი ნივთების ყიდვას ამჯობინებენ.

**მწვანე ხახვი** ყოველთვის არის ინტელექტუალების სუფრაზე, ვისაც კარგად აქვს განვითარებული ლოგიკური აზროვნება.

**მარწყვის** მოყვარულები საკუთარ განცდებს და საერთოდ ყველაფერს აანალიზებენ, რაც კი მათ სულში ხდება.

**მწვანე სალათს** სიამოვნებით მიირთმევენ მხიარული ადამიანები, რომელთაც მუსიკის ნიჭი აქვთ.

**სტაფილოსა და ისპანახის** მოყვარულები ხშირად ვარდებიან დეპრესიასა და მელანქოლიაში.

**კარტოფილი** უყვართ გაწონასწორებულ, მომთმენ - ადამიანებს.

**კომბოსტოს** მოყვარული ძალიან ხელმომჭირნეა, ოდნავ ძუნწიც, უჭირს ფულის გასესხება.

**პომიდორი** უყვართ შინ ჯდომის მოყვარულებს, კარგ მეოჯახეებს.

**ტკბილეულის** მოყვარული რომანტიკულია, საყვარელი ადამიანის გულისთვის თავის გაწირვაც შეუძლია.

**ბადრიჯანსა და ტკბილ წიწაკას** ეტანებიან მიზანდასახული და თავისუფალი პიროვნებები.

**მწვანე ბოსტნეულისა და ხილის** სიყვარული მეტყველებს ადამიანის ეგოიზმზე.

**მარილიანი კერძების** მოყვარულები — არიან თვითკმაყოფილები და ზედმეტად დარწმუნებულები საკუთარ თავში.

თუ ადამიანს უყვარს **წვნიანი კერძები: სუპი, ბულიონი, წვენები, რძე,** ის თავს მარტოსულად და მიტოვებულად არცერთ სიტუაციაში არ გრძნობს.

**ცივი საკვების** მოყვარულები ცდილობენ საკუთარ თავში ჩაახშონ შიში, აღგზნება.

*მედიცინა*

# „კალორიული" დიაგნოსტიკა

ევროპელმა მეცნიერებმა უჩვეულო ექსპერიმენტი ჩაატარეს: ლეიზელებისა და ფუნთუშების შემადგენლობაში. მათ შეიყვანეს სტაბილური ნახშირორჟანგის არარადიოაქტიური იზოტოპი C-13.

საქმე ის გახლავთ, რომ თანამედროვე ტექნიკას შეუძლია განსაზღვროს ამ იზოტოპის შემცველობა ნებისმიერ გარემოში, ხოლო ადამიანის ყველა ქსოვილსა და ორგანოში ის ძალიან მალე ვრცელდება და შესაძლოა აღმოჩენილი იყოს ამონასუნთქ ჰაერშიც.

ამ ნივთიერების კონცენტრაციით შესაძლებელი ხდება, მაგალითად, შაქრიანი დიაბეტის დიაგნოსტირება (რომლის დროსაც ის მომატებულია) ან კუჭ-ნაწლავის მოშლა (ამ დროს ის ნორმაზე დაბალი იქნება).

*გარდიანი*

# უარი ვთქვათ... კარაქზე

ათეროსკლეროზისა და მიოკარდის ინფარქტისგან თავდასაცავად უნდა ვერიდოთ ცხიმიან საჭმელს. როგორ ვთქვათ უარი კარაქიან პურზე?

...თუ არ გინდათ კიდევ ერთი ინფარქტის გადატანა, მუდმივად აკონტროლეთ ქოლესტერინის დონე!

...კარაქი თავისთავად შეიცავს ბევრ ქოლესტერინს: 190 მგ — 100 გ-ში. შედარებისათვის: 100გ ღორის ქონი შეიცავს 100 მგ ქოლესტერინს, მცენარეული ზეთი და მასზე დამზადებული მარგარინი კი საერთოდ არ შეიცავს.

...კარაქში უხვადაა ნაჯერი ცხიმები, რომლებიც სისხლში მაღლა სწევენ ქოლესტერინის დონეს, ხელს უწყობენ წონის მომატებას. კარაქი ძალიან სწრაფად იყინება მაცივარში, მარგარინი კი რბილი რჩება, რადგან ის მდიდარია უჯერი ცხიმებით. ამიტომ სჯობს იხმაროთ კარაქის შემცვლელი ცხიმები!

*კომსომოლსკაია პრავდა №212*

# ყოფილმა მინისტრმა პრეზიდენტ ბუშს უღალატა

ასეთი სკანდალი ბუშის პრეზიდენტობის მანძილზე არ მომხდარა. აშშ-ის ფინანსთა ყოფილმა მინისტრმა პოლ ო'ნილმა ქვეყნის პრეზიდენტი არაკომპეტენტურობასა და საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებაში დაადანაშაულა. მან ერთ-ერთ ტელეინტერვიუში განაცხადა: 2001 წლის იანვარში, ჯორჯ ბუშის ინაუგურაციიდან ორი დღის შემდეგ, ნაციონალური უშიშროების საბჭოს პირველსავე სხდომაზე დაისვა სადამ ჰუსეინის დამხობის საკითხიო.



ჟურნალ „ტაიმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში კი პოლ ო'ნილმა განაცხადა, — ფინანსთა მინისტრად ყოფნის 22 თვის მანძილზე, ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის დამადასტურებელი ერთი საბუთიც კი არასოდეს მინახავსო.

ამერიკაში არავის ეეჭვება, რომ ყოფილ ფინანსთა მინისტრს ხელი მიუწვდებოდა გასაიდუმლოებულ ინფორმაციაზე. მართალია, არ არსებობს სპეციალური სარანგო ტაბელი, მაგრამ პრეზიდენტის უუნარობის შემთხვევაში მას დიდი მოხელეები ცვლიან. ამ ნუსხაში ფინანსთა მინისტრი მეხუთეა ვიცე-პრეზიდენტის, წარმომადგენელთა პალატის სპიკერის, სენატის თავმჯდომარისა და სახელმწიფო მინისტრის შემდეგ.

ო'ნილი ირწმუნება, რომ აშშ-ის ადმინისტრაციას სადამ ჰუსეინის დამხობა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტამდე 8 თვით ადრე ჰქონდა დაგეგმილი.

პოლ ო'ნილის განცხადებამ სერიოზული დარტყმა მიაყენა პრეზიდენტ ბუშისა და მისი გარემოცვის ავტორიტეტს.

ო'ნილის გამონათქვამებს მაშინვე მოჰყვა ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის რეაქცია — ოფიციალურად დაიწყო ყოფილი ფინანსთა მინისტრის მიერ სახელმწიფო საიდუმლოს გამჟღავნების ფაქტის გამოძიება. ლაპარაკია ექსმინისტრის მიერ სატელევიზიო ინტერვიუს დროს საქაღალდის დემონსტრირებაზე, რომელსაც ეწერა „პოსტსადამისეულ ერაყთან დაკავშირებული გეგმა. საიდუმლოა“.

შეშინებულმა პოლ ო'ნილმა საჯაროდ უარყო ნათქვამი და განაცხადა, — პრეზიდენტ ბუშს მხარს დავუჭერ ნოემბრის არჩევნებშიო.

***კომერსანტი №4***

# თურქეთი კავკასიაში სამშვიდობო როლის შესრულებას გეგმავს

ოფიციალური თურქეთი მიიჩნევს, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანში ხელმძღვანელობის შეცვლა შესანიშნავი პირობაა რეგიონში სამშვიდობო პროცესების ახალი ეტაპის დასაწყებად. ანკარა ამ პროცესებში აქტიური ნაბიჯების გადადგმას იწყებს. აზერბაიჯანი, კავკასიაში, თურქეთის ყველაზე აქტიური მოკავშირეა. თურქი და აზერბაიჯანელი დიპლომატები უკვე ლაპარაკობენ, რომ ანკარა ზრუნავს აზერბაიჯანის ნატოში გასაწევრებლად. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აბდულა გული ცდილობს, მოლაპარაკების მაგიდასთან დასვას სომეხი და აზერბაიჯანელი ლიდერები ყარაბაღის პრობლემის გადასაჭრელად. თუმცა ამას არა მარტო აზერბაიჯან-სომხეთის ურთიერთობათა რეგულირება დასჭირდება, თურქეთ-სომხეთის ურთიერთობისაც. სომხები თვლიან, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს აღმოსავლეთ თურქეთში სომხების მიმართ განხორციელებული გენოციდი თურქეთის მთავრობის მიერ კარგად კოორდინირებული აქცია იყო. მინისტრ გულის აზრით, მოლაპარაკების მაგიდასთან ყველა საკითხის გადაჭრა შესაძლებელია.

საქართველოში თურქეთი თავისი მოქმედების ახალ ფაზას იწყებს. აქაც არის კონფლიქტის ზონები, სადაც ანკარას აქტიური ჩარევის შესაძლებლობები ბოლომდე ამოწურული არ აქვს. თურქეთში თვლიან, რომ მათი ბიზნესის უფრო ჭარბად შესვლა საქართველოში კონფლიქტების მოგვარებასაც დააჩქარებს. ანკარა სიხარულით შეხვდა საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, — მცირე და საშუალო ბიზნესზე მაქსიმალურად შეღავათიან გადასახადებს დავაწესებ და მივესალმები თურქული ბიზნესის მიერ ქართული ბაზრის „აუთვისებელი სეგმენტების“ შევსებასო.

***ევრა ზიენტი***

# ირანი კონსტიტუციასა და აიათოლებს შორის

ირანში დაიწყო აშკარა დაპირისპირება ქვეყნის საერო და სასულიერო ხელისუფლებათა შორის. ირანის კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტსა და პრეზიდენტს, დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით, ხალხი ირჩევს, მაგრამ უზენაესი ხელისუფლება საერო კი არა, რელიგიური ორგანოების ხელშია. პარლამენტს აქვს კანონების მიღების უფლება, მაგრამ სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც ღვთისმეტყველებისა და სამართალმცოდნეებისგან შედგება, ვეტოს დადების უფლება აქვს. საბჭოს მთავარი დანიშნულებაა, არ დაუშვას, რომ საერო ხელისუფლების საკანონმდებლო ინიციატივა ეწინააღმდეგებოდეს ისლამურ ნორმებს. საბჭოს ვეტოს დადება მარტო კანონპროექტზე კი არა, დეპუტატობის კანდიდატებზეც შეუძლია. საპარლამენტო არჩევნებზე არ დაუშვებენ იმ პოლიტიკოსებს, რომელთაც სულიერი ლიდერის უპატივცემულობას ან ისლამის ნორმების დაუმორჩილებლობას შეამჩნევენ.



იმის მიუხედავად, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის საბჭოს არაერთხელ გამოუყენებია თავისი უფლებები, ახლახან მიღებულმა გადაწყვეტილებამ თეირანში ბომბის აფეთქების ეფექტი მოახდინა. სამეთვალყურეო საბჭომ 20 თებერვალს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში დეპუტატობის 8157 მსურველიდან მხოლოდ 3605 კანდიდატი დატოვა. განაწყენებულთა შორის აღმოჩნდნენ რეფორმისტული ფრთის ბევრი ცნობილი ლიდერი, პარლამენტის 2 ყოფილი სპიკერი, საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეები. გაოგნებულმა დეპუტატებმა პარლამენტი პროტესტის გამოსახატავად საუკეთესო ადგილად მიიჩნიეს და მჯდომარე საპროტესტო აქცია დაიწყეს. ეს დემოკრატიისთვის თავლაფის დასხმაა, — განაცხადა ამჟამინდელი პრეზიდენტის, ხათემის ძმამ, „ირანის ისლამური პარტიის“ ლიდერმა რეზა ხათემმა. თავად პრეზიდენტმა კი, რომელიც რეფორმისტული მოძრაობის სიმბოლოდ ითვლება, ყველას მოუწოდა, არ დაუშვან ძალმომრეობა, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია — ფაქტობრივად, საერო და სასულიერო ხელისუფლებამ ერთმანეთი კანონგარეშედ გამოაცხადეს.

***ნიუ ზუიქი***

# ხავერდოვანი გადატრიალება საბერძნეთში

საბერძნეთში შიდაპოლიტიკური ვნებები ბობოქრობს. ახალი წლის არდადეგების დამთავრებისთანავე ბერძნებმა შეიტყვეს, რომ 7 მარტს მათ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ელით, რომელიც მაისში უნდა გამართულიყო.

მოულოდნელმა პოლიტსიურპრიზმა თავი იჩინა პრემიერ-მინისტრისა და მმართველი პარტიის ლიდერის, კონსტანტინოს სიმიტისის მიმართვაშიც. მან განაცხადა, რომ პარტიის ხელმძღვანელის პოსტს ტოვებს და მარტის არჩევნებამდე მხოლოდ მთავრობას უმეთაურებს.

67 წლის სიმიტისის მემკვიდრე და პარტიის ახალი ლიდერი გახდება 52 წლის გეორგიოს პაპანდრეუ. იგი უკვე 5 წელია ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრია.

ბერძნები მომავალ პოლიტიკურ ცვლილებებს „ხავერდოვან გადატრიალებას“ უწოდებენ, ერთი მხრივ იმიტომ, რომ დათქმული ვადის ნაცვლად ადრე იმართება არჩევნები, მეორე მხრივ, ქვეყნის სათავეში კვლავ პაპანდრეუთა დინასტია მოდის. ამ ოჯახმა უკვე მისცა ქვეყანას ორი პრემიერი — ახალი ლიდერის პაპა და მამა.

სიმიტისი პოლიტიკური ცვლილებების მიზეზად კვიპროსის კონფლიქტს ასახელებს და ამბობს, მის აღმოფხვრას მხოლოდ ახალი კაბინეტი შეძლებსო.

გეორგიოს პაპანდრეუ საბერძნეთში პოპულარული პოლიტიკოსია, მაგრამ მეტოქეც არანაკლებ პოპულარული ჰყავს — 47 წლის კონსტანტინოს კარამანლისი.

***ნეზავისიმაია გაზეტა №4***

# სილვიო ბერლუსკონის იმუნიტეტი მოუხსნეს



იტალიის საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა შარშან, ივნისში, პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რომელიც პრემიერ-მინისტრისა და კიდევ ოთხი უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელისთვის იმუნიტეტს ითვალისწინებდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოულოდნელი აღმოჩნდა როგორც პრემიერისთვის, ასევე მისი მოწინააღმდეგეებისათვის. სასამართლოს დადგენილებაში ნათქვამია, რომ კანონი იმუნიტეტის შესახებ, ეწინააღმდეგება ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობის იდეას.

პრემიერ ბერლუსკონის ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია, სამაგიეროდ, მისმა უახლოესმა თანამოაზრემ, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკო ფრატინიმ განაცხადა, — საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილება იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობის დასაცავად სასწრაფოდ უნდა შევცვალოთ კონსტიტუციაო. პრემიერის გარემოცვა ამბობს, — იმუნიტეტის გაუქმება იტალიას კი არ აახლოებს ევროპის სტანდარტებთან, არამედ აშორებს; ევროკავშირის ქვეყნების ლიდერებს არავინ ასამართლებს სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობის შესრულების დროსო (მაგალითად, საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკს).

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება, ამდენად, იმუნიტეტმოხსნილ სილვიო ბერლუსკონის წინააღმდეგ საქმე აღიძრება. მას ადანაშაულებენ 80-იან წლებში სასურსათო კომპანია SME-ს უკანონო პრივატიზებაში. ამ საქმესთან დაკავშირებით ბერლუსკონის გარემოცვიდან უკვე რამდენიმე ადამიანი გაასამართლეს, პრემიერს კი აქამდე იმუნიტეტი იცავდა.

***ნიუს რუ***






## მოკლედ

**ჩრდილოეთ ამერიკაში** საშინლად აცივდა, მონრეალში ტემპერატურა 24 გრადუსამდე დაეცა. კვებეკელები ქარბუქსა და ყინვაში გარეთ ცხვირს ვერ ყოფენ. ცივა ნიუ-იორკშიც, ტემპერატურა მინუს 20 გრადუსამდეა. ამასთან დაკავშირებით მენის შტატის გუბერნატორმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

***

**ჰააგის ტრიბუნალის** ციხის პატიმარი, იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტი და სერბეთის სოციალისტური პარტიის ლიდერი სლობოდან მილოშევიჩი, როგორც ვარაუდობდნენ, პარლამენტის დეპუტატთა სიაში არ შეუყვანიათ. ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღოს სერბეთის მეორე პატიმარი ლიდერის, ნაციონალ-რადიკალების პარტიის ხელმძღვანელის, ვოისლავ შეშელის მიმართაც. თუმცა თუ სლობოდან მილოშევიჩი ან ვოისლავ შეშელი ახალარჩეული პარლამენტის მოქმედების ვადის დასრულებამდე გათავისუფლდებიან და დეპუტატთაგან ვინმე მათ სასარგებლოდ დათმობს მანდატს, ისინი სკუპშჩინას წევრები გახდებიან.

***

**თელ-ავივში** გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე ნაციონალური რელიგიური პარტიის ლიდერმა, ეფი ეიტამმა, ათასობით მხარდამჭერის სახელით, მოითხოვა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, არიელ შარონის გადადგომა. როგორც ცნობილია, შარონი პალესტინის ზოგიერთი სადავო ტერიტორიის ებრაელი მოსახლეობისაგან დაცლას აპირებს. მომიტინგეთა მოთხოვნის საპასუხოდ პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, — ისრაელს დემონსტრანტები კი არა, ჩემი მთავრობა მართავსო.

***

**აზერბაიჯანში,** ნატოს ეგიდით, საერთაშორისო სწავლება უნდა დაიწყოს. მასში მონაწილეობას მიიღებენ სომეხი სამხედროებიც, რამაც აღაშფოთა საზოგადოების ერთი ნაწილი, კერძოდ კი, ყარაბაღის ომის ვეტერანები. ამის გამო ოფიციალური ბაქო სომეხ სამხედრო პირებს ჯერჯერობით, უარს ეუბნება ვიზებზე.

***

LEVI STRAUSS-ის ბოლო ორი ქარხანაც დაიხურა აშშ-ში. ამიერიდან პოპულარული ჯინსის მწარმოებელი კომპანია თავის ტანსაცმელს მხოლოდ საზღვარგარეთ, კერძოდ, ჩინეთში შეკერავს.

***

**პენტაგონმა** აღიარა, რომ დაპატიმრების წუთიდან, სადამ ჰუსეინი, როგორც ერაყის არმიის ყოფილი მთავარსარდალი, სამხედრო ტყვეა. ეს იმას ნიშნავს, რომ ვაშინგტონს სურს, სადამის ბედზე პასუხისმგებლობა მსოფლიო საზოგადოებრიობას გაუნაწილოს. ჟენევის კონვენციის თანახმად, წითელი ჯვრის ექიმებს სამხედრო ტყვეების მონახულების უფლება აქვთ. ეს ხელს აძლევს ვაშინგტონს, რადგან დამოუკიდებელი მედიკოსების გამოჩენა სადამის საკანში, აშშ-ს მოუხსნის პატიმრის ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობას. აშშ-ს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ყოფილი დიქტატორის ერაყში გასამართლება.

***

**ვაშინგტონი** აპირებს ოფიციალური მოლაპარაკებების დაწყებას პოლონეთსა და რუმინეთთან, ამ ქვეყნებში სამხედრო ბაზების განსალაგებლად. ახალი სამხედრო კონცეფციის თანახმად, აშშ არსებითად ამცირებს დასავლეთ ევროპაში სამხედრო ბაზების რაოდენობას და მისი პერსონალი, გამოთავისუფლებული ჯარი და ტექნიკა აღმოსავლეთ ევროპაში გადაჰყავს.

***

**ავღანეთის** ახალი 10-ათასკაციანი ეროვნული არმიიდან, რომელიც აშშ-ის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ინსტრუქტორებმა გაწვრთნეს, მხოლოდ 3 ათასი დარჩა. დეზერტირობის მიზეზად მკაცრ დისციპლინას ასახელებენ, რასაც გაუთავებელი სამოქალაქო ომის დროს გადაეჩვივნენ ავღანელები.

***

**პალესტინელებისა და ისრაელელებისგან** შემდგარმა 8-კაციანმა ექსპედიციამ დაიპყრო ანტარქტიდის ერთ-ერთი გამოუკვლევი, 997 მ სიმაღლის მთა და მას „ისრაელი-პალესტინის მეგობრობის მთა“ უწოდა.

***

**იაპონელ** სამხედრო მოსამსახურეთა პირველი ჯგუფი უკვე გაემგზავრა ერაყში. მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცები მხოლოდ ჰუმანიტარულ ოპერაციებში მიიღებენ მონაწილეობას, იაპონიის მთავრობის ამ გადაწყვეტილებამ მთელ ქვეყანაში პროტესტი გამოიწვია; არსებობს იმის საშიშროება, რომ მათ საბრძოლო მოქმედებებში ჩაითრევენ. ეს სერიოზული პრობლემაა, რადგან იაპონიის კონსტიტუცია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწერა ამერიკელთა დახმარებით, სამხედრო მოსამსახურეებს უკრძალავს უცხოეთის ომებში მონაწილეობას. საზოგადოებრიობის თვალსაზრისით, ერაყში იაპონელ ჯარისკაცთა გაგზავნა სახიფათო პრეცედენტს ქმნის — ვაითუ, იაპონიის ჯარი მომავალში ხშირად გამოიყენონ საერთაშორისო სამხედრო ოპერაციებში.

***გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ***

# ცოდვიანი ღამე სოფელს დღესაც ახსოვს...

(დასაწყისი იხ. გვ. 10)

იქვე გაჩნდა ვერაგული გეგმაც. ქვეყანა რომ აირია, მთის ამ მივარდნილ სოფელში მცხოვრებმა პეტრემაც სხვების წამხედურობით ავტომატი შეიძინა... ოჯახის დაცვის მიზნით. თუმცა მაშინ შესაძლოა იმაზეც ფიქრობდა, ვისგან უნდა დაეცვა ოჯახი, სოფელსა და რაიონში კაცს ვერ ნახავდით მის მომდურავს.

არასოდეს არავის ვალი არ ჰქონია. თვითონ ყველას უმართავდა ხელს, მაგრამ რაკი ითქვა, ლეკიანობა იწყებაო, ადგა და იარაღი შეიძინა — ე მანდ ვინმე უცხო არ შემოეხეტოსო სოფელში. მერე, როცა ის და ემა მოსკოვში წავიდნენ, ბავშვები კი ბებია-ბაბუის იმედად დატოვეს, რომელთა მოვლაში მათ პეტრეს და — პელოც ეხმარებოდა, ავტომატი მიშას დაუტოვა. თავის დროზე მოხუცს იარაღის ხმარების დიდი სკოლა ჰქონდა გავლილი რუსულ, საიდუმლო სპეცბატალიონში, სადაც რამდენიმე წელი მსახურობდა.

მიშას თვალი დღესაც 10 წლის ბიჭივით უჭრის, ამიტომაცაა, რომ კარგ მონადირედ იცნობენ. აქამდე არაფერში დასჭირვებია ეს იარაღი, მაგრამ ან ამაღამ უნდა მოკლას შვილიშვილი და რძალი, ანდა მისი სიბილწე ხვალ უსათუოდ გამჟღავნდება.

მაგრამ ამდენ ხალხში როგორ გამოარჩიოს დედა-შვილი. აქ თუ ამბის მთხრობელი დარჩა, მაშინ რაღა აზრი აქვს მის მეცადინეობას. ამიტომ ყველა უნდა მოკვდეს. მთელი ოჯახი უნდა ამოჟლიტოს და საიდუმლოც დაიმარხება... იმ დღეს დილიდან დაღამებამდე ბეტონს ზელდა პეტრე, დროდადრო ემაც ეხმარებოდა. მაგრამ მეტი ჯაფა ემას ძმას, ნოდარს დაადგა. ვახშამზე ცოტა ღვინოც დალიეს და მამაკაცებს იმწამსვე ჩაეძინათ, როგორც კი ბალიშზე მიდეს თავი. ემა და მოხუცი თინაც გადაღლილები იყვნენ. ეს უკანასკნელი ისე იყო მთელი დღის ფაციფუცით მისავათებული, სუფრის ალაგებას რომ მორჩნენ, გამოაცხადა — მე ახლა ისე დაქანცული ვარ, სახლამდე ვეღარ მივატანო და იქვე, ბავშვების ოთახში ტახტზე მიეძინა. იმ დროისათვის, როცა მიშამ წინკარში შეაბიჯა თავისი ვერაგული გეგმის აღსასრულებლად, ყველას ეძინა, თიკოს გარდა. ბაბუამისის სიბილწის შემსწრე ჯერაც ვერ გამორკვეულიყო და ახლა იმაზე ფიქრობდა, რა უნდა ექნა ხვალ, უნდა ეთქვა თუ არა მამისთვის. მართალია, დედამ დაარიგა, ნუ ეტყვი, ხვალ ან ზეგ წავალთ და გავეცლებით ამ ბებერ ქოფაკსო, მაგრამ გრძნობდა, რომ არც უთქმელობა ივარგებდა. ამ ფიქრებში იყო, როცა წინა ოთახის კარი გაიღო, შემდეგ მიიხურა და იმწამსვე სროლის ხმაც მოისმა. შუქი არ იყო და ერთადერთი ლამპა ბავშვების ოთახში ბჟუტავდა. თიკოს მოეჩვენა, რომ სროლის წინ იმ ოთახში ელექტროფარანი აინთო. ათი წლის გოდერძის მხრებქვეშ შეაცურა ხელი, იქნებ ინსტინქტით მშველელსაც ეძებდა გოგო. მართალია, გოდერძი პატარა იყო, მაგრამ იმ ოთახში ის ერთადერი მამაკაცი იყო... ყველაფერი ეს თიკოს გამო ხდებოდა. ამიტომაც იყო, რომ სხვებს თუ თითო-ოროლა ტყვია აკმარა მიშამ, თიკოს ავტომატის მთელი ჯერი დააყარა. მერე ძარცვის იმიტაციის მიზნით კომოდის უჯრები ამოატრიალა. ნავთის ლამპას შუშა მოხსნა, ანთებულ პატრუქზე ბავშვების ტანსაცმელი მიაყარა, მაგრამ პატრუქი უმალვე ჩაქრა. ხანძრის გაჩენის თავი კი ნამდვილად არ ჰქონდა, სახლიდან ისე გავარდა, ლამპის შუშისთვის ხელი არ გაუშვია. მხოლოდ ორღობის ბოლოში, ბალახებში მიაგდო შუშა. ავტომატი ივრისპირა ხევში გადამალა და შინ დაბრუნდა. მისი სახლი, პეტრეს სახლის პირდაპირ იდგა.

ნუ იფიქრებს მკითხველი, რომ რაიმეს ვაჭარბებდე, ანდა სათქმელს ბოლომდე არ ვამბობდე. ავტომატის ხმა არც ერთ მეზობელს არ გაუგონია და ეს მოგვიანებით ჩატარებულმა ექსპერტიზამაც დაადასტურა. მკვლელობა კი პროფესიული სიზუსტით იყო შესრულებული. ჩანდა, მიშას არ დავიწყებოდა ძველი ხელობა.

საფიქრებელია, რომ მკვლელს იმ ღამით არ ეძინა. ადრიან დილით კი თავისი ნამოქმედარის შედეგი უნდა ენახა. უბრალოდ, ასეთია დამნაშავის ფსიქოლოგია და მანაც შვილის სახლის დაზვერვის მიზეზი რომ ჰქონოდა, ერთი ქილა ხორცით შეაბიჯა პეტრეს სახლის კიბეზე. იმ ოთახში შევიდა, სადაც ჩაცხრილული ნოდარ გიგაური სისხლში ცურავდა. იქით, მეორე ოთახში თიკოს გასძახა, ხომ არ გაიღვიძეო (ეს მისივე ჩვენებიდან შევიტყვეთ). დარწმუნდა, რომ სიკვდილს საიმედოდ დაესადგურებინა სახლში და უკან გაბრუნდა. მიშა იქ იმიტომ კი არ მივიდა, რომ განგაში აეტეხა. ეს არ შედიოდა მის გეგმაში. რამდენიმე წუთის შემდეგ კი მზია ბალარჯიშვილმა კივილით ამცნო სოფელს მომხდარის შესახებ.

სახლის ჩხრეკის დროს კომოდის ერთ-ერთ უჯრაში ავტომატის მჭიდი იპოვეს სამართალდამცველებმა. ცბიერმა მიშამ იმწამსვე იყვირა, ეგ მჭიდი რამდენიმე დღის წინ ორღობის ბოლოში ვიპოვეო. მაინც არ მოეშვნენ, ოჯახში ავტომატიც გექნებათო და მანაც ხელი მოსკოვისაკენ გაიშვირა, ჩემი რძლის, ემას აქაურ ძმას, გიგუშას ჰქონდა ჩამოტანილი და შესაძლოა აქ ვინმეს დაუტოვაო. გიგუშას არ უარუყვია მიშას განცხადება და მეზობელ სოფელში მცხოვრებ ერთ თავის ახლობელს, წესიერ და პატიოსან კაცზე მიუთითა: მიაკითხეთ ჩემი სახელით და ის ჩაგაბარებთო. თუმცა ეს ავტომატი არაფერ შუაში იყო. ის ავტომატი კი, რომლითაც მიშამ შვილის ოჯახი და მისი სტუმრები ამოხოცა, სოფლიდან გატანის დროს პოლიციელებმა კინაღამ უნახეს, მაგრამ გაიძვერა მიშამ შემთხვევით იქვე მდგომ რესპუბლიკის პროკურორის მოადგილეს შესჩივლა — ის არ მეყოფა, ხუთი სული მიწას მივაბარე, ახლა თქვენი ხალხი ყოველდღე მჩხრეკს, გზაზე არ მატარებენო — მანაც ხელქვეითებს ანიშნა, გაატარეთო. ამბობენ, პროკურორმა მერე კი გაიგო, რაც ამას მოჰყვა და დიდად ნაღვლობდაო.

P.S. აღწერილი სურათი მეტისმეტად მძაფრი გამოგვივიდა. ვიმეორებთ, ეს მხოლოდ და მხოლოდ ვერსიაა. თუმცა ისეთი, რომელიც აუცილებლად მოითხოვს გადამოწმებას, მით უმეტეს, როცა სტატიის ავტორს ისიც გაანდვეს, რომ ემას ძმას, გიგუშა გიგაურს უთქვამს, ამგვარი ბინძური გამოხდომები მამამთილს ადრეც ჰქონია რძალთან და ამის შესახებ ჩემმა დამ მე ერთს გამანდოო მხოლოდ. გიგუშა გიგაური კი დღესაც კარგადაა და ახლაც მოსკოვში ცხოვრობს.

*ვაჟა გავაშელი*

# ვახტანგ რჩეულიშვილი „სტიქაროსანი გახდა“

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

შარშან, აგვისტოში, სანქტ-პეტერბურგის 300 წლისთავთან დაკავშირებით ვიყავით რუსეთში. სამმა რუსმა კაბადოკიელი სამი მოწამის — მინადორას, მიტრადორას და ნიმფადორას ხატი გადმოგვცა. ამ სამი რუსიდან ერთ-ერთის დედას, რომელსაც ექვსჯერ სერაფიმ საროველი, ერთხელ კი დავით აღმაშენებლი და გიორგი ათონელიც მოვლენია ხილვად, ეუწყა თურმე — ეს ხატი უნდა დაიწეროს და საქართველოში გაიგზავნოსო. ხატის საქართველოში წამოსასვენებლად სამი ათასი ევრო შეუგროვებია ამ კაცს და მოულოდნელად ტელევიზიით გაუგია ჩვენი რუსეთში ყოფნის ამბავი. ჩვენი სამყოფელი მოუძებნია და ხატი მომღერალ ლიზა ბაგრატიონთან მიუტანია. ამის შემდეგ ჩვენი დელეგაცია დიმოევოში, სერაფიმ საროველის 100 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებაზე ჩავიდა. დღესასწაულზე პუტინიც იყო ჩასული, ჩვენ მოსაწევევი არ გვქონდა (სამოცდაათი კაცი ვიყავით) და არ გვიშვებდნენ. ალბათ, ღვთის ნება იყო, უცებ გაჩერდა ავტობუსი და იქიდან ჩვენი ნაცნობი იერუსალიმელი დედა გეორგია გადმოვიდა, მას დიმოევოს მონასტრის იღუმენი ახლდა. ეს ხალხი წმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი მიწიდან არიანო, წარგვადგინა მასთან დედა გეორგიამ და ხატი ზარზეიმით შეაბრძანეს დიმოევოში. მას ჩვენც მივყევით. 25 ათასმა რუსმა მუხლი მოიყარა ხატის წინაშე...



იმ დღეს დიმოევოში რუსული სინოდის სხდომა გაიმართა, რომელზეც ერთ-ერთი აფხაზი მღვდლის თხოვნა განიხილეს — აფხაზეთის ეპარქია რუსეთის ეკლესიას შეუერთდესო. სინოდმა მას განუცხადა — აფხაზეთის ეკლესია საქართველოს ეკლესიის განუყოფელი ნაწილია და თქვენს თხოვნას არ განვიხილავთო. რუსეთის ეკლესია საქართველოს ეკლესიის განუყოფლობის მომხრეა. დიდ პატივს სცემენ უწმიდესსა და უნეტარესს.

**— გამგზავრებაში ხელი არავის შეუშლია თქვენთვის?**

— არა. ჯერჯერობით, ხელს არ მიშლიან, მერე ვნახოთ. პოლიტიკური მოვლენებისგან განზე დგომა ვარჩიე. მინდა ქართული ეკლესიის წმინდა მიწაზე დაბრუნების საქმეს შევეწიო. ხომ ნახეთ, საარჩევნო კამპანიის დროს არც მიხსენებია საქართველოს ეკლესიასთან ჩემი ურთიერთობა. ასეთი წმინდა რამ პოლიტიკას არ უნდა დაუკავშიროს ადამიანმა. არჩევნები რა შედეგებითაც უნდა დამთავრებულიყო, მაინც ვაპირებდი პოლიტიკიდან წასვლას. ბუნებრივია, რევოლუციამ და მომხდარმა მოვლენებმა დააჩქარა ამ გადაწყვეტილების მიღება. შესაძლოა, ბუნებით ფიცხი ვიყო, მაგრამ შინაგანად არ ვარ რევოლუციონერი... 10 წელია, დამღალა ჟვანიას გუნდთან ბრძოლამ, დროა, დავისვენო.

**— კულუარებში ამბობენ, პრეზიდენტი შევარდნაძე ახალ ხელისუფლებას რევოლუციამდე გაურიგდა და ძველი იმიჯშელახული „მოქკავშირი“ მარჯვედ ჩამოაცილა პოლიტიკასო.**

— ასეთი ეჭვი სახელისუფლებო ბლოკის წევრებსაც აქვთ. ფაქტობრივად, ჩვენს ბლოკს არ ჩაუტარებია საარჩევნო კამპანია. ვერც საარჩევნო შტაბმა იმუშავა. ბლოკში.

ფიქრობენ, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე შეგუებული იყო იმას, რომ ძალაუფლებას ამჟამინდელ ხელისუფლებას დაუტოვებდა. თუმცა ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვით, შევარდნაძემ სააკაშვილს ხელისუფლება გადასცაო. სააკაშვილმა ბევრი იბრძოლა, რევოლუციური ტალანტი გამოავლინა. ასეთი გამოთქმა არსებობს — ცუდია ის პოლიტიკოსი, რომელიც 30 წლისა არ არის რადიკალი, 40 წლისა არ ხდება ლიბერალი, ხოლო 50 წელს გადაცილებული კონსერვატორიიო. ასე რომ, სააკაშვილი „რევოლუციურ ასაკშია“ და მისი რადიკალიზმიც კანონზომიერია.

შესაძლოა, შევარდნაძეს სურდა, რომ მის შემდეგ ჟვანია გაპრეზიდენტებულიყო, მაგრამ მიშა უფრო აქტიური აღმოჩნდა. პრეზიდენტი სააკაშვილსაც კარგად იცნობს და ვილაც უცხოს ისევ ნაცნობი არჩია. სააკაშვილი-ბურჯანაძე-ჟვანია მეტ-ნაკლებად მისაღები ადამიანები იყვნენ შევარდნაძისთვის, თან მათ დასავლეთის დიდი მხარდაჭერაც ჰქონდათ და ეს გაითვალისწინა პრეზიდენტმა.

უნდა ითქვას ისიც, რომ შევარდნაძის გარეშე რევოლუცია ვერ მოხდებოდა. სხვა მის ადგილზე სხვაგვარად დაიცავდა თავს და შესაძლოა, სისხლის ღვრამდეც მისულიყო საქმე.

**— აჭარაში მიმდინარე პროცესებზე რას ფიქრობთ?**

— ასლან აბაშიძეს განსაზღვრული შეთანხმება ჰქონდა ჟვანიასა და ბურჯანაძესთან, მაგრამ რატომღაც არჩევნების შემდეგ აჭარაში „კმარას“ აქტივისტები გააქტიურდნენ, ანუ ცენტრალურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებამ ასლან აბაშიძის ხელისუფლება ვერ დაიცვა. ეჭვი მეპარება, რომ უსისხლო რევოლუციის მოდელის გადატანა აჭარაში მოხერხდეს. ასლან აბაშიძე სხვა ყაიდის ხელისუფალია, შევარდნაძესავით არ დაიცავს დემოკრატიის პრინციპებს.

**— როგორ შეაფასებდით ახალი ხელისუფლების პირველ ნაბიჯებს?**

— სააკაშვილს მოსახლეობამ თითქმის 100%-იანი ნდობა გამოუცხადა — ეს ზვიადის ფენომენის გამეორება იყო. ვფიქრობ, სააკაშვილმა პირველი ნაბიჯები სწორად გადადგა. ეს გამოჩნდა რუსეთის სამხედრო ბაზების საკითხზე მსჯელობისას. თუ ბურჯანაძე ითხოვდა, დაუყოვნებლივ გაიყვანონ რუსებმა ბაზებიო, სააკაშვილი ამბობს, — ბაზების გაყვანის რეალურ ვადაზე შევთანხმდეთო — ეს სახელმწიფოებრივად მოფიქრალი პოლიტიკოსის განცხადება იყო. სააკაშვილმა ისიც თქვა, — რასაც ვამბობთ, იმას შევასრულებთო. რუსები შევარდნაძეს არ ენდობოდნენ. თუ სააკაშვილმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში უნდობლობის აღმოფხვრა შეძლო, მას სერიოზული წარმატება ექნება. შევარდნაძეს თავისი მმართველობის ბოლოს დასავლეთი აღარ ეხმარებოდა. სააკაშვილს კი ისინი უთუოდ დაეხმარებიან. ამით მას სერიოზული შანსი უჩნდება, რომ საქართველოს მოსახლეობის პრობლემები მოაგვაროს და კარგი ხელისუფალი იყოს. თუმც მას პრობლემებიც ექნება, რადგან წინააღმდეგობა ნებისმიერ ტრიუმვირატში არის ხოლმე.

**— ანუ თქვენ განხეთქილებას ელით?**

— მათ თავ-თავიანთი გუნდები ჰყავთ და წინააღმდეგობა უთუოდ წარმოიქმნება მათ შორის. თუმც თუ პიროვნულ ამბიციებს განზე გასწევენ, კონფლიქტს აიცილებენ. რევოლუცია სააკაშვილმა მოახდინა და ლიდერი ის უნდა იყოს. სხვებმა ამბიციები უნდა მოთოკონ, მით უმეტეს, რომ მათ მშვენიერ თანამდებობებს სთავაზობს ახალი პრეზიდენტი.

ზოგი ეჭვობს, რამდენად აიტანს მეორეკაცობას ჟვანიაო, მაგრამ ხომ აიტანა, როცა გაუჭირდა — სიაში ნინო არ ჩასვა თავისზე წინ? როგორც კი ჟვანია მეორეკაცობას არ მოინდომებს, პრობლემა შეექმნება — დაიკარგება.

დღეს სააკაშვილისგან ყველა შველას ელის. რაკი მან შევარდნაძის ჩამოგდება შეძლო, მოსახლეობას სჯერა — ეს გვიშველისო. თავის უნარს ახალი პრეზიდენტი 1 წელიწადში გამოავლენს. ღმერთმა ნუ ქნას, კიდევ ერთხელ გაუცრუვდეს იმედი საქართველოს.

*მარი ზანდუკელი*


შპს „გეოკორი“ აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად



მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 17 იანვრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1350 |
| ევრო | 2,6715 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,8729 |
| რუსული რუბლი | 0,0739 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,5891 |

„ტრანსეროსის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტფაქსი: 966-779

ასლგადამღები აპარატები
1. იჯარა - ლიზინგი
უნივერსიტეტებს, ორგანიზაციებს, ოფისებს
2. იჯარა გამოსყიდვით
3. საერთო ბიზნესი
თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
4. გაყიდვა გარანტიით
ტექნიკური მომსახურება და სერვისი
შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო“
LIBCO Company LTD
ალმაშენებლის №99/1 ☎96-32-89

ბრიტანული ცენტრი
აცხადებს მსმენელთა მიღებას
სადაც მსურველებს მაღალ დონეზე შეასწავლიან ინგლისურ ენას. სკოლაში გამოყენებულია დაჩქარებული სწავლების უნიკალური მეთოდი „**Callan Method** English in a quarter of time“ (ინგლისური მეოთხედ დროში).
სწავლების სხვა მეთოდებისაგან განსხვავებით, გაკვეთილის მსვლელობისას მსმენელებს ეძლევათ განუწყვეტლივ მეტყველების საშუალება, რაც გაცილებით უფრო მიმზიდველსა და სასიამოვნოს ხდის სწავლების პროცესს. სკოლა განკუთვნილია ნებისმიერი მომზადების დონისა და ასაკის პირთათვის და თითქმის არ ითვალისწინებს საშინაო დავალებას. პირველი ერთი კვირა უფასოა.
*დაგვიკავშირდით და თავად დარწმუნდებით ამაში.*
მის: ჭავჭავაძის 70 ☎ 22-62-95

# ცხოვრებისეული კურიოზები

## დაბნეული მეუღლე



ზესტაფონის ზონალური საგადასახადო ინსპექციის უფროსის მაშინდელი მოადგილე, ავთანდილ ქათამაძე ვაჭევის საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან საგზაო პოლიციელმა გააჩერა და სთხოვა, — ეს ქალბატონი ჩაისვით, იქნებ მის მეუღლეს დააწიოთ... ახლახან გაასწრო მანქანითო.

შუახანს გადაცილებული ქალბატონი ავთომ მანქანაში ჩაისვა და ჰკითხა:

— რა ნომერია, ქალბატონო, თქვენი მეუღლის მანქანა?

— მოისპო მაგის თავი, ნომერი მახსოვს ახლა მე?!

— რა ფერისაა, მარკა მაინც იცით? — არ მოეშვა ავთო და თან ცდილობს მანქანებს გადაასწროს... ყველა მანქანაზე მიუთითებს: „ეს ხომ არაა?“

არა და არ გამოჩნდა სასურველი მანქანა.

ბოლოს, როგორც იქნა, გაიხსენა ქალბატონმა „გამოსაცნობი“ ნიშანი: — ჩვენს მანქანას სახურავზე „ბაგაჟნიკი“ ადგას და სამი დიდი ჩანთაა ზედ ბაწრით მიბმული.

ავთოს ოდნავ მოეშვა გულზე და სიჩქარეს უმატა. თანაც მის მანქანას საჭე მარჯვნივ ჰქონდა, თანამგზავრი გვერდით ეჯდა და ყველას ქალბატონის ახირება ეგონა მოძრაობის წესების დარღვევით გასწრება, ყველას ქალი ეგონა მძღოლი.

გზაზე ისიც გაირკვა, რომ ამ ქალბატონის მეუღლე, იმ ინსპექტორს შეუჩერებია. მანქანა რომ გაჩერდა, ქალი გადმოსულა... ინსპექტორს კი მძღოლი გაუშვია, გზა გააგრძელეო. მანაც ისე, რომ არც კი შეუმჩნევია მეუღლის გადმოსვლა მანქანიდან, გზა განაგრძო. ალბათ ახლაც მიდის არხეინად და ცოლი უკანა სალონში ჰგონია მოკალათებული.

გასცდნენ თუ არა არგვეთას, ავთომ შენიშნა საბარგულიანი „ჟიგული“, ქალმაც წამოიყვირა: „აი, აი, ის მოსასპობელი!“ და ავთოს სთხოვა, მარჯვენა გვერდიდან აუარე, დავუძახებო. „ჟიგულის“ მძღოლი გამუდმებულ სიგნალზე არ რეაგირებდა... ავთო მიუახლოვდა მანქანას, მარჯვნიდან აუქცია გვერდი და ქალს მისცა საშუალება გამოლაპარაკებოდა მეუღლეს.

— სარდიონ, სარდიონ, — უქნევს გამწარებული ხელს, — რამ დაგაყრუა, გააჩერე მანქანა, რომ მიმატოვე ტრასაზე...

საოცარი ის იყო, კაცმა რომ მოიხედა და თავისი „კნეინა“ ვიღაცის მანქანის საჭესთან დაინახა (ქალი ხომ მარცხნივ იჯდა), ერთი კი მიიხედა თავისივე სალონში უკან, მოჩვენება ხომ არ არისო და ისე მკვეთრად დაამუხრუჭა შუა ტრასაზე... ავარიას ძლივს გადაურჩა გაოგნებული კაცი. თუმცა, ბოლოს ისიც ავთოს საპატრონო შეიქნა და კარგა ხანს ამშვიდებდა საცოდავს.

***დემურ ცერცვაძე, ზესტაფონი***

*ექიმები ხუმრობენ*

## მეკვლე



ერთ ცნობილ ქირურგს საშინლად წუწუნა მეზობელი ჰყავდა, ვენერა. შეიკლა კაცი ხელში — თავი რომ ასტკივებოდა, მასთან მირბოდა. არადა, სულ რაღაც აწუხებდა. ბოლოს და ბოლოს, ექიმი გაბეზრდა და შესთავაზა, მოდი, გაიკეთე სისხლის, შარდის, განავლის ანალიზები, ვნახავ და მკურნალობას დაგინიშნავო. ვენერაც გახარებული და დაიმედებული გაბრუნდა.

31 დეკემბერია. დაღამდა. 12 შესრულდა. ექიმის ოჯახი მეკვლეს ელის. აი, ზარიც გაისმა. კარი გააღეს და... ნახევარლიტრიანი ქილით და ასანთის კოლოფით „შეიარაღებული“ ვენერა შერჩათ ხელში. ქალმა პირდაღებული მასპინძლის ცოლი წინკარში დატოვა, მოურიდებელად შევიდა ოთახში და ექიმს მიმართა: — აი, მოგიტანეთ შარდი და განავალი, ეგება, გაიგოთ, რა მჭირსო.

ისეთი ამბავი ატყდა, დედა შვილს არ აიყვანდა... მეზობლები სამუდამოდ გადაემტერნენ ერთმანეთს.

მაგრამ დახეთ ბედის ირონიას: იმ წელს ექიმი პროფესორი გახდა, მერე კათედრის გამგედ აირჩიეს, მერე უცხოეთიდან მიიღო მიწვევა... მოკლედ, აშენდა ოჯახი. მეზობლებს, ცხადია, ეს ამბავი არ გამოჰპარვიათ. გაიკითხეს, გამოიკითხეს და ქალბატონ ვენერას მიადგნენ: — არიქა, თუ ქალი ხარ, შენს რამერუმეებს ნურც ჩვენ დაგვამადლი, ეს რა მეკვლეობა შეგძლებიაო.

## ტუალეტში მოწევა ჯანმრთელობისთვის მავნებელია!



საავადმყოფოს ერთ-ერთ განყოფილებაში უჩვეულო მხიარულება სუფევდა. თანამშრომლების ხარხარში ძლივს ისმოდა პაციენტის კვნესა. დავინტერესდი, რა მოხდამეთქი. მივედი და აი, რა მოვისმინე. წელს ქვემოთ სულ მთლად შებანდული და თავშეხვეული პაციენტი ექიმებს უკვე მერამდენედ უყვებოდა:

— მოკლედ, მივედი სახლში, ტანსაცმელი გამოვიცვალე, ვივახშმე და ტუალეტში შევედი. სიგარეტს მოვუკიდე. გემრიელად მოვწიე, ჩასაქრობად უნიტაზში ჩავაგდე და... გამაყრუებელი აფეთქებაც გაისმა. იმ ჩემი ცოდვით სავსე ჩემს მეუღლეს იატაკი ბენზინით მოურეცხავს, ნარეცხი უნიტაზში ჩაუსხამს და წყლის ჩაშვება დავიწყებია... უკანალი ჯერ კიდევ მეწვის... — ავადმყოფი ხან ექიმებთან ერთად იცინოდა, ხან ტკივილისგან კრუსუნებდა.

— კი მაგრამ, თავი, თავზე რაღა მოგივიდა? — ჰკითხა ერთ-ერთმა მსმენელმა.

— აფეთქებამ მაღლა შემაგდო და თავით ჭერს მივეხალე. კარის გაღება უცებ ვერ მოვახერხე და ასე ვხტუნავდი ცეცხლმოკიდებულ უნიტაზსა და ჭერს შორის... — დაამთავრა საყოველთაო სიცილში პაციენტმა.

***ჟურნალი „ოჯახის მკურნალი“***

## თქვენ რა იცით?..



ეს ამბავი ნამდვილად მოხდა ჩემს სოფელში. ჩემს მეზობელ დათიკოს თხა დაეკარგა. წავიდა საძებნელად და დილით ტყეში ტურისგან ნახევრად შეჭმული ბეკეკა იპოვა. ბევრი არ უფიქრია, წამოიღო და ცოლთან ერთად ბაზარში წაიღო გასაყიდად, ქუთაისში. ჩამოკიდეს თხა და ელოდებიან კლიენტს. მოვიდა ერთი დარბაისელი კაცი, დაჰკრა ხელი თხის ხორცს და ხმამაღლა შეაქო:

— აი, მესმის „ნატურალნი“ ხორციო. დათიკომ გაოცებულმა შეხედა მყიდველს და ჩუმად უთხრა:

— კი მაგრამ, ბატონო, თქვენ რა იცით, რომ ეს თხა ტურის ნაჭამიაო!..

***თეონა ვაშაყმაძე, სამტრედიის რაიონი, სოფელი საჯავახო***

## ხატი და სახელი



*ქუთაისში ცხოვრობდა ერთი ძალზე კოლორიტული და იუმორით აღსავსე კაცი, სოსო ხარაბაძე. ბატონ სოსოს პოეტი ოთარ მამფორია იმერეთის კარიბჭეს უწოდებდა. სოსოსგან მართლაც ხალასი, უწყინარი იუმორი მოდიოდა. გთავაზობთ რამდენიმე მხიარულ ამბავს:*

სუფრასთან იჯდა თურმე სოსო ძმაკაცებთან და ქეიფობდა. მის წინ ახალგაზრდა, გადაპრანჭული ქალი მჯდარა, რომელიც წამდაუწუმ თავის ქმარს, ტარიელს ახსენებდა. ბოლოს, ეს ტარიელიც გამოჩენილა, ასე ერთი მეტრი და 60 სმ თუ იქნებოდა სიმაღლით, თანაც მეტისმეტად გამხდარი. სოსოს უთქვამს, მიტო არ უნდა დაარქვა ბოვშს სახელი წინასწარო!..

## წყალგაუვალი არგუმენტი



მეზობელი ცოლ-ქმარი მისულა სოსოსთან ნაჩხუბრები საქმის გასარჩევად. ქალს უთქვამს — მომკლა ამ ოხერმა, დღე ერთია და ასჯერ წამომაძახებს, უმზითვო მოგიყვანეო.

— ტყუი ახლა შენო, — უთქვამს სოსოს, — შენ თუ უმზითვოდ გითხოვა, მართლა გამოშტერებული ყოფილა შენი ქმარიო!..

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



სვანი კენჭს იყრიდა მაჟორიტარ დეპუტატად. მიიღო 5 ხმა. ატეხა აყალმაყალი, ერთი ხმა დამეკარგაო. რა იცი, რომ ერთი ხმა დაკარგეო? — ჰკითხეს გაოცებულებმა.

— ოჯახში ჩემიანად 6 სული ვცხოვრობთო!..

ბოლოს გაირკვა, რომ დედამისს სხვისთვის მიუცია ხმა. ვიცოდი, რა საქმის გამკეთებელიც იყო ჩემი შვილიო!

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***



მიხამ დაინახა ახალგაზრდა ქალვაჟი მაგიდის ჩოგბურთს თამაშობს და იკითხა:

— ეგ რასა შვრებიან?

— მაგიდის ჩოგბურთს თამაშობენ!

— რასა, რასა?

— ტენისს, ტენისს.

— ჯო, ეგრე შორიდან როგორა ტენის?!

***ჯანსულ ბოჭორიშვილი, ქუთაისი***

*ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.*

*მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.*

## მილოცვა



ჩვენს რძალს **თამუნა (თამრო) ლომაშვილ-ნადიბაიძეს** ვულოცავთ ვაჟიშვილის შეძენას და დაბადების დღეს. გისურვებთ წინსვლას, ჯანმრთელობას, სიხარულს ოჯახთან და ახლობლებთან ერთად. მომავალი წლები ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს.

*ოჯახის წევრები*



**ბატონ აკაკი დვალიშვილს!**

ძვირფასო ბატონო აკაკი! გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, ჯანმრთელობას. არ მოგკლებოდეთ სიცოცხლის ხალისი და სიხარული. ღმერთმა დაგლოცოთ!

*თქვენი ერთგული და მოყვარული იერბე*

## მადლობა

ქალაქ რუსთავის მერს ბატონ **მერაბ ტყეშელაშვილს** ულრმესი მადლობა თანადგომისა და თანაგრძნობისათვის.

*სილოვან ახვლედიანის ოჯახი*

დიდ მადლობას ვუხდი ფსიქოთერაპიული ცენტრის **„არსის"** ფსიქოლოგებს ჩვენი შვილის გადარჩენისათვის. მრავალი ასეთი მადლიანი საქმე გეკეთებინოთ.

*მადლიერი მშობლები ლაურა და გენო*

## გთავაზობთ სამუშაოს

სასწრაფოდ! მეწარმეს რუსეთიდან ესაჭიროება რუსული ენის მცოდნე პირები, 20 წლის ზემოთ, ბიზნესის ორგანიზაციისა და მმართველობისათვის. ამიერკავკასიაში სწავლება მუშაობის პროცესში. ტელ: 893 25-10-54

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს ბიზნესპარტნიორები. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება — მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 38-31-59; 893 33-18-86

„აუ-პაირი" — გერმანიაში (18-დან 25 წლამდე) და ავსტრიაში (27 წლამდე) გოგონებისთვის სწავლა და მუშაობა 1 წლით ოჯახებში. დაგევალებთ მსუბუქი საოჯახო საქმეები და ბავშვის მოვლა. ბინა, კვება, დაზღვევა უფასოა, პლუს — ყოველთვიური ჯიბის ფული. იჩქარეთ! გვყავს მასპინძელი ოჯახები. ტელ: 590-590

უცხოურ კომპანიას ესაჭიროება რუსული ენის მცოდნე, უ/გ, 35-45 წლამდე პედაგოგიური ან ადმინისტრაციული სტაჟის მქონე პასუხისმგებელი პირი ხელმძღვანელის თანამდებობაზე, ოფისში სამუშაოდ. ჩაწერა გასაუბრებით. ტელ: 64-63-40; 893 28-25-59

კადრების დასაკომპლექტებლად, ექიმ-თერაპევტის თანამდებობაზე გვესაჭიროება სამედიცინო განათლების მქონე პირები, რომლებიც 3 თვეში ერთხლ, კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაიგზავნებიან ქ. მოსკოვში. მიღება წარმოებს კონკურსის სახით. სამუშაო საოფისეა. ტელ: 92-17-62. თეა დევდარიანი

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

## მომსახურება

ვაწარმოებთ ლამინირებული „დეესპესაგან" სამზარეულოებს, კარადებს, მაგიდებს და ნებისმიერ საოფისე ავეჯს. ტელ: 69-45-18. დათო

კომპიუტერული „სასწრაფო დახმარება" — ფირმა „ელიტა-სკ". თუ თქვენს კომპიუტერს პრობლემები შეექმნა, სჭირდება პროფილაქტიკა ან გსურთ დაგეხმაროთ ახალი აპარატურის ან პროგრამის ინსტალაციაში, დაგვირეკეთ და გამოგვიძახეთ: 30-39-20. ფასი: ერთ საათამდე — 10 ლარი.

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია — 1 სთ — 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ — 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასალები იაფად). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. დაიმახსოვრეთ: არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას! მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით), გააკეთეთ სწორი არჩევანი და თქვენი სილამაზე გარანტირებულია! 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

Маска молодости. Тел: 893 95-10-37; 34-36-83

## მკურნალობა

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. მკურნალობა გარანტირებულია. ტელ: 34-62-51; 899 20-19-66

პირველად საქართველოში! აკადემიკოს ვ.ა. ლიხარიოვის მეთოდით: ნევროზი, უძილობა, შიშები, თავის ტკივილები, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, სახსრების მარილოვანი დაავადებები, თვალის დაავადებები, ასთმა, ალერგია, ჩიყვი, ენურეზი, სოკო, ფსორიაზი, პრობლემური კლიმაქსი, დიაბეტი, კუჭის წყლული. ტელ. 99-75-90 (დღისით); 899 21-13-66. ლალი

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე მკურნალობს: უნებლიე შარდვას, ყურებში შუილს, პროსტატიტს, ბუასილს, ფრჩხილების სოკოს, თმის ცვენას, ფსორიაზს, ჰეპატოქოლეცისტიტს, ორგანიზმში დაგროვილ სითხეს, აშორებს მეჭეჭებს; სექსუალური დარღვევა; ელექტროკარდიოგრამა; ექოსკოპია; სქესის დადგენა. მის: ალმაშენებლის გამზ. №93 (მ. „მარჯანიშვილთან"). ტელ: 96-38-27

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი ($t = 37,2^{\circ}C$), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი", ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03

ხალხური მედიცინა — მაქსიმალურად გარანტირებული, უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილების დაგროვება), პოდაგრა. ეფექტი — პირველივე დღეებიდან. მის; რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან", ც. დადიანის №87), კაბ. №11. წინასწარი ჩაწერით ტელეფონზე: ტ: 61-02-97; 39-39-97; 899 57-16-99. ექიმი ალექსიშვილი

ფსიქოთერაპიული ცენტრი „არსი" კურნავს ფსიქიკურ აშლილობას (ნევროზი, ფსიქოზი, ნარკომანია, ეპილეფსია, დიაბეტი, სექსუალური მოშლილობა, შიშები), ახორციელებს კონსულტაცია-ტრენინგებს და ამზადებს უმაღლესი დონის სპეციალისტებს. ტელ: 93-11-05; 57-37-13

ყურადღება! სიახლე! მხედველობის გაუმჯობესება ექსკლუზიური მცენარეული პრეპარატებით! აგრეთვე: ქრონიკული დაავადებისა და კანის სხვადასხვაგვარი დაავადებისგან განკურნება, ყოველგვარი უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე! შედეგი გარანტირებულია! კონსულტაცია უფასოა! ტელ: 893 97-74-62. მარიკო

დიაბეტით დაავადებულთა საყურადღებოდ! შაქრის დარეგულირება, კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციის კორექცია, ინსულინის ინიექციისაგან გათავისუფლება. ასევე მწეველებისა და ალკოჰოლომანებისათვის! თქვენ დაგეხმარებათ აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებზე დაყრდნობით შექმნილი „ანტითამბაქო" და „ანტიალკოჰოლი". ტელ: 893 96-94-51 (დღისით); 35-17-48 (საღამოს)

პირველად საქართველოში! მკურნალობა ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებზე დაყრდნობით შექმნილი პროგრამებით, აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებით: შიში, დეპრესია, უძილობა, ნევროზი, კლიმაქსი, არაენერგიულობა, თავის ტკივილები, ჰალუცინაცია, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ალერგია, ასთმა, დიაბეტი, პროსტატიტი, სქესობრივი სისუსტე, სპერმის უხარისხობა, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, ცისტიტი, ქოლეცისტიტი, ქრონიკული ჰეპატიტი, სოკო, ეგზემა, ფსორიაზი. ტელ: 893 96-94-51 (დღისით); 35-17-48 (საღამოს)

ბავშვებში ზრდის დაქვეითება და ავიტამინოზი, უნებლიე შარდვა, გარდამავალი ასაკის პრობლემების დარეგულირება, შიში, დეპრესია, უძილობა, თავის ტკივილები, ნევროზი, სკლეროზი, გონების დაკარგვა; კოლიტი, ბუასილი, კუჭის წყლულოვანი დაავადებები, ჰეპატიტი. ტელ: 99-75-90. მაია

მაქსიმალურად გარანტირებული შედეგი შემდეგი დაავადებების მკურნალობისას: ალერგია, ბრონქული ასთმა, ობსტრუქციული ბრონქიტი, შაქრიანი დიაბეტი გართულებებით, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი, ნევროზი, ხშირი გაციება, ართროზი, ოსტეოქონდროზი, სიმსუქნე (გახდომა დიეტის გარეშე), ტრადიციული და არატრადიციული მეთოდებით, მათ შორის, ნატურალური ბალახებით, სუნთქვითი ვარჯიშებით და ა.შ. ტელ: 64-63-40; 893 28-25-59

ჰიპერტონია, ართიმია, სახსრები, მარილები, ნევროზი, დეპრესია, შიშები, უძილობა, ვარიკოზი, თრომბოზი, სისხლძარღვების შევიწროება, ფსორიაზი, კანის სხვადასხვა დაავადება, პროსტატიტი, ცისტიტი, პრობლემური კლიმაქსი. მკურნალობა აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებით. ტელ: 99-75-90; 899 22-63-90. ნინო

ალერგენების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა-ლოგონევროზი) მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით ლიცენზირებულ სამედიცინო ცენტრში, მაღალი შედეგებით. მის. ვაჟა-ფშაველას 16, მე-13 სართ (ყოფ. მშენებლობის სამინისტროს შენობა), რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ხელმძღვანელი ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. 10-15 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77 (ბინა)

ქრონიკული პროსტატიტი, სექსუალური დარღვევები, სასქესო ორგანოების ანთებები. სამედიცინო ცენტრი „ლაზერი". მის: ბახტრიონის ქ. №18. ტელ: 91-18-33; 899 21-36-30. გია

ვმკურნალობ: ბრონქიალურ ასთმას, ალერგიას, გასტრიტს, ბუასილს, კოლიტს, სახსრების მარილოვან დაავადებებს, რევმატიზმს, ოსტეოქონდროზს, მასტოპათიას, დიფუზურ ჩიყვს, დიაბეტს, შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებებს, ვენების ვარიკოზული გაგანიერებას, თრომბოფლებიტს, თმის ბუდობრივ გამელოტებას. ტელ: 32-39-46. ნათია

ქალბატონებო და ბატონებო! ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული პრობლემების მოგვარება — შაქრიანი დიაბეტი (ორივე ტიპის) და მათი გართულებები — მხედველობის, სისხლის მიმოქცევის დარღვევები, განგრენა, ჩიყვი, ციროზი, ჰეპატიტი, სიმსუქნე, ზრდაში ჩამორჩენა, მხოლოდ უნიკალური მცენარეული საშუალებებით. ტელ: 96-62-58; 899 14-64-95

ვმკურნალობ აკად. ლიხაროვის მეთოდით, გარანტიით, უკუჩვენების გარეშე მცენარეული პრეპარატებით გულსისხლძარღვთა დაავადებებს, ჰიპერტონიას (მაღალი წნევისაგან გათავისუფლება), არითმია, ტკივილები გულის არეში, ჰაერის უკმარისობა, უძილობა, შიში, სისხლის მიმოქცევის მოწესრიგება, ქოლესტერინი, მარილები. კონსულტაცია უფასოა. ექიმი-კონსულტანტი მეგი. ტელ: 877-42-70-66; 99-75-90

პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე იაპონური აპარატით 10 წუთში ხსნის ტკივილებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, რადიკულიტს, სახსრების ტკივილს, ხერხემლის გამრუდებას, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, ყურებში ხმაურს, სექსუალურ დარღვევებს, ბუასილს, თმის ცვენას, ტროფიკულ წყლულს, ფსორიაზს, ფრჩხილების სოკოს, ორგანიზმში დაგროვილ სითხეს, ზრდადაუსრულებელი ბავშვების სიმაღლეში ზრდას. მკურნალობის კურსი 10-დღიანია. მის: მ. „მარჯანიშვილი", ალმაშენებლის 113 და 93. ტელ: 95-74-29, 96-38-27, 893-39-04-87

თირკმლის, შარდის ბუშტის, შარდსაწვეთის კენჭების დაშლა ქირურგიული კვეთის, ნარკოზის და ტკივილის გარეშე, ყველაზე თანამედროვე ევროპული ტექნოლოგიით. მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 29, რესპუბლიკური საავადმყოფო, VI სართული, პროფესორი თემურ ტაბუცაძე. ტელ: 39-52-05; 899-56-94-83

მამაკაცების საყურადღებოდ! №15 პოლიკლინიკა გიწვევთ სამკურნალოდ: პროსტატიტი, სპერმის ხარისხი, უშვილობა, სქესობრივი სისუსტე, შიში, ნევროზი, პენისის ანთება, სპერმის ნაადრევი და უნებლიე გამოყოფა, შარდის შეკავება და შეუკავებლობა, ცისტიტი, თირკმლები, ბუასილი. განკურნება გარანტირებულია. მის. ხეთაგუროვის №6, კაბ. 5. ტელ: 95-88-64; 899 98-75-55. ფიტოთერაპევტი.

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## მასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

დაჩქარებული მეთოდით, ინდივიდუალურად შეგასწავლით საოფისე პროგრამებს (ვინდოუსი, ვორდი, ექსელი). ფასი 60 ლარი. ტელ: 34-32-79; 899 91-86-81; 893 96-00-42

ქართული ენა უცხოელებისათვის. ტელ: 37-38-10

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის №115, კაბ. №20. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

წარმოებს მიღება კურსებზე: 1. სამკურნალო და პროფილაქტიკური მასაჟი — ადგილზე პრაქტიკით; 2. კოსმეტიკა — შეისწავლება: სახის კანის დეფექტები, მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), მასაჟი, გაწმენდა, ეპილაცია, ნიღბები, რძეები, ლოსიონები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ნაძალადევი, დადიანის 26 (მ. „ვაგზლის მოედანი"). ტელ: 95-47-67; 75-06-14; 66-53-56

ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად; იურისტებს შეულიათ გადახდის გარეშე — ბარტერით, მ. „მარჯანიშვილთან". ტ: 95-32-12

## იყიდება

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

გთავაზობთ საორსულო ტანსაცმელსა და ბანდაჟების დიდ არჩევანს; კოლგოტებს, კრემებს სტრიებისათვის და ათას წვრილმანს; მოხრილობის საწინააღმდეგო ჟილეტებს ბავშვებისა და დიდებისათვის; რადიკულიტის, დისკოზის, ფეხის ასადგმელ და ყველანაირ სამედიცინო ბანდაჟს; სუპინატორებს — ბრტყელტერფიანობისთვის; ორთოპედიულ ბალიშებსა და საყელოებს; კუზნეცოვის იპლიკატორებს. ტელ: 53-46-41; 899 58-60-64

## სხვადასხვა

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება შპს ფირმა „ფაზისი" აცხადებს თვითლიკვიდაციას. მის: უნივერსიტეტის ქ. №6. ტელ: 39-11-63


რას გადაიხდით საკუთარ წარმატებაში?

გრანდიოზული ფასდაკლება!



რეკლამა „სიტყვა და საქმეში"

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 გამოქვეყნება | -20% | 25 გამოქვეყნება | -40% |
| 10 გამოქვეყნება | -25% | 30 გამოქვეყნება | -45% |
| 15 გამოქვეყნება | -30% | 35 გამოქვეყნება | -50% + უფასო დამზადება |
| 20 გამოქვეყნება | -35% | | |

☎ 33-78-07

გაზარდეთ თქვენი შესაძლებლობები!

### ვახტანგ ბაბუნაშვილის ხსოვნას!



უშენობის ორი წელი გავიდა. რამდენი გაჭირვება და დარდი გამოიარე და როცა გვეგონა, რომ ყველაფერი უკან დარჩა, მაშინ გიმტყუნა ჯანმრთელობამ. წყნარად წახვედი ამ ქვეყნიდან და თან გაიყოლე მეუღლის, შვილების, შვილიშვილების და ახლობლების უსაზღვრო სიყვარული. დრო არ ყოფილა ყველაფრის მკურნალი, მით უფრო – უშენობის... გვენატრები. კურთხეულ იყოს შენს სახელზე დანთებული სანთლები.

*შენი მეუღლე*

### სერგო ფარცხალაძის მოგონება



24 იანვარი შენი გარდაცვალების დღეა, მამა. ეს თარიღი ჩვენს ცხოვრებაში ქარიშხალივით შემოიჭრა და სამუდამოდ დატოვა კვალი. ჩვენ მაშინ ძალიან პატარებმა, არ ვიცოდით, რას ნიშნავდა სიკვდილი და გაკვირვებული თვალებით შევყურებდით მოტირალ დედას. იმ საწოლზე ამოძრომას ვცდილობდით, რომელზეც შენ ესვენე. მას მერე ათი წელი გავიდა. ჩვენ ახლა დიდი გოგონები ვართ და ჩვენ შორის ჩამდგარ მოგონებებში ალგიქვამთ, მამა. ჩვენს ბავშვურ მეხსიერებას შემორჩა შენი სიყვარული და პატარა ეპიზოდები – შენს ღონიერ მხრებზე შემოსკუპებული მე და თამრო ბედნიერად რომ ვკისკისებდით და უცებ ყველაფერი დასრულდა.

შენ არ ხარ ჩვენთან, დანარჩენი – მოკრძალებულად, მაგრამ ყველაფერი გვაქვს. მადლობა ყველას, ვინც ჩვენზე ზრუნავს, ჩვენ კი ღმერთს შევავედრებთ – ნათელი ეფინოს შენს სულს.

*შენი ქალიშვილები – სოფიო და თამარ ფარცხალაძეები*

### ვახტანგ ნამგალაძის ხსოვნას!



ნათქვამია – ზღვას გადაურჩა და წვეთმა დაახრჩოო. შენც ასე დაგემართა, ჩემო ძვირფასო ვახო. სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომებიდან შინ საღ-სალამათი დაბრუნდი. ბევრჯერ კრიმინალებს შერკინებიხარ, შეუპოვარი, უშიშარი პოლიციელი იყავი. მთის წყაროსავით ანკარა სული გქონდა, რომელიც ქვეყნად გამეფებულმა უსამართლობამ, შენს პიროვნებაზე ნებსით თუ უნებლიეთ დატეხილმა ცხოვრებისეულმა ქარიშხალმა გაგიბზარა. სამწუხაროდ, ეს ბზარი გულამდე დავიდა. ეს ბზარი რომ არა, რიონის ტალღები ვერ შეწყვეტდა შენს კაცთმოყვარე, სიკეთით სავსე, სათნო, ლამაზი, ძლიერი გულის ცემას.

თითქოს დადუმდა სამყარო, დაბნელდა ცა, რადგან იქ ჩვენი ბედის ვარსკვლავი მოწყდა და სადღაც შორს, უსასრულობაში ჩაესვენა. შენმა სიკვდილმა უსაზღვრო სიცარიელე, სევდა, მწუხარება დატოვა ნათესავების, მეგობრებისა და ახლობლების გულებში. 24 იანვარს 35 წელი შეგისრულდებოდა. დასანანია, რომ ვერ ესწრები ახალი ცხოვრების დაწყებას. შენ ხომ ძალიან ბევრის გაკეთება შეგეძლო. ჩვენს ქვეყანას კი ჰაერივით სჭირდება სწორედ შენისთანა, უანგარო, თავდადებული ვაჟკაცები, ფეხზე რომ დადგეს და ბედნიერი მომავალი შექმნას.

ვახო, მე მჯერა, რომ შენი კაცურკაცობით დამკვიდრებული სახელი დიდხანს დარჩება ამ ქვეყანაზე, ხოლო შენს ცივ სამარეს გაათბობს დედის ცრემლები და ამომავალი მზის სხივები, რომელიც უხვად ეფინება მას.

*„კიდევაც დაიზრდებიან*
*ჩვენი ნინო და ავთო,*
*სიკვდილს სიცოცხლე აჯობებს,*
*მშვიდად გეძინოს, ვახო!“*

ძალიან გვენატრები და დიდი ტკივილით ვხვდებით შენს დაბადების დღეს.

*მეუღლე ნანა ბაქრაძე*

### მალხაზ და დათო პირმისაშვილების მონატრება

ჩემო ვაჟკაცებო, სამ თვეში ღმერთმა წაგვართვა თქვენი თავი (X-XII). თავზარი დაგვეცა.

19 იანვარი შენი დაბადების დღეა, მალხაზ და ასე, შორიდან თუ შევძლებთ მოლოცვას. თქვენ ისეთი ძმობა გქონდათ, რომ დათომაც შენთან ისურვა ყოფნა. თქვენ მოუშუშებელი ტკივილი დაგვიტოვეთ. ჩვენ მხოლოდ ლოცვით ვინუგეშებთ თავს, რომ მარადიული სასუფეველი გარგუნოთ ღმერთმა.

*ირაკლი პირმისაშვილის ოჯახი*

### ვაჟა აფციაურის გახსენება



ტკივილითა და გოდებით მოგვიახლოვდა 21 იანვარი, შენი დაბადების დღე. ყველასგან გამორჩეულს, სიკვდილიც ხომ გამორჩეული გერგო – შემზარავი და ტკივილიანი. ყვავილებისა და ცრემლების გარდა ვერაფერს გიძღვნით ცივ სამარეში მწოლიარეს, ჩემო პატარა ძამიკო.

*მამიდაშვილი ნაირა თვაური*

### გიორგი ზასეშვილის (ზასეს) მონატრება



გიო, ჩვენო საყვარელო და მოუშუშებელო დიდო ტკივილო. ერთი უმძიმესი წელი გავა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. ახალ წელს პირველად შევხვდით უშენოდ. იმ ავბედით 21 იანვარს, საშინელი ავარია მოხდა მოსკოვის პროსპექტზე, რამაც შენი ლამაზი სიცოცხლე შეიწირა. შენ ხომ 16 წლისამ დატოვე ამქვეყნიური ცხოვრება. გიო, ერთ წამში დაგემსხვრა ოცნების კოშკები: ბანკეტი, სტუდენტობა აუხდენელ ოცნებად დარჩა.

არ ვიცით, რით ვანუგეშოთ მუდამ თვალცრემლიანი შენი მშობლები, უშენოდ დარჩენილი შენი და-ძმა.

*„გიო, უზომოდ გვენატრები და გვიყვარხარ,*
*გაუსაძლისია ამქვეყნად უშენოდ ყველაფერი“.*

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი წმინდა და ლამაზი სული. ამინ!

*შენი სოფო და სალო*

### როზა მამულიას მონატრება



ჩვენო საყვარელო, დედასავით მზრუნველო დაო! 23 იანვარი შენი დაბადების დღეა. უზომოდ გიხაროდა, ყვავილებით ხელში რომ გესტუმრებოდით – ყვავილები ძალიან გიყვარდა. გვაკლიხარ და ძალიან გვენატრები, შენს დედმამიშვილებს, მათ შვილებს, ნათესავებს, ახლობლებს. შენი უდროო წასვლით მწარე მოგონება დაგვიტოვე. შენი სიკეთე და სათნოება მისაბაძი იქნება ჩვენთვის.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი სულისათვის, რათა ნათელი გედგას. ღმერთს ვთხოვთ, სამოთხეში დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი. ჩვენი დანთებული წმინდა სანთელი გინათებდეს და გიმშვიდებდეს სულს.

*მიმოზა, ომარ მამულიები*

### სულიკო ქურდაძის გახსენება



ჩემო სულის მეგობარო! მიიწურა ცხრა ტკივილიანი წელი. 19 იანვარი შენი გარდაცვალების დღეა. ნათლიღების ამ ბრწყინვალე დღესასწაულს მიიბარა შენი კეთილი სული ზეცამ, ჩვენ კი დაგვრჩა მოუშუშებელი ტკივილი და უსაზღვრო მონატრება.

მუდამ ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის. ნათელში გამყოფოს უფალმა.

*შენი საყვარელი ოჯახი*

### გია მანწკავას მონატრება



მოდის 23 იანვარი, შენი დაბადების დღე, ისევ უშენოდ, ჩემო საყვარელო ბიჭო! ტკივილითა და მწუხარებით ალსავსე მე-9 წელი! რა ბედნიერები ვყოფილვართ თურმე, როცა შენ ჩვენ გვერდით იყავი, გია!

ყველა შენატროდა ჩვენს ოჯახს და ამ ბედნიერების თავი და თავი შენ იყავი, ჩემო სიცოცხლით სავსე ვაჟკაცო! ნუთუ იმიტომ ჩქარობდი შენი გრძნობების ასე უხვად გაჩუქებას, რომ მხოლოდ 34 წლის სიცოცხლე გარგუნა განგებამ.

წახვედი და დაგვიტოვე მოუშუშებელი ტკივილი, სევდა და მონატრება, დაგვიტოვე ღია ჭრილობა, რომელიც არასოდეს მოშუშდება. ემაყებოდი ყველას, ვინც კი გიცნობდა. ძალიან აკლიხარ ჩვენს ოჯახს, ფრთამოტეხილ მეუღლეს, შვილებს, მეგობრებს. შენ ყოველთვის ჩვენ გვერდით ხარ, შვილო, რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს.

*შენი დედა*

### მირდაზი ტყებუჩავას მონატრება



ოცი გაუსაძლისი წელი იწურება, ძმაო, რაც ჩვენგან წახვედი. თავზარდამცემი იყო შენი ჩვენგან წასვლა. მოუშუშებელი ტკივილი დაგვიტოვე ყველას. იძინე ტკბილად სასუფეველში, შენს უჩასთან ერთად. ჩვენ კი დალოცვილი დაგვტოვე. გიხსენებთ დიდი სიყვარულით და ცრემლით.

*დები – ნინო და დალი*

### ნიკას და ვასიკოს მონატრება



ორი გაუსაძლისი წელი გავიდა იმ დღიდან, როცა ორმა კეთილმა, მოსიყვარულე მეგობარმა ძალზე ნაადრევად დატოვა მზისქვეშეთი და სამუდამო განსასვენებელში დაიდო ბინა.

ნიკა სამხარაძე და ვასიკო ჩოჩია იმ საბედისწერო დღეს უკანასკნელად იყვნენ ერთად. ერთად ყოფნა კი მათი ცხოვრების ჩვეულებრივი წესი იყო.

ახალდაქორწინებული ნიკა მამობის მოლოდინში იყო, ვასიკო კი ნათლობისთვის ემზადებოდა, მაგრამ განგებამ სხვაგვარად განსაჯა: მოულოდნელად ორივე ტრაგიკულად დაიღუპა. ამ დიდმა მწუხარებამ გააერთიანა სამხარაძეებისა და ჩოჩიების ოჯახები. ამ დღიდან ექვსი თვის თავზე დაბადებული ნიკას პატარა ბიჭი ერთდროულად ჩოჩიების ოჯახის ნათლულიც გახდა და შვილიშვილიც.

მერე როგორი სიხარულით ელოდი ბავშვის დაბადებას, ჩემო ნიკა, რამდენ ლამაზ ოცნებას უკავშირებდი მის მოვლენას ამ ქვეყანაზე. რა დიდი გაოცებით უყურებდა სამშობიაროს ეზოში შეკრებილი ხალხი შენს ახლობლებს, როცა შენი ბიჭის დაბადებას ცრემლიანი თვალებით ულოცავდნენ ერთმანეთს.

ვინ რა იცოდა, რომ დაიბადა ბავშვი, რომელიც უკვე მამით ობოლი იყო, რომელსაც არ ეწერა მამის ნახვა, მისი მოფერება და ალერსი. შენი მამის მოსახელე პატარა ბიჭი სწორედ მამაშენის ხელში აყვანილი, პატარა ხელებით ეფერება საფლავის ქვაზე ამოტვიფრულ შენს მოღიმარ სახეს. იქნებ მისი პატარა ხელების შეხებამ გაგრძნობინოს მამობის სიხარული, რასაც სიცოცხლეში ვერ ეღირსე. ჩვენ კი შევხარით შენს სახელზე ამოსულ პატარა სიცოცხლის ნერგს და ამით ოდნავ ვიხალისებთ ცხოვრებას.

ლიას და ზაალს შვილის მაგივრობას ვერავინ გაუწევს, მაგრამ როცა შენს შვილს გულში იკრავენ, ერთდროულად შვილსაც ეფერებიან და შვილიშვილსაც.

მას ხომ თავს ევლებიან და არაფერს აკლებენ, მაგრამ მას მაინც აკლია მთავარი – მამის მზრუნველობა და სითბო.

გავა დრო, პატარა ზაალი გაიზრდება და გაიგებს, როგორი სიყვარული და ერთგულება აკავშირებდათ ერთმანეთთან ნიკას და ვასიკოს, როგორი ღირსეული პიროვნებები იყვნენ და იამაყებს მათით, ღირსეულ პატივს მიაგებს მათ ნათელ ხსოვნას და გულში სამუდამოდ შეინახავს.

ჩვენ კი ვიცხოვრებთ წარსულის მოგონებით, თქვენი სევდიანღიმილიანი სურათებით და უზომო მონატრებით.

ძალიან, ძალიან გვენატრებით, ბიჭებო.

*გულიკო ბებო*

### ალიკა (ალექსანდრე) ქავთარაძის გახსენება



შვილო ალიკა, გავიდა 40 ტკივილიანი დღე შენი გარდაცვალებიდან. 2 ოქტომბერს 29 წლის გახდი. ჩემო პირველო და უკანასკნელო სიხარულო, ლამაზო სულითა და ხორცით, ნიჭით დაჯილდოებულო, მოსკოვის უნივერსიტეტში შენ ერთმა ქართველმა მიიღე მადლობა „სწავლისა და ზრდილობისათვის“, რომელიც შენს გაუბედურებულ დედას დარჩა სამახსოვროდ. ყველგან, სადაც ყოფილხარ, სიკეთე გიკეთებია და ამიტომ დაუტოვე დიდი სიყვარული, გულისტკივილი ყველას, ვინც კი გიცნობდა.

შენი სიკეთე ლამაზმა ჩიტმაც დაამტკიცა, რომელიც შენი გარდაცვალებიდან მე-3 დღეს მოფრინდა ღამის 12 საათზე, 3-ჯერ შემოუარა შენს ცხედარს და გაფრინდა, შემდეგ ბოლოს მაშინ მოფრინდა, როცა ჩასვენებას ვაპირებდით, ისევ ღამის 12 საათზე, იფრინა შენ გარშემო, თავს ისე აქნევდა, თითქოს რაღაცას ამბობსო და 1 სთ-ის შემდეგ ისევ გაფრინდა. მის შემდეგ აღარც გამოჩენილა. ეს სასწაული მოძღვარმაც ვერ ახსნა. ისევ შენ გამოგვეცხადე და აგვიხსენი ეს სასწაული, ჩემო სიკეთით სასწაულმოქმედო შვილო.

ვიცოცხლებთ მე, შენი ცოლი ნინო და პატარა ლუკა შენი დატოვებული სახელის იმედით. ჩვენ ვერ შეგისრულებთ შენს ჩანაფიქრს, უძლურები დავრჩით უშენოდ.

რაც შეეხება შენს საყვარელ სადღეგრძელოს – იმ კაცს გაუმარჯოს, ვისაც ამ ბინძურ წუთისოფელში კაცობა შერჩენიაო – ყოველთვის იტყვიან შენს სუფრაზე, მხოლოდ გული მტკივა, იმ ხალხს შენ რომ გამოაკლდი. ცრემლიანი გზა დაგვიტოვე ყველას – დებს, დისშვილებს, სიძეებს, ბიძებს, დეიდებს, დეიდაშვილებს, მამიდაშვილებს, ყველას, ვისაც შენ უყვარდი.

სულ ჩქარობდი, შვილო. სად გეჩქარებოდა?! – ჩვენი ატირება გეჩქარებოდა ალბათ. ვკოცნით ყველა შენს საამაყო ნაკვალევს.

მსუბუქი ყოფილიყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური სავანის მიწა და ღმერთმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

*მერი (მაგული) ლაბუჩიძე-ქავთარაძე*

### ვაჟა ფილაურის ხსოვნას!



14 წელი გადის, ვაჟა, შენთან განშორებიდან. ტკივილი კი უფრო ძლიერია, დედისერთა ბიჭო. არც ერთ დღეს შენი მოგონების გარეშე არ ჩაუვლია. რომ იცოდე, რამხელა სიყვარული და რამდენი ტკბილი მოგონება დაგვიტოვე...

16 იანვარს 31 წლის გახდებოდი. ამ დღის უშენოდ აღნიშვნა კიდევ ერთი დიდი ტრაგედიაა ჩვენთვის.

შენ მარტო შენს ოჯახს არ დაჰკლებიხარ, დააკლდი ყველას, ვისაც შენეულ სითბოს უნაწილებდი.

შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი და სუფთა სული.

*მშობლები, დები*

### ზაურ ცომაიას გახსენება



19 იანვარს შენი გარდაცვალების 7 წელი შესრულდა. მამა, ყოველდღე შენი მონატრებით თენდება და ღამდება. წლები გადის და უფრო მძიმე ხდება უშენობით გამოწვეული სევდა. შენმა ავადმყოფობამ არ გაცალა ჩვენთან ცხოვრება. კაცურად იცხოვრე ამ ქვეყანაზე, დედის ცრემლით სავსე თვალებში სევდამ დაისადგურა. მას ხომ ყველაზე მეტად სჭირდებოდა შენი გვერდით ყოფნა. ენატრები ყველას და შენს კაცობაზე ლაპარაკობენ. არასოდეს დაივიწყებენ იმ კაცური კაცის სახელს, რომელსაც ზაურ ცომაია ერქვა, რომელსაც შენი მოსახელე შვილიშვილი გააგრძელებს და რომლითაც ყოველთვის იამაყებენ შენი შთამომავალნი. შენი შვილიშვილები მუდამ შენს თავს იფიცებენ, პატარა ლიაც, რომელსაც შენ ვერ მოუსწარი, მაგრამ უზომოდ უყვარხარ შენი სურათით.

შენს ხსოვნას სათუთად შევინახავთ, მამა. ჩვენ მუდამ ვამაყობდით და ვიამაყებთ შენით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

*შენი ოჯახი*

---

თბილისის 55-ე საშუალო სკოლის 1959 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მიხეილ (მევლუდ) სხირტლაძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

*პანაშვიდი:* 19 იანვარს, 16 საათზე;
*დაკრძალვა:* 20 იანვარს, 14 საათზე.
*მისამართი:* თბილისი, არაყიშვილის ქ. №26.

---

## არავინ იცოდა, რომ ეს დასასრული იყო...



**გოგი ცაბაძის** შემოქმედებას უამრავი თაყვანისმცემელი და დამფასებელი ჰყავს. 1984 წლიდან აპირებდნენ გორში მისთვის დაბადებიდან 60 წლის აღსანიშნავი საღამოს მოწყობას, მაგრამ რატომღაც გაუჭიანურდათ საქმე. ხან „ორერა“ არ იყო ადგილზე, ხან ნანი ბრეგვაძე, ხან ბუბა კიკაბიძე. როგორც იქნა, 1986 წლის 30 ნოემბერს ამ თარიღის აღნიშვნა მოახერხეს. ყველანი შეიკრიბნენ. უამრავი მეგობარი, ახლო ნათესავი გაჰყვა ბატონ გოგის კონცერტზე. მისი შვილი გოგლა (გიორგი) ცაბაძე კამერით იღებდა საღამოს. კომპოზიტორის ჩანაწერები ხომ სულ 2-3 თუ მოიპოვება. თითქოს რაღაც ძალამ „მოაწესრიგა“ ყველაფერი... არავინ იცოდა, რომ ეს დასასრული იყო.

...იმ საღამოს გოგი ცაბაძე გულის შეტევით გარდაიცვალა.

გოგი ცაბაძის მამა, გაბრიელი შეძლებული ოჯახის პატრონი იყო, წარმატებულ საქმიანობას ეწეოდა. ე. წ. ბიზნესმენი გახლდათ დღევანდელი გაგებით. სხვათა შორის, ლექსებსაც წერდა, კარგად მღეროდა. 1937 წელს გადაასახლეს და აღარ დაბრუნებულა. გოგი ცაბაძეს მამისეული ნიჭი გამოჰყვა. ისე, ერთხელ მამამისის თანატოლ მეზობელს უთქვამს: – გოგი რა არის, აი, გაბო რომ მღეროდა, ის იყო სიმღერაო!

მამის დაპატიმრების შემდეგ დაიწყო ცაბაძეების ოჯახის გაჭირვება. დედა – ოლღა ნაცვალაძე მარტო დარჩა ოთხ შვილთან ერთად.

გოგი ცაბაძე რუსულ სკოლაში დადიოდა. მოძრავი და ცელქი ბავშვი იყო. სიგიჟემდე უყვარდა ფეხბურთი. მაშინდელი თბილისელი ბიჭების ერთ-ერთი გასართობი ტრამვაიც იყო. ალბათ, უფროს თაობას კარგად ახსოვს ტრამვაის უკანა კართან შეხუნძლული ბიჭები. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა ტრაგიკულად დამთავრდა. 12 წლის გოგი ცაბაძემ ფეხის უმძიმესი ტრავმა მიიღო. ამ შემთხვევამ მუსიკალურ სამყაროს კომპოზიტორი აჩუქა. გოგი ცაბაძე აღიარებდა: ეს რომ არა, აუცილებლად ფეხბურთელი გავხდებოდიო.

მუსიკალურ სკოლაში სწავლა 14 წლისამ დაიწყო. პაგანინოც ამ ასაკში უყიდეს, დედას ხშირად ესმოდა, როგორ ღიღინებდა მისი შვილი უცხო მელოდიებს. ცხადი იყო, საქმე დიდ ნიჭთან ჰქონდათ... თუმცა დედამისს ჯიუტად უნდოდა, გოგი ექიმი გამხდარიყო. გავიდა წლები. ნიჭმა თავისი გაიტანა. გოგი ცაბაძის სიმღერები მთელ საქართველოს მოეფინა. მას ცნობდნენ, ესიყვარულებოდნენ, შეხვედრებს უწყობდნენ. დედა კი მაინც სინანულით აღნიშნავდა: ეჰ, ჩემთვის რომ დაგეჯერებინა და ექიმი გამოსულიყავი, ახლა დიდი კაცი იქნებოდიო.

გოგი ცაბაძეს ბევრი ტკივილი არგუნა ცხოვრებამ. გარდაეცვალა 24 წლის და. ორი ძმა სამამულო ომმა შეიწირა. მეორე ძმის დაღუპვის ამბავი ბოლომდე არ უთქვამს დედისთვის. ქალბატონი ოლღაც სიკვდილამდე ელოდა დაკარგული შვილის გამოჩენას.

კონსერვატორიაში სწავლისას, გოგი ცაბაძეს ძალიან უჭირდა. სხვებთან ერთად დადიოდა გასტროლებზე, რაც ერთგვარად ავსებდა მის ბიუჯეტს. თუმცა კონსერვატორიაში ლექციები უცდებოდა. ადმინისტრაციამ ამისათვის პასუხი მოსთხოვა. ან გასტროლები, ან კონსერვატორიაში სწავლაო. გოგი ცაბაძეს ცხოვრება არ აძლევდა არჩევანის გაკეთების უფლებას. კონსერვატორიას უნდა შელეოდა. მხოლოდ წლების შემდეგ, საკმაოდ გვიან აღადგინეს. კონსერვატორია რომ დაამთავრა, უკვე ცნობილი კომპოზიტორი გახლდათ, პოპულარული სიმღერებისა და რამდენიმე ოპერეტის ავტორი. მალე კომპოზიტორთა კავშირშიც მიიღეს.

მუსიკის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო. იმავე დროს მუსიკა იყო მისთვის ყველაზე დიდი დატვირთვა. ინფარქტი გადაიტანა. როცა საავადმყოფოდან გამოწერეს, მეგობარმა კარდიოლოგმა გივი კალანდარიშვილმა ექსპერიმენტი ჩაატარა. ერთ დღეს ცოტა ღვინო დაალევინა და კარდიოგრამა გადაუღო. მეორე დღეს სიგარეტი მოაწევინა და ისევ დააკვირდა. ბოლოს კლავიატურასთან მიუშვა... ყველაზე საშიში მისი ჯანმრთელობისთვის დაკვრა აღმოჩნდა. ამ დროს ორგანიზმი არნახულ დატვირთვას ღებულობდა.

კიდევ ერთი სანერვიულო ჰქონდა ბატონ გოგის – ფეხბურთი. საერთოდ მშვიდი ბუნების ადამიანი, ფეხბურთის მატჩის ყურებისას ღელავდა, ცრურწმენაც ჰქონდა თურმე – ვისთან ერთად უნდა ეყურებინა მატჩისათვის, რომ ჩვენებს მოეგოთ.

ფეხბურთი შვილებსაც უყვარდათ. ერთხელ გოგლა ფეხბურთის თამაშს გადაჰყვა, გაკვეთილები გააცდინა. მშობელი დაუბარეს სკოლაში. დედა აღელვებული დაბრუნდა და მეუღლეს უთხრა: მოვა თუ არა, დატუქსე ბავშვიო. მოვიდა გოგლაც. – გოგლიკ! – დაუძახა თურმე მამამ. ბავშვი ოთახში შეიძურწა. ბატონ გოგის სერიოზული საყვედურით უთქვამს: ეს არის, ბიჭო, შენი ხურცილავაო? და დაწყებულა წინა დღის საფეხბურთო მატჩის განხილვა. საქმე იმაში იყო, რომ შვილი ხურცილავას გულშემატკივრობდა, მამა – ჩოხელს.

დაკვრისას „ქრონიკულად“ ავიწყდებოდა სიმღერის ტექსტი. მეუღლე მომზადებული იყო დასახმარებლად. 60 წლის იუბილეზე ბატონი გოგი როიალზე უკრავდა და მღეროდა:

„ეს რამხელა, რა უძირო
და რა გამძლე გამოდექ,
ჯოჯოხეთის დამტევლო...“ – მომდევნო სიტყვები დაავიწყდა და დარბაზისკენ გაიხედა. იქიდან მეუღლემ უკარნახა: „პაწაწინა“ და გოგიმაც გაგრძელა სიმღერა.

ჩაფიქრებული საოცარ შესიტყვებებს ხმარობდა. ეხუმრებოდნენ: გოგებაშვილმა „დედა ენა“ დაგვიტოვა, შენ „მამა ენას“ გვიტოვებო. ერთხელ რძალი გაბრაზებულა შვილზე, ბატონ გოგის რჩევა მიუცია – არ დაუყვავო, გენაცვალეო (ე. ი. ყვავივით არ დასჩხავლოო). მის ასეთ „ფრთიან“ კურიოზებს სუფრასთან მეგობრები ხელსახოცზე იწერდნენ. ერთხელ, ვახტანგ სალარიძეს ხელსახოცი აულია, ბატონ გოგის გაკვირვებულს უკითხავს: კიდევ ვთქვი რამეო?

ასეთი შემთხვევაც ახსოვთ: ენციკლოპედიაში ეძებდა დეპუტატის განმარტებას. ეგონათ კროსვორდის შესავსებად სჭირდებაო. – არა, მე ამირჩიეს და მაინტერესებს რას ნიშნავსო, – უთქვამს.

მოკრძალებულად ცხოვრობდა. არ მიუღია არც სახელმწიფო, არც რუსთაველის პრემია... სახალხო არტისტი იყო და ხალხს მართლაც უსაზღვროდ უყვარდა. ამაზე დიდ ჯილდოსა და „პრემიას“ თავადაც არ აღიარებდა.

*ლელა ჯიყაშვილი*

# სიზმრად ნანახი საბედო



თავის უცნაურ, „წინასწარმეტყველურ“ სიზმარზე მიამბო ქალბატონმა ნანიმ.

— ეს 30 წლის წინ შემემთხვა... მე და ვახტანგს, ჩემი თანაკურსელის, ლილის, მამიდაშვილს, ერთმანეთი ძალიან მოგვწონდა. ეს ყველასთვის ცხადი იყო. მაგრამ დრო რომ გავიდა, გამინელდა მის მიმართ გრძნობა. ბოლო ხანს იშვიათად ვხედავდი და რადგან სხვები უფრო აქტიურობდნენ, თითქოს მიმავიწყდა კიდეც.

ჩემმა ძმამ რუსი ქალი შეირთო. მძახლებმა თავისთან, ლენინგრადში, მიგვიწვიეს. დაძინების წინ რძლის დედამ გამიხმო, — გასათხოვარი ხარ, ერთ რამეს გასწავლი და გააკეთე. შენ აქ პირველად ხარ. ჰოდა, როცა დაწვები, სამჯერ თქვი: „მე ვიძინებ უცხო ადგილზე, სასიძოვ, მოდი სასძლოსთან.“ მერე დაიძინე და ვისაც სიზმარში ნახავ, ის იქნება შენი საქმროო.

ასეთი რამეებისა არ მწამდა მაშინ, მაგრამ უფროს ქალს აღარ შევეწინააღმდეგე და დავპირდი, გავაკეთებ-მეთქი.

ძილის წინ ისევ შემახსენა, არ დაგავიწყდესო და მეც სამჯერ ჩავიბუტბუტე ის წინადადება. დავწექი თუ არა, მაშინვე დამეძინა.

სიზმარი მართლაც ვნახე: ვითომ ზღვის სანაპიროზე ვსეირნობდი. ნაპირს მოადგა თეთრი გემი. გადმოდგნენ გემბანზე მეზღვაურები და ნაპირზე მყოფთ ხელს გვიქნევდნენ, ამოდითო. ხალხი ავიდა. მეც ავყევი. დავსეირნობ გემბანზე, აღფრთოვანებას ვერ ვმალავ. ამ დროს, მომიახლოვდა ერთი მეზღვაური და ქართულად მომესალმა. დავაკვირდი — ვახტანგი აღმოჩნდა. აქ რა გინდა-მეთქი, გავიკვირვე. სულ ვოცნებობდი კაპიტნობაზე და შორეულ ნაოსნობაზე. მინდა ოცნება ავისრულოო...

დილით მოგვიანებით გამეღვიძა. ყველანი ფეხზე დამიხვდნენ. რძლის დედამ ღიმილით მკითხა, — აბა, მოგვიყევი შენი სიზმარიო. გამეცინა და ვუთხარი, — ერთი ნაცნობი მესიზმრა, მაგრამ მასთან ურთიერთობა არც კი მაქვს-მეთქი. მასპინძელმა მრავალმნიშვნელოვნად გადააქნია თავი და თქვა: წინდაწინ ნურაფერს იტყვით, რადგან ცხოვრება მოულოდნელობებით არის სავსეო.

როცა თბილისში დავბრუნდი, ლილის ისე, სხვათა შორის, ვკითხე: შენი მამიდაშვილი სად არის, რომ აღარ ჩანს-მეთქი. გაუხარდა: რა კარგია, ვახო რომ არ დაგვიწყებია. ხუთი თვეა, რაც ლენინგრადის საზღვაო სასწავლებელში სწავლობს. ორ წელიწადში დაამთავრებს და გემზე დაიწყებს მუშაობასო.

გავოგნდი — ეს უცნაური დამთხვევაა თუ სასწაული-მეთქი. მე ხომ ყურმოკვრითაც არაფერი ვიცოდი ვახტანგის შესახებ, მაშ, სიზმარში რამ მანახვა? სერიოზულად დავფიქრდი. ნუთუ ვახტანგი იქნება ჩემი ქმარი? მას, მართალია, მოვწონდი, მაგრამ სიყვარულში არც კი გამომტყდომია, ცოლობა არ უთხოვია...

გავიდა ნახევარი წელიწადი. ვახტანგი არ ჩანდა. ამასობაში, ჩემი მეგობარი ლილი გათხოვდა. ვახტანგი, ცხადია, ქორწილში ჩამოვიდა. უზომოდ გაიხარა ბიძაშვილის ბედნიერებით. ძალიან მოილხინა. ყველა გოგო აცეკვა, ქათინაურებს აფრქვევდა. მართალი გითხრათ, გულაჩქროლებული ველოდებოდი, გამიწვევდა თუ არა საცეკვაოდ. გამიწვია. ცეკვის დროს არც აცია, არც აცხელა და პირდაპირ მითხრა: ძალიან მიყვარხარ, ლენინგრადში სულ შენზე ვფიქრობდი. თუ თანახმა იქნები, გამომყევი ცოლადო...

მონუსხული მივაჩერდი და რატომღაც მაშინვე ვუთხარი, — თანახმა ვარ-მეთქი.

აი, ასე გახდა ჩემი ქმარი სიზმარში ნანახი კაცი...

***მარი ბაბუციძე***

# სამახსოვრო ფოტო



სამეგრელოს ქედზე არის ერთი ულამაზესი მთა — თეკენაში. ნაძვ-ფიჭვნარით მოქარგულ მის კალთებზე არჩვი ბინადრობს მრავლად. მაღლა, მწვერვალთან, ჭიუხებში კი ჯიხვთა ჯოგები ლაღობენ.

პირველად სწორედ ამ სამანებში გავუგე გემო ნადირობას და მას შემდეგ აქ იყო ჩვენი საძმოს სულის სანავარდო. არ გვიყვარდა ბარის ნადირობა. ანდა, მე რომ მკითხოთ, რა ვაჟკაცობაა, ერთ საცოდავ კურდღელს თუ მელაკუდას ოცდაათ მწევარს რომ შეუსევ და მერე თოფების ბათქით გამოასალმებ წუთისოფელს?! თუ ვაჟკაცი ხარ, ჯერ ჭიუხებში დაუმტკიცე შენს თავსა და ბუნებას ჩუბინობა და მერე დაიმსახურე ნანადირევი. მოკლედ, ამ პრინციპიდან გამომდინარე, ხშირად ვსტუმრობდით ხოლმე ჭიუხებს და სოფელში მთის მონადირეთა სახელი გაგვივარდა ჩვენდა სასახელოდ.

იმ დღეს მე და ჩემი აწ განსვენებული მეგობარი ბოჩია მანია თეკენაშის კალთებს მივუყვებოდით. უცებ შქერისა და იელის ლაქაშებში ამოზიდულ, უზარმაზარ ლოდზე ძეგლივით აღმართული არჩვი შევნიშნეთ. მოვიმარჯვე ჩემი „სნაიპერსკი გეკო“ და... არჩვი თავდაყირა გადმოეშვა. კიდევ ხუთმა თუ ექვსმა — უსიერში შერგო თავი და კარგა ხანს ისმოდა მათი ნაბიჯების ექო ხეობაში. თოფმომარჯვებული თანდათან მივუახლოვდი ნანადირევს და საოცრება ვიხილე — არჩვი ჩვეულებრივად, თხები რომ გინახავს ფარეხში მწოლიარე, ისე იწვა ლოდის ძირას, მშვიდი თვალებით შემომყურებდა და გაქცევას არ აპირებდა. კვლავ შევაყენე ჩახმახი, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ არ გამომაკვრევინა სასხლეტს. უფრო მივუახლოვდი. არ განძრეულა. ფრთხილად შევახე ხელი. არც ახლა შერხეულა. მერე ბოჩიაც ამოვიდა და გაოცებულებმა დავათვალიერეთ ნანადირევი. მართლაც საოცრება იყო, მაგრამ არსად ეტყობოდა ნატყვიარი.

შე დალოცვილო, შეულოცე თუ რა უქენი ამ საცოდავსო, — ქოთქოთებდა ბოჩია და პირჯვარს იწერდა.

რა თქმა უნდა, მეც გაოგნებული ვიყავი. შემდეგ სხვადასხვა ხედით არჩვთან ერთად ფოტოების გადაღებით გული რომ ვიჯერეთ, იქვე ჩამოვსხედით და ამ უჩვეულო ეპიზოდის „გაანალიზებას“ მივყევით. ვერანაირი დასკვნა ვერ გავაკეთეთ და ბოჩიამ თქვა:

— ეტყობა, ღმერთს არ უნდოდა მისი სიკვდილი და მოდი, გავუშვათ ეს საცოდავი...

მეც დავთანხმდი, — ჰე, ადექი ახლა და გაიქეცი-მეთქი, — „ვთხოვე“ არჩვს და ქეჩოზე წამოვარტყი ხელი.

და აი, კურიოზი — ისმინა ნადირმა ჩემი „თხოვნა“, წამში წამოხტა და — ჰაიდა! კარგა ხანს ისმოდა მისი ფეხების თქარათქური თეკენაშის უსიერ ტყეში!

დღესაც არ ვიცი, რა იყო ეს, სინამდვილე თუ მოჩვენება?

თუმცა, ნამდვილად ვიცი — მოჩვენება არ ყოფილა, რადგან იმ არჩვთან გადაღებული ფოტო დღესაც ინახება ჩემს ჟურნალისტურ არქივში.

აი, ისიც!

***ზაურ ფიფია***

# ჩვენ გვწერენ
# ჩემ თვალწინ გაუჩინარდა...

ადამიანის გაქრობა თუ შეიძლებოდა, როგორ წარმოვიდგენდი. მახსოვს, მსგავსი ამბის მოსმენისას გულში მეცინებოდა. დაახლოებით ისეთივე გრძნობა მიჩნდებოდა, როგორიც ბოშა-მკითხავის მიმართ, ძახილით რომ აგედევნება: ლამაზი ქალი, გაჩერდი, სიტყვა გითხრა, გულზე დარდი გაქ, მომავალში ცრემლიო ან რაღაც ამდაგვარი. არ მჯეროდა, მაგრამ ცხოვრებამ რაღაც-რაღაცას სხვანაირად შემახედა...

მე და ჩემი და თბილისში ვცხოვრობთ. ზაფხულობით ხშირად ჩავდივართ სოფელში, ბებიასთან. შარშანწინაც ჩავედით, თან მეგობრებიც დავპატიჟეთ.



დილით ჩემი და ეზოში გავიდა — საადრეო ვაშლს დავკრეფო. მე აივანზე ვიდექი და ვუყურებდი. გრილი, ღრუბლიანი დღე იყო, წინა ღამის ნაწვიმი. ჩემი და ხის ძირში იდგა, მკვეთრად მობრუნდა ჩემკენ, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა... მგონი, ოდნავ მაღლაც აიწია, შეიძლება მიწას ასცილდა კიდეც, მაგრამ ბალახში ამის შემჩნევა ძნელი იყო, და... გაქრა! კივილი დავიწყე. გამოცვივდნენ ჩვენი მეგობრები.

— ნიალა გაქრა, ნიალა გაქრა! — ვყვიროდი უაზროდ.

რას ამბობ, აქვე იქნება სადმეო, — მამშვიდებდნენ.

რაც მეტს ვამტკიცებდი, ჩემი და გაუჩინარდა-მეთქი, მით უფრო შეშინებული თვალებით მიყურებდნენ. რომ ვერ დამამშვიდეს, სოფელში და შემოგარენში გავიდნენ, დადიოდნენ, ეძახდნენ, ეძებდნენ, მაგრამ რას იპოვიდნენ! ნიალა ჩემ თვალწინ ისე გაუჩინარდა, როგორც კინოფილმებში ხდება ხოლმე.

ორი კვირის თავზე ვლადიკავკაზიდან დაგვირეკა ვიღაცამ — ჩემთან არის ქალი, რომელიც ამბობს, თბილისელი ვაროო. აცვია ფოსტლები და სარაფანი... ტირის, საბუთები არა აქვს. ეს ტელეფონის ნომერი მოგვცა და გვთხოვა, დაგვერეკაო.

...ნიალა გამხდარი და გაოგნებული დაგვხვდა. კარგა ხანს ხმას არ იღებდა. სერიოზული მკურნალობა დასჭირდა, რომ ჭკუიდან არ შეშლილიყო. მოგვიანებით აი, რა მიამბო:

— რაღაცნაირი ზეწოლა ვიგრძენი, თითქოს ტყავიდან უნდა ამოვმძვრალიყავი. შენთვის უნდა დამეძახა, ცუდად ვარ-მეთქი, მაგრამ პირი ვერ გავაღე. მერე რაღაცნაირ თბილ, საამო უსასრულობაში ჩავიძირე. თვალი რომ გავახილე, უსახურავო შენობაში ვიდექი. იქაურობა ჩამავალი მზის სხივებით იყო გამთბარი და შიგ ხალხი ირეოდა, ჩიტებიც კი დაფრინავდნენ. თითქოს არც ვყოფილიყავი, ყურადღებას არავინ მაქცევდა. ერთმანეთსაც კი არ ამჩნევდნენ და ელაპარაკებოდნენ. გაყინული სახეები ჰქონდათ. ფილები, რომლებზეც ვიდექი, თბილი იყო, ძილისმომგვრელი. მერე დავჯექი, დაწოლაც მომინდა, მაგრამ ამ დროს თეთრპიჯაკიანი მამაკაცი მომიახლოვდა. თავზე გადამისვა ხელი და მითხრა:
— მშვიდად... მშვიდად...

— რატომ? — ვკითხე ძილმორეულმა.

— ასე უნდა მომხდარიყო, მშვიდად!..

შევამჩნიე, რომ იმ კაცის ხელს ჩემი თმის ბღუჯა ჩამოჰყვა... სიცივემ გამომაღვიძა. უცნობ ადგილზე ვიყავი, შემდეგ გავიგე — ვლადიკავკაზში... ტირილი ამივარდა. არც ფული მქონდა, არც საბუთები. თავზე მოვისვი ხელი, შუბლის გასწვრივ, ორი თითის დადებაზე, მოპრიალებული მქონდა თავის კანი!.. ძლივს მივაღწიე დასახლებულ ადგილამდე და კეთილ ხალხს შევევედრე, დაერეკათ თბილისში.

არ მინდა მჯეროდეს ჩემი დის ნაამბობი, მაგრამ უდავოა, სადაც იყო, იქ მართლა ამოუღეს ძირფესვიანად თმის ბღუჯა.

***ნათია რ.***

# ავარია განზრახული მკვლელობა ყოფილა...

ოთხი წლის წინ ჩემი მეუღლე და ძმა კატასტროფაში დაიღუპნენ. ავარია თბილისთან მოხდა, დიღომში...

ორმოცის შემდეგ უცნაური სიზმრები დამჩემდა. ხან მეუღლე, ხანაც ძმა მეცხადებოდნენ და მდუმარედ მომჩერებოდნენ. ვგრძნობდი, ცდილობდნენ რაღაც ენიშნებინათ ჩემთვის. რა პანაშვიდები არ გადავუხადე ორივეს, თავს მაინც არ მანებებდნენ... მერე ერთმა ახლობელმა მიმასწავლა ნათელმხილველი — მიცვალებულთან კონტაქტი შეუძლია და ეგებ გიშველოსო. ბევრი ვიყოყმანე, მაგრამ გავრისკე და ნათელმხილველს ვეწვიე. დანახვისთანავე მკითხა — მიცვალებულების ლანდები რატომ დაგდევენო. შიშით გული გადამიტრიალდა და ყველაფერი მოვუყევი. მათ საიდუმლოს განდობა უნდათ, მაგრამ გრძნობენ, რომ გეშინია და ვერ გეუბნებიან. შიში დაძლიე და ჰკითხე, რა უნდათ. ყველაფერს მოგიყვებიან, მე კი თქმის უფლება არა მაქვსო, — მითხრა და ოთახიდან გავიდა.

იმ ღამესვე ძმა გამომეცხადა. შიშით ვკითხე — რა გინდა, ან შენი სული რად წვალობს, ან მე რად მაწამებ-მეთქი. სევდიანად გამიღიმა — ხვალ აუცილებლად უნდა წახვიდე თბილისში, იქ ჩვენს დას დასჭირდებიო. შემეშინდა. მარიკას რამე უბედურება ელის-მეთქი? თავი გააქნია და გაქრა.

დილაუთენია დას დავურეკე. შეშფოთებული ხმა ჰქონდა: ერთი კვირაა, უცნაური რამ მჭირს. ყოველღამე ავარია მესიზმრება, უცებ მეღვიძება და ველარაფერს ვიხსენებო... ვიფიქრე, რაღაც უბედურება მელის, ალბათ მეც ავტოკატასტროფაში უნდა დავიღუპო და ჩემი ძმის სახით ეშმაკი თბილისისკენ გატყუებას მიპირებს-მეთქი. კარგა ხანს ვებრძოლე ეჭვებს, მერე უცებ ჩავიცვი და სამარშრუტო ტაქსით თბილისის გზას გავუდექი. გორს რომ გამოვცდით, ჩამეძინა. არადა საერთოდ მგზავრობის დროს ძილი არ შემიძლია. ჩემი მეუღლე და ძმა გამომეცხადნენ. რა გინდათ-მეთქი, დავუყვირე. ყველაფერს თვითონ მიხვდებიო, — მიპასუხეს და გაქრნენ. ამის შემდეგ მეზმანა, როგორ ჩასხდნენ ჩემი ძმა და მეუღლე ავტომანქანაში, როგორ წამოვიდნენ დიღმისკენ. ვხედავდი, უცებ საჭე გაექცა ჩემ ქმარს, ველარ იმორჩილებდა და ჩემს ძმას უყვიროდა, — თავი დაიმაგრე, შეიძლება რამეს შევეჯახოთო. ჩემი თვალით ვნახე საშინელი ავტოკატასტროფა. გულგახეთქილს გამომეღვიძა. ზუსტად იმ ადგილზე ვიყავით გაჩერებული, სადაც ოთხი წლის წინ ის უბედურება დატრიალდა. რა ხდება-მეთქი, — ვიკითხე. რაღაც გაფუჭდაო, — მიპასუხეს მგზავრებმა. ტაქსიში გადავჯექი და ჩემს დასთან გავვარდი. ყველა მშვიდობიანად დამხვდა. აღარაფერი მითქვამს.

იმ ღამეს სიზმარში ვიხილე, როგორ შევიდა ჩემი ქმრის კომპანიონი ჩვენს გარაჟში, მოუშვა რაღაც ნაწილი ავტომანქანას და გაიძურწა.

მერე თავიდან ვნახე, როგორ მოხდა ავარია...

მეგონა, ჩემი ოჯახი უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა, არადა თურმე მკვლელობა განზრახული იყო. იმ კაცმა ჩემი მეუღლის წილი შეისყიდა ჩვენგან...

მოსვენება დავკარგე. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე...

***დალი ქ., ზუგდიდი***

„საზალდო-სალადო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი:**

1) — გ); 2) — გ); 3) — ბ); 4) — ა); 5) — ა); 6) — ბ); 7) — დ); 8) — დ); 9) — ბ); 10) — ბ).

**II.** მე-4 და მე-5 ჩიტები.

**III.** მე-6 და მე-7 დეტალები.

**IV.** თოვლი.

**V.** მე-2, ბაყაყი.





# ცნობილი საპატარძლო თავისუფალია და სასიძოს ელოდება...

ქორწილამდე მისული ნიშნობა ჩაიშალა — აშშ-ის ექსპრეზიდენტის ქალიშვილი ჩელსი კლინტონი და სტუდენტი იან კლაუსი აღარ დაქორწინდებიან.

რომანტიკული სიყვარულის ფინალი ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა... დიდი ქორწილის გადახდას აპირებდნენ — 500-კაციანი სიაც შედგენილი იყო. სტუმრებს შორის ბევრი ვარსკვლავი უნდა ყოფილიყო — მადონა, ბარბრა სტრაიზანდი, შარონ სტოუნი...

ჩელსი და იანი ერთმანეთს 11 სექტემბრის ტრაგედიისადმი მიძღვნილ სტუდენტთა შეკრებაზე შეხვდნენ. კლინტონები იწონებდნენ ქალიშვილის არჩევანს. ოჯახი, რომელსაც ამერიკის ექსპრეზიდენტი უნდა დანათესავებოდა, ქვეყანაში ერთ-ერთი მდიდარი და პატივსაცემია — მისი ქონება 40 მლნ დოლარადაა შეფასებული.

განხეთქილების ინიციატორი სიმპათიური, გონებამახვილი, სპორტსმენი და ფრიადოსანი სასიძო აღმოჩნდა. ჩელსის დედა, ჰილარი კლინტონი, ჩვენს საქმეებში ცხვირს ყოფდა და ეს ვერ ავიტანეო, — განაცხადა მისთვის უჩვეულო უხეშობით, თავაზიანობით ცნობილმა იან კლაუსმა.

აშშ-ის ყველაზე ცნობილი საცოლე ჩელსი კლინტონი კვლავ თავისუფალია.

*ნიუზუიქ*

# იაპონიის ყველაზე ცნობილი გოგონა



პრინცესა აიკოს, რომელიც შეიძლება „ქრიზანთემის ტახტის" დიასახლისი გახდეს, ორი წელი შეუსრულდა.

მისი დაბადების დღეს მთელი იაპონია აღნიშნავდა. იაპონელ დედებს პატარა პრინცესა ეტალონად მიაჩნიათ და ცდილობენ, შვილები მას დაამსგავსონ, თუნდაც სამოსით. ამით გვარიანად მოითბეს ხელი მეწარმეებმა. მათ კატალოგიც კი გამოუშვეს, სადაც აიკოს სამოსია დემონსტრირებული.

დაბადების დღე იუბილარმა საქმიანად გაატარა — მშობლებთან ერთად ბაბუას, იაპონიის იმპერატორ აკიჰიტოს ეწვია, „ოფიციალური ვიზიტის" შემდეგ კი სტუმრებს და საჩუქრებს იღებდა. ყველაზე მეტად პრინცესას მინიატურული ხის სამზარეულო მოსწონებია. ეტყობა, აიკოს დედის რძესთან ერთად აქვს შეწოვილი ის თვისებები, რაც კარგ დიასახლისს სჭირდება.

*პარი მატჩი №1*

# ვირუსის საჩუქარი

სამხრეთ ჩინეთის ადმინისტრაციულ რაიონში, მაკაოს საერთაშორისო აეროპორტში, ტურისტებს უფასოდ ურიგებენ... შვეიცარიული ფირმის, „როლექსის" საათებს, ოქროს ზოდებსა და ახალ „მერსედესებს". ეს სულაც არ არის ხუმრობა. ძვირფასი საჩუქრები ლატარიაში გამარჯვებულთა პრიზებია. ამ გათამაშებას ადგილობრივი ადმინისტრაცია აწყობს.

ასეთი საარაკო გულუხვობის მიზეზი ვირუსი ყოფილა. გასული წლის დამდეგს მაკაოში ატიპური პნევმონიის ეპიდემია დაიწყო. ავიალაინერების სამგზავრო რეისები 90%-ით შემცირდა, რამაც ძალზე დააზარალა რეგიონის ეკონომიკა. სასტუმროები დაცარიელდა.

ამიტომ, სტუმრების მოსაზიდად და რეპუტაციის აღსადგენად, პორტუგალიის ანკლავმა ათეული მილიონი დოლარი დახარჯა.

მარჯვე სარეკლამო ტრიუკმა გაამართლა. ნოემბერში ტურისტების რიცხვმა გასული წლის მაჩვენებელს გადააჭარბა — მაკაოში 11,5 მლნ ტურისტი ჩავიდა.

*აზია ი აფრიკა №1*

# მოთმინებითა და... სიჯიუტით

მოთმინებისა და სიჯიუტის უჩვეულო მაგალითი მისცა ამერიკელებს ლინ ვაგნერმა, რომელმაც 40 წლის მანძილზე ერთი მილიონი ერთცენტიანი შეაგროვა.

ლინმა ახლახან დაასრულა ჯერ კიდევ აგვისტოში დაწყებული ცენტების „ნორმალურ" ფულზე გადაცვლა და ფინანსური რყევების გათვალისწინებით 10.600 დოლარი ერგო. მეგობრებმა ლინს „გროშიანი მდიდარი" დაარქვეს.

ერთცენტიანების დაგროვება ვაგნერმა 13 წლის ასაკში დაიწყო. მონეტებს ქილებში აგროვებდა. კოლექციონერს ნაცნობ-მეგობრებიც ეხმარებოდნენ — მეგობრები და ნათესავები საშობაოდ უგზავნიდნენ, ოფიციანტები კი კლიენტების მიერ დატოვებულ ერთცენტიანებს ჩუქნიდნენ.

ლინ ვაგნერმა სკეპტიკოსებს დაუმტკიცა, რომ ხურდაც ფულია — უიმისოდ მილიონი ვერ შეგროვდება.

*ვოკრუგ სვეტა №1*

# ბარბი პოპულარობას კარგავს



პირველად, 27 წლის მანძილზე, თოჯინა ბარბი სათამაშოების მსოფლიო ბაზარზე პოპულარობას კარგავს. ცნობილ ამერიკელ გოგონას კონკურენტი გამოუჩნდა — ბრატცი. ახალი სათამაშო ორი წლის წინ გაჩნდა, მაგრამ თანამედროვე სტილის ჩაცმულობის გამო წინ გაუსწრო კონსერვატიულ ოქროსთმიან ბარბის. ბარბის მწარმოებლებმა თავში ხელი შემოიკრეს და თავისი შვილობილის ანალოგი გამოუშვეს, ჰიპ-ჰოპის სტილში, მაგრამ გადაამლაშეს — ნამდვილ ბანდიტს დაამგვანეს. ბარბი ჯერ კიდევ დგას მაღალ საფეხურზე, მაგრამ უფრო გათვითცნობიერებული ბავშვები მშობლებს დიდთავიან და ფუნჩულატუჩებიან ბრატცს უფრო სთხოვენ.

*მირ ნოვოსტეი №1*

# ტრასის მართვა... პულტით!



დიდი ბრიტანეთის წესრიგის დამცველებს გზებზე მანქანების გაჩერება ღილაკზე თითის ერთი დაჭერით სურთ, მაგრამ ამ იდეის დამოუკიდებლად განხორციელებას თავად ვერ ბედავენ. ამიტომ მიმართა პოლიციამ მთავრობას თხოვნით, ავტომობილში მოთავსებული ჩიპის მეშვეობით ნებისმიერი ტრანსპორტის დისტანციური მართვის ნება დაერთოთ.

გზებზე მოძრაობის ამგვარი დარეგულირების ტექნიკური საშუალება უკვე არსებობს — ეს ტექნოლოგია კარგა ხანია გამოიყენება საბარგო მანქანების სიჩქარის შეზღუდვისა და მოპარული ავტომობილების დამუხრუჭებისთვის.

პოლიციელები ვარაუდობენ, რომ ახალი ტექნოლოგიის წყალობით, ავარიები ორჯერ შემცირდება, მომავალში კი საერთოდ აღარ იქნება.

კანონმდებლები მაინც ყოყმანობენ, — ვაითუ, დისტანციური მართვის შემოღებით ადამიანის უფლებები დავარღვიოთო.

*ოგონიოკი №1*

# მსოფლიოში უგრძესი გველი დამოკლდა...

ინდონეზიის ნაციონალური პარკის ხელმძღვანელობამ საზოგადოებას მსოფლიოში ყველაზე გრძელი გველი წარუდგინა. ცნობარში აღნიშნულია, რომ პითონის სიგრძე 14,85 მეტრია. ეს სენსაცია გინესის წიგნშია დაფიქსირებული. სკეპტიკოსი ჟურნალისტები დაეჭვდნენ და დაჟინებით მოითხოვეს პითონის ხელმეორედ გაზომვა. ამჯერად მისი სიგრძე 6,5 მ აღმოჩნდა. ამ ჯიშის ქვეწარმავლისთვის ესეც კი სარეკორდოა.

ზოოპარკის მესვეურები გაკვირვებულნი დარჩნენ პითონის დამოკლებით, თუმცა რეკორდების წიგნის შემდეგ გამოცემაში, მათი მკვიდრი ძველებურად „მსოფლიოში უგრძეს გველად" მოიხსენიება.

პითონმა პარკს დიდი მოგება მოუტანა. მის სანახავად პარკში, რომელიც თავისი ჩანჩქერებითაა ცნობილი, სამჯერ მეტი მნახველი მიდის.

*ინტერნეტი*

# ქურდი... ფოსტით!



ერთი კოლუმბიელი „ყოჩაღი ბიჭი" მეტად უცნაური ხერხით ცდილობდა გაეძარცვა მდიდარი თანამემამულე, მაგრამ ეს მცდელობა სრულიად შემთხვევით ჩაიშალა...

ახალწლის წინადღეს ოჯახმა ვეებერთელა ამანათი მიიღო. ფოსტის მოხელეებს ის-ის იყო, ნობათი სახლში უნდა შეეტანათ, რომ მასპინძელს მოეჩვენა, ფუთა ოდნავ ირხეოდა. იმწამსვე გამოიძახეს პოლიცია და გამმნალმველები დიდი სიფრთხილით შეუდგნენ საქმიანობას. ჯერ ადამიანის ხელი გამოჩნდა, მერე თავად კაცი, რომელსაც უჰაერობით აშკარად სუნთქვა შეჰკვროდა.

„სადღესასწაულო საჩუქარს" თან ნამდვილი არსენალი ახლდა — დანა, პისტოლეტი, კასტეტი, ნიღაბი, მობილური ტელეფონი.

როგორც სამართალდამცავებმა გაარკვიეს, მოხერხებული ქურდი ამ ორიგინალური მეთოდით აპირებდა სახლში შეპარვას...

*იტოგი №1-2*

# მენაღეთა ოცნება

გინესის რეკორდების წიგნში შესვლა კოლუმბიელმა მეწაღეებმაც მოინდომეს. ბუკარამანგელმა (ქალაქი კოლუმბიაში) მეწაღეებმა 6 მ სიგრძის წაღი შეკერეს. იგი ფეხის 1100(!)-ე ზომას შეესაბამება. ფეხსაცმელი სიმაღლეშიც 2 მ-ია და სიგანეშიც. მის შესაკერად ერთი თვის განმავლობაში 10 ოსტატი ირჯებოდა.

როგორც შედევრის ავტორმა, დიზაინერმა ნელსონ სიმენსმა განაცხადა, მასალაზე სულ რაღაც 1.500 დოლარი დაიხარჯა. ნელსონი ასეთივე ზომის ქალის ფეხსაცმლის შეკერვასაც აპირებს და იმედოვნებს, რომ ქალაქ ბუკარამანგში, რომელიც კოლუმბიის ფეხსაცმლის მრეწველობის ცენტრია, ფეხსაცმლის მუზეუმი გაიხსნება და მეწაღეები აქ გამოფენენ თავიანთ ყველაზე თამამ ქმნილებებს.

*ფოკუსი*

# აღმოაჩინეს ლომის მუმია

ფრანგმა არქეოლოგებმა ეგვიპტეში, ფარაონ ტუტანხამონის პირამიდაში, აღმოაჩინეს ლომის მუმია, რომელიც 3 ათას წელზე მეტი ხნისაა. ჩვენამდე მოღწეული მანუსკრიპტების მიხედვით, ეგვიპტეში ლომი წმინდა ცხოველად იყო შერაცხული და ფარაონთან იგივდებოდა. მკვდარ ლომს დიდი პატივით კრძალავდნენ.

ეგვიპტური „წმინდა" ლომი, გაცილებით დიდი ზომისაა, ვიდრე მისი დღევანდელი თანამოძმენი. გამოკვლევით დადგინდა, რომ მას სიცოცხლე ტყვეობაში გაუტარებია და ღრმა სიბერემდეც მიუღწევია...

*ვოკრუგ სვეტა №1*

# ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"





**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში მიხეილ კუტუზოვის სიტყვებს ამოიკითხავთ.

**დ.** თბილისის ერთ-ერთი უბანი; **ა.** დიეგო მარადონას მეორე სახელი; **ი.** ქართული ანსამბლი, რომელიც ყოველთვის 13 წევრისაგან შედგებოდა; **ს.** ავთვისებიანი სიმსივნე; **ვ.** თბილისის საკალათბურთო გუნდი; **ე.** გემის ან თვითმფრინავის მომსახურე პერსონალი; **ნ.** იაპონური საავტომობილო ფირმა; **ე.** ტელევიზორების, მობილური ტელეფონებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებელი ფირმა; **პ.** რაიმე ადგილის საერთო ხედი, ბუნების სურათი; **ა.** თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება; **ლ.** მდინარე, რომელიც ჩამოდის ცხინვალსა და გორში; **ი.** დაცინვითი შინაარსის ლექსი; **ტ.** ძვირფასი ქვა; **რ.** ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; **ი.** მდინარე, რომელშიც მოინათლა იესო ქრისტე; **ს.** მზის სისტემის ერთ-ერთი პლანეტა; **ფ.** სრული მარცხი, კრახი; **ე.** ატმოსფერული მოვლენა; **რ.** ბირმის დედაქალაქი; **ე.** ძველი ბერძენი მეიგავე; **ბ.** შეჯიბრი მთიდან სწრაფად დაშვებაში ყინულოვან-თოვლიან გზაზე სპეციალური სამართავი მარხილებით; **შ.** გემბანის საწმენდი ჯოხი; **ი.** დოდო აბაშიძის პერსონაჟის სახელი ფილმში „პირველი მერცხალი".

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**ჩ.** ჩაფარი; **ვ.** ვრუბელი; **ე.** ეკლერი; **ნ.** ნეილონი; **თ.** თიანეთი; **ა.** ალყა; **ნ.** ნიორი; **ე.** ეშვი; **რ.** რეესტრი; **თ.** თალმუდი; **ა.** აკიდო; **დ.** დუმბაძე; **ა.** ამონი; **რ.** რუქა; **ა.** არმადა; **ს.** სმეტანა; **ო.** ორდალია; **დ.** დრეიფი; **ე.** ერბო; **ს.** სტიმული; **ი.** იასონი; **წ.** წესი; **ყ.** ყვარელი; **ე.** ერთაოზი; **ნ.** ნიანგი; **ე.** ელვა; **ნ.** ნოე.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ფულია ყოველი მოქმედების სათავე.**

# კაროლ ბუკე: ძალიან მიყვარდა ჟერარი, მაგრამ ჩვენ დავშორდით...



ფრანგული კინოს ორი ვარსკვლავი, კაროლ ბუკე და ჟერარ დეპარდიე, 5 წელი ცხოვრობდა ერთად. შარშან, იანვარში, უნდა დაეწერათ ჯვარი, მაგრამ... ქორწინება ჩაიშალა.

— სამწუხაროდ, ცნობილი მსახიობის იმიჯი ვერ მიცავს უსიამოვნებებისაგან. ყველაფერი მეც ისევე მემართება, როგორც სხვას. ახლა მიჭირს ამაზე ლაპარაკი. ძალიან მიყვარდა ჟერარი, მაგრამ ჩვენ დავშორდით, — თქვა კაროლმა.

ხუთი წლის წინ დეპარდიემ კაროლის გულისთვის ოჯახი მიატოვა. ყველა გაოგნებული იყო: რა იპოვა ჟერარში ამ მომხიბლავმა, ჭკვიანმა ქალმა, როგორ გარისკა ურთიერთობა ასეთ ფიცხ მამაკაცთან? ისინი ხომ ცასა და დედამიწასავით განსხვავდებიან ერთმანეთისგანო.

დეპარდიე კაროლის ქმრის, ცნობილი პროდიუსერის, ჟან-პიერ რასამის მეგობარი იყო. იმ დროს კაროლი უკვე ბრწყინავდა — 19 წლისამ ითამაშა კინოს მეტრის, ლუის ბუნუელის ფილმში „ეს ბინდით მოცული ვნების ობიექტი", რომელიც „ოსკარზე" იყო წარდგენილი.

გათხოვების შემდეგ კაროლმა თავი ოჯახს მიუძღვნა. მას ორი ვაჟი ჰყავს. დიმიტრი, 22 წლისაა, დაამთავრა პარიზის უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი და პროდიუსერობას აპირებს. უმცროსი 16 წლის არის და ჯერ სკოლაში სწავლობს. „არასოდეს მიფიქრია, რომ ბავშვები ხელს მიშლიდნენ სამუშაოში. მინდოდა შვილები და გავაჩინე კიდეც საყვარელი მამაკაცისაგან. ბავშვები ყოველთვის თან მიმყავდა გადაღებებზე. დღემდე დიდი სიხარულით ვატარებ თავისუფალ დროს ჩემს შვილებთან, მსიამოვნებს მათთან ურთიერთობა. ჩემს ცხოვრებაში ოჯახი ყოველთვის პირველ ადგილზე იყო"...

რასამის იდეა იყო, რომ დეპარდიეს და კაროლს ერთად ეთამაშათ ფილმებში: „მარცხენა ნაპირი" და „შენთვის მეტისმეტად ლამაზი". მსახიობებმა ცოლ-ქმარი განასახიერეს. ამ უკანასკნელ სურათში ბუკემ მიიღო ფრანგული კინოაკადემიის ჯილდო „სეზარი". ეკრანული სიყვარული მოგვიანებით რეალურში გადაიზარდა. ვნებიანად ჩახვეული წყვილის ფოტომ მოიარა პარიზის გაზეთები. კაროლი და ჟერარი იფიცებოდნენ, სასიყვარულო ეპიზოდს ვამუშავებთ ახალი ფილმისთვისო. მათ გაზეთს სასამართლოში უჩივლეს და მოიგეს კიდეც პროცესი — გამომცემელმა ჯარიმა გადაუხადა მორალური ზიანისათვის.

მეუღლის ტრაგიკულად დაღუპვამ თავზარი დასცა კაროლს. ჟან-პიერ რასამის სიკვდილი დღემდე ბინდით არის მოცული — ან ნარკოტიკებმა იმსხვერპლა, ან რომელიმე კონკურენტმა მოიშორა თავიდან... ბუკე გაემიჯნა საზოგადოებას. ერთადერთი მამაკაცი, ვისაც გული გაუღო, იყო მისი მაზლი. პოლი (კინოპროდიუსერი) ანუგეშებდა ქვრივს და... მოინადირა კიდეც რძლის გული. მათი კავშირი ცოტა ხანს გაგრძელდა. კაროლი შვებას მუშაობაში ეძებდა. სწორედ იმ პერიოდში მიაღწია დიდ წარმატებებს, გახდა „შანელის" სახე, თან ძალიან გამდიდრდა.

...კაროლი პარიზის გარეუბანში გაიზარდა. მამამისი ინჟინერი იყო, კეთილი, მშვიდი, გულმოწყალე ადამიანი. დედამ მიატოვა ოჯახი და სხვას გაჰყვა. მამამ კაროლი და მისი და კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ სკოლაში მიიყვანა და შვილების აღსაზრდელად არაფერი დაუშურებია...

თავისუფალ დროს ბუკე უძღვნის საქველმოქმედო ფონდს „ბავშვის ხმა", რომელსაც ხელმძღვანელობს მისი და — ლორანი. ისინი იცავენ ბავშვებს, რომლებმაც ძალადობა განიცადეს. „რა თქმა უნდა, ეს სამუშაო უამრავ დროს და ძალას მართმევს, ხანდახან დილიდან საღამომდე სხვადასხვა ინსტანციაში დავდივარ. მაგრამ ვინ დაეხმარება უბედურ ბავშვებს, თუ არა მე, ცნობილი მსახიობი, ვის წინაშეც ყველა კარი ღიაა?"

ადგილს, სადაც ბუკე ცხოვრობს, უწოდებენ „ოდეის სოფელს". ეს არის პატარა ბევერლი-ჰილზი, ოაზისი მრავალსართულიანი პარიზის ცენტრში. „ოდეის სოფლის" მკვიდრნი მხოლოდ ფეხით დადიან. კაროლის მეზობლები არიან მწერლები, კინოვარსკვლავები.

ამ სამოთხის სიმშვიდეს დროდადრო არღვევდა წვეულებებიდან დაბრუნებული დეპარდიე. მის დანახვაზე მეზობლები დემონსტრაციულად კეტავდნენ ფანჯრებს, დილით კი ცივად ესალმებოდნენ კაროლს. მას ეს დიდად არ ადარდებდა, რადგანაც სიგიჟემდე უყვარდა ჟერარი.

ექსტრავაგანტური გამოსვლების გამო მეგობრებმა ჟერარს „ჟეჟე-დეპარდა" შეარქვეს. მსახიობის მგზნებარე ტემპერამენტი გადმოფრქვევას ითხოვდა, მისგან ნებისმიერ სიურპრიზსა თუ ფოკუსს ელოდნენ. კაროლი ბევრ რამეს ეგუებოდა. დეპარდიე ერთადერთი იყო კაროლის თაყვანისმცემელთა შორის, რომელიც ბუკეს შვილებმა მიიღეს. მაგრამ, ბოლოს, ქალს აევსო მოთმინების ფიალა...

ზაფხულში სიცილიაში წავიდნენ (იქ კაროლს უზარმაზარი ზვრები აქვს. ახლახან ბაზარზე გავიდა ბუკეს მარკის თეთრი ტკბილი ღვინო). კაროლმა ჟერარი პარიზიდან გაიყვანა, რათა განმარტოებულებს მშვიდად დაესვენათ, მაგრამ ჟერარმა მაშინვე შეიძინა ახალი მხიარული მეგობრები. ამის გამო მაგრად იჩხუბეს. კაროლის სახლში ჟერარი აღარ დაბრუნდა...

„ცხოვრება შორს არის სრულყოფილებისგან, ის მკაცრია, სასტიკი და ქაოსური. მაგრამ ალბათ ზუსტად ამით არის შესანიშნავი," — ამბობს კაროლი.

***პარი მატჩი***

# სტივ მარტინი ქალის ფსიქოლოგიას სწავლობს

**ერთხელ სტივს ჰკითხეს, — სცენაზე ასე თავისუფალი ხართ, ხუმრობთ, ხოლო ქალთა საზოგადოებაში ბრინჯივით იბნევითო. მსახიობმა უპასუხა — ლამაზი ქალის დანახვისას მადას და იუმორის გრძნობას ვკარგავო. მაგრამ ამჟამად რაღაც ცვლილებები ხდება მის ცხოვრებაში. ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ ყველაფერს სერიოზულად არ უნდა მიუდგეს, განსაკუთრებით ქალებს.**

## განდეგილის თავშესაფარი

...მაშინ კი, 1995 წელს, 50 წლის მარტინს ეგონა, ცხოვრება დამთავრდაო. ის — მდიდარი, ცნობილი, ნიჭიერი, ჭკვიანი — მარტოდმარტო ზის შინ და ყოველღამე ესიზმრება, რომ უკვე 60 წლისაა და კვლავ საყვარელ ქალს შორდება.

სტივს ყოველთვის ყველაფრის ეშინოდა — თაყვანისმცემლების, ხმაურიანი წვეულებების, ახალ როლში ან შოუში ხელმოცარვის და... ქალების.

ალბათ გაორებული სული მაქვს, — ეწუწუნებოდა ფსიქოანალიტიკოსს, — თორემ როგორ შეიძლება კლოუნი ასეთი ნაღვლიანი და მარტოხელა იყოსო.

მის სახლს, ლოს-ანჯელესში, ეძახდნენ განდეგილის თავშესაფარს, რომელსაც ფასადის მხრიდან ფანჯრები არ ჰქონდა, ხოლო შიგნიდან — მუზეუმის უსახურ შენობას ჰგავდა, სადაც XX საუკუნის ამერიკული ფერწერა და პიკასოს შედევრები ინახებოდა. მას შეეძლო უნიკალური ფერწერული ტილოს შეძენა, მის თითო კონცერტს ხომ 20 ათასი მაყურებელი ესწრებოდა — მარტო როკ-მუსიკოსებს შეეძლოთ ასეთი რამ.

ჭაბუკობაში ძალიან მორცხვი იყო. ქალების ერიდებოდა, სულ იმის შიში ჰქონდა, რომ უარს ეტყოდნენ. 30 წლის რომ გახდა, სიბერის შეეშინდა და, ბოლოს და ბოლოს, „გმირობა" ჩაიდინა — თავის ციხესიმაგრეში ქალი შეუშვა. მსახიობ ბერნადეტ პეტერსთან მეგობრობამ 5 წელს გასტანა — სტივისთვის ეს სარეკორდო დრო იყო. ბერნადეტმა სტივი გონიერებითა და დამოუკიდებლობით მოხიბლა, მაგრამ მისი მხიარული ხასიათი აღიზიანებდა. შეიძლება ამიტომაც არ აქცია იგი თავისი სასახლის დიასახლისად. მათ სასტუმროში გაიარეს რეგისტრაცია მისტერ და მის ფორბსის სახელით — ასე ერქვა მარტინის საყვარელ კატას. ქორწილამდე საქმე არ მისულა, რადგან, როგორც კი ბერნადეტი მიხვდა, მარტინი ცოლად შერთვას არ უპირებდა, მაშინვე მიატოვა. სტივმა ძალიან განიცადა — ეს რა სისულელე ჩავიდინე, დავითარსე, რა კატის გვარი ამიტყდაო!..

## გაპობილი გული

სტივის ახალი სიყვარული მსახიობი ვიქტორია ტენანტი შეიქნა. სტივი ყოველთვის ეჭვით უყურებდა ლამაზმანებს — თვალწარმტაცი ქალები უფრო შიშს მგვრიან, ვიდრე სიყვარულსო. და არც ვიქტორია იყო ძალიან ლამაზი. ინგლისში დაბადებული რუსი არისტოკრატის შვილიშვილს, განათლებულ, ნატიფ და ხუთი ენის მცოდნე ვიქტორიას, შემოვლილი ჰქონდა მსოფლიო. მარტინი, რომელიც ჰოლივუდში თავისი ინტელექტით იყო ცნობილი (მას ფილოსოფიის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული), ამ ქალის გვერდით უსუსურად გრძნობდა თავს.



ვარსკვლავი ისე იყო შეყვარებული, რომ ყველანაირ შიშს სძლია და 41 წლის ასაკში ცოლობა სთხოვა ვიქტორიას. შეყვარებულები რომში დაქორწინდნენ. ვიქტორიას მოსწონდა, რომ ქმრის მუზა იყო. ცოლის რჩევით, მარტინმა პიესების წერა დაიწყო, მაგრამ პრემიერაზე მარტო აღმოჩნდა — მუზა „აორთქლდა" — ვიქტორიას, 8 წლის ოჯახური ცხოვრების შემდეგ, ავსტრალიაში ერთ-ერთი სერიალის გადაღებისას, ავსტრალიელი ვარსკვლავი შეუყვარდა... სტივის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა.

სტივმა ჭკუა ისწავლა და ახლა მხოლოდ ისეთ ქალებს ხვდებოდა, რომელთა შინ მიპატიჟება აუცილებელი არ იყო, მაგრამ თავისდა საუბედუროდ, მაინც შეუყვარდა — 49 წლისა 25 წლის მსახიობმა ენ ჰეიჩმა მოხიბლა... ენმა გული საბოლოოდ გაუპო. სტივი ყველაფერს აკეთებდა სიყვარულის შესანარჩუნებლად, მაგრამ... ენმა ის არ აკმარა, რომ მიატოვა, ისიც გამოაცხადა — ლესბოსელი ვარ და სტივი იმიტომ მომწონდა, რომ უგონოდ ვუყვარდიო. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ეს მსახიობის ფანტაზია იყო, და ესეც, ისევე, როგორც სტივთან რომანი, რეკლამისთვის სჭირდებოდა.

## ქალები პლანეტა ვენერადან

თითქმის მთელი წელი დადიოდა სტივი ფსიქოთერაპევტთან, კითხულობდა წიგნებს ფსიქოლოგიაზე — სერიოზულს და პოპულარულს. მაგალითად, ასეთებს: „ქალები ვენერას პლანეტიდან", „მამაკაცები მარსის პლანეტიდან". სჯეროდა, რომ ამ წიგნებით ქალის ფსიქოლოგიას შეიცნობდა. მეგობრები ყველანაირად ცდილობდნენ, გამოეყვანათ სტრესიდან, ახალ-ახალ ქალებსაც აცნობდნენ, მაგრამ უშედეგოდ.

და, აი, ისევ იქუხა... მასთან ჟურნალისტი ქალი მივიდა ინტერვიუსთვის. სტივს მოეჩვენა, რომ ეს მომხიბვლელი ქალი კეთილი იყო და არა ლამაზი და ძლიერი. ელენს კალთების დახევა არ დასჭირვებია, მაგრამ იდილია დიდხანს არ გაგრძელებულა... მან მარტინი მიატოვა.... სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს... თურმე სტივი ამ საქმიანი ქალისთვის მხოლოდ ცდისპირი ყოფილა — თურმე იმ პერიოდში ჟურნალისტი წიგნს წერდა — „როგორ მივატოვოთ მამაკაცი". მაგრამ ამჯერად მსახიობი დეპრესიას გადაურჩა — ის თითქოს მიეჩვია იმ აზრს, რომ ასეთია მისი ბედისწერა, არ უმართლებს და რას იზამს?!

2000 წლის დასაწყისში მარტინი კვლავ ანკესზე წამოეგო. ინგლისელი მსახიობი ჰელენ ბონემ კარტერი შეუყვარდა. ის იყო, გადაწყვიტა, ეს კი ნამდვილად გამომადგება ცოლადო, ისევ მოეცარა ხელი. ქალი გამოუტყდა — ძველ საყვარელს ვერ ვივიწყებ, ცოლად ვერ წამოგყვები და სჯობს, დავშორდეთო... მარტინმა ეს დარტყმაც ვაჟკაცურად გადაიტანა და სულის სიმშვიდე ხელოვნებაში პოვა — წიგნების წერა დაიწყო. ასე გაჩნდა „გამყიდველი ქალი" და „სიამოვნება ჩემს კომპანიაში" — ორივე ბესტსელერი გახდა. გარდა ამისა, სტივი, ვუდი ალენის მსგავსად, მოთხრობებს წერს ამერიკაში ყველაზე პრესტიჟული ჟურნალისთვის „ნიუ-იორკი". რედაქციაში მან თავისი ახლანდელი სატრფო — 49 წლის მწერალი და ტელესცენარისტი პეტი მარქსი გაიცნო.

მეგობრები ამბობენ, — პეტი მისთვის იდეალური თანამგზავრიაო. სტივმა კი, თავის მხრივ, შეამჩნია, რომ როცა ქალი მის ხუმრობას უსმენს, უღიმის და თვალებში შესციცინებს. ესტრადის ვარსკვლავმა დანამდვილებით იცის — ეს ყველაზე უტყუარი კონტრაქტია, ასეთ ქალს არ შეუძლია მამაკაცის მიტოვება!

# კიდმანს საქმრომ უღალატა

რომანი ჰოლივუდის ვარსკვლავს ნიკოლ კიდმანსა და მსოფლიოში ცნობილ მომღერალს ლენი კრავიტცს შორის ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. საქმე ის გახლავთ, რომ ახლახან დასავლურ პრესაში გაჩნდა კრავიტცის ფოტო, სადაც მომღერალი ვიღაც ახალგაზრდა მანდილოსანთან არის ჩახვეული. რა თქმა უნდა, ნიკოლმა საქმროს ახსნა-განმარტება მოსთხოვა, თავქარიან ლენის კი არც უცდია თავის მართლება. პირიქით, მან ამაყად განუცხადა მომავალ მეუღლეს, რომ ძალიან ვნებიანი რომანი აქვს ბრაზილიელ მხატვარ იზიშ არუდასთან. ნიკოლმა მოითხოვა, რომ იმავე საღამოს ლენი გადაბარგებულიყო მისი ბინიდან (ნიუ-იორკში), სადაც წყვილი ერთი თვის წინ დაბინავდა. „ჩვენს ურთიერთობას ბოლო მოეღო. უაზროა იმის აღდგენა, რაც როგორც აღმოჩნდა, არასოდეს ყოფილა", — განაცხადა ნიკოლმა.





# ვალი გადახდილია

## რა ბედი ელის მერაბ ჟორდანიას?

741 989 ლარი გადახდილია საქართველოს ბიუჯეტში კიევის „დინამოს" სახელით. სწორედ ამ სახელოვან კლუბში მოხდა თანხების აკუმულირება იმისთვის, რომ მერაბ ჟორდანიას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყვეტილიყო. .

12 დეკემბერს დაპატიმრებული მერაბ ჟორდანია აცხადებდა, რომ ის წინააღმდეგი იყო თანხის გადახდის, რამდენადაც ეს მისი მხრიდან ბრალეულობის აღიარებას ნიშნავდა. ის აღიარებდა, რომ თანხა ბიუჯეტში აუცილებლად უნდა გადახდილიყო, თუმცა, უნდა გარკვეულიყო, ვისი გადასახდელი იყო 741 989 ლარი.



ფაქტია, რომ ბიუჯეტმა მიიღო ის თანხა, რასაც ჟორდანიას ედავებოდნენ. ბუნებრივია ისმის კითხვა — აღიარა თუ არა ამ ნაბიჯის გადადგმით მერაბ ჟორდანიამ საკუთარი დანაშაული. თუმცა მეტად საინტერესოა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის დის, ქალბატონ ხათუნა ჟორდანიას განმარტება: „მერაბი წინააღმდეგი იყო თანხის გადახდის, თუმცა ჩვენ ფაქტის წინაშე დავაყენეთ."

გარდა აღნიშნული თანხისა, მერაბ ჟორდანიას დაახლოებით 4 მილიონ ლარსაც ედავებიან, თუმცა, როგორც ადვოკატი აცხადებს, გამოძიებამ აქ ხელჩასაჭიდი ვერაფერი ნახა და სწორედ ამის შედეგად შეწყდა ჟორდანის მიმართ სისხლის სამართლის საქმე. მაგრამ არ შეწყვეტილა სისხლის სამართლებრივი საქმე საკუთრივ იმ ფაქტის მიმართ, რომლის რეზონანსიც იყო ჟორდანიას დაპატიმრება.

გენერალური პროკურორის მოადგილის, გია ჯიქიას განმარტებით, მერაბ ჟორდანიას გათავისუფლების საკითხს გამოძიება ათი დღის განმავლობაში განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, ექნებათ თუ არა შემდგომი პრეტენზიები სამართალდამცავებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მიმართ.

# შესანიშნავი დებიუტი

მოსკოვის „სპარტაკში" თავისი პირველი შანსი ბრწყინვალედ გამოიყენა საქართველოს ნაკრების მეკარემ გიორგი ლომაიამ, რომელმაც ეფესის თასზე თურქეთის „გალათასარაის" წინააღმდეგ, მართლაც რომ ბრწყინვალედ ჩაატარა მატჩი. მთელი შეხვედრის მანძილზე გიორგი საიმედოდ მოქმედებდა, რისი დასტურიცაა ის ფაქტი, რომ მასთან ხუთჯერ პირისპირ გასული „გალათასარაის" თავდამსხმელები, ხუთჯერვე უძლურნი აღმოჩნდნენ. გიორგი ლომაიამ ხუთჯერვე აიღო ახლო მანძილიდან დარტყმული ურთულესი ბურთები. თუმცა, საბოლოოდ „სპარტაკის" დაცვის შეცდომების წყალობით, ლომაიას კარში ორი ბურთი მაინც გავიდა. ეს ბურთები აუღებელთა კატეგორიას მიეკუთვნება და ამიტომ ჩვენებურისთვის საყვედური არავის უთქვამს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მატჩი მოსკოვის „სპარტაკის" ახალი მწვრთნელის, იტალიელი ნევიო სკალასთვის ერთგვარი სადებიუტო შეხვედრა გახლდათ. გიორგი ლომაია კი, როგორც რუსული საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, საკმაოდ მოულოდნელად აღმოჩნდა გუნდის ძირითად შემადგენლობაში. საქმე ისაა, რომ მატჩის წინ მიკროტრავმა მიიღო გუნდის პოლონელმა მეკარემ კოვალევსკიმ და მას რამდენიმე დღის განმავლობაში დასვენება ურჩიეს. გიორგიმ თავისი შანსი პირველივე შეხვედრაში გამოიყენა. „გალათასარაისთან" წაგებული მატჩის (1:2) შემდეგ კი იტალიელმა სპეციალისტმა შემდეგი განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გუნდის თამაშში უამრავი ხარვეზი იყო, კრიტიკისგან თავს შევიკავებ, მხოლოდ ვიტყვი იმას, რომ ბრწყინვალედ ჩაატარა მატჩი გიორგი ლომაიამ. მე შემიძლია კიდევ ერთხელ დავადასტურო ჩემი მოსაზრება იმის შესახებ, რომ გუნდში ორი თანაბარი სიძლიერის მეკარე გვყავს."



# უეფას სიმბოლური ნაკრები

უეფამ გამოაქვეყნა 2003 წლის მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები. ნაკრები შეადგინა უეფას ვებ-საიტის მომხმარებელმა. ამგვარი გამოკითხვა უკვე მესამე წელია რაც ეწყობა. თავდაპირველად თითოეულ პოზიციაზე სახელდება 5 ფეხბურთელი, რომელთაგანაც უნდა აირჩეს ერთი. სახელდება ასევე წლის საუკეთესო მწვრთნელი.

მარცხენა მცველის პოზიციაზე ხუთეულში დაასახელეს კახა კალაძეც, თუმცა, როგორც საუკეთესოს, მას გამოკითხვაში მონაწილეთა მხოლოდ 6,5%-მა მისცა ხმა. აქ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა რობერტო კარლოსმა, მეორე ადგილზე გასულმა ძამბროტამ მხოლოდ 15,9% მოაგროვა. კალაძის კონკურენტები, გარდა ძამბროტასი და რობერტო კარლოსისა, იყვნენ ოში და ლიზარაზუ, მათ და ქართველმა მცველმა ფაქტობრივად, ხმათა თანაბარი რაოდენობა მიიღეს.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო მილიონზე მეტმა მკითხველმა, რომელთა რჩეული ნაკრებიც ასე გამოიყურება:

მეკარე: ჯანლუიჯი ბუფონი („იუვენტუსი"), მცველები: პაულუ ფერეირა („პორტუ"), რობერტო კარლოსი („რეალი"), ალესანდრო ნესტა („მილანი"), პაოლო მალდინი („მილანი"), ნახევარმცველები: ლუიშ ფიგუ („რეალი"), დევიდ ბექჰემი („რეალი), ზინედინ ზიდანი („რეალი"), პაველ ნედვედი („იუვენტუსი"), თავდამსხმელები ტიერი ანრი („არსენალი"), რუუდ ვან ნისტელროი („მანჩესტერ იუნაიტედი").

წლის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა „პორტუს" მთავარი მწვრთნელი ჟოზე მაურინიო.

# ქართველი სუმოისტი იაპონელებს ამარცხებს

იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში მიმდინარეობს იქაური ჭიდაობის, სუმოს მთავარი ტურნირი სახელწოდებით, ბაშო, სადაც პლანეტის 38 უძლიერესი სუმოისტი ასპარეზობს. მათ შორისაა ქართველი ლევან ცაგურია, რომელსაც ამომავალი მზის ქვეყანაში „კოკაის" სახელით იცნობენ. „კოკაი" იაპონურად შავ ზღვას ნიშნავს.



სუმო იაპონიაში სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა, სუმოისტები კი დიდად დაფასებული ხალხია. ცაგურია კარგა ხანია იაპონიაში ცხოვრობს. მისი სპორტული შედეგები მეტად შთამბეჭდავია. 2001 წლიდან მოყოლებული, ჩვენებურს 16 ტურნირში აქვს მონაწილეობა მიღებული, ამ ხნის მანძილზე ლევანი უმაღლეს დივიზიონში აღზევდა, სადაც ამჟამად მეათე პოზიციაზე იმყოფება. მიმდინარე ტურნირში კოკაის 7 ბრძოლა აქვს გამართული, რომელთაგან 4 ქართველის გამარჯვებით დასრულდა. დარჩენილ 8 შეხვედრაში ჩვენებურმა მინიმუმ ოთხი უნდა მოიგოს, რათა უძლიერესთა შორის შეინარჩუნოს ადგილი.

23 წლის სოხუმელი ლტოლვილი ლევან ცაგურია 157 კგ-ს იწონის. პროფესიონალთა შორის გამართული 137 ბრძოლიდან 97 კოკაის გამარჯვებით დასრულდა. სუმოს ისტორიაში ლევან ცაგურია მეცამეტე არაიაპონელია, ვინც მსოფლიოს უძლიერეს სუმოისტთა შორის ასპარეზობს.

# გიორგი ნემსაძე „დინამოს" უბრუნდება

დამოუკიდებელ თანამეგობრობათა თასი თბილისის „დინამოს" პირველი ტურნირია მიმდინარე წელს. გუნდი მოსკოვში ასპარეზობს და იქ მოსინჯავს ძალებს.

თბილისიდან გამგზავრებამდე კი საქართველოს ჩემპიონის ხორვატმა დამრიგებელმა ივო შუშაკმა რამდენიმე კითხვაზე გაგვცა პასუხი. მთავარი სიახლე ის გახლავთ, რომ უახლოეს ხანში გუნდის შემადგენლობაში გამოჩნდება საქართველოს ნაკრების კაპიტანი, „დანდის" ყოფილი ფეხბურთელი **გიორგი ნემსაძე.**

**— გასულ წელს დსთ-ის ტურნირზე მეორე შემადგენლობა გაამგზავრა დონეცკის „შახტარმა". წელს იმავეს აკეთებს კიევის „დინამო" და რუსეთის ჩემპიონი ცსკა. ჩანს, რომ დსთ-ის ტურნირმა პრესტიჟი დაკარგა. რამდენად ოპტიმალურად თვლით ამ ტურნირზე მონაწილეობას გუნდის მომზადების თვალსაზრისით?**

— ის, რომ რუსეთისა და უკრაინის გუნდები მეორე შემადგენლობით გამოდიან, ფაქტია, თუმცა, მათი მეორე შემადგენლობასთან შერკინებაც არ იქნება უინტერესო. ვიტყვი იმას, რომ ნებისმიერი ფეხბურთელისთვის, გარდა საწვრთნელი ვარჯიშებისა, აუცილებელია სათამაშო პრაქტიკა. ამ ტურნირს მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს — აქ თამაშები ხელოვნურ საფარიან მოედანზე იმართება, თანაც დარბაზში. ჩვენს გუნდს არა აქვს ასეთ ვითარებაში თამაშის გამოცდილება. თუმცა, მთავარია, რომ ჩვენ საქართველოს ღირსება უნდა დავიცვათ. ეს კი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საქართველოს ჩემპიონისთვის. ამიტომაც მგონია, რომ დსთ-ის ტურნირზე მონაწილეობა გამართლებულია.

**— გუნდში ვარჯიშობს გიორგი ნემსაძე. მისი სურვილია, რომ „დინამოში" გააგრძელოს კარიერა, უნდა მოგვარებულიყო ფინანსური პრობლემა. რა დონეზეა ეს საქმე?**

— გიორგი ნემსაძეს საკმაოდ უცნაური ისტორია გადახდა. მისი კლუბი, შეიძლება ითქვას, ერთ დღეში გაკოტრდა და გიორგიც უგუნდოდ აღმოჩნდა. მთავარია ჩემთვის, რომ არსებობს ორმხრივი სურვილი. შემიძლია ვთქვა, რომ საქმე უკვე გადაწყვეტილია. ნემსაძე საქართველოს ნაკრების კაპიტანია და დიდი სურვილი მაქვს, ის ჩემს გუნდში ვიხილო, მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ ჩვენ კვიპროსში მივდივართ და მგონია, რომ ყველა დოკუმენტის გაფორმება ამ დროისთვის მოესწრება. ვიტყვი იმასაც, რომ ნემსაძე არ მიგვყავს მოსკოვში, რადგანაც მინდა ავარიდო ხელოვნურსაფარიან მოედანზე თამაში.

**— თქვენ გუნდში დავით სირაძის გადმოყვანაც გინდოდათ...**

— კი ამის სურვილი მქონდა და მაქვს. ეს ბუნებრივიცაა. შარშან ჩვენ მალხაზ ასათიანის გადმოყვანა მოვისურვეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. შემდეგ ვისურვეთ მიხეილ აშვეთია ჩაგვერიცხა გუნდში, აქაც ხელი მოგვეცარა. ისე, ნათქვამია მესამე და სამართალიო. მგონია, რომ ჩვენი მესამე ცდა წარმატებული იქნება. თავს ბედნიერად ჩავთვლი თუკი, ეს მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა.

**— გუნდი დატოვა ალეკო ამისულაშვილმა. „დინამოში" აღარ ითამაშებს საქართველოს ნაკრების მცველი ოთარ ხიზანეიშვილი, არადა ორივე ფეხბურთელი იმ გუნდის ძირითადი ბირთვის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო, რომელმაც საერთაშორისო არენაზე უნდა ითამაშოს. რამდენად ნიშნავს მათი გაყიდვა იმას, რომ „დინამოს" ის სტრატეგიული კონცეფცია იცვლება, რომლითაც გუნდი წელს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლას გეგმავდა?**

— ბუნებრივია, გული დამწყდა, რომ ამისულაშვილი წავიდა. ის ჩვენი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი იყო, თუმცა, მე მომხრე ვარ, რომ ფეხბურთელი იმ გუნდში გადავიდეს, სადაც მას უფრო მაღალ დონეზე მიეცემა თამაშის საშუალება. მის კონტრაქტში იდო



ასეთი პუნქტი, რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ მას ნებისმიერ დროს შეეძლო გუნდის დატოვება. ის ფაქტი, რომ ჩვენ მიერ აღზრდილი ფეხბურთელით ისეთი დიდი გუნდი ინტერესდება, როგორიც კიევის „დინამოა", მისასალმებელია.

P.S. მოსკოვში მიმდინარე ტურნირზე „დინამომ" მეტად დამაჯერებელი სტარტი აიღო — პირველი შეხვედრა 7:1 მოუგო ყირგიზეთის ჩემპიონს. მეორე მატჩი კი ივო შუშაკის გუნდმა კვირას, რიგის „სკონტოსთან" გამართა და ფრედ დაასრულა ანგარიშით 2:2.

# იტალიაში ოსკარები დაარიგეს

იტალიის ფეხბურთის ასოციაციამ გამოაცხადა 2003 წლის ოსკარების მფლობელთა ვინაობა. სერია „A-ს" საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს „იუვენტუსისა" და ჩეხეთის ნაკრების ნახევარმცველი პაველ ნედვედი, საუკეთესო იტალიელ ფეხბურთელად დასახელდა „რომას" ფორვარდი ფრანჩესკო ტოტი, საუკეთესო მეკარის ნომინაციაში იმარჯვა „იუვენტუსის" მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა, საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის ნომინაციაში გამარჯვება მოიპოვა „რომას" თავდამსხმელმა ანტონიო კასანომ, საუკეთესო მწვრთნელი მარჩელო ლიპი გახდა, საუკეთესო მცველად მილანელი ალესანდრო ნესტა აღიარეს, წლის არბიტრად კი პიერლუიჯი კოლინა დასახელდა.

# სიმენი წავიდა

40 წლის ასაკში საფეხბურთო კარიერა დაასრულა „მანჩესტერ სიტის" მეკარემ, ინგლისური ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდამ დევიდ სიმენმა. ეს გადაწყვეტილება ფეხბურთელმა მიიღო ინგლისის პრემიერლიგის ბოლო ტურში მიღებული ტრავმის შემდეგ, სიმენი იძულებული გახდა „პორტსმუტთან" მატჩისას მინდორი დაეტოვებინა.



ამ მატჩიდან სამი დღის შემდეგ სიმენმა ოფიციალურად განაცხადა საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ. „ეს რთული გადაწყვეტილება ოჯახთან და იმ ადამიანებთან კონსულტაციის შემდეგ მივიღე, რომელთა აზრსაც დიდად ვაფასებ. არ შემიძლია სწრაფად გამოვკეთდე მიღებული ტრავმის შემდეგ, ამიტომაც ვფიქრობ, რომ ახლა საუკეთესო დროა ბუცები კედელზე ჩამოვკიდო."

სიმენმა საფეხბურთო კარიერა 1980 წელს „ლიდს იუნაიტედის" რიგებში დაიწყო, შემდეგ გამოდიოდა „პიტერბოროში", „ბირმინგემში", „ქუინზ პარკ რეინჯერსში", 1990 წელს ის გადავიდა ლონდონის „არსენალში", სადაც მან 13 სეზონი გაატარა და ამ ხნის განმავლობაში სამჯერ მოიგო პრემიერლიგა, ოთხჯერ ინგლისის თასი, ერთხელ კი — ევროპის თასების მფლობელთა თასი.

80-იანი წლების ბოლოდან სიმენს იწვევენ ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში. 1994 წლიდან კი ის ნაკრების ძირითადი მეკარე ხდება.

მან სანაკრებო დონეზე 75 მატჩი ითამაშა, საკლუბო დონეზე კი — ათასზე მეტი.

უნდა აღინიშნოს, რომ სიმენი გულშემატკივარს ახსოვს არა მარტო მისი საფეხბურთო დღეგრძელობით, არამედ უპატიებელი შეცდომებითაც. 1994 წლის ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში, მან „მოახერხა" „სარაგოსას" მცველის, ნაიმის მიერ ცენტრიდან დარტყმული ბურთი გაეშვა თამაშის ბოლო წუთზე, 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი კი ინგლისის ნაკრებმა მისი მიუტევებელი შეცდომის გამო დატოვა ნაადრევად.

2003 წლიდან სიმენი „მანჩესტერ სიტიში" გამოდის, სადაც მან უკვე მეორედ მიიღო ტრავმა.

სიმენის გადაწყვეტილებას გამოეხმაურა მისი ყოფილი მწვრთნელი „არსენალში" არსენ ვენგერი: „დევიდ სიმენი ინგლისური ფეხბურთის ლეგენდაა, ის დაგვამახსოვრდა მოედანზე არა მარტო როგორც უბრწყინვალესი მეკარე, არამედ როგორც ჭეშმარიტი ჯენტლმენი, მე არ შემიძლია მის გადაწყვეტილებას მართებული არ ვუწოდო. მას რომ კარიერა გაეგრძელებინა, ეჭვქვეშ დააყენებდა საკუთარ ჯანმრთელობას."

ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიქსონმა განაცხადა: „დევიდი უდიდესი პროფესიონალი იყო. მე ბედნიერი ვარ, რომ ისეთ ადამიანთან მომიწია მუშაობა, როგორიც სიმენია, მას შეეძლო კიდევ ბევრი სიკეთე მოეტანა საკუთარი კლუბისთვის."

## №2 (380) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 477 მკითხველი გამოეხმაურა. 4 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 191-მა ქალმა და 282-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვინ არის ყველაზე მხიარული ტელეწამყვანი?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ქართულ ტელესივრცეში ორი ყველაზე კონკურენტუნარიანი მხიარული ტელეწამყვანია — დუტა და დათო გოგიჩაიშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ გადაცემა, რომელმაც დუტას პოპულარობა მოუტანა, ეთერში აღარ გადის და მაყურებელს მისი ხილვა ტელეეკრანზე გაცილებით იშვიათად უწევს, მისი რეიტინგი უწინდელივით საკმაოდ მაღალია. ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ „ღამის შოუს“ წამყვანის რეიტინგი შარშანდელთან შედარებით უფრო გაიზარდა — შარშან საუკეთესო ტელეწამყვანების რეიტინგში დუტა 7,01 საშუალო ქულითა და დათო გოგიჩაიშვილი 5,40 საშუალო ქულით იყოფდნენ I-II ადგილებს. დღეს, კი, როგორც ვხედავთ, მათთვის მიკუთვნებულ ქულებს შორის სხვაობა უმნიშვნელოა. თანაც, მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედ-ვით დათო გოგიჩაიშვილი პირველ ადგილზეა. მკითხველთა დაახლოებით 49-მა შეაფასა იგი 8 ქულით, დუტა კი — 38-მა.

მხიარულ ტელეწამყვანთა შორის მესამე ადგილზე ბორის წიფურიაა, საშუალო ქულაა 4.64, „ფორტუნას“ წამყვანი შარშანდელ რეიტინგშიც მესამე ადგილზე იყო.

ქალები დათო გოგიჩაიშვილს უფრო მხიარულ ტელეწამყვანად მიიჩნევენ, ვიდრე დუტას; ბახალა უფრო ახალისებთ, ვიდრე — ნიკა ლომიძე.

რაც შეეხება მამაკაცებს, მათთან ლიდერი ისევ და ისევ დუტაა, ნიკა ლომიძე კი მესამე ადგილზეა და წინ უსწრებს ბორის წიფურიას.

### მხიარული ტელეწამყვანები




საპრიზოს ზუსტად სამი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 14 წლის **ლევან ბეჟვაია,** 37 წლის **ქეთევან მაძღარაშვილი** და **თინა ჯიქია.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 21 იანვარს, 17 საათზე.

## №3 (381) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებ-ისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინ-ტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვე-ყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნო-მერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწ-ილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინ-გიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებუ-ლი თემების თითოეული გრაფისათვის მკითხ-ველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის სა-შუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემ-დეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტ-ინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მი-იღეთ *მკითხველის რეიტინგსა* და **«მკითხველის პრემიაში».**

**№3 (381) საპრიზო გამოკითხვა-რეიტ-ინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 21 იანვრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 22 იანვარს 13 საათამდე.**

© თბილისი

**თემა №3(381) — გავლენიანი ადამიანები**

**თქვენი აზრით, ვინ არის დღეს ყველაზე გავლენიანი ადამიანი საქართველოში** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№3(381) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ბადრი პატარკაციშვილი — ბიზნესმენი | |
| 2 | ედუარდ შევარდნაძე — ყოფილი პრეზიდენტი | |
| 3 | ზურაბ ჟვანია — სახელმწიფო მინისტრი | |
| 4 | ნინო ბურჯანაძე — პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი | |
| 5 | ეროსი კიწმარიშვილი — „რუსთავი 2-“ის დამფუძნებელი | |
| 6 | ვალერი ხაბურძანია — უშიშროების მინისტრი | |
| 7 | მიხეილ სააკაშვილი — არჩეული პრეზიდენტი | |
| 8 | გიორგი ბარამიძე — შს მინისტრი | |

**მკითხველის რეიტინგი**

რომელი ბიზნესმენი იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას ყველაზე მეტად?

✓ ____________________

რომელი ბიზნესმენი იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას ყველაზე ნაკლებად?

✓ ____________________

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________________

____________________
თქვენი სახელი, გვარი

____________________
ქალაქი (რაიონი)

____________________
ასაკი ტელეფონი

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

**რომელ ქართულ რადიოს უსმენთ ყველაზე ხშირად?**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ფორტუნა პლუს | 21.8% |
| 2. | ფორტუნა | 15.6% |
| 3. | რადიო 2 | 14.1% |
| 4. | რადიო „იმედი“ | 12.5% |
| 5. | საქართველოს რადიო (I არხი) | 7.2% |
| 6. | მწვანე ტალღა | 5.3% |
| 7. | რადიო 105 | 3.2% |
| 8. | საქართველოს ხმა | 2.7% |
| 9. | საპატრიარქოს რადიო | 2.4% |
| 10. | რადიო 101 | 1.3% |
| | **სხვა რადიოები** | **2.2%** |
| | **არც ერთი** | **10.6%** |
| | **მიჭირს პასუხის გაცემა** | **1.1%** |

ზუსტად ერთი წლის წინანდელ გამოკითხვაში დაწინაურებული ქართული რადიოე-ბის პირველი სამეული ასეთი იყო: 1. ფორტუნა, 2. ფორტუნა პლუს, 3. რადიო 101.

მაშინდელ რეიტინგში რადიო „იმედი“ და „პირველ რადიო“ X-XI ადგილებს იყოფდნენ. როგორც ვხედავთ, „იმედი“ დღეს მეოთხე ადგილზეა, „პირველი რადიო“ საერთოდ ვერ მოხვდა ათეულში. რაც შეეხება „რადიო 101-ს“, ის მესამე ადგილიდან მეათეზე ჩამოქვეითდა. შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად გაზრდილია „რა-დიო 2-ისა“და „მწვანე ტალღის“ რეიტინგები.

***მკითხველის რეიტინგს 430 მკითხველი გამოეხმაურა***

## ფოტოამოცანა © ·ფოტოპალიტრა·



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

____________________

– მიცანით? ახლაც პატარა და «სასაცილო გოგონა» ვარ...



ედუარდ შევარდნაძე, ასლან აბაშიძე

**ე.შ.** — რაო, ჩემო ასლან, გავიგე, ბათუმში ვარდი აპირებს გაშლასო!

**ა.ა.** — ლოგიკურად ეს იანვარში წარმოუდგენელია.

**ე.შ.** — მეც მასე მეგო-ნა, მაგრამ ნოემბერში აყ-ვავდა თბილისში.

***„ნაციონალი“, რუსთავი***

ძველი თერძის (ასლანი საყოფაცხოვრებო სფეროს მუშაკი იყო) ახალი მოს-წავლე.

***გივი კაციტაძე, თბილისი***

მრავალწლიანი მარათონის ფინიშის ხაზი.

***თამაზ დუნდუა, თბილისი***

**ე.შ.** — ჩემი გული, თქვენი გუ-ლი ლენტითაა გად-აბმული.

**ა.ა.** — ჟვანია-სააკაშვილმა ჩაგვიშ-ხამა სიყვარული.

***რეზო სვანიძე, თბილისი***

**ე.შ.** — (გადა-დგომის შემდეგ ჩავ-იდა ასლანთან) ას-ლან, წინა ჩამოსვ-ლაზე მე გავჭერი ლენტი და გადა-ვდექი, ახლა მეორემ შენ გაჭერი და გადადექი, სანამ მიშა არ შემოგვარდნია სენატში.

**ა.ა.** — მანამ არ აუდგეთ მაგათ გვერდები...

***სოსო ცირგაია, თბილისი***

**ა.ა.** — ე, ბიჭო, დროზე გაჭ-ერი ეგ ლენტა და შევასწროთ ამ მოხუცებულთა თავშესაფარში, თორემ მოგვადგა ის გადარეუ-ლი სააკაშვილი...

***ემზარ გოგოლაძე, რუსთავი***

C

## ფოტო განწყობისთვის



— ნუ ჩქარობთ, კულტურულად ჭამეთ!!!

დილაა. ქუჩაში მიხო და მიტო ხვდებიან ერთმანეთს:

— მიტო, ჯო, კოშმარული ღამე მქონდა... სიზმარში სოფი ლორენი, კლაუდია შიფერი, პამელა ანდერსონი და ჩემი მაროი ჩხუბოდნენ, რომელი დაწვებოდა ჩემთან...



— და შენ ამ სიზმარს კოშმარს უწოდებ?!

— მა რა ვუწოდო?! მარომ გაიმარჯვა, ჯო, მარომა...

22/I ○ ახალი მთვარე

მაგნიტური დღეა

19/I 08-დან 11 საათამდე

23/I 10-დან 12 საათამდე

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ჯექსონი; 4. დალტონი; 6. ურემი; 7. ირისი; 8. ელიბო; 9. ისინი; 10. იომენი; 13. პრერია; 16. კლიპი; 18. კარიესი; 19. ლამპასი; 20. იასპი; 22 ოფელია; 23. სიზიფე; 25. კამეა; 27. რურკი; 28. მია; 29. ნედლი; 30. ინერცია; 31. ალუბალი. **შვეულად:** 1. ჯამარაული; 2. იუპიტერი; 3. პენიცილინი; 4. დირიჟორი; 5. ინკუბაცია; 11. მორზე; 12. ნოელი; 14. რომბი; 15. „რეალი“; 16. კიი; 17. ილი; 21. სემირამიდა; 22. ოპერატორი; 24. ევკალიპტი; 25. კარჩხანა; 26. ანიმაცია.






**თარაზულად:** 1. სისხლისმწოველი „მკურნალი“; 4. ინგლისურიდან ველვეტი ითარგმნება როგორც ...; 6. ინგლისის უმაღლეს თავადაზნაურთა მემკვიდრეობითი ტიტული; 7. ზღვის დიდი კიბო; 8. XVI–XVII საუკუნეების მიჯნაზე იტალიაში აღმოცენებული მუსიკალურ-თეატრალური ნაწარმოები; 9. „ფორმულა-1“-ის ავტოდრომი, სადაც დაიღუპა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი აირტონ სენა; 10. იქსის „მეგობარი“; 13. საღმრთო წიგნების დასადები მაგიდა მართლმადიდებელ ეკლესიაში; 16. ვინსენტე მინელისა და ჯუდი გარლანდის ქალიშვილი; 18. კულინარიული ნაწარმი, მეტად პოპულარული დიდ ბრიტანეთში; 19. ჯარების უფროსი, მხედართმთავარი; 20. ხალხური საგმირო პოემები, თქმულებები; 22. ჩირქდენა; 23. შეჯიბრის დასკვნითი ნაწილი; 25. ლუდის სმის „ერთეული“; 27. კომისარი ჟორჟ სიმენონის დეტექტივებში; 28. ნადირობის მფარველი ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 29. მდინარე ევროპაში, რომლის სახელწოდება ქართულად „სუფთას“ ნიშნავს; 30. საქონლის შემოტანა უცხოეთიდან; 31. მათემატიკის ნაწილი.

**შვეულად:** 1. ქართული სამარკო თეთრი ღვინო; 2. ღვინის სპირტი; 3. გადამწყვეტი ბრძოლა ქვეყნიერების დასასრულს; 4. თევზის დელიკატესი; 5. სკიფთა მეფე, რომელმაც უბრძოლველად დაამარცხა მანამდე უძლეველი სპარსთა ხელმწიფე დარიოსი; 11. მარკონის გამოგონება, რომელსაც რუსები პოპოვს მიაწერენ; 12. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი, რომელშიც ცალ მუხლზე დგებიან და ისე უსვამენ; 14. ბოჭკოთა ერთობლიობა, რომლის გაღიზიანების შედეგია ფოტოზე; 15. ტროპიკული მცენარე; 16. ძველი ფრანგული სიგრძის ერთეული; 17. საჰაერო ბრძოლების ოსტატი; 21. მართლწერა; 22. აღორძინების ეპოქის განთქმული ექიმის და ალქიმიკოსის ფილიპე აურეოლ თეოფრასტ ბომბასტ ფონ ჰოჰენჰაიმის ფსევდონიმი; 24. საზღვარგარეთ გადახვეწა; 25. ხომალდების შენაერთის მეთაური, რომელსაც არა აქვს ადმირალის წოდება; 26. სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრება უმაღლეს ინსტანციაში.

შეადგინა რამაზ ალანიამ




ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## 3 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№3 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 22 იანვრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

[R] ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54 **რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი © 1518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.